თანამედროვე მედიის ეთიკური ასპექტები

ია მახარაძე

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერ-ხელმძღვანელები:

თენგიზ ირემაძე

ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

ლალი ზაქარაძე

ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

თბილისი 2014

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წინამდებარე ნაშრომი, „თანამედროვე მედიის ეთიკური ასპექტები“ ორიგინალურია. ის არ შეიცავს ისეთ მეცნიერულ თვალსაზრისს, დებულებას, თეორიას, კვლევის მონაცემებს, რომელიც ნაშრომში არ არის მითითებული დადგენილი წესით, ხოლო კვლევის მეთოდების გამოყენების დროს სრულად არის დაცული ეთიკური ასპექტები.

ია მახარაძე

რეზიუმე

ნაშრომი მიზნად ისახავს, ხაზი გაესვას ჟურნალისტური ეთიკის მნიშვნელობას ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების მიმდინარეობისას, ამ დემოკრატიული ინსტიტუციის განვითარების ხელშეწყობას საქართველოს მასმედიაში, აგრეთვე, ისეთ სფეროში მომუშავე ჟურნალისტთა დახმარებას, როგორიცაა ჟურნალისტური გამოძიება. მედია ეთიკის განვითარება აუცილებელია ქვეყნისათვის, რომელიც რეფორმებს ატარებს. მედია ეთიკის განვითარება აახლოებს მასმედიას საზოგადოებასთან, რადგან ობიექტური და სამართლიანი ჟურნალისტური პროდუქტი ამაღლებს ჟურნალისტის მიმართ ნდობის ხარისხს.

ნაშრომში ასახულია ის საკითხები, პრობლემები, რომელიც ამ გზაზე მედიამ უნდა გაიაროს: განსაზღვროს პროფესიული ქცევის ნორმები, შემდეგ კი, ამ ნორმების დასამკვიდრებლად შექმნას მექანიზმი, რომელიც მომხმარებლისა და მასმედიის ურთიერთობის დარეგულირებას შეეცდება. აქ იგულიხმება ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემა, როგორიცაა: რა მიზნებს უნდა ემსახურებოდეს ეთიკური მედია? როგორია მედიის წარმომადგენლების პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე? ნაშრომში ეთიკური მედიის განვითარების მოდელი წარმოდგენილია ევროპულ, ამერიკულ, რუსულ, ქართულ ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში გამოქვეყნებული მასალებით და ავტორის შემოთავაზებული სწავლების მეთოდიკით, შეფასებებითა და კომენტარებით.

დისერტაციაში წარმოდგენილი მასალა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს XX საუკუნის მეორე ნახევრის და XXI საუკუნის დასაწყისის თანამედროვე დასავლური და ქართული ჟურნალისტიკის საკითხების კვლევისას. ნაშრომში განხილული და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი მასალა, როგორც მანამდე ერთ მთლიანობაში შეუსწავლელი წყარო და მათი ანალიზი, გარკვეულწილად შეუწყობს ხელს თანამედროვე დასავლური და ქართული მედიის ურთიერთმოქმედების ინტენსიურობის, თავისუფალი ჟურნალისტიკის განვითარების პროცესის თავისებურების, ეთიკური მასმედიის პრინციპების კომპლექსურ შესწავლას.

Abstract

The presented work aims to emphasize the importance of journalism ethics in ongoing democratic reforms in the country, facilitating the development of democratic institutions in Georgian mass media, as well as to help those journalists working in such fields as investigative journalism.Development of media ethics is necessary for the country with undergoing reforms. The author believes that the development of media ethics bridges the gap between media and society, as the product of objective and fair journalism raises the level of confidence toward the journalist.

The work describes those steps that the media should pass on this way: to define the rules of professional conduct, and then create a mechanism for establishment of these rules that will try to regulate the relationship between consumers and the media.The questions of professional ethics of the media are the major problems of the mass media. The work attempts to give answer to such questions as: What goals should serve the ethical media? What is the responsibility of the representatives of media towards the society? The model of development of ethical media is presented relying on the materials published in European, American, Russian and Georgian print and electronic media and by the teaching methods, evaluations and comments proposed by the author of this work.

The material presented in the thesis can be used for the research of issues of modern Western and Georgian journalism of the second half of 20th century and the beginning of the 21st century. The materials discussed in the work will contribute to the complex study of the intensity of interaction of modern Western and Georgian media, the characteristics of the process of development of free journalism, an the guidelines of ethical media.

სარჩევი

შესავალი 8

თავი I. დეონტოლოგია და ჟურნალისტიკა 15

1.1. მედიის დეონტოლოგიური პრობლემატიკა 15
1.2. ჟურნალისტის დეონტოლოგიური პრინციპების გამოყენება მისი გამოძიების „პერსონაჟებთან“ 38

თავი II. საინფორმაციო წყაროს მისაწვდომობის პრობლემა 39

2.1. საინფორმაციო წყარო და მისი მოპოვების საშუალებები 45
2.2. საინფორმაციო წყაროები, რომელთაც უფრო აქტიურად იყენებენ საგამოძიებო ჟურნალისტიკაში 50
2.3. წყაროს მოპოვება და შენარჩუნება 89

თავი III. ახალი ამბები და მედია ეთიკა 97

3.1. მიღებული ინფორმაციის გადარჩევა 104
3.2. რისთვის ესაჭიროებათ ჟურნალისტ-გამომძიებლებს ახალი ამბების გაშუქებისას სახელების „დანიუსება“ 106

თავი IV. მასმედიის სამართლებრივი რეგულაციები 120

4.1. ჟურნალისტების სამართლებრივი რეგულაციები 120
4.2. სამართლებრივი შეზღუდვები ინფორმაციის მოპოვებისას 123
4.3. სამართლებრივი წესები, რომლებიც ჟურნალისტური გამოძიების თემებს ეხება 126
4.4. სამართლებრივი შეზღუდვები ინფორმაციისა და გამოძიებათა შედეგების გადმოცემის დროს 128
4.5. წყაროების შერჩევა 144
4.6. როდის ხდებიან წყაროები მეგობრები 148
4.7. სიახლეთა საფასური 149

თავი V. საინფორმაციო წყაროებთან ურთიერთობის სამართლებრივი და ეთიკური ნორმები **156**

5.1. დაკვირვების მეთოდი **162**
5.2. ექსპერიმენტის მეთოდი ჟურნალისტურ გამოძიებაში **169**
5.3. ტრაგედიების შესახებ საზოგადოების წინასწარ ინფორმირება **174**
5.4. იურიდიულ დოკუმენტებთან მუშაობის პროფესიული სტანდარტები **181**

თავი VI. კრიმინალური თემების გაშუქება **194**

6.1. კრიმინალური დანაშაულის გამოძიება **194**
6.2. ფსიქფაქტორი დანაშაულის ფაქტების გაშუქების დროს **200**
6.3. თანამდებობის პირებზე ზემოქმედების მეთოდები კრიმინალურ ფაქტებზე ინფორმაციის შეზღუდვის შემთხვევაში **203**

თავი VII. ჟურნალისტი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმები **205**

7.1. აუმჯობესებს თუ არა ემოციური დამოკიდებულება ეთიკურ ჟურნალისტიკას? **210**

თავი VIII. ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის სიძნელეები და პარადოქსები ჟურნალისტურ საქმიანობაში **211**

8.1. ეთიკური და სამართლებრივი ბარიერები ჟურნალისტური მუშაობის დროს **211**
8.2. ინფორმაციის გადამუშავების აუცილებლობა **213**
8.3. ინფორმაციის „წყაროებთან“ ურთიერთობის სუსტი ეთიკური ჩვევები **216**
8.4. სახელისუფლებო შეზღუდვა **217**
8.5. სასამართლო წესით მედიის თავისუფლების ბორკილები **224**
8.6. ჟურნალისტთა დევნა **228**

თავი IX. ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობის დროს წარმოქმნილი საფრთხეები 230

9.1. როგორ შეიძლება დაიცვას ჟურნალისტმა საკუთარი უსაფრთხოება 230

თავი X. მასობრივი კომუნიკაცია მედიისთვის განკუთვნილი ეთიკური ნორმების რეგულირებისას 240

10.1. კრიტიკული აზროვნება და ჟურნალისტური გამოძიება 240
10.2. მასალის არგუმენტაციის დასაბუთების მეთოდები 247

დასკვნა 256
გამოყენებული ლიტერატურა 264

შესავალი

კვლევის აქტუალობა. ეთიკურ ჟურნალისტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინფორმირებული და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის. ის საზოგადოებას გონივრული გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელ ინფორმაციას აწვდის. მედია ეთიკა ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და ფორმირებაზე. მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა ყველანაირად უნდა აუწყოს ფეხი თანამედროვეობის მოთხოვნებს, თორემ მკითხველთა, მსმენელთა და მაყურებელთა დაკარგვის წინაშე აღმოჩნდება. ეთიკური დილემა, რომლის წინაშეც დღეს თანამედროვე ჟურნალისტიკა დგას, შემდეგი სახისაა: როგორ უნდა დაამთხვიოს საბაზრო მოთხოვნები საზოგადოების ინტერესთა დაკმაყოფილებას და, ამავდროულად, თავისი წვლილი შეიტანოს დემოკრატიის განვითარებაში. აქვე, თავს იჩენს ჟურნალისტიკის მორალური რეგულაციების აქტუალობა, რაც მრავალი ფაქტორით არის გამოწვეული: უპირველეს ყოვლისა კი იმით, რომ დასავლეთის წამყვანი დემოკრატიული სახელმწიფოების მედია ორგანიზაციების წარმომადგენლები ჟურნალიტიკის ზნეობრიობაზე ძალიან ბევრს მსჯელობენ უმაღლესი დონის შეხვედრებზე, საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სემინარებზე. ეს გულისხმობს იმას, რომ ჟურნალისტი სამართლიანად, ფაქტობრივი და კონტექსტური სიზუსტითა და ეთიკური ნორმების დაცვით უნდა აწარმოებდეს ჟურნალისტურ მოკვლევას. მედიის წარმომადგენლების მიმართ ნდობის ხარისხი მაღალია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თავისი შინაარსით უახლოვდება დამოუკიდებელ აზროვნებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტორიტეტებისა და კონიუნქტურის ზემოქმედებისგან თავისუფალ ჟურნალისტს შესწევს უნარი, დამოუკიდებელი შეფასებები მისცეს მოვლენებსა თუ ფაქტებს, შეგროვებული ფაქტობრივი, დოკუმენტური მასალის, მათ შორის, სხვადასხვა და ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების გაანალიზების საფუძველზე, ჩამოაყალიბოს თავისი ლოგიკური და კორექტული დასკვნები. კრიტიკული, დამოუკიდებელი აზროვნება ვერ მოერგება წინასწარ მომზადებულ სქემას. იგი ღიაა „უხერხული" ფაქტების, კითხვებისა და აზრებისათვის. კრიტიკული აზროვნებისათვის მიუღებელია ტენდენციურობა, რადგან შეუძლია მრავალჯერ გადაამოწმოს, ხელახლა გაიაზროს და გადააფასოს მოძიებული მასალები.

მის ინტერესებში უნდა შედიოდეს ის, რომ გასაშუქებელი მასალა სამართლიანი და არა ცილისმწამებლური იყოს. თანამედროვე მედიაში უამრავი ზნეობრივი, დეონტოლოგიური საკითხი და დილემაა, რომელთა გადაჭრა არც ისე ადვილია და ღრმა განსჯასა და განხილვას საჭიროებს. ეს პრობლემა ძალიან აქტუალურია ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი, საქართველოსა და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში, სადაც მედიის ეთიკური რეგულაციები დღემდე ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ, გადაუჭრელ საკითხად რჩება.

ასე რომ, სადისერტაციო თემის აქტუალურობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

ა) კვლევის ობიექტს წარმოადგენს ისეთი მრავალგანზომილებიანი ფენომენი, როგორიცაა ჟურნალისტის ეთიკური პრინციპები და მათი სიზუსტე, რაც მედიის თვითრეგულირებისა და ხარისხის კონტროლის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მასმედიაში დეონტოლოგიის უპირატესობას ძირითადად განსაზღვრავს ის, რომ იგი ნეიტრალურია და სოციალური კომუნიკაციის ყველა პროტაგონისტის დაკმაყოფილება შეუძლია. მედიის მომხმარებლისათვის ეს კარგ მომსახურებას ნიშნავს, ჟურნალისტებისათვის კი – უკეთეს პროდუქციას, სანდოობის მაღალ ხარისხსა და პრესტიჟს.

ბ) ჟურნალისტთა პროფესიული სტანდარტის დაცვა მედიის თავისუფლების აუცილებელი პირობაა. ეთიკურ წესებათან დაკავშირებული საკითხები ქართული მედიის მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. მართალია, დღეს გამუდმებით საუბრობენ ჟურნალისტური ეთიკის დაცვის აუცილებლობაზე, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ სრულიად შეუსწავლელია ქართული მასმედიის ქცევის მორალური მხარე, ზნეობრიობა. საქართველოში არ განხორციელებულა ისეთი კვლევები, რომლებიც თანამედროვე დასავლური, რუსული და ქართული მედიის პრაქტიკულ მაგალითებს დაემყარებოდა. ქართული მედიის ეთიკური რეგულაციები ჯერ არ ქცეულა ინტერდისციპლინარული კვლევის საგნად შეპირისპირებით ჭრილში, რაც უნდა განხორციელდეს ეთიკური თავისებურებების კვლევითა და საერთო მორალურ ნორმათა და განსხვავებებათა ჩვენებით.

გ) წინამდებარე კვლევა ემყარება ჩემ მიერ მოპოვებულ ეთიკური ნორმების დაცვით დაწერილ ჟურნალისტურ მასალებს: სტატიებს, გადაცემებს, ინტერვიუებს, რომლებიც გაშუქდა დასავლურ, რუსულ და ქართულ მედიასივრცეში.

განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების მედიაში მეტად მნიშვნელოვანია, თუ რა გავლენას ახდენს ეთიკურ-დეონტოლოგიური ასპექტები ინფორმაციის ხარისხზე, რა პრიორიტეტები აქვს ჟურნალისტს მასალის გაშუქებისას, რადგან საინფორმაციო წყაროდან მიღებული ინფორმაცია მეტწილად ადამიანის ბედს, ღირსებასა და რეპუტაციას უკავშირდება. პროფესიონალურ ჟურნალისტურ გარემოში თანდათანობით იცვლება დამოკიდებულება ინფორმაციის მოპოვებისა და მისი გამოყენების წესებისადმი. განვითარებული ქვეყნების მედია ამ მხრივ მოტივირებულია შექმნას ისეთი დაცვის სისტემები, რომლებიც მოწოდებული იქნებიან, თავიდან აიცილონ კოლეგების, კონკრეტული გამოცემებისა და პროგრამების არასასურველი ქმედებანი. ისინი ხომ ძირს უთხრიან პროფესიის რეპუტაციას.

კვლევის მიზანი. ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს წინამდებარე კვლევის შედეგად მედიაეთიკის ძირითადი ეთიკური პრინციპებისა და რეგულაციების დადგენა დასავლური, რუსული და ქართული მედიის ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი მაგალითების ანალიზის საფუძველზე. აქვე უნდა გამოიკვეთოს ეთიკური ასპექტების ურთიერთკავშირი და ურთიერთგავლენა მასმედიაში. გამოვლენილი და განზოგადებული უნდა იქნეს საინფორმაციო წყაროებთან ურთიერთობის ეთიკური და სამართლებრივი თავისებურებები.

გადმოცემული უნდა იქნეს კონცეფცია ჟურნალისტური მოკვლევის ჩატარებისას საინფორმაციო წყაროების მოძიების, ურთიერთობის განვითარებისა და დამუშავების საკითხებზე.

ასევე, ანალიზისა და კვლევის საგანი იქნება ეთიკური მედიის, როგორც პოლიტიკური პროცესების მაკონტროლებელი, დემოკრატიული თავისუფლების განმსაზღვრელი ფაქტორის როლი და მნიშვნელობა ქართული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში.

შეპირისპირების საფუძველზე, განხილულ უნდა იქნეს დასავლურ, რუსულ და ქართულ მედიაში გამოქვეყნებულ მასალებს შორის არსებული ეთიკური ნორმების შინაარსის თავისებურებები, რომელთა ერთობლიობაც მედიაეთიკის კატეგორიების შექმნას (შე)უწყობს ხელს.

კვლევის ამოცანები. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომში ეტაპობრივად დასახული და გადაჭრილია შემდეგი კონკრეტული ამოცანები: (1). შესწავლილია დასავლურ, რუსულ და ქართულ მედიაში ეთიკური ასპექტების გამოყენების თავისებურებები მათ შორის არსებული მრავალფეროვნების დასადგენად; (2). განხილულია ეთიკურ მედიასთან დაკავშირებით დასვლეთის ქვეყნებში არსებული ტენდენციები და მათი კვლევის ტრადიცია, რადგან ეს მეტად მნიშვნელოვანია ჩვენ მიერ დასმულ საკითხთა სპექტრის სიღრმისეული შესწავლისთვის; (3). წინამდებარე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე, მეტად მნიშვნელოვანია ჟურნალისტისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების საკითხი. სწორედ ამიტომ განხილულია, თუ რა დეონტოლოგიური წესებით ხდება ამ ურთიერთობების დარეგულირება, რამდენად იყენებს მასმედია საკუთარი ინტერესებისთვის საზოგადოებას და რამდენად აცნობიერებენ ჟურნალისტები მათზე დაკისრებულ სოციალურ პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას. წინამდებარე კვლევის დასახულ ამოცანებთან მიმართებაში უნდა იქნეს განხილული სადისერტაციო თემის შესახებ არსებული სპეციალური ლიტერატურის შერჩევისა და გამოყენების მექანიზმების გამოკვეთა. მედიაეთიკის სფეროში შექმნილი მრავალრიცხოვანი შრომებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პარიზის უნივერსიტეტის ფრანგული პრესის ინსტიტუტის პროფესორის, კლოდ-ჟან ბერტრანისა და ამერიკელი მედია-მკვლევარების მელვინ მენჩერისა და ბრენტ ჰიუსტონის ნაშრომები. ისინი ამ სფეროში არსებულ ფუნდამენტურ გამოკვლევებადაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ისინი ყურადღებას ამახვილებენ ჟურნალისტების ქცევის ეთიკურ ნორმებზე, დეონტოლოგიური პრობლემების შესწავლისას კი თვითრეგულირების მექანიზმებზე მასმედიის კონკრეტულ სფეროებში: ახალ ამბებსა და საგამოძიებო ჟურნალისტიკაში და ა.შ. ზოგადი ეთიკური რეგულაციების განხილვისას მნიშვნელოვნად გამოვიყენე ამერიკელი მედიამკვლევარის რონ სმიტის ნაშრომი „ეთიკური ჟურნალისტიკა“, რომელიც თავს უყრის იმ ეთიკურ პრობლემებს, რომელთა წინაშეც თანამედროვე ამერიკული ჟურნალისტიკა აღმოჩნდა.

კვლევის მეთოდები. საკითხის სიღრმისეული კვლევისთვის აუცილებელი შეიქმნა თეორიული და პრაქტიკული მასალის კომპარატივისტული კვლევა, შესწავლა, გაანალიზება და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება. სწორედ ამიტომ, ეთიკური მედიის ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენციების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ამ საკითხის ირგვლივ შექმნილ დოკუმენტურ, თეორიულ და პრაქტიკულ მედიაში გაშუქებულ ჟურნალისტურ მასალებზე დაყრდნობით, ნაშრომში განხილულ-განზოგადებულია დასავლეთის, რუსეთისა და საქართველოს მასმედიაში ეთიკური ნორმების დაცვის თვალსაჩინო მაგალითები. რუსეთისა და საქართველოს ახალი რეალობიდან გამომდინარე, განხილულია თანამედროვე ეთიკური მედიის ძირითადი პრობლემატიკა, შესაბამისი პრაქტიკული ფაქტობრივი მონაცემები და ნაშრომის პრობლემის გარშემო გაანალიზებულია ის ნაშრომები, რომლებიც თეორიული თუ პრაქტიკული მასალის სინთეზურ კვლევას წარმოადგენენ. ამრიგად, კვლევის დროს გამოყენებულია შემდეგი მეთოდოლოგია: ანალიზი, სინთეზი, შედარებითი ანალიზი, ტექსტის ანალიზი-დაკვირვება, ანალიტიკური ინტერვიუების გაშიფვრა.

კვლევის შედეგები/მეცნიერული სიახლე. იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო ჟურნალისტიკის ისტორიის მანძილზე გამუდმებით მიმდინარეობდა პოლემიკა ეთიკური ნორმების დაცვის აუცილებლობაზე, საქართველოში ამ თემის შესახებ არაერთი პუბლიცისტური სტატია და გამოკვლევა შეიქმნა, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე ეს თემა დასავლურ, რუსულ და ქართულ მასმედიაში განხორციელებული პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით ასეთი ფართომასშტაბიანი მეცნიერული კვლევის საგნად ჯერ არ გამხდარა. მედიაეთიკის მნიშვნელოვან კატეგორიებზე დაყრდნობითა და მათი ანალიზის საფუძველზე წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ქართულ მედიასივრცეში ეთიკური რეგულაციების დანერგვის აუცილებლობის დასაბუთებისა და ამ პრობლემის სირთულის ყოველმხრივ დანახვის პირველი მცდელობაა.

წინამდებარე კვლევის კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი სიახლეა ეთიკური მედიის ისეთი სახით გადმოცემის მცდელობა, როგორც ეს წინამდებარე ნაშრომშია განხორციელებული. ნაშრომის თეორიულ ღირებულებას განაპირობებს, ერთი

მხრივ, კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი და მიღებული შედეგები, რომელთა ერთობლიობაც სრულად წარმოაჩენს ეთიკური მედიის ელემენტებს.

წინამდებარე ნაშრომში განხორციელებული დასავლურ, რუსულ და ქართულ მედიაში გამოქვეყნებული ჟურნალისტური მასალების შეპირისპირებითი ანალიზი შესაძლებლობას იძლევა, რომ გამოვლენილ იქნეს ამ ქვეყნების მასმედიის ეთიკური რეგულირების პრინციპები მათი სისტემური თავისებურებებითა და სოციო-კულტურული განსხვავებებით.

სადისერტაციო ნაშრომი თავისთავად წარმოადგენს საკითხის კომპლექსურ და მრავალასპექტიან კვლევას. მასში თავმოყრილი და განხილულია ამ საკითხის შესახებ შექმნილი მნიშვნელოვანი ფუნდამენტური გამოკვლევები. ეთიკური მედიის თითოეული ასპექტის განხილვის შედეგად კი გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები და დასახულია ამა თუ იმ წამოჭრილი პრობლემის მოგვარებისა და გადაჭრის გზები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული თვალსაზრისითაც. დისერტაციის თეორიული ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჟურნალისტური უნარ-ჩვევების შემსწავლელი და ჟურნალისტების კვალიფიციური გადამზადების კურსებსა და სემინარებში. თეორიული დებულებები და კონკრეტული პუბლიცისტური მასალების ანალიზის ნიმუშები გარკვეულ დახმარებას გაუწევს მედიაში დეონტოლოგიური პრინციპებით, ეთიკური რეგულაციებისა და ანგარიშვალდებულებების სისტემების პრობლემებით დაინტერესებულ პირებს. ნაშრომი, ასევე, გამოადგება ჟურნალისტური სკოლების ლექტორებს, სტუდენტებს და დამწყებ ჟურნალისტებს. თანამედროვე მედიის ეთიკური ასპექტების გამოყენება ჟურნალისტიკის სწავლებისას საშუალებას მისცემს მასმედიის სხვადასხვა სფეროს შემსწავლელებს, ადეკვატურად გააცნოებიერონ ეთიკური ასპექტები როგორც „მოქმედი მექანიზმი“. ეთიკური ასპექტები მათ მედიაში პროფესიონალური მოღვაწეობის მძლავრ იმპულს აძლევს და, ამასთანავე, შემოქმედებით სივრცესაც უტოვებს საინფორმაციო წყაროებთან ეთიკური დამოკიდებულების გამომუშავების დროს. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი ეთიკური პრობლემების კვლევა დიდ დახმარებას გაუწევს ჟურნალისტიკის შემსწავლელს, რომ მან დამოუკიდებელი შეფასებები მისცეს

მოვლენებსა თუ ფაქტებს. ასევე, დაეხმარება (ამა თუ იმ სოციალურ-კულტურულ სივრცეში მოღვაწეობის დროს) შეგროვებული ფაქტობრივი, დოკუმენტური მასალის (მათ შორის, სხვადასხვა და ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების გაანალიზების) ანალიზის საფუძველზე ლოგიკურად გამართული ეთიკური და კორექტული დასკვნები ჩამოაყალიბოს.

თავი I. დეონტოლოგია და ჟურნალისტიკა

1.1. მედიის დეონტოლოგიური პრობლემატიკა

„დეონტოლოგია“ არის ეთიკური მოძღვრება მოვალეობისა და ჯეროვანის პრობლემებზე [41, 6]. მედია ეთიკა ლათინურ ქვეყნებში ეთიკის აღმნიშვნელ პროფესიულ ტერმინად – „დეონტოლოგიე“-ს (ფრანგულად) ან „დეონტოლოგია“-ს (იტალიურად, ესპანურად) იყენებს. ეთიკა ხშირად გულისხმობს დაუწერელ ტრადიციულ წესებს, რაც წარმოადგენს კონსენსუსს იმის თაობაზე, თუ რა ქმედებაა მისაღები, რა მიუღებელი და როგორი ქმედების გამო შეიძლება გარიყონ ჟურნალისტი კოლეგებმა პროფესიული წრიდან. უმეტეს ქვეყნებში რედაქტორთა და ჟურნალისტთა ასოციაციებმა საჭიროდ მიიჩნიეს შეექმნათ პროფესიულ მოვალეობათა ქარტიები, თუმცა გარკვეული ჟურნალისტები მკაცრად აკრიტიკებდნენ ამ იდეას.

საჭიროა ერთმანეთისგან განვასხვავოთ სამი ცნება (მორალი, მედია ეთიკა და ხარისხის კონტროლი), იმისდა მიუხედავად, თუ რა ტერმინით მოვიხსენიებთ თითოეულ მათგანს. ასეთი გამიჯვნა კი ხშირად არ ხერხდება. ტერმინ „მორალით“ აღნიშნავენ ინდივიდის **„პერსონალურ ეთიკას“**, მოვალეობის გრძნობას, რომელიც მსოფლმხედველობასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეფუძნება. **ჯ. ს. მერილის** მსგავსი კრიტიკოსები თვლიან, რომ სუბიექტური დამოკიდებულება, თუ რა არის სწორი და რა არა, ჟურნალისტის თავისუფლების ერთადერთი დასაშვები შეზღუდვაა [1, 37].

დეონტოლოგია ზოგიერთ ქვეყანაში კანონების სახითაა გამოქვეყნებული. ზოგ გამომცემლობას თუ ტელეკომპანიას საკუთარი ნორმები აქვს შემუშავებული. მიუხედავად მრავალფეროვნებისა, ნებისმიერი კოდექსისათვის ორი პრინციპის დაცვაა მნიშვნელოვანი: სიტყვის თავისუფლებისა და ჟურნალისტის პროფესიონალიზმისა. სიტუაციები, რომელშიც შეიძლება აღმოჩნდეს ჟურნალისტი, არ შეიძლება ყოველთვის შეფასებული იქნეს სამართლებრივი თვალსაზრისით, რადგან მნიშვნელოვან ორიენტირებს აძლევს მას მორალიც. განსხვავებით კანონებისგან, რომელიც შეიცავს საზოგადოების მკაცრ მოთხოვნებს პიროვნებისადმი, მორალური მოთხოვნები წარმოიშობა „სინდისის“ საფუძველზე, ანუ ადამიანის უნარზე შეიგნოს რამე ისე, როგორც სხვები, განიცადოს ისე,

როგორც სხვები და მოექცეს სხვას ისე, როგორც უნდოდა, მსგავს სიტუაციაში სხვებიც ასევე მოპყრობოდნენ მას (მოექეცი სხვას ისე, როგორც შენ გინდა მოგექცენ), ამავე დროს, მის სინდისსა და თანაგრძნობაზე დაყრდნობით.

თუკი მიღებული სამართლის ნორმების დარღვევა ისჯება მკაცრად (სხვადასხვა სანქციები: ჯარიმა, დაპატიმრება და ა.შ.), მორალის ნორმების დარღვევას მოჰყვება მხოლოდ საზოგადოების მხრიდან გაკიცხვა, სიძულვილი, უკმაყოფილება, დაცინვა ჟურნალისტ-გამომძიებლის მისამართით. ასეთივე დამოკიდებულება შეიძლება გაჩნდეს იმ ჟურნალისტების მიმართაც, რომელნიც არღვევენ ეთიკას.

ეთიკური რეგულირება ადამიანთა ცხოვრების თვითრეგულირების საფუძველს შეადგენს. გარკვეული სოციალური ჯგუფების, მთლიანად საზოგადოების ეთიკა არის ჟურნალისტური მოღვაწეობის თვითრეგულირების საფუძველი. ფორმულირება „ჟურნალისტის თვითრეგულირება“, „პრესის თვითრეგულირება“ დიდი ხანია არსებობს. ამისი გამოცდილება ტელერადიო კომპანიებს, პრესას, გამომცემლებს წლების მანძილზე ჩამოუყალიბდათ. დეონტოლოგია მასმედიაში ემსახურება პიროვნების ისეთი ძირითადი ფასეულობების, ღირებულებების პატივისცემას, როგორიცაა: ადამიანის უფლებები, დემოკრატია, მშვიდობა, საერთაშორისო ურთიერთგაგება. ხშირად არის, რომ ცალკეულ მედიასამსახურს თავისი ეთიკური კოდექსი აქვს, რომელშიც მკვეთრად არის გაწერილი, რა ევალება ჟურნალისტს და რა არის მისთვის აკრძალული. კორპორაციული პასუხისმგებლობა, პროფესიული სოლიდარობა შეუძლებელია ეთიკის ნორმების დაცვის გარეშე. თვითრეგულირების, თვითშეზღუდვის პრობლემას ჩვენს დროში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც დემოკრატია აგებულია ორ ძირითად ღირებულებაზე: თავისუფლება და პასუხისმგებლობა. მათი გამოვლენის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა თვითრეგულირება. პასუხისმგებლობა არ ნიშნავს ხელმძღვანელის, უფროსისადმი ბრმა მორჩილებას, მის გულის მოგებას, არამედ ეს არის შეგნებული, გააზრებული მოქმედება, მიმართული პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად, საზოგადოების სასარგებლოდ.

კულტურის განვითარების შესაბამისად ამ ნორმების შინაარსი განსხვავებულია. ზოგიერთი მოდელი დაწვრილებით ახდენს იმის დაზუსტებას, თუ რა პრინციპით უნდა მომზადდეს რეპორტაჟი არასრულწლოვანი დამნაშავის შესახებ, როგორი

უნდა იყოს ჟურნალისტის პოზიცია არჩევნების გაშუქებისას, სახელმწიფო საიდუმლოსთან დამოკიდებულება და ა.შ. ავსტრიული კოდექსი გმობს „ადამიანთა დაშინებას“, ბელგიური – „მოითხოვს, არ მოხდეს დანაშაულის, ტერორისა და სხვა სასტიკი ქმედებების განდიდება“. დღემდე ვერ დადგინდა, შეიძლება თუ არა სატელევიზიო საუბრის მოსმენა, ჩაწერა და გამოყენება. „ვაშინგტონ პოსტში“ თანამშრომლებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლითაც აიკრძალა სატელეფონო საუბრის მოსმენა, მეგობრობა თანამდებობის პირებთან. საბერძნეთში დაუშვებელია ჟურნალისტმა მიიღოს საჩუქარი. კორესპონდენტი ვალდებულია, უარი თქვას ნებისმიერ ძღვენსა თუ სარგებლობაზე, რომელიც უკავშირდება მის ჟურნალისტურ საქმიანობას (განსაკუთრებით, ინფორმაციის გამოქვეყნებისგან თავის შეკავებას). ასე რომ, ეს კანონები პირობითია და იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც მაღალია ჟურნალისტის პატიოსნება.

მსოფლიოში არსებობენ რეგიონები, სადაც ისეთ პრობლემებთან უწევთ შეხება, რომლებიც (თითქმის) გაქრა ინდუსტრიულ დემოკრატიებში. ამ ქვეყნებში მედია ეთიკა სამთავრობო რეგულირებას განეკუთვნება. აქ ხშირად გაიგონებთ წუხილს ერის გადარჩენაზე, რომელიც, როგორც წესი, საკმაოდ ახალგაზრდაა; ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სახელმწიფოსა და მის წარმომადგენლებს, არ უნდა გააკრიტიკოს სახელმწიფო ინსტიტუტები, საფრთხე არ უნდა შეუქმნას ეროვნულ უსაფრთხოებას ისეთი საკითხების გაშუქების გზით, რაც უკმაყოფილებას გააღვივებს, მაგალითად, შეიარაღებულ ძალებში. მედიამ უნდა მოახდინოს ძალების მობილიზება განვითარებისათვის; აქტიურად ემსახუროს ეროვნულ ინსტიტუტებსა და მიზნებს, მასების განათლებას, სოციალურ სამართლიანობას, ეკონომიკურ პროგრესს. საჭიროა კულტურული ცხოვრების დეკოლონიზაცია. მედიას არავითარი მეთოდით არ უნდა აკონტროლებდეს უცხოური კაპიტალი – არც ჟურნალისტმა უნდა მიიღოს რაიმე სუბსიდია ამ გზით. ასეთი თეზისებია მოცემული მესამე სამყაროს კოდექსებში.

ამ ქვეყნებში არსებული კოდექსები მოითხოვს, რომ მედია განამტკიცებდეს ეროვნულ გრძნობებს; არ აღვივებდეს კონფლიქტებს ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფებს შორის; ებრძოდეს ფანატიზმსა და ტრაიბალიზმს. თუმცა, პრაქტიკულად, მაგალითად, ნიგერიაში, სადაც ტრაიბალიზმს ცენტრალური ადგილი უჭირავს, კარგ და სამართლიან ქცევად ითვლება საკუთარი ეთნიკური ჯგუფის ინტერესების სამსახური. იგივე შეიძლება ითქვას ინდოეთში არსებულ

კასტებზე. კოდექსები გვირჩევეს ფრთხილად მოვეკიდოთ ისეთი მოვლენების (მაგალითად, მკვლელობები, არეულობები) გაშუქებას, რომლებმაც შესაძლოა, ანალოგიური ქმედებებისკენ უბიძგოს ადამიანებს [1, 55].

ცხადია, სოციალურ ჰარმონიაზე ასეთი ზრუნვა ერთსულოვანი მხარდაჭერით არ სარგებლობს: ზოგიერთის თვალში ის მიზნად ისახავს უსამართლო სოციალური წესრიგის, ტირანული პოლიტიკური რეჟიმისა და მსოფლიოს არქაული ხედვის კონსერვირებას. ძალზე მკვეთრი დიფერენცირება სხვადასხვა ქვეყნების კოდექსებს შორის მიზანშეწონილი არ არის. კოდექსების უმეტესობა ხარისხობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან ან იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავენ ისინი.

ეს გარემოება არ უნდა გახდეს იმის მიზეზი, რომ პროფესიონალებმა უარი თქვან საერთაშორისო შეთანხმებაზე მედია ეთიკასთან მიმართებით. ამგვარი თანხმობის არსებობა ხელს შეუწყობდა ჟურნალისტებს, დაეცვათ თავიანთი უფლებები და ებრძოლათ ინფორმაციის ხარისხიანი გაშუქებისათვის.

როგორც ჩანს, სხვადასხვა ქვეყნებში მიღებული ზემოთ ჩამოთვლილი ჟურნალისტთა ქცევის განმსაზღვრელი მორალურ-ეთიკური კოდექსები ცოცხალი და შემოქმედებითია, რომელიც შესწორებებს ექვემდებარება. თუმცა ერთი საერთო ხაზი ამ დოკუმენტებში ყოველთვის დაცულია. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ და გავაანალიზოთ ორი ცნობილი დოკუმენტი.

<u>პირველი – „ამერიკის გაზეთების გილდიის მიერ მიღებული ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი“. შეიქმნა 1927 წელს.</u>

1. ჟურნალისტის უპირველესი მოვალეობაა, გაავრცელოს ზუსტი, დაუმახინჯებელი ცნობები, პატივი სცეს კერძო პირსა და ჯგუფებს მათთან ყოველგვარ მიმართებაში;
2. ჟურნალისტმა ანგარიში უნდა გაუწიოს ადამიანთა თანაწორობას კანონის წინაშე; ჟურნალისტმა მუშაობისას უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ ფაქტებითა და სიმართლით, არ მოექცეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების გავლენის ქვეშ;

3. ჟურნალისტმა სამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაშე მყოფი პირის საქმე არ უნდა განიხილოს, როგორც უდანაშაულო პირისა, ვიდრე სასამართლოს საბოლოო განაჩენი არ იქნება ცნობილი. ასეთ მიდგომას ითვალისწინებს ქვეყნის კანონებიც. საგაზეთო ინფორმაცია სასამართლოს საკითხებზე ისე უნდა იქნეს აგებული, რომ არ წარმოიშვას წინასწარშექმნილი აზრი მკითხველთა შორის;
4. გილდიამ თავის წევრთა დახმარებითა და შეთანხმებით რედაქტორ-გამომცემლებთან უნდა იბრძოლოს იმ ფაქტების დამალვის წინააღმდეგ, რაც ეხება „პრივილეგირებულ" პირებსა და ჯგუფებს;
5. გაზეთებმა ადამიანთა მიერ მათ მიმართ განდობილი ცნობები ან ამ ცნობის გამცემი წყაროები არ უნდა გაუმხილონ სასამართლოს, ან სხვა იურიდიულ, ან საგამოძიებო ორგანიზაციებს. ჟურნალისტი ვალდებულია, შეინახოს მათთვის განდობილი საიდუმლო მას შემდეგაც, თუკი იგი სხვა ორგანიზაციაში გადავა სამუშაოდ;
6. ქრონიკის რედაქტირება უნდა ხდებოდეს საინფორმაციო და არავითარ შემთხვევაში – განცხადებების განყოფილებაში;
7. ჟურნალისტებს თავი ღირსეულად უნდა ეჭიროთ არა მხოლოდ რედაქციაში, არამედ მის გარეთაც. მათ უნდა აარიდონ თავი ისეთ საქციელს, რაც გაგებული იქნება, როგორც პირფერობა ვინმეს წინაშე.

„გაზეთების გილდია" ძირითადად იმისათვის დაარსდა, რომ ჟურნალისტიკის პროფესიონალიზაციას დახმარებოდა. თუმცა, წლების განმავლობაში ობიექტურობის ეს უფრო დახვეწილი გაგება მთლიანად შესუსტდა და მისი მნიშვნელობაც დაიკარგა. ბევრმა მწერალმა, მათ შორის ლეო როსტენმა, ჟურნალისტები სოციოლოგიურად გამოიკვლია. ისინი ამ ტერმინს იმისთვის იყენებდნენ, რომ ამით ეთქვათ, ჟურნალისტი – ობიექტურია. გასაკვირი არ არის, რომ ამ იდეამ მხარდაჭერა ვერ პოვა. ასეთივე იყო სპეციალისტების აზრი, რომლებმაც ობიექტურობა შეუძლებლად მიიჩნიეს. განვითარების ფსიქოლოგიის სპეციალისტმა, სტენფორდ უილიამ დამონმა, მაგალითად გამოყო სხვადასხვა „სტრატეგიები", რომლებიც ჟურნალისტებმა თავინთი რეპორტაჟების გადასამოწმებლად შექმნეს. დამონმა ჰკითხა თავის რესპონდენტებს, სად ისწავლეს მათ ეს კონცეფციები. პასუხი თითქმის ყველას ერთი ჰქონდა: გამოცდილებით, შეცდომებით, თვითონ ან მეგობრებისგან. ჟურნალისტებს იშვიათად თუ ჰქონდათ ნასწავლი ეს ცნებები სკოლებში ან თავიანთი

რედაქტორებისგან. ამის შესახებ ბევრი სასარგებლო წიგნი დაიწერა. მაგალითად, ჯგუფი, რომელიც საკუთარ თავს „საგამოძიებო ჟურნალისტებსა და რედაქტორებს“ უწოდებდა, ეცადა განევითარებინა მეთოდოლოგია, რომ შესაძლებელი ყოფილიყო საზოგადოებრივი ჩანაწერების გამოყენება, დოკუმენტების წაკითხვა და „ინფორმაციის თავისუფლების აქტის“ მოთხოვნების შექმნა. თუმცა, მთლიანობაში, ეს არაფორმალური სტრატეგიები ფართოდ გაგებულ დისციპლინად არ იქცა, როგორც ეს ჟურნალისტიკის სპეციალისტებს ჰქონდათ წარმოდგენილი. ის ვერც კი უახლოვდებოდა იურისპრუდენციის სტანდარტულ წესებს ან სამეცნიერო ექსპერიმენტების საყოველთაოდ შეთანხმებულ მეთოდებს. არც ფაქტების გადამოწმების უფრო ძველი ტრადიციები გავრცობილა ისე, რომ ჟურნალისტიკის ახალ ფორმებს შეწყობოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტიკამ ფაქტების განსაზღვრისათვის, შესაძლოა, განავითარა კიდეც სხვადასხვა მეთოდები და კონვენციები, ბევრი ვერაფერი გააკეთა ჟურნალისტური ინტერპრეტაციების სანდოობის შესამოწმებლი სისტემების შესამუშავებლად [5, 88-89].

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაცია
ჟურნალისტთა ქცევის პრინციპების დეკლარაცია

მიღებულია ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მეორე მსოფლიო კონგრესზე ბორდოში, 25-28 აპრილს, 1954 წელს. 1986 წლის 2-6 ივნისს მასში შეტანილი იქნა ცვლილებები ჟურნალისტთა მსოფლიო ფედერაციის XVIII მსოფლიო კონგრესზე.

საერთაშორისო დეკლარაცია გაცხადებულია როგორც ჟურნალისტთა პროფესიული ქცევის კოდექსი ინფორმაციის მიღების, გადაცემის, გავრცელებისა და კომენტირების დროს, მოვლენათა აღწერისას:

1. ჟურნალისტის უპირველესი მოვალეობაა პატივი სცეს სიმართლესა და ადამიანთა უფლებას – იცოდეს სიმართლე.
2. პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ჟურნალისტი ვალდებულია, შეინარჩუნოს – თავისუფლების პრინციპი ინფორმაციის პატიოსნად

მოპოვების დროს, პუბლიკაციის დროს ობიექტური კომენტარისა და კრიტიკის უფლება.

3. ჟურნალისტი ვალდებულია გამოიყენოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომლის წყაროც არის მისთვის ცნობილი. ჟურნალისტმა არ უნდა უგულებელყოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან გააყალბოს დოკუმენტი.
4. მიიღებს რა ინფორმაციას ან სხვა მასალას (ფოტოგრაფია, დოკუმენტები), ჟურნალისტი უნდა მოქმედებდეს მხოლოდ სამართლიანი მეთოდებით.
5. ჟურნალისტმა უნდა გააკეთოს ყველაფერი, რომ გაასწოროს ან უარყოს ინფორმაცია, რომელსაც სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია.
6. ჟურნალისტმა არ უნდა გაამჟღავნოს პროფესიული საიდუმლოება და ინფორმაციის წყარო.
7. ჟურნალისტმა უნდა იცოდეს, თუ რა საშიშროებას შეიცავს დისკრიმინაციის მიწოდება და გავრცელება მასმედიით. უნდა შეძლოს, თავიდან აიცილოს უნებური ადამიანთა უფლებების დარღვევა სქესის, რასის, ენის, რელიგიის, პოლიტიკურსა და სხვა შეხედულებებზე, რომელიც ნაციონალური ან რელიგიური წარმოშობისაა.

ჟურნალისტს უნდა მიაჩნდეს სერიოზულ პროფესიონალურ დარღვევად:

1. პლაგიატი; ფაქტების განგებ დამახინჯება; გინება, შეურაცხყოფა, უსამართლო ბრალდებები; ქრთამის აღება პუბლიკაციის ან სხვა მასალის მომზადებისთვის;
2. ჟურნალისტი, ამ წოდების ღირსეული მატარებელი, თავის მოვალეობად თვლის, კეთილსინდისიერად შეასრულოს ზემოთ დასახელებული პრინციპები. მოქმედებს რა თავისი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალისტი პროფესიულ საკითხთა გადაწყვეტისას, აღიარებს მხოლოდ თავისი კოლეგების იურისდიქციას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ საკითხებში ჩარეულნი არიან ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვა პასუხისმგებელი პირები [5, 90-92].

ამ ორი დოკუმენტიდან ერთი მიიღეს XX საუკუნის დასაწყისში, მეორე კი იმავე საუკუნის მიწურულს. ჟურნალისტებს ორივე სთავაზობს ეთიკურ ნორმებს, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ერთმანეთს ემთხვევა. ეს იმას მიანიშნებს, რომ ეთიკას აქვს შეუცვლელი პრინციპები, რომელიც შეიძლება დროთა

განმავლობაში განიცდიდეს მეტ კონკრეტიზებას და მასში დამატებული იქნეს კერძო შემთხვევები.

„... ჟურნალისტები იცავენ რა პროფესიონალური ეთიკის ნორმებს, პატივს სცემენ ინფორმაციის წყაროს, პუბლიკაციის მოქმედ პირებსა და კოლეგებს.
... ვიდრე ინფორმაციის წყაროს შეპირდება ანონიმურობას, ჟურნალისტმა სრულყოფილად უნდა გაარკვიოს მისი მოტივები, დანაპირების შესრულების პირობები, მონაცემების გაცვლა ინფორმაციაზე. დაპირება აუცილებლად უნდა შესრულდეს.
... ჟურნალისტმა ანგარიში უნდა გაუწიოს იმას, რომ ინფორმაციის მოპოვებამ და შემდეგ პუბლიკაციამ შეიძლება ზიანი მოუტანოს და ტკივილი მიაყენოს ადამიანს; ახალი მონაცემების ძიებისას არ შეიძლება ყველაფრის დაშვება ჟურნალისტის მხრიდან.
... მოერიდოს ფარული და სხვა საიდუმლო მეთოდების გამოყენებას ინფორმაციის შეგროვებისას. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი შემთხვევები, როდესაც ღია ტრადიციული მეთოდების საშუალებით არ ხერხდება საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვება. ასეთი შემთხვევების აუცილებლობა განმარტებული უნდა იქნეს თვით სიუჟეტებში.
... ყურადღებით უნდა მოეკიდოს იმას, ვისაც შეიძლება ზიანი მიაყენოს რეპორტაჟების შედეგებმა. განსაკუთრებული გულისხმიერება უნდა გამოიჩინოს ბავშვებისა და სხვა დაუცველი ინფორმაციის წყაროს მიმართ.
... განსაკუთრებული სიფხიზლე და გულისხმიერებაა საჭირო ინტერვიუსა და ფოტორეპორტაჟების გამოქვეყნებისას იმ ადამიანთა მიმართ, ვისაც უშუალოდ შეეხო აღნიშნული ტრაგედია და უბედურება. „იყოს განსაკუთრებით ფხიზლად ინფორმაციის წყაროსთან ურთიერთობისას მაშინ, როდესაც იგი ინფორმაციის სანაცვლოდ ითხოვს მომსახურებას თავის პრობლემებზე ან ფულზე. ინფორმაციისთვის ვაჭრობა არ შეიძლება“ [5, 7].

როგორ უნდა მოიქცეს ჟურნალისტი, როდესაც საჭირო ინფორმაცია აქვს თვით ამ დანაშაულში ეჭვმიტანილს? თუკი ის ეჭვმიტანილს ეტყვის, უამბობს დანაშაულებრივ მაქინაციებზე, საეჭვოა, რომ მისი მხრიდან აღიარება ან მონანიება მოისმინოს, ან მან სურვილი გამოთქვას, მისცეს ჟურნალისტს

ინფორმაცია. ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, ხშირად სცდება საზოგადოებრივ მორალს.
ჟურნალისტიკა ძლიერი იარაღია და აუცილებელია, ჟურნალისტმა კარგად იცოდეს საკუთარი პასუხისმგებლობის გამოყენება საზოგადოების წინაშე. პროფესიული ეთიკის კოდექსი ამგვარი ურთიერთდამოკიდებულების გაკონტროლების ერთ-ერთი ინსტრუმენტია.

ზოგიერთი ჟურნალისტისთვის ტერმინებს „მორალი“ და „ეთიკა“ არასასიამოვნო კონოტაცია აქვთ. ეს ტერმინები მათში ქადაგებების, ფილოსოფიის გაკვეთილების, ბოისკაუტებისა და ტოტალიტარული რეჟიმების „მორალური წესების“ ასოციაციებს აღძრავს. „მორალი“ და „ეთიკა“ ძირითადად არარელევანტურად გამოიყურება ისეთ სამყაროში, სადაც უმკაცრესი კონკურენციის პირობებში მედია თანდათან უფრო კომერციული ხდება.

„ხარისხის კონტროლი“, რომელიც აქამდე მედიასამყაროში ნაკლებად იხმარებოდა, საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს, კერძოდ: პერსონალურ ეთიკას, მედია ეთიკას და მენეჯმენტის მხრიდან ნებისმიერ ინიციატივას – უკეთ ემსახუროს საზოგადოებას. „ხარისხის კონტროლის“ უპირატესობას ძირითადად განსაზღვრავს ის, რომ იგი ნეიტრალურია და სოციალური კომუნიკაციის ყველა პროტაგონისტის დაკმაყოფილება შეუძლია. მედიის მომხმარებლისათვის ეს კარგ მომსახურებას ნიშნავს. ჟურნალისტებისათვის კი – უკეთეს პროდუქციას, სანდოობის მაღალ ხარისხსა და პრესტიჟს. მესაკუთრეებში „ხარისხის კონტროლი“ იაპონური ბიზნესწარმატებისა და შესაბამისად მოგების ასოციაციას იწვევს. ის უფრო ქმედებებზეა ორიენტირებული, ვიდრე, უბრალოდ, თეორიაზე (ეთიკა ანაზღაურებს თავის თავს: კომპანია, რომელსაც მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს, ოთხჯერ, ხუთჯერ ზრდის თავის მოგებას, ვიდრე დოუჯინსის საშუალო კომპანია) [1. 37].

დემოკრატიულ ქვეყნებში დეონტოლოგიური სტანდარტების დაცვისთვის შექმნილი კოდექსები არ გულისხმობს მათ დამრღვევთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, მაგრამ მის გარეშე ჟურნალისტები ვერ მოახერხებენ ეთიკური და სანდო მედიის ჩამოყალიბებას. ნდობა და პატივისცემა საჭიროა, რათა ჟურნალისტი კარგად ემსახუროს საზოგადოებას. იგი უნდა იყოს არა მხოლოდ სანდო, არამედ – დამოუკიდებელი. დღესდღეობით ჟურნალისტს არ შეუძლია იბ-

რძოლოს მხოლოდ პოლიტიკური ან ეკონომიკური ზეწოლის წინააღმდეგ. საზოგადოებას უდიდესი პოლიტიკური ძალა აქვს, რადგან იგი ხმებისა და მომხმარებლისაგან შედგება.

ქართულ მედიაშიც შეიქმნა ჟურნალისტიკაში მორალური რეგულირების კონცეფცია (მაგალითად, „საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი“ და „ჟურნალისტთა ქარტია“). იქნება თუ არა ეთიკური კოდექსის ეს დოკუმენტები ისეთი ხარისხის, რომელზე დაყრდნობითაც ჟურნალისტები შეძლებენ მუშაობას, ამას მისი ამოქმედების დროს შევიტყობთ.

ჟურნალისტთა პროფესიულ სტანდარტთან და ეთიკურ ნორმებთან დაკავშირებული საკითხები საბჭოთა სისტემის ნგრევის შემდეგ ქართული მედიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს გამუდმებით საუბრობენ ჟურნალისტური ეთიკის დაცვის აუცილებლობაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჟურნალისტების კვალიფიციურ გადამზადებას და ამ მიზნით საქართველოში განხორციელებულ პროექტებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის მიერ ქართველ ჟურნალისტთა დახმარების სამწლიანი (1999-2001 წწ.) პროგრამა „პრომედია-საქართველო“, რომელიც, ფაქტობრივად, საქართველოში ამ სფეროში განხორციელებულ პირველ გრძელვადიან ინიციატივას წარმოადგენდა. ქართულ მედია ეთიკას ამ პროგრამაში ჩართული უცხოელი ექსპერტები, მოხსენებაში ამგვარად აფასებენ: „ქართული მედია წარმოადგენდა გარიგებას, ხშირად ფულადსაც; ჟურნალისტს, მედია გამოცემასა და რომელიმე საჯარო მოხელს ან შეძლებულ სპონსორს შორის, რომელსაც მუდამ ჰქონდა მისთვის ხელსაყრელი ინფორმაცია გასავრცელებლად. ამ შემთხვევაში საზოგადოება სრულად უგულებელყოფილია, ხოლო ჟურნალისტიკის უმთავრესი დანიშნულება საზოგადოების სამსახურია“ [4, 110]. სწორედ ეს ტენდენციები კიდევ უფრო ამძაფრებს მედიაეთიკის რეგულაციების პრობლემას, ხაზს უსვამს ქართული ჟურნალისტიკის პროფესიონალიზაციის დახმარების, საერთაშორისო მასმედიისთვის დაწესებული ნორმების ამაღლებაზე ზრუნვის აუცილებლობას და, ასევე, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულებათა სისტემის არსებობის გარდაუვალობას. ეს ხომ უარყოფითად მედიაზეც აისახება. უხარისხობა იწვევს უნდობლობას, რაც თავისთავად დაბალ მოთხოვნას განაპირობებს, ანუ ხარისხი განსაზღვრავს

საბაზრო ჟურნალისტიკას და პირიქით; ხოლო საბოლოო ჯამში ყველა დაზარალებული რჩება – მედია, საზოგადოება და ხელისუფლებაც. იმისათვის, რომ დაზარალებული არავინ აღმოჩნდეს, მუდმივად უნდა ხდებოდეს ჟურნალისტთა პასუხისმგებლობის ზრდა, მით უმეტეს, რომ ეს სოციალური პასუხისმგებლობა ზრდის ჟურნალისტური საქმიანობის მიმართ საზოგადოებისა და სახელისუფლებო სტრუქტურების ნდობას.

მაგალითად, მედიამკვლევარი რაშუორს კიდერი შემდეგი სახის კითხვას სვამს: „რა განაპირობებს იმას, რომ მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც აცხადებენ, რომ წმინდა და კეთილშობილური მოტივაცია აქვთ, ასე ხშირად და თან საჯაროდ ორივე შემთხვევაში მარცხს განიცდიან“? [6, 12]. პასუხი კი ისევ და ისევ ეთიკური ნორმების უგულებელყოფაა. ეს არის მიზეზი იმისაც, რომ ჟურნალისტები მხოლოდ ყურმოკრულ ფაქტებს აშუქებენ და პოპულარობის მოპოვების მიზნით სენსაციებს გამიზნულად ქმნიან. ორივე შემთხვევაში კი მედიის ავტორიტეტი საგრძნობლად შერყეულია.

ჟურნალისტური ეთიკა გარკვეულ წესებსა და აკრძალვებს მოიცავს. პროფესიული ეთიკით გათვალისწინებული ქცევის ნორმების, ზნეობრივი პრინციპების დარღვევას კი საზოგადოებრივი აზრი გმობს. მედიაეთიკის თეორია აძლიერებს შეხედულებას, რომ ჟურნალისტიკამ ხელი უნდა შეუწყოს დემოკრატიულ თავისუფლებას, თუმცა, XXI საუკუნის დასაწყისში ეს პროფესია დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკა სულ უფრო სცილდება სამოქალაქო პასუხისმგებლობის იდეას. ანგლო-საქსურ ქვეყნებში, როგორც წესი, მეტისმეტად ენდობიან „ბაზარს“, როგორც კარგი მედია სერვისის გარანტს, მაშინ, როდესაც ლათინურ ქვეყნებში – კანონს. ორივე ფაქტორი მნიშვნელოვანიცაა და სახიფათოც. საჭიროა დამხმარე ინსტრუმენტის პოვნა მათი იგნორირების გარეშე. ასეთი კი, შესაძლოა, იყოს მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები [1, 38].

თუმცა არის შესაძლებლობა, რომ ყოველ მედიასაშუალებას თავისი ეთიკური კოდექსი ჰქონდეს და დროთა განმავლობაში დახვეწოს იგი. ჟურნალისტმა უნდა გაითვალისწინოს საზოგადოების ინტერესი და რეგულარულად მიაწოდოს ინ-ფორმაცია საინტერესო საკითხების გასარკვევად. იგი უნდა ასახავდეს ყველა

ხელმისაწვდომ მტკიცებულებასა და აღნიშნულ საკითხზე არსებულ განსხვავებულ მოსაზრებათა სათანადო სპექტრს.

ამისათვის საჭიროა დამხმარე საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ეს მოხერხდება. მას შეიძლება მასმედიის ვალდებულებების ნორმები ვუწოდოთ. ყველა მათგანს საერთო თვისება აქვს: მათი მიზანია მედია იყოს დემოკრატიული და აკმაყოფილებდეს საზოგადოებას. ჟურნალისტიკის ვალდებულებების სისტემებს შორისაა ისეთი ინდივიდები, როგორიცაა: გაზეთის „ომბუდსმენი", სტრუქტურული ჯგუფები: სატელევიზიო, რადიოს, პრესის მიმომხილველთა ასოციაციები [5, 55]. მედიაკომპანიები ქმნიან ეთიკის თვალსაზრისით მუდმივმოქმედ კომიტეტებს (კომისიებს) ყოველდღიური პრაქტიკის შეფასებისთვის. ასეთი კომიტეტების თითქმის ყველა წევრი უმაღლესი დონის მენეჯერია. ზოგიერთი ორგანიზაცია არ ქმნის ასეთ კომიტეტს, მაგრამ ქირაობს ბიზნესის ეთიკის სპეციალისტს, რომელსაც ეწოდება ეთიკის პრესის ადვოკატი. მისი ფუნქციაა ეთიკურ საკითხებზე დასკვნის შემუშავება, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციის მოქმედებებთან [10, 7].

რა თვისებებს ატარებს ეს ნორმები? ყველა სიტუაციაში ეფექტური არ არის, მაგრამ, რაც მთავარია, ყველა მათგანი უვნებელია, ანუ არ მოაქვს ზიანი რამდენიმე გამონაკლისის გარდა. ყველა მათგანის ამოქმედებას განაპირობებს საზოგადოება, სახელმწიფო ბიუროკრატიაზე არ არის დამოკიდებული. მეორე დადებითი თვისება მათი მრავალგვარობაა. ეს სისტემები იყენებენ კრიტიკას, მონიტორინგს, წვრთნას ან მათ ნებისმიერ კომბინაციას. ზოგიერთი უშუალოდ მედიასთან იქმნება, ზოგი – მისგან დამოუკიდებლად. მედიაზე პასუხისმგებლობის სისტემები ფუნქციონირებენ ადგილობრივ, რეგიონალურ, ეროვნულ, საერთაშორისო ან ოთხივე დონეზე ერთდროულად. მასმედიის პასუხისმგებლობის სისტემები ადვილად ეგუებიან ამა თუ იმ გარემოებას და ერთად მუშაობის უნარიც აქვთ [5.15]. ჟურნალისტები, როცა ამგვარი წესების შესახებ იგებენ, ხშირად ამჟღავნებენ უარყოფით დამოკიდებულებას სიახლის გამო. სპეციალიზაციაზე აქცენტირება კარს უკეტავს გარედან მომდინარე კრიტიკას და თვითკრიტიკასაც არიდებს თავს. სერიოზული მამხილებელი თვალსაზრისი გვიხსნის, რატომ უცხადებს მტრობას წრფელი, კომპეტენტური ჟურნალისტი მედიის ვალდებულებების სისტემებს: მიზეზი ისაა, რომ ეს ნორმები თავად ჟურნალისტს აკისრებს პასუხისმგებლობას ყოველივე უარყოფითზე, რაც მასმედიას ახასიათებს. მედიის ზოგიერ-

თი წარმომადგენელი გამოთქვამს მოსაზრებას: პროფესიონალები დამოუკიდებლები და დაქირავებული მუშაკები არიან, ამიტომაც თვითონ არ არიან პასუხისმგებელნი. ჟურნალისტები პატარა ცოდვებს სჩადიან, მასმედია კი დიდ ცოდვებს უშვებს.

მედიის წარმომადგენლები ხშირად გამოთქვამენ შეშფოთებას, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში, რომ თვითკონტროლის მექანიზმებს სახელმწიფო სიტყვის თავისუფლების შესაზღუდავად გამოიყენებს. მაგალითად, პრესის საბჭო, შესაძლოა, „ვარსკვლავთა პალატად“ გადაიქცეს. თუმცა ეს შიში არასოდეს გამართლებულა. ინდოეთშიც კი, სადაც პრესის საბჭო კანონით არის დაფუძნებული, როდესაც პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა (1975-1977 წწ.), ზეწოლის სამი საშუალებიდან ერთ-ერთი, რომელიც მან გამოიყენა, პრესის საბჭოს აკრძალვა იყო [1, 104].

მედიის მოვალეობის წესების მთავარი მიზანია არა მხოლოდ ჟურნალისტიკის დახვეწა, არამედ საზოგადოებისთვის მისი რწმენის დაბრუნებაც. პატივისცემა ჟურნალისტებს სჭირდებათ, რათა იბრძოლონ პოლიტიკური და ეკონომიკური ჩაგვრის წინააღმდეგ, საზოგადოების ნდობა ამ მიზნის მიღწევის აუცილებელი პირობაა.

რაც შეეხება მედიის ეთიკის წესების, ანგარიშვალდებულების სისტემების ამოქმედებას, სახელმწიფო მოხელეები, გამომცემლები და ჟურნალისტები, მედიის მომხმარებლები მიჩვეულნი არ არიან ინფორმაციის მიწოდებისას ობიექტურობას, თვითრეგულირებას, რითაც დიდ ცოდვას სჩადიან. ჟურნალისტები უარყოფენ სოციალურ პასუხისმგებლობასა და ეთიკის ნორმებს. როგორც ამბობენ, სურთ იყვნენ შემოქმედები, პოლიტიკურ არენაზე თავი ხშირად მსახიობებად წარმოუდგენიათ და არა ინფორმაციის მომპოვებლად. შედეგად ვიღებთ კონფლიქტს. როდესაც ნებისმიერ ქვეყანაში იქმნება შეუთანხმებლობა ჟურნალისტებსა და პოლიტიკოსებს შორის, ეს უკანასკნელნი საუბარს იწყებენ თავისუფალი პრესის წინააღმდეგ გარკვეული შეზღუდვების დაწესებაზე. უმეტესი ერებისთვის მრავალი წლის განმავლობაში მედია სახელმწიფო მექანიზმის ნაწილს წარმოადგენდა. ყველგან, სადაც მთავრობა ლაპარაკს იწყებს პრესის თავისუფლების შეზღუდვაზე, მედიის წარმომადგენლები თვითრეგულირებაზე საუბრობენ, რასაც

მანამდე არც ახსენებდნენ. მაშინ „თვითრეგულირება“ ჟღერს ეშმაკურ საშუალებად ლეგალური კონტროლის თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს სჭირდება სოციალური პასუხისმგებლობის დადებითი პოლიტიკა, მედიის პასუხისმგებლობა ხარისხზე. ჟურნალისტთა, პოლიტიკოსთა და მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს შეგნებული, რომ საჭიროა ხარისხიანი ჟურნალისტიკა და ეს შესაძლებელია.

პარიზის უნივერსიტეტის პროფესორმა კლოდ-ჟან ბერტრანმა, რომელიც დაინტერესებულია საქართველოს თანამედროვე მედიის კვლევით, ასეთირჩევა მისცა ქართულ მასმედიას: „საწყის ეტაპზე მედიის ანგარიშვალდებულების რაც შეიძლება ბევრი სისტემა ჩამოყალიბდეს, რომელიც არც სადავო იქნება და არც ძვირი. მაგალითად, სასურველია, გაზეთში არსებობდეს შესწორებათა გრაფა, სადაც ღიად და ყველასთვის დასანახად დაიბეჭდება წინა ნომერში დაშვებულ შეცდომათა შესწორებები და კორექტურა (ეს ტრადიცია დასავლეთ ევროპულ ჟურნალისტიკაში ბოლო 20 წლის მანძილზე დამკვიდრდა). ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო გაზეთი “The Guardian” ყოველდღე აქვეყნებს შესწორებათა სიას. ასეთმა მუშაობამ მისი რეპუტაცია უფრო აამაღლა. ამ სამუშაოს ხარჯი არ სჭირდება, ეს უნდა გაკეთდეს დაუყოვნებლივ. ასევე საჭიროა მაღალი დონის ჟურნალისტური სკოლების დაარსება, რომლებიც მოამზადებენ გამოცდილ, კომპეტენტურ კადრებს. მათ შეუძლიათ მომავალში „ძველი ჟურნალისტური ტრადიციის შეცვლა“. აქედან დასკვნა: საქართველოს კანონები და მარეგულირებელი მექანიზმები ვერ შეცვლიან ჟურნალისტიკას უკეთესობისაკენ, სასურველი გარემო სწორედ ჟურნალისტებმა უნდა შეუქმნან მედიას. დასავლური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საზოგადოებასა და პროფესიონალ ჟურნალისტებს თავისუფალი მასმედიის შექმნა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შეუძლიათ.

ჟურნალისტის უფლებაა, მოიპოვოს ნებისმიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის ინფორმაცია და გამოიძიოს დანაშაული ან ანტისაზოგადოებრივი ქმედება, კარგად აწონ-დაწონოს გამართლებულია თუ არა დამატებითი ფაქტების მოსაპოვებლად ტყუილის გამოყენება, შენიღბულად მუშაობა ან ფარულად ჩაწერა. დაფიქრდეს, არის თუ არა ეს ერთადერთი სამოქმედო გზა და გააანალიზოს ამ გამოძიების სავარაუდო შედეგები. შეისწავლოს ინფორმაციის წყაროს რეპუტაცია და მოტივაცია. თანამდებობის არც ერთ პირს ან უწყებას არ

შეუძლიაშეზღუდოს ჟურნალისტი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, რაც, რასაკვირველია, მის აბსოლუტურ თავისუფლებას არ გულისხმობს. დემოკრატიზმის პრინციპზე დაყრდნობით თვითონ უნდა იცავდეს კანონებს, მათ შორის ისეთსაც, რომელიც მის მოღვაწეობას გარკვეულად ზღუდავს.

დემოკრატიულ ქვეყნებში კანონი მედიის წარმომადგენლებს უკრძალავს რასობრივი და ეროვნული დისკრიმინაციის, რელიგიური შეუწყნარებლობის ქადაგებას. ფინური „სამართლიანი ჟურნალისტური პრაქტიკის სახელმძღვანელოს“ პრინციპების თანახმად, „კანის ფერი, ეროვნება, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსი, სქესი და სხვა პირადი მახასიათებლები არ უნდა გამოქვეყნდეს, თუ ეს არის დაკავშირებული მოცემულ საკითხთან“. ამ მოთხოვნის ლოგიკა ასეთია: თუ ხშირად გავიმეორებთ, რომ, ვთქვათ, მუსლიმანი ტერორისტი ისლამის სახელით აწყობს ტერაქტს ან ბასკი ტერორისტი ბასკეთის გათავისუფლების სახელით მოქმედებს, მაშინ მის დანაშაულს ვაკავშირებთ დამნაშავის იდეასთან, რწმენასთან ან ეთნიკურ წარმომავლობასთან [5, 7-15].

ყოველივე ეს არ არის მხოლოდ ეთიკისა და ადამიანის უფლებების საკითხი. რელიგიურ თუ ეთნიკურ კუთვნილებაზე ხაზგასმა სახელმწიფოებრივი პოზიციიდან გამომდინარე, სახიფათოა. ადამიანთა ჯგუფი, რომლის განსხვავებულობასაც მუდმივად უსვამენ ხაზს, თავადაც იწყებს იმ საზოგადოებისაგან გაუცხოებას. ამით საზოგადოებაში ღრმავდება დეზინტეგრაციული პროცესები. სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოების გამჟღავნების ან ძალადობით ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდების აკრძალვა არ ეწინააღმდეგება დემოკრატიას. პირიქით, ყოველი ადამიანის მიმართ კანონის უზენაესობას ადასტურებს. მეცნიერთა, პოლიტიკოსთა და ჟურნალისტთა შორის იზრდება ინფორმაციის „ბალანსირებული გავრცელების“ მომხრეთა რიცხვი. იუნესკოს მასობრივი ინფორმაციის პრობლემების შემსწავლელი კომისიის დასკვნით, განვითარებადი ქვეყნების მასმედია კულტურულ და გასართობ პროგრამებს განვითარებული ქვეყნებიდან იღებს. ტუნისელი მეცნიერი მუსტაფა მასმოუდი აღნიშნავდა: „მესამე სამყაროში ინფორმაციის ინდუსტრიას სულ ხუთიოდე ტრანსეროვნული სააგენტო განაგებდა. მათ ეკუთვნოდათ ადგილობრივი რადიომაუწყებლობის 90%, ხოლო ტელემაუწყებლობის–5%“. ეს ქვეყნები უცხოური მონოპოლისტური ინფორმაციის მომხმარებლად იქცნენ, რამაც გააძლიერა ჟურნალისტიკის გამაუცხოებელი გავლენა ეკონომიკის, სოციალურ და კულტურის სფეროში [5, 46].

მასმოუდი მიიჩნევს, რომ „არსებული ვითარების შეცვლის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა ინფორმაციული პროცესების სამართლებრივი და ეთიკური ნორმების მოწესრიგება. კანონმდებლობა მხოლოდ ქვეყნების მცირე ოდენობას უწყობს ხელს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მესაკუთრეები ჟურნალისტიკის თავისუფლებას საკუთარი მიზნებისათვის იყენებენ“. ეთიკის სფეროში, მისივე აზრით, აუცილებელია პროფესიული დეონტოლოგიის არსებობა.

ჟურნალისტებს უნდა ჰქონდეთ საერთაშორისო ეთიკურ-დეონტოლოგიური კოდექსი, რომელმაც, საკითხების მოწესრიგებასთან ერთად, ქვეყნებს შორის ინფორმაციული ბალანსიც უნდა უზრუნველყოს. „დღევანდელ ვითარებაში, – წერს იგი, – უფრო და უფრო მწვავედ იგრძნობა ისეთი საერთაშორისო დეონტოლოგიის დაფუძნების აუცილებლობა, რომელმაც უნდა მართოს ინფორმაციული პროცესები და კომუნიკაციის საშუალებები“. დემოკრატიული, თავისუფალი ინფორმაციული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი საკითხია ახალი მსოფლიო ინფორმაციული წესრიგის უზრუნველყოფა. საერთაშორისო ორგანიზაციებს გაცნობიერებული აქვთ მასმედიაში ერთიანი პროგრამის, დეონტოლოგიური პრინციპების შექმნის, განვითარების აუცილებლობა. თუმცა მხოლოდ კოდექსის მიღება, თუნდაც ეს იდეალური დოკუმენტი იყოს, საქმეს ვერ უშველის, თუ არ იარსებებს ამ წესების დაცვის მექანიზმები. დასავლური მედია ასეთ დამცავ საშუალებად მოიაზრებს „პრესის ომბუდსმენის“ თანამდებობის შემოღებასა და „პრესის საბჭოს“ შექმნას [5, 46-47].

პრესის ომბუდსმენი, რომელსაც მედიამაგნატები და ჟურნალისტები ერთობლივად ნიშნავენ, ხელს შეუწყობს მასმედიის ანგარიშვალდებულების კონცეფციის ჩამოყალიბებასა და მის პოპულარიზაციას. ყველა სხვა ქვეყნის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ გაცილებით იოლია პრესის ომბუდსმენის ინსტიტუტის ფუნქციონირების დაწყება, ვიდრე–პრესის საბჭოსი, რომელიც იმავე მიზანს ემსახურება.

ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტი მედიის ანგარიშვალდებულების სამ სხვადასხვა სისტემას გულისხმობს:

1. **ამერიკული მოდელი** – ცალკეული პერიოდული გამოცემებისა და სამაუწყებლო კომპანიების მიერ დანიშნული „მკითხველთა ადვოკატი“, რომელიც იღებს და იხილავს მკითხველთა სარჩელებს და ანგარიშს აკეთებს მათზე. ამერიკის პრაქტიკა განსხვავებულია. იქ თითქმის ყველა სერიოზულ გაზეთს საკუთარი მედიაომბუდსმენი ჰყავს, რომელიც რეაგირებას ახდენს მკითხველთა წერილებზე, საჩივრებზე და დაუყოვნებლივ აქვეყნებს პრესაში შეცდომების გასწორებას. ეს პრინციპი შეიძლება მისაღები იყოს საქართველოსთვისაც, სადაც მედიის მხოლოდ მცირე ნაწილია დაინტერესებული, დაიცვას ხარისხი და აიღოს პასუხისმგებლობა.

2. შვედური მოდელი – პრესის საბჭოს სპეციალური აგენტი, რომელიც ფილტრავს საჩივრებს: იხილავს მარტივს, გაცილებით სერიოზულს განსახილველად პრესის საბჭოს უგზავნის.

3. სახალხო დამცველის მოდელი – მე-18 საუკუნის შვედური ტრადიცია, რომელიც სახალხო დამცველის ინსტიტუტად საქართველოში მოქმედ პრინციპს გულისხმობს. ამ მოდელთან ყველაზე ახლოა სამხრეთ აფრიკული გამოცდილება, სადაც ომბუდსმენს ზურგს სააპელაციო კომიტეტი უმაგრებს, რომელიც პრესის საბჭოს ანალოგიური ორგანოა.

იმისათვის, რომ “პრესის ომბუდსმენმა“ მთელი ქვეყნის მასშტაბით ოპერატიულად, სამართლიანად და საჯაროდ შეასრულოს დაკისრებული ფუნქციები, მას აპარატი და სოლიდური ბიუჯეტი ესაჭიროება, სახელმწიფომ უპირობოდ თანხები უნდა გამოყოს. ბოლოს, პიროვნება, რაც უნდა კარგად შეირჩეს ის, სადავო საკითხების გადაწყვეტისას შეზღუდულია სოციალურად არაერთგვაროვან ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, აუცილებელია პრესის საბჭოს მსგავსი ორგანო, რომელიც მას ზურგს გაუმაგრებს და სააპელაციო ფუნქციას შეასრულებს. პრესის საბჭო უმეტეს დემოკრატიულ ქვეყნებში არის ნებაყოფლობითი, სამი სუბიექტის – მესაკუთრეების, ჟურნალისტების, საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით შექმნილი ორგანო, რომლის მიზანია დაიცვას პრესის თავისუფლება და განიხილოს მედიის წინააღმდეგ შემოსული საჩივრები [5, 44-45].

ამ მოდელს არაფერი აქვს საერთო ეგვიპტეში ხელისუფლების ხელში არსებულ პრესის უმაღლეს საბჭოსთან, რომელიც ცენზურის საშუალებაა. პრესის საბჭო

არც გამომცემლებისა და მაუწყებელთათვის განკუთვნილი პრეს-კლუბია, არც ჟურნალისტთა კავშირისა თუ ასოციაციის მიერ შექმნილი სადისციპლინო კომისია.

რამდენიმე გამონაკლისის გარდა, დღეისათვის დემოკრატიულ ქვეყნებში პრესის საბჭოები მოქმედებენ. ზოგიერთი პროფესიონალი, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, უარყოფს პრესის საბჭოს, რადგან მას პრესის ტრიბუნალად მიიჩნევს. თუმცა პრესის საბჭო არ იყენებს დამსჯელ ღონისძიებებს, გარდა იმისა, რომ საკუთარი პოზიციის გამოქვეყნებას მოითხოვს (გამონაკლისია შვედეთი, სადაც ჯარიმა ტირაჟის მიხედვით განისაზღვრება). მეორე მხრივ, პრესის საბჭოს ბევრი მიმზიდველი მხარე აქვს: მუდმივმოქმედი დემოკრატიული ინსტიტუტი, რომელიც თავად მედიის მიერაა შექმნილი; შეუძლია იმოქმედოს, როგორც ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე, ასევე საერთაშორისოზე; სოციუმის სამ ძირითად სუბიექტს აერთიანებს და უფლებამოსილია, ისაუბროს მათი სახელით; რამდენადაც ნაკლებად ასრულებს საარბიტრაჟო სასამართლოს ფუნქციებს, მისი სხვა ფუნქციები საკმაოდ მრავალფეროვანია; შესაძლოა, ის მედიის ანგარიშვალდებულების სისტემის არაფორმალური ქსელის ცენტრი გახდეს [5, 9].

ქართული პრესის საბჭოს მოდელი არ უნდა დაეყრდნოს შვედეთისა და სამხრეთ აფრიკის გამოცდილებას. საქართველოში ჯერ არ არსებობს ჟურნალისტების, რედაქტორებისა და გამომცემლების მსხვილი გაერთიანებები ასოციაციების სახით. ქართული საბჭო, შესაძლოა, დაეყრდნოს კანადის გამოცდილებას. კანადაში 44 გაზეთის არსებობის პირობებში, ონტარიოს პრესის საბჭომ ფუნქციონირება 8 გაზეთის ბაზაზე დაიწყო. შესაძლებელია, თავდაპირველად სერიოზულმა გამოცემებმა შექმნან პრესის საბჭო, რომელსაც მომავალში სხვებიც შეუერთდებიან [5, 62-63].

წესისამებრ, საბჭოში წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ბეჭდვითი, ასევე სამაუწყებლო მედია. შემდეგ საბჭოს წევრთა რიცხვის გაზრდასთან ერთად უნდა განისაზღვროს წარმომადგენელთა შერჩევის წესი. წევრთა რაოდენობამ 20-30 კაცს არ უნდა გადააჭარბოს. საბჭოს წევრთა მესამედი ან თუნდაც ნახევარი არ უნდა იყოს დაკავშირებული მედიასთან.

საქართველოში პრესის საბჭო შემდეგ უპირატესობებს უნდა ფლობდეს: შეესაბამებოდეს სხვა ევროპული ქვეყნების საბჭოებს, რომლებიც გაწევრიანებულნი არიან ევროპის დამოუკიდებელი პრესის საბჭოების ალიანსში. როგორც ყველგან, მედიასა და საზოგადოებაშიც მედიის ხარისხის გაუმჯობესებაზე პასუხისმგებლობის გასანაწილებლად გააერთიანოს სხვადასხვა ჯგუფი [5, 12].

პრესის საბჭოს ერთადერთი მისია საჩივრების განხილვა არ უნდა იყოს, როგორც ეს უმეტეს საბჭოებში ხდება. თუკი ბიუჯეტი პრესის საბჭოს საშუალებას მისცემს, მას შეუძლია: მონიტორინგი გაუწიოს მედიაში ეთიკის ნორმების დარღვევას და გახდეს საჩივრის ინიციატორი; მედიის საკითხებზე მთავრობასთან ურთიერთობისას იყოს მასმედიის ინტერესების გამხმოვანებელი; მხარი დაუჭიროს, ხელი შეუწყოს მასობრივი კომუნიკაციის კვლევებისა და ჟურნალისტებისათვის ტრენინგების ჩატარებას.

არსებობს უამრავი სხვა საშუალება, რაც ხელს შეუწყობს სერიოზული, პასუხისმგებელი, ეთიკური მედიის არსებობას. ეს შეიძლება საჩივრების ბიუროც იყოს, როგორიც აქვს „ბი-ბი-სის“ დიდ ბრიტანეთში ან მკითხველთა თუ მსმენელ-მაყურებელთა ჯგუფები, რომლებთანაც საინფორმაციო საშუალება სისტემატურ კონსულტაციებს აწარმოებს; მაყურებელთა კლუბი, რომელიც ატარებს პერიოდულ დიალოგებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე. აქტივისტთა ასოციაცია, რომელიც მხარს უჭერს მედიის რეფორმას (აშშ) ან ეხმარება მოქალაქეებს მასმედიის წინააღმდეგ საჩივრებში (დიდი ბრიტანეთი) [5,51-52]. „პრესის საბჭოს“ შექმნა თუ “ომბუდსმენის“ დანიშვნა ჟურნალისტური დეონტოლოგიის პრობლემების მოგვარების გარანტია, თუმცა არ არის მედიაში არსებული ყველა ნაკლოვანების გამოსწორების უებარი საშუალება.

დეონტოლოგიური ჟურნალისტიკის პრინციპები

I. ინფორმაციის უტყუარობა.

1. საკომუნიკაციო საშუალებებმა, გაზეთებმა და სხვა პერიოდულმა გამოცემებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი მასალების გამოქვეყნებისაგან, რომლებიც დეზინფორმირებას, დამახინჯებას ეწევიან. 2. ყოველთვის, როდესაც აღიარებენ, რომ პუბლიკაციაში, საინფორმაციო გამოშვებაში სერიოზული უზუსტობაა, გამოქვეყ-

ნებულია დეზინფორმაცია ან დამახინჯებულია რეპორტაჟი, აუცილებელია მოჰ-ყვეს თვალსაჩინო ადგილას წარმოდგენილი შეცდომის გასწორება. 3. თუ აუცი-ლებლად ჩათვლიან, უნდა გამოქვეყნდეს ბოდიში იმ პიროვნების სახელითაც, ვი-საც მიუძღვის ბრალი. 4. საკომუნიკაციო საშუალებები, გაზეთები და სხვა პერი-ოდული გამოცემები ყოველთვის ობიექტურად და ზუსტად უნდა იუწყებოდნენ დეზინფორმაციის მიზეზით მათზე შემოტანილი საჩივრის გარჩევის შედეგებს.

მისაღებია ინფორმაციის შესყიდვა. 1. ინფორმაციის მიღება ინკოგნიტოდ, მეგობ-რობა პოლიტიკურ მოღვაწეებთან აკრძალულია. ამ შემთხვევაში ჟურნალისტი შეიძლება უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდეს: „დაწეროს თუ არა ობიექტური, კრიტიკული ინფორმაცია მის შესახებ.“ 2. ჟურნალისტს ეკრძალება პარტიებთან თანამშრომლობა.

II. პასუხის შესაძლებლობა.

ცალკეულ პირებსა და ორგანიზაციებს ყველა შემთხვევაში უნდა მიეცეთ პასუ-ხის გაცემის შესაძლებლობა, თუ მათ საამისოდ გონივრული საფუძველი აქვთ.

III. კომენტარი, ვარაუდი და ფაქტი.

იმასთან ერთად, რომ პერიოდულ გამოცემებს, საინფორმაციო საშუალებებს აქვთ ამა თუ იმ საკითხზე თავიანთი პოზიციის გამოხატვის უფლება, ისინი უნ-და განასხვავებდნენ კომენტარს, ვარაუდსა და ფაქტს.

IV. პირადი ცხოვრება.

პირად ცხოვრებაში ჩარევა და ადამიანების პირად ცხოვრებასთან დაკავშირებუ-ლი გამოძიება ამ ადამიანების თანხმობის გარეშე დაუშვებელია. ამ სახის მასა-ლების გამოქვეყნების გამართლებაც შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდე-საც ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვს.

V. ჟურნალისტი უფლებამოსილია:

აღმოაჩინოს ან გამოიძიოს დანაშაულებრივი ქმედებები; დაიცვას საზოგადოების სიმშვიდე და უსაფრთხოება.

დამახინჯება.

1. ჟურნალისტმა არ უნდა მოიპოვოს ან არ უნდა ეცადოს, მოიპოვოს დამახინჯებული ინფორმაცია, ან ფოტომასალა; 2. დოკუმენტები ან ფოტოები უნდა მიიღონ მათი მფლობელის თანხმობით. სხვა გზით მოპოვება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვს.

დაშინება.

ინფორმაციის ან ფოტოს მისაღებად ჟურნალისტმა არ უნდა მიმართოს დაშინებას, არ უნდა გადაუღოს ფოტო ამა თუ იმ პირს მისი თანხმობის გარეშე, არ უნდა დევნიდეს მას სატელეფონო ზარებით, არ განაგრძობდეს მათთვის კითხვების მიცემას, თუ უკვე უარი მიიღო, არ უნდა დარჩეს იმ პიროვნების სახლში, რომელმაც იქაურობის დატოვების წინადადება მისცა, არ უნდა დააწესოს მასზე მეთვალყურეობა.

დისკრიმინაცია.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, პრესამ თავი უნდა შეიკავონ ნეგატიური ან ზიანის მომტანი ისეთი ხასიათის ცნობების გამოქვეყნებისაგან, როგორიცაა: ადამიანის რასის, კანის ფერის, რელიგიური კუთვნილების, სქესის ან სექსუალური ორიენტაციის, ფსიქიკური მოშლილობის ან ფიზიკური ნაკლის ხაზგასმა. ჟურნალისტმა თავი უნდა შეიკავოს პუბლიკაციებისაგან, სადაც დაწვრილებით იქნება საუბარი რასობრივ კუთვნილებაზე, კანის ფერზე, აღმსარებლობაზე, სქესსა და სექსუალურ ორიენტაციაზე. ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი პუბლიკაციები ნაკარნახევია საზოგადოებრივი ინტერესებით.

სამართალდამცავი ორგანოებიდან მუშაობის პროცესში ჟურნალისტისათვის ხელის შეშლა აკრძალულია. მაგალითად: მოხდა დანაშაული, პოლიციას არ სურს მისი ასახვა. ჟურნალისტმა რეპორტაჟი მაინც უნდა დაწეროს,მორალურად. ამასთანავე, ჟურნალისტი მოვალეა, წარადგინოს მუშაობის უფლების დამადასტურე-

ბელი მოწმობა. სხვა პიროვნებად თავის წარდგენა ან ჩუმი მეთვალყურეობა სასტიკად აკრძალულია.

1. ხელთ არსებული ინფორმაცია არ უნდა დავმალოთ, აუცილებელია გამოვაქვეყნოთ ფაქტებზე, დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით. დავიცვათ მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპები და საშუალება მივცეთ ყველა მონაწილე მხარეს, გამოთქვას საკუთარი ვერსია ან პოზიცია.

2. გარკვეულ სფეროზე, თუ მასზე გვაქვს შესაბამისი განათლება და ცოდნა, არ შეიძლება გადმოვცეთ დაუზუსტებელი მასალები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასმედიის წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა საკონსულტაციო ჯგუფთან, რომლებიც შედგება: იურისტის, მედიცინის მუშაკის, ფსიქოლოგის, ფილოსოფოსის, პოლიტოლოგის, სოციოლოგის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებისგან. ჟურნალისტები მათგან გარკვეულ ინფორმაციებს მიიღებენ.
ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და სხვა მეცნიერებების გამოყენება ჟურნალისტურ პრაქტიკაში აუცილებელია, რათა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, პერიოდულმა გამოცემებმა, კორესპონდენტებმა თავიანთი პროფესიონალიზმის, თავისუფლების, დემოკრატიის ოპტიმალური განხორციელება შეძლონ.
ჩვენ ინფორმაციული აფეთქების საუკუნეში ვცხოვრობთ. ამიტომ, დღეს წარმოუდგენელია მხოლოდ ჟურნალისტთა ინტუიციის იმედზე ყოფნა. მე-19, მე-20 საუკუნის დასაწყისში, როცა ჟურნალ-გაზეთები შედარებით შეზღუდული იყო, ჯერ კიდევ შეიძლებოდა ინტუიციაზე დაყრდნობა. ელექტრონული მასმედიის ეპოქა სულ სხვა მოთხოვნებს გვთავაზობს. საზოგადოებრივ აზრს ჩვენს დროში უპირატესად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აყალიბებენ. მას ვერ გაწვდება თუნდაც ათასობით გენიალური ჟურნალისტის ინტუიცია. ამიტომაც, ცხადია იმ მეცნიერული მეთოდების მნიშვნელობა, რომლებსაც საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად „მეოთხე ხელისუფლება“ იყენებს. ბუნებრივია, დაისმის კითხვა: რამდენად ზნეობრივია დარწმუნების ისეთი მეთოდების შემუშავება, რომელთა საშუალებით ადამიანთა ერთ ჯგუფს შეუძლია მეორეთა მართვა? ამ კითხვის კანონზომიერებაში, სამწუხაროდ, ზოგჯერ ჟურნალისტური პრაქტიკის საშუალებითაც ვრწმუნდებით, მასმედია პოლიტიკური თამაშისა და ანგარებითი მიზნების მიღწევის იარაღი ხდება. ადამიანთა ცნობიერებაზე ზემოქმედების მეცნიერული მეთოდის გამოყენება უპრიანია, თუ ჟურნალისტი წინასწარ არის დარწმუნებული მოსალოდნელი შედეგების ჰუმანურობაში. ასეთ ქმედებას მხოლოდ

ჟურნალისტის სწორ ეთიკურ ნორმამდე და მის ობიექტურ აზროვნებამდე მივყავართ.

განვითარებული ქვეყნები, რომლებსაც სახელმწიფოებრივი წყობა დემოკრატიული გზით მიჰყავთ, არ არღვევენ ადამიანის უფლებებს, ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს საკუთარი ხალხის მიმართ, პატივს სცემენ უცხო ქვეყნების კანონებს, ჟურნალისტური დეონტოლოგიაც – წერითი კანონები მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისთვის, პერიოდული გამოცემებისთვის, ცალკეული ჟურნალისტებისთვის პრაქტიკულ მოღვაწეობაში უფრო მეტად აქტუალურია.

დასავლური ჟურნალისტური სკოლის თეორეტიკოსთა გარკვეულ წრეებში გამოითქვა ერთობ პარადოქსული აზრი: „მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიზანია ჭეშმარიტების ძიება.“ თავის დროზე უოლტერ ლიპმანი წიგნში „საზოგადოებრივი აზრი“ შეეცადა დაესაბუთებინა აზრი, რომ ჟურნალისტს „არ გააჩნია არც ისეთი წესები, რომლებიც წარმართავენ მის აზროვნებას და არც სხვა, რომლებიც გზას გაუკვალავენ გამომცემლის ან მკითხველის შეხედულებებს“ [47, 29-30]. კონტროლი, რომელსაც მისი ცნობიერება სამუშაოს შემკვეთთა ან მკითხველთა მხრიდან განიცდის, უნდა წარმოვიდგინოთ არა როგორც ცრუმორწმუნეთა მიერ ჭეშმარიტების შემოწმება, არამედ ერთი აზრით მეორის გაკონტროლება, რომელთაგან ვერც ერთს ვერ მივიჩნევთ უფრო ჭეშმარიტად.

ლიპმანის თანახმად, ჟურნალისტურ ინფორმაციასა და ჭეშმარიტებას შორის მკვეთრი ზღვარი უნდა იყოს გავლებული: „ინფორმაციის ფუნქცია მოვლენის შესახებ სიგნალის გადაცემაა. ჭეშმარიტების ფუნქცია კი ის არის, რომ მან ფარული ფაქტები გვიჩვენოს, დაგვანახოს კავშირი მათ შორის და ამით სინამდვილის ისეთი სახე შექმნას, რომლის საფუძველზე ადამიანები მოქმედებას შეძლებენ. ინფორმაცია და ჭეშმარიტება ერთმანეთს შეესაბამებიან მხოლოდ მაშინ, როცა სოციალური ურთიერთობები შემეცნებად და გაზომვად ფორმას შეიძენენ. ეს კი ადამიანთა ინტერესების ძალზე მცირე მოცულობას ეხება“ [48,20-26]. ჟურნალისტური დეონტოლოგია არ გულისხმობს ყოველდღიურ საზოგადოებრივ მოვლენათა სიმართლის დადგენას. ობიექტზე ეს უბრალოდ სუბიექტური, ინდივიდუალური ხედვაა. ერთი და იგივე ფაქტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, პერიოდულმა გამოცემებმა, ჟურნალისტებმა შეიძლება სხვადასხვაგვარად გააშუქონ. ეს არ ნიშნავს, რომ ვინმემ არაობიექტურად მიაწოდა მასალა–შეცდომა და-

უშვა. ყველამ თავისებურად დაინახა მომხდარი ფაქტი. „წერ იმას, რასაც ხედავ“. ეს დეონტოლოგიური მედიის მთავარი სამოქმედო პრინციპია.

1.2. ჟურნალისტის დეონტოლოგიური პრინციპების გამოყენება მისი გამოძიების „პერსონაჟებთან“

ჟურნალისტური გამოძიების „პერსონაჟები“ ხშირად ხდებიან ადამიანები, რომელთა მოქმედება, მსუბუქად რომ ითქვას, არ ემთხვევა საზოგადოების ინტერესებსა და მასში არსებულ კანონებს. კორუფციონერები, კრიმინალური ჯგუფების წევრები, პოლიტინტრიგანები, თაღლითები, ეკოლოგიური სფეროს დამნაშავეები, და ა.შ. გასაგებია, რომ ნორმალური ავტორების სიმპათიებს ვერ დაიმსახურებენ, მაგრამ ეს ნიშნავს თუ არა, რომ მათთან ურთიერთობისას მათი ქმედების აღწერისას ჟურნალისტმა დაივიწყოს საზოგადოებაში არსებული ურთიერთობის მორალური ნორმები? შეუძლია თუ არა მას, თავის „გმირზე“ დაწეროს ის, რაც მოესურვება? – თუკი იგი აღწერს დანაშაულის არსს, მაშინ შესაძლებელია; ჟურნალისტს შეუძლია დაწეროს ყველაფერი, რაც გასაგებს ხდის ამ დანაშაულებრივ ქმედებას, აჩვენოს საზოგადოებისათვის საფრთხის ხარისხი, მაგრამ არა უმეტეს ამისა.

როგორ უნდა მოიქცეს ჟურნალისტი, თუკი მას სურს, აჩვენოს რამე იმ ჩინოვნიკის პირადი ცხოვრებიდან, რომელიც კორუფციული კავშირებისთვის არის მხილებული, რაც შეიძლება აინტერესებდეს საზოგადოებას? იმსახურებს კი ეს საჯარო განხილვას?

– ეთიკური მოთხოვნები, რომელსაც უნდა იცავდეს ჟურნალისტი, კარგად არის ფორმულირებული შიგა კორპორაციულ კოდექსში – „რეკომენდაციები ბი-ბი-სი-ს პროდიუსერებისთვის – 2000 წ.“

„პატივისცემა პირადი ცხოვრების დაცვისადმი (დახურვისადმი), ბი-ბი-სი პატივს უნდა სცემდეს ადამიანების პირად ცხოვრებას, გარდა იმ შემთხვევებისა, თუკი, ვთქვათ, იგი ემსახურება უმაღლეს კეთილშობილურ მიზნებს. კერძო ქცევები, მიმოწერა, მოლაპარაკებები არ შეიძლება გახდეს საზოგადოებრივი ქონება, თუკი ეს არ არის გამართლებული უფრო ფართო საზოგადოებრივი ინტერესებით“ [5, 26-27].

სამწუხაროდ, ბევრი ჟურნალისტი ზოგჯერ ივიწყებს, რომ ცნება „საზოგადოებრივი ინტერესი“ და „საზოგადოების ინტერესები“ – სრულიად სხვადასხვაა. საზოგადოებას შეუძლია აინტერესებდეს ყველაფერი, ისიც კი, რაც კონკრეტულ ადამიანს კანონის მიხედვით შეუძლია, არ გაამხილოს, რაც საზოგადოებას აბსოლუტურად არ ეხება. მაღალპროფესიულ დონეზე მომზადებულ ჟურნალისტურ გამოძიებასთან ერთად, ცნობილი ხდება ისეთიც რაც ამ ჟანრს არ შეესაბამება და ბულვარული პრესის ნაწარმოების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს, დაწვრილებით აჩვენებს რა ამა თუ იმ ადამიანის პირადი ცხოვრების ნიუანსებს. ასეთი „გამოძიებებისას'' ავტორები არღვევენ არა მარტო ეთიკის ნორმებს, არამედ კონსტიტუციასაც, რომლის მიხედვით, ქვეყნის მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაა გარანტირებული და იგი კონკრეტიზებულია სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერის სტატიაში: *„დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ*“ და ისჯება განსაზღვრული კანონით – ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე [17, 142].

ჟურნალისტ-გამომძიებელს თავისი ურთიერთობა გამოძიების „მოქმედ პირებთან'' შეუძლია წარმართოს იმ ნორმების მიხედვით, რომელიც ჩამოყალიბებულია „ეთიკური ნორმების კოდექსში“.

ნებისმიერი ქვეყნის ეთიკურ კოდექსში დასახელებული ნორმები შეიცავს ჟურნალისტთა და მისი გამოძიების „გმირების'' ურთიერთობებისთვის მნიშვნელოვან საკვანძო მონაცემებს, რომელთა დაცვა მათი ურთიერთობების დონეს სრულიად მისაღებს ხდის.

თავი II. საინფორმაციო წყაროს მისაწვდომობის პრობლემა

საინფორმაციო და ანალიტიკური მედიის წარმოების დროს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საინფორმაციო წყაროებსა და მისი გამოყენების სპეციფიკას. ინფორმაციის არჩევისა და შექმნის პროცესი თემის, ფაქტის, ტექნიკის გამოყენების თავისებურ მიდგომას საჭიროებს. ამ თვალსაზრისით ჟურნალისტი

მუდმივად ცდილობს, მოიპოვოს მრავალფეროვანი და სკანდალური ინფორმაცია. ეს ურთულესი პროცესი – ფაქტებზე დაყრდნობილი საინფორმაციო წყაროების შეგროვება, ანალიზის სპეციფიკური ტექნოლოგიაა, რაც ყველაზე სრულად წარმოაჩენს ანალიტიკურ მედიას, განსაკუთრებით, ჟურნალისტურ გამოძიებას, როგორც საზოგადოებრივი მონიტორინგის საშუალებას, ხელს უწყობს მისი ფუნქციის რეალიზაციას. ჟურნალისტურ გამოძიებაში საინფორმაციო წყაროების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, დაამტკიცოს არა თვით, ვთქვათ, კორუფციის ფაქტი, რაც საგამოძიებო ორგანოების პრეროგატივაა, არამედ გამოავლინოს მტკიცებულებათა ისეთი რაოდენობა, რომელიც სწორი დასკვნის საშუალებას მისცემს საზოგადოებას.

საინფორმაციო წყაროს მისაწვდომობა ნიშნავს ინფორმაციის მიღების თავისუფლებას საყოველთაოდ გავრცელებული და ხელმისაწვდომი საშუალებებით (მაგალითად, წიგნები, იურიდიული დოკუმენტაცია, აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, სახელმწიფო დაწესებულებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, არქივები, საგამოძიებო ვებ-გვერდები, ტელე-რადიო გადაცემები, ადამიანები – თვითმხილველები, ინფორმატორები და ა.შ.). ამგვარად არის გაგებული ინფორმაციის მიღების თავისუფლება საბერძნეთში, გერმანიაში, ავსტრალიაში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში. ეს არის უფლება ჟურნალისტისა, მიიღოს ინფორმაცია და გადაამოწმოს სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტების ასლები, სახელმწიფო მოხელეთა, ორგანიზაციათა დოკუმენტაცია და ა.შ.

ინფორმაციაზე მასმედიის მისაწვდომობის **ორ ფორმას** განარჩევენ – სპეციალურ და ზოგად ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა. **პირველი** ემყარება საკანონმდებლო ნორმას და ეხება სპეციფიკურ ინფორმაციას, **მეორეს** ფართო საკანონმდებლო ბაზა აქვს და მასში ადმინისტრაციული დოკუმენტებიც მოიაზრება.

აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ XX საუკუნის 80-იან წლებში აღიარა საზოგადოებისა და პრესის უფლება სასამართლო დოკუმენტებისა და პროცედურების გაცნობაზე [27, 6-7]; ამ იურიდიული აქტით მასმედია საზოგადოებისა და მთავრობის საუკეთესო დამაკავშირებლად გამოცხადდა, იგი ინფორმაციის მიმწოდებლისა და ხელისუფლების დადგენილებათა ანალიტიკოსის როლშიც გამოვიდა. ამ აქტის თანახმად, აღმასრულებელი

ხელისუფლების ხელთ არსებული ნებისმიერი დოკუმენტი საჯაროა, გარდა ცხრა გამონაკლისისა. ეს გამონაკლისები მოიცავს საშემოსავლო გადასახადის განცხადებებს, ქვეყნის თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საიდუმლო მასალებს, შიგაუწყებრივ მიმოწერასა და სხვა სპეციფიკურ მასალებს [8, 523]. მასმედიას, ამახვილებს რა პოლიტიკის წარმმართველთა ყურადღებას მოსახლეობის მოთხოვნებსა და სურვილებზე, ასევე ძალა შესწევს, საზოგადოების მუდმივი ინფორმირებით, ხელისუფალთაგან მოითხოვოს პასუხი მათ ყოველ ცდომილებაზე.

ამავე პერიოდში ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამაც დაადგინა, რომ ინფორმაციის მიღების თავისუფლება გულისხმობს საზოგადოებისთვის ოფიციალური ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უფლებას, თუ ამ ინფორმაციის მიღება ხორციელდება დადგენილი წესების შესაბამისად. პრესის აქტის თავისუფლება ერთ-ერთია შვედეთის კონსტიტუციაში ჩამოთვლილი თავისუფლებიდან და მოიცავს მედიისა და საზოგადოების ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის უფლებას.

ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციაში წერია, რომ კანონმა საზოგადოების სამთავრობო ინფორმაციასა და, საზოგადოდ, ხელისუფლების ანგარიშებზე ცნობების ხელმისაწვდომობის უფლება უნდა უზრუნველყოს.
პორტუგალიის კონსტიტუცია საზოგადოების წევრებს ადმინისტრაციული არქივებისა და რეესტრების ხელმისაწვდომობის უფლებას ანიჭებს, შეზღუდვები ვრცელდება სახელმწიფო უშიშროების, კრიმინალური გამოძიებისა და კერძო პირის პირადი ცხოვრების ზოგიერთ საკითხებზე [5, 9-11].

1993 წელს ბელგიის კონსტიტუციაში შევიდა 32-ე მუხლი, ინფორმაციის საყოველთაო მისაწვდომობის თაობაზე, რომლის თანახმად „ყველას აქვს უფლება, მოახდინოს ადმინისტრაციული დოკუმენტების ინსპექცია და მისი ასლიც მიიღოს. გამონაკლისს შეადგენს კანონით დაშვებული შეზღუდვები ზოგიერთ დახურულ მასალაზე, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოს წარმოადგენს“. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, აქ ასეთი უფლებით სარგებლობენ არა მარტო მედია და ბელგიის მოქალაქეები, არამედ ის ადამიანებიც, რომლებიც ამ ქვეყანაში ცხოვრობენ. იაპონიაში კონფუციანური ტრადიცია აქცენტს აკეთებს სოციალურ ჰარმონიაზე, ჯგუფისადმი

ლოიალობაზე, იერარქიისა და უფროსების პატივისცემაზე. ჟურნალისტიკა გაცილებით ნაკლებად აგრესიული და იკონოკლასტიკურია (ხატმებრძოლი), ვიდრე შეერთებულ შტატებში. ანგლოსაქსური ქვეყნები, ყურადღებას სექსის საკითხებს უთმობენ. ავსტრიას საერთო საზღვარი ჰქონდა საბჭოთა იმპერიასთან და ზოგიერთ ავსტრიელ მოქალაქეს რკინის ფარდის მიღმა ნათესავები ჰყავდა. „სოციალისტურ“ კოდექსებში არსებული ნორმები, როგორიცაა: ხალხისათვის მედიის ხელმისაწვდომობა, ადამიანის უფლებების დაცვა, მრავალკულტურიანობა, საგანმანათლებლო მედია, ახალი მსოფლიოს საინფორმაციო წესრიგი, მშვიდობის ბრძოლა კოლონიალიზმის წინააღმდეგ – სხვა არაფერი იყო, თუ არა პროპაგანდა. ასეთივე ტენდენცია ახასიათებდა იუნესკოს მიერ დაფინანსებულ რამდენიმე დოკუმენტს, რომელთა გამოცემაც სწორედ იმ პერიოდს უკავშირდება, როდესაც ამ ორგანიზაციას ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებისა და საბჭოთა ზეწოლის მიმართ დამთმობ პოლიტიკაში ედებოდა ბრალი. ცხადია, ეს არ არის საკმარისი საფუძველი ამ ნორმების მთლიანად უარყოფისათვის, მით უფრო, რომ ზოგიერთი მათგანი შესანიშნავია. ფინელი ექსპერტი 1991 წლამდე შექმნილ საბჭოთა და უნგრულ კოდექსებს, ფინურთან ერთად, ყველაზე სრულყოფილ კოდექსად მიიჩნევს [1, 68-69].

ინფორმაციის მისაწვდომობის უფლება მოქმედებს დანიაში, შვედეთში, ნორვეგიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, უნგრეთში და ა.შ. ამ თავისუფლების საზღვრები ინფორმაციის მისაწვდომობის ფარგლებში განსხვავდება, მაგრამ ყველგან კანონით არის დაცული მისი საყოველთაო ღიაობის პრინციპი.

საქართველოს კონსტიტუციაში წერია, რომ საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ოპერატიულად მიიღონ ცნობები სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ, ინფორმაცია მიიღონ სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებების ან თანამდებობის პირებისგან, აგრეთვე მათგან მოითხოვონ საჭირო დოკუმენტები. უარის შემთხვევაში მათ უფლება აქვთ მიმართონ ზემდგომ ორგანოებს ან სასამართლოს [18, 24]. დასახელებული იურიდიული აქტები, ზოგადად, ხელს უწყობს მასმედიაში საგამოძიებო ჟურნალისტიკის განვითარებას.

ბოლო პერიოდის ქართულ მასმედიაში ჟურნალისტური გამოძიება იშვიათად გვხვდება. ერთ-ერთი პრობლემა, რაც აფერხებს მის განვითარებას, დაკავშირებულია ინფორმაციის შეზღუდვასთან, ხელმიუწვდომლობასთან. ყოველ უწყებაში მოქმედებს მასმედიასთან ურთიერთობის საკუთარი, დაუწერელი, მაგრამ მკაცრი წესები. გავიხსენოთ თუნდაც მოთხოვნა, რომ ჟურნალისტებმა მხოლოდ წერილობით უნდა მიმართონ მავანს და მავანს, თუ სურთ მიიღონ პასუხი მათთვის საინტერესო შეკითხვებზე. მეტად მოხერხებული ფორმაა, რომ არ უპასუხო იმას, რასაც გეკითხებიან. შეიძლება გიპასუხონ, მაგრამ ეს იქნება პასუხი მხოლოდ მსგავს, არსით კი სულ სხვა კითხვებზე. იძულებული ხარ, მოითხოვო უფრო ზუსტი პასუხი, რა თქმა უნდა, ისევ წერილობით და ასე შემდეგ...ჟურნალისტი კარგავს მოთმინებას, უკან იხევს ან იწყებს მიზეზის ძიებას და უშვებს შეცდომებს: საკუთარი ინიციატივით აკეთებს საქმეს, რაც სამართალდამცავი სტრუქტურების პრეროგატივაა. ერთი შეხედვით, საღი აზრი მარტივ სიტუაციაში მარტივ გამოსავალს გვთავაზობს, მაგრამ სწორედ აქ იწყება გარკვეული სქოლასტიკური არგუმენტების მოშველიება იმასთან დაკავშირებით, რომ ჟურნალისტის შეგროვებული მტკიცებულებები, გამჟღავნებული ფაქტები არ არის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დამაგრებული. მათი მოპოვება, თურმე, რაღაც კანონსაწინააღმდეგო მეთოდებით განხორციელდა, ასეთი ქმედებისთვის კი მასმედიას უპასუხისმგებლობაში, მნიშვნელოვანი საკითხების არაპროფესიონალურად გაშუქებაში ადანაშაულებენ, სწორედ ამას ელიან ოპონენტებიც!

ქართველი ჟურნალისტები, რომლებიც საგამოძიებო ჟურნალისტიკაში მუშაობენ, აქცენტს სწორედ ინფორმაციის მოპოვების პრობლემებზე აკეთებენ. მაგალითად, გაზეთ „კრიმინალის“ ყოფილი მთავარი რედაქტორი შალვა ჯოხაძე წერს: „ქართული მასმედია სულ უფრო იშვიათად მიმართავს ჟურნალისტურ გამოძიებას. ეს მაშინ, როდესაც დასავლურ მედიაში ის აქტუალობას არ კარგავს. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ საქართველოში ჟურნალისტური გამოძიებისთვის მასალა არ მოიპოვება ან ასეთი ჟურნალისტური ნაწარმოები მკითხველს არ აინტერესებს... უპირველესი მიზეზი გახლავთ ის, რომ ჟურნალისტური გამოძიება საკმაოდ ძვირი ფუფუნებაა (დიდ დროსა და ხარჯებს მოითხოვს), რაც მწირი ბიუჯეტის მქონე ქართული ბეჭდვითი მედიის შესაძლებლობებს აღემატება... თუმცა არის გამოსავალი: თუკი არსებობს სურვილი და მონდომება, შესაძლებელია, ჟურნალისტმა სხვა მასალების

მოძიების პარალელურად ჟურნალისტურ გამოძიებაზეც იმუშაოს. მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა პრობლემები იჩენს თავს; როგორც წესი, ჟურნალისტური გამოძიების ძირითადი წყარო სახელმწიფო სტრუქტურებში დაცული ოფიციალური დოკუმენტებია, ის დოკუმენტები, რომელიც არანაირ საიდუმლო ინფორმაციას არ წარმოადგენს. ამგვარად, ჩვენში დღემდე ვერ მოგვარდა საჯარო ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები; ბიუროკრატია უდიდესი ხელშემშლელი ფაქტორია ჟურნალისტისთვის. რჩება შთაბეჭდილება, რომ ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს პირდაპირი დავალებები აქვს მიცემული, თუ რომელ საჯარო ინფორმაციას უნდა დაედოს ტაბუ. ასეთი მასალების რიცხვი კი საკმაოდ დიდია. სამწუხაროდ, გაზეთს იმის ფუფუნება არ აქვს, რომ თითოეული წინააღმდეგობის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება მოახდინოს – მიმართოს სასამართლოს და ინფორმაცია ასე მიიღოს. განმარტებაში ხაზგასმულია ის, რომ ჟურნალისტი ხშირად იძულებულია, უარი თქვას თემის გამოძიებაზე, თუკი ხედავს, რომ საინფორმაციო წყარო, რის გამოც გამოძიება დაიწყო, „ხელშემშლელი ფაქტორების“ გამო ვერ ადასტურებს მოპოვებულ ფაქტებს. ეს პროცესი შესაძლოა თვეობით გაგრძელდეს... მსგავს პრობლემებს ჟურნალისტები აწყდებიან განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებშიც. მაგალითად, ამერიკაში გაზეთ „სან-ფრანცისკო ქრონიკლს“ 17 წელი დასჭირდა იმისთვის, რომ მოეპოვებინა დოკუმენტები გამოძიებათა ფედერალური ბიუროს მიერ კალიფორნიის უნივერსიტეტში (ბერკლიში) 1950-60-იან წლებში ჩატარებული საიდუმლო ოპერაციების შესახებ. 2002 წელს გაზეთმა ბიუროსგან 200 000-ზე მეტი გვერდი მიიღო. საბუთებიდან გაირკვა, რომ გამოძიებათა ფედერალური ბიურო გეგმავდა უნივერსიტეტის პრეზიდენტის დათხოვნას, ლიბერალური პროფესორების გაძევებას, ვიეტნამის ომის მოწინააღმდეგეების დაშინებასა და იმდროინდელი გუბერნატორის, რონალდ რეიგანის, პოლიტიკური კარიერის ხელშეწყობას. რეიგანი შემდგომში ქვეყნის პრეზიდენტიც გახდა. ერთი რამ ცხადია, „ამბიციური“ მასალები ადვილად არ იწერება... იგი შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს და გაურკვეველ მდგომარეობაში ჩააყენოს მისი ავტორი. ასეთი დიდი და რთული პროექტები საკმაოდ დიდ რისკთანაა დაკავშირებული. კარგი იქნება, თუ თქვენს თავს დაუსვამთ შეკითხვებს: გაგრძელდეს თუ არა პროექტი? ამ დროსა და ვითარებაში გამოქვეყნდეს თუ არა? იქნებ სამუდამოდ მიატოვოთ?

საგამოძიებო ჟურნალისტიკის მკვლევრები ურჩევენ გამომძიებელ-ჟურნალისტებს, დაბეჯითებით განსაზღვრონ, რა არის სტატიის მიზანი – მაქსიმუმი და მინიმუმი. თუ, ობიექტურ მიზეზთა გამო, მოცემულ ეტაპზე არ შეგვიძლია მისი შესრულება, ხომ არ აჯობებდა სტატიის მინიმუმის კარგად მომზადება და მისი გაშუქება? მაგალითად, ამ სფეროს ამერიკელი მკვლევარი ლუცინდა ს. ფლინსონი ანალოგიური სიტუაციისთვის ასეთ კონსულტაციას გვთავაზობს: *„ასეთ პირობებში ჟურნალისტს შეუძლია დაიწყოს, ვთქვათ, მოქალაქეთა საჩივრების შესწავლა იმის თაობაზე, რომ სატელეფონო ანგარიშები მეტად ბუნდოვანი და გაუგებარია. მასალის მაქსიმუმი იქნება იმის დამტკიცება, რომ კომპანია მომხმარებელთა უმეტესობას აკისრებს ჩვეულებრივზე მეტ გადასახადს, მაშინ, როდესაც მეგობრებს, ნათესავებსა და დაახლოებულ კლიენტებს უწესებს შეღავათებს. გასაშუქებელი მასალის მინიმუმი იქნება – მრავალი მომხმარებელი ჩივის, რომ სატელეფონო ანგარიშები ბუნდოვანი და გაუგებარია. ადგილობრივი სატელეფონო ანგარიშები შეიძლება შედარდეს სხვა კომპანიების მიერ ჩამოყალიბებულ დეტალიზებულ ანგარიშებს“.*

საქართველოს მასმედიაში, ხშირად, თავიანთი საინფორმაციო საშუალებებისგან მცირე ფინანსური მხარდაჭერის გამოც, ჟურნალისტები ცდილობენ, დაარწმუნონ თავიანთი სამსახურის ხელმძღვანელი, მხარი დაუჭირონ მათ მიერ შეთავაზებულ უფრო დიდ პროექტებს. საერთაშორისო პრაქტიკა გვთავაზობს, რომ ამ ეტაპზე უმჯობესია, ჟურნალისტმა საწყისი მასალა თავისი დროის ხარჯზე მოამზადოს, შემდეგ კი, როდესაც დარწმუნდება, რომ გასაშუქებლად არსებობს სოლიდური, ფაქტოგრაფიული მასალა, რომელმაც შეიძლება დიდი ინტერესი გამოიწვიოს, შეუძლია, დაუსაბუთოს რედაქტორს, რომ ამ პროექტში ფულისა და დროის ინვესტირება მეტად ღირებულია. ამრიგად, პირველ ეტაპზე ნუ შეპირდებით რედაქტორს თქვენს შესაძლებლობებზე მეტს და ჩანაფიქრი სრულყოფილად განახორციელეთ.

2.1. საინფორმაციო წყარო და მისი მოპოვების საშუალებები

ჟურნალისტური გამოძიების ეფექტურად ჩასატარებლად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთავარია გამოსაძიებელ მოვლენაზე **სარწმუნო ინფორმაციების**

მოპოვება; საერთოდ, საჭირო ინფორმაციის მიღება ნებისმიერი გამოძიების ყველაზე რთული ეტაპია.

ძიება ადვილდება მაშინ, როდესაც ავტორი ფლობს ინფორმაციის მოპოვების წესებს, იცის, თუ რომელ წყაროს რა დატვირთვა აქვს გამოძიებისთვის. მედიის მკვლევრები ასახელებენ საგამოძიებო ჟურნალისტიკის შემდეგ **საინფორმაციო** წყაროებს:

I – ინფორმაციის წყარო – ადამიანი. ჟურნალისტისთვის საჭირო და აუცილებელი ინფორმაციის მიცემა შეუძლიათ პირებს, რომელნიც შეიძლება იყვნენ მოწმეები, თვითმხილველები, თანამონაწილეები, ავტორიტეტული, კომპეტენტური პირები, რომელიმე მოვლენის ან სხვისი ინფორმაციის მფარველი (შემნახველი, მატარებელი), წერილების, არქივის, დღიურების, დოკუმენტების, ზეპირი მონათხრობისა და სხვათა ავტორები. კერძო პირისგან ინფორმაციის გაცემა მათს ნება-სურვილზეა დამოკიდებული ან ჟურნალისტის ოსტატობასა და მიდგომაზე, რომ მოიპოვონ საინფორმაციო წყაროების (ადამიანების) ნდობა და ჩამოართვან მათ საჭირო მონაცემები. რაც შეეხება კანონს, მის ფარგლებში პიროვნებას ეძლევა ინფორმაციის გაცემის თავისუფლება, ამიტომ აქ შესაძლოა ჟურნალისტის უნარსა და გამოცდილებაზე, სანდოობაზე, მის პროფესიულ რეიტინგზე იყოს ყველაფერი დამოკიდებული.

II – ფიზიკური დოკუმენტები – ვიდეო-აუდიო ჩანაწერები, წიგნები, ფილმები, გაზეთები, ტელეინფორმაცია, იურიდიული დოკუმენტები, ინტერნეტი;

III – სხვადასხვა ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომელთანაც მასმედიის ურთიერთობები რეგულირდება კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით.

მოპოვებული წყაროების გამოყენებისას აუცილებელია მათიდაცვა დაწესებული ნორმატიული აქტების შესაბამისად.

ინფორმაციის წყარო – ფარული ჩანაწერები

ინფორმაციის მოპოვების დროს ჟურნალისტი-გამომძიებელი ხშირად იყენებს ფარულ ჩანაწერებს, რასაც უცხოეთის თანამედროვე მასმედია ინტენსიურად მიმართავს და ხშირად პოპულარობასაც ასეთი მეთოდებით აღწევს.

ევროპის სასამართლო პრაქტიკა და აშშ-ის ფედერალური სტანდარტი საშუალებას იძლევა მედიისთვის განხორციელდეს ფარული ჩანაწერები. შემდეგ ისინი მტკიცებულებადაც მიიღება. აშშ-ში არსებობს შემთხვევები, როდესაც მოყვარულის ან ჟურნალისტის მიერ გადაღებული მასალის საფუძველზე საკმაოდ სერიოზული რეაგირება ხდება. მაგ., 1991 წლის 3 მარტს არეულობა მოხდა აშშ კალიფორნიის შტატში, როდესაც შავკანიან მძღოლს როდნი კინგის სასტიკად სცემეს ლოს-ანჯელესელმა პოლიციელებმა. ყველაფერი მოყვარული ვიდეოოპერატორის კამერით იყო გადაღებული, რაც შემდეგ გაშუქდა არა მარტო აშშ-ის მასმედიით. მოგვიანებით, კალიფორნიის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილებამ, არ ეცნოთ პოლიციელები დამნაშავედ, ლოს-ანჯელესში გამოიწვია არეულობა, ქვეყანაში კი – მოსახლეობის აღშფოთება. ბოლოს პოლიციელებს სასამართლომ შესაბამისი პასუხისმგებლობა დააკისრა. [1, 14]. საქართველოში სამართალდამცავები მასმედიას ხშირად შეახსენებენ, რომ ფარული ჩანაწერების მტკიცებულებად მიღება, შესაძლოა, კარგად გამოიყენონ იმ კერძო პირებმა და მათ შორის ჟურნალისტებმა, რომელთაც პირადი, ვიწრო ინტერესები ამოძრავებთ; ისინი შეეცდებიან უცერემონიოდ ჩაერიონ პირად ცხოვრებაში, გაამჟღავნონ ისეთი დეტალები, რომელთა გამომზეურება ფარული ჩანაწერის პერსონაჟს არ სურს. ადამიანის პირადი ცხოვრება საზოგადოებრივი ინტერესის საგანია და შესაძლებელია მისი პრესის საშუალებით განხილვა. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ჟურნალისტს მართებს სიფრთხილე, რათა არ შეილახოს იმ ადამიანთა უფლებები, რომლებიც ინტერესის საგანს წარმოადგენენ. ამ დროს ინფორმაციისადმი სახალხო და პიროვნებისა თუ მისი ახლობლების ინტერესები უნდა დაბალანსდეს.

მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს ფარული ჩანაწერით მტკიცებულებას, რომლის გამოყენების შემთხვევაში არის საშიშროება, რომ ეს ინკოგნიტოდ მოძიებული მასალები ისევე გამოიყენონ არაკეთილსინდისიერმა პირებმა, იმივე დევნის მონაწილეებმა და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, არ იქნება საჭირო სასამართლო კონტროლი, იგი არ გამაგრდება პროცესუალურად, თუ არ იქნა დაცული გარკვეული წესები. ფარული ჩანაწერებით სარგებლობა მხოლოდ

განსაკუთრებულ შემთხვევებშია დასაშვები: როდესაც ეს ერთადერთი შესაძლებლობაა აუდიტორიისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის დასადასტურებლად. ქართველი იურისტების აზრით, „გაუთვალისწინებელმა ქმედებებმა შეიძლება დაღუპვამდე მიიყვანოს მოპოვებული უფლებები“ [5, 27].

ინფორმაციის წყარო – ფოტოილუსტრაცია

სიფრთხილეა საჭირო ფოტომასალის გამოქვეყნებისას. ილუსტრაცია არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო უბედური შემთხვევების ან დანაშაულის მსხვერპლთა ფოტოების გამოქვეყნებისას. იმისათვის, რომ ილუსტრაციამ შეცდომაში არ შეიყვანოს მკითხველი, რეკომენდებულია, განმარტებული იყოს, რომ ის არის დამატებითი, სტილიზებული ილუსტრაცია (ტექსტის მხატვრული გაფორმება), ფოტომონტაჟი ან ორიგინალის სხვა სახით ალიტერაცია. სიმბოლური მნიშვნელობის ფოტოს ტიტრზე გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული, რომ ფოტო არ არის დოკუმენტური. შეცდომის თავიდან ასაცილებლად, არადოკუმენტური ილუსტრაცია, განსაკუთრებით ფოტოსურათი, შესაბამისი აღნიშვნით უნდა გამოქვეყნდეს. ილუსტრაციის სათაურში ან თანდართულ ტიტრში გარკვევით უნდა აღინიშნოს: დამხმარე და საჩვენებელი ილუსტრაციები (ნებისმიერი სახის მოტივაციის პირობებში), სიმბოლური ილუსტრაციები (რეკონსტრუირებული სურათები, გრაფიკული ნახატები), ფოტომონტაჟი და სხვა სახის კოლაჟები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ შემთხვევებს, როცა ილუსტრაციის გამოყენება მისი თავდაპირველი მნიშვნელობით არ ხდება. დაუშვებელია მანიპულაცია, რადგანაც ის მცდარ შეხედულებებს წარმოშობს.

ფოტომონტაჟი სპეციალური ნიშნით ან სურათზე ხელწერით უნდა აღინიშნოს. ჟურნალისტმა არ უნდა გამოაქვეყნოს ხელოვნურად სახეშეცვლილი ფოტოსურათები, ილუსტრაციის ქვეშ არასწორი ხელმოწერები, რამაც შესაძლოა, შეურაცხყოს ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანი. სახეშეცვლილი ფოტოს გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ილუსტრაციის სახით, თუ აშკარაა, რომ აღნიშნული ილუსტრაცია კოლაჟს წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში საინფორმაციო წყარო, როგორც ფაქტი, დამახინჯდება [5, 37-38]. მაგალითად, აშშ-ში გაზეთ „საკრამეტო ბის“ პირველ გვერდზე გამოქვეყნდა მომაკვდავი

ველოსიპედისტის ფერადი ფოტო. „პრეს-ენტერპრაიზმა“ (რივერსაიდი, შტატი კალიფორნია) თავის პირველ გვერდზე განათავსა ასეთივე ნატურალისტური ფოტო ქალისა, რომელმაც ბოსნიაში თავი ჩამოიხრჩო. ორივე შემთხვევამ მკითხველების გაშმაგება გამოიწვია. „ბის“ მკითხველთა ომბუდსმენმა არტ ნაუმანმა თქვა: „ჩემი ამ თანამდებობაზე 15-წლიანი მუშაობის განმავლობაში სულ რამდენიმეჯერ მიმიღია მკითხველებისგან იმდენი უარყოფითი შენიშვნა, რამდენიც ამ ფოტოს მოჰყვა“. „ფლინტ (მიჩიგანი) ჯორნელმა“ გამოაქვეყნა ფოტო, რომელზედაც სომალიელი დედა თავისი პატარა ვაჟის სიკვდილს გლოვობს. ბავშვის გაძვალტყავებული სხეული ფოტოზე ნათლად ჩანს. მკითხველებმა პროტესტი გამოხატეს და რედაქტორის სვეტში გაზეთის პასუხიც გამოქვეყნდა: კარგია. ასეც უნდა იყოს. ამან უნდა შეურაცხგვყოს. უნდა განვრისხდეთ და აღვშფოთდეთ – არა იმიტომ, რომ გაზეთმა ასეთი ნატურალური და ტრაგიკული ფოტო გამოაქვეყნა, არამედ იმიტომ, რომ მსოფლიომ დღემდე ვერ აღკვეთა ეს ძალადობა და ტანჯვა. კი, ფოტო საზარელია. ხალხს არ ესიამოვნა. სწორედ ამიტომაც გამოვაქვეყნეთ. მას უნდა აეხილა ხალხისთვის თვალი ამ კატასტროფაზე, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება. როდესაც ნიუ-იორკელმა „დეილი ნიუზმა“ მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შემდეგ ნაპოვნი მოჭრილი ხელის ფოტო გამოაქვეყნა, მკითხველებმა უკმაყოფილება გამოხატეს. ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, ეს იყო ყველაზე საზარელი ფოტო, რაც კი ოდესმე ამერიკულ გაზეთებს გამოუქვეყნებიათ. უკმაყოფილოებს მთავარმა რედაქტორმა ედ კოსნერმა ამ სიტყვებით მიმართა: „ახლა გულჩვილობის დრო არ არის“. თუმცა შემდგომ გამოცემებში ფოტო აღარ გამოჩენილა [8, 538].

გაზეთების ფოტორედაქტორი კლოდ კუკმანი ფოტოილუსტრაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ამბობს, რომ გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები: რას ასახავს ფოტოები სინამდვილეში? როგორი ინტერპრეტაცია შეიძლება გაუკეთონ მკითხველებმა ფოტოს? რა გარემოებებში მოიპოვეს ფოტოები? რამდენად საინტერესოა, როგორც ახალი ამბავი, ის სიტუაცია, რომელიც ფოტოზეა ასახული? რამდენად საინტერესოა ან მნიშვნელოვანი ფოტოები მათში ადამიანური გამოცდილების ასახვის თვალსაზრისით? გადაწონის თუ არა ფოტოების გამოქვეყნების დადებითი მოტივები იმ თითქმის გარდაუვალ უარყოფით რეაქციას, რომელსაც ისინი მკითხველთა დიდ წილში აღძრავს? [8, 539].

აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, ფოტომასალები არ არის საკმარისი საგამოძიებო მასალის გასაშუქებლად, იგი მხოლოდ მისი ნაწილია, მნიშვნელოვანია ინტერვიუები და გამოსაძიებელ ობიექტზე ჟურნალისტის უშუალო დაკვირვება. თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის მონაპოვარია ის, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით გაამჟღავნოს, აუდიტორიას აცნობოს სამართალდარღვევების, კორუფციის, დანაშაულის რეალური სურათი. ჟურნალისტის მიერ ამ თემებზე მოძიებული ნებისმიერი ინფორმაცია უნდა გახდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბი. თუ მოპოვებული მასალა შემდეგ არ იქნება სხვა მნიშვნელოვანი დეტალებით დამტკიცებული, ის სასამართლოში სერიოზულ სახეს ვერ მიიღებს. რაც შეეხება კერძო საუბრის ჩანაწერს, ამ მხრივ არსებობს სპეციალური საკანონმდებლო აქტები (მედიის მუშაობასთან დაკავშირებით), რასაც გარკვეული სიზუსტე შეაქვს.

2.2. საინფორმაციო წყაროები, რომელთაც უფრო აქტიურად იყენებენ საგამოძიებო ჟურნალისტიკაში

„ემბარგო“ – წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის დროებით შენახვაა, გადამოწმების ან დაზუსტების მიზნით. ჟურნალისტურ გამოძიებაში არსებობს სისწორისა და ობიექტურობის „ბარომეტრი“: ინფორმაცია მაშინ ითვლება მისაღებად და გავრცელების ღირსად, თუ მისი სისწორე დაგიდასტურათ სულ მცირე სამმა დამოუკიდებელმა წყარომ. კრიმინალური საქმეების განხილვისას ყოველთვის უნდა დავიცვათ მხარეთა პარიტეტი.

თუ პუბლიკაცია არაკომპეტენტურია, არ შეუშინდეთ ბრალდებას დაინტერესებული მხარიდან, მაგრამ გამოქვეყნებამდე შეეცადეთ ფაქტები და გარკვეული ნიუანსები ექსპერტებთან გადაამოწმოთ. განვითარებულ ქვეყნებში ამ მიზნით, მედიის ყველა საშუალებას ჰყავს სპეციალური პრესის ადვოკატი, რომელიც ამოწმებს და კონსულტაციას უწევს ჟურნალისტ-გამომძიებელს. მაგალითად, *საბერძნეთში 1990 წელს, ეჭვმიტანილს გამოუტანეს განაჩენი მკვლელობისთვის, რომელიც მას არ ჩაუდენია. ამ პიროვნებამ 15 წელი დაჰყო ციხეში და მისი განაჩენის გადასინჯვა მხოლოდ 2005 წლის დეკემბერში,*

ჟურნალისტ იანის ხრისტაკოსის მიერ წარმოებული დაუღალავი გამოძიებით მოხერხდა.

ჟურნალისტი პატივს უნდა სცემდეს ემბარგოებს ახალი ამბების გამოშვებებზე. იგი ზედმიწევნით ფრთხილი უნდა იყოს სიტყვების სიზუსტის თვალსაზრისით (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ციტატებს იყენებს); მან არ უნდა დაამახინჯოს აზრი მისი კონტექსტიდან ამოგლეჯილად ციტირების ან ვრცელი განცხადების შემოკლების გზით.

ჟურნალისტმა არ უნდა გამოაქვეყნოს მასალა, რომელიც მხოლოდ იმ პირობით გაანდეს, რომ მას მოვლენის თუ საგნის შესახებ წარმოდგენა შექმნოდა; მან არ უნდა გაამჟღავნოს წყარო, რომელსაც საიდუმლოს შენახვას დაჰპირდა – თუ ეს საზოგადოების კეთილდღეობის ინტერესებით არ არის განპირობებული და პირიქით, ჟურნალისტი მუდამ ფხიზლად უნდა იყოს და არასოდეს მოადუნოს კრიტიკის უნარი: არ დაუშვას, რომ სხვებმა მოახდინონ მისით მანიპულირება ან მისი დეზინფორმირება; ფრთხილად მოეკიდოს იმ განცხადებებს, რომელთაც შოკში მყოფი ან გონებაშეზღუდული ადამიანები აკეთებენ. ახალ ამბებში ჩართული ადამიანების მიმართ. მაშინაც კი, როცა სიმართლე ჟურნალისტის მხარესაა, იგი არ უნდა გვევლინებოდეს ბრალმდებლად იმ შემთხვევების გარდა, თუ ამას საზოგადოების კეთილდღეობა არ მოითხოვს. ადამიანს უნდა მიეცეს პასუხის შესაძლებლობა, თუ მას რაიმე ქმედებაში ბრალს სდებენ ან აკრიტიკებენ. ჟურნალისტმა არ უნდა მიუთითოს პიროვნების ისეთი თვისებები, რომელთაც პირდაპირი კავშირი არ აქვთ გასაშუქებელ თემასთან, მაგალითად, სქესი, სახელი, ეროვნება, რელიგიური კუთვნილება, ეთნიკური წარმომავლობა, მშობლიური ენა, პოლიტიკური ორიენტაცია, სამსახური, მისამართი, სექსუალური ორიენტაცია, ფიზიკური თუ გონებრივი ნაკლი. კიდევ უფრო მიუღებელია ასეთი თვისებების მითითება პიროვნების დისკრედიტაციის მიზნით. ჟურნალისტმა არ უნდა მიმართოს დამამცირებელ ტერმინებსა თუ ინსინუაციებს. საზოგადოდ, თუ საზოგადოებრივ ინტერესებს რაიმე საფრთხე არ ემუქრება, არ უნდა მოხდეს ინფორმირების უფლების გამოყენება ისეთი მეთოდებით, რაც ფიზიკურ, მორალურ, ინტელექტუალურ, კულტურულ ან ეკონომიკურ ზიანს მიაყენებს ცალკეულ ინდივიდებსა თუ ჯგუფებს. მაგალითად, უბედური შემთხვევების ან საზარელი დანაშაულების ამსახველი ფოტოების პუბლიკაციამ შეიძლება, ტკივილი მიაყენოს მსხვერპლის ნათესავებსა და მეგობრებს [1, 6].

„ოფ-ზე-რექორდი“ – ნიშნავს წყაროს მიერ მოცემული ინფორმაციისგათვალისწინებას, მაგრამ მისი გამოყენება მასალაში არ შეიძლება წყაროსთან წინაწარი შეთანხმების გარეშე. ანონიმური წყაროს მონაცემები შეიძლება გამოქვეყნდეს მხოლოდ მაშინ, თუ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვის. მაგ., მინისტრის მოადგილის პირობითი ინფორმაცია მისი უფროსის კორუმპირებულობის შესახებ. ამ შემთხვევაში ვითვალისწინებთ ინფორმაციას და ვეძებთ სხვა დამადასტურებელ ფაქტებს.

ჟურნალისტური გამოძიების პუბლიკაციებში დეტალების გამოაშკარავებას ყოველთვის კეთილგანწყობით არ ხვდებიან. ამიტომ ჟურნალისტმა ჯერ კიდევ სტატიის გამოქვეყნებამდე უნდა დაარწმუნოს გამოძიებისთვის საინტერესო, კომპეტენტური პირები, რომ აუცილებელია გამოვლენილ ფაქტებზე მათი კომენტარის გაკეთება. ამ დროს შეიძლება საჭირო გახდეს ხშირი სატელეფონო ზარები ინტერვიუზე დასათანხმებლად, დაზღვეული წერილების გაგზავნა პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში, თუ საჭიროა, ბინაზე მიკითხვაც კი... რომ მასალა არ დარჩეს აუცილებელი კომენტარის (განმარტების) გარეშე.

როდესაც გაზეთში ამა თუ იმ პირზე იბეჭდება კომპრომეტირებული ინფორმაცია, ამ პიროვნების უფლებაა, გამოთქვას თავისი აზრი. მისი კომენტარი შეიძლება შეიცავდეს ჟურნალისტისთვის უცნობ და საკმაოდ საფუძვლიან არგუმენტს ან მას შეუძლია შეასწოროს ინფორმაცია, რომელიც უბრალოდ არასწორია. ზოგ შემთხვევაში ეს პირი ჟურნალისტს აწვდის უფრო კარგ და მეტ ინფორმაციას, ზოგჯერ ინტერვიუ მხოლოდ მოკლე, ფაქტების უარმყოფელი განცხადებით მთავრდება... ყველა ეს ხერხი ჩინებულად აქვს დამუშავებული არა მარტო საქართველოს, არამედ სხვა განვითარებული ქვეყნების ბიუროკრატიასა და ჩინოვნიკებს. გამოუცდელ აუდიტორიას კი შეიძლება მოეჩვენოს, რომ ორივე მხარე დამაჯერებელ არგუმენტს ფლობს, რომ რეალური ცხოვრება უფრო რთულია, ვიდრე ჟურნალისტის მიამიტური პოზიცია. მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, გამოცდილი ჟურნალისტი-გამომძიებელი სწორედ ამ დროს არ თანხმდება, რომ გახმაურებული საქმე დაიხუროს და განაგრძობს ძიებას. სიმართლის ასეთი ძიება ნებისმიერ საკითხს აუცილებლად გადააქცევს გადაუჭრელ, ჩიხში მოქცეულ საკითხად და ჩნდება ურთულესი პრობლემა, რომელსაც, სულ ცოტა, კონსტიტუციური შესწორება სჭირდება. ამ დროს

ყველაზე მიმზიდველია ის, რომ ჟურნალისტს პასუხი აგებინონ ცილისწამებისთვის, დააბრალონ არაობიექტურობა და არაკომპეტენტურობა. ობიექტურობისთვის ჟურნალისტის მიერ ესეც უნდა აისახოს შემდეგ მომზადებულ მასალაში. ასეთ პირობებში დასავლეთის ქვეყნების გამოცდილი ჟურნალისტები ოპონენტთან წერენ კონფრონტაციულ (კეთილგანწყობილი) ინტერვიუს; ჟურნალისტი მიდის სუბიექტთან და განიხილავს აღმოჩენილ დეტალებს. საუბრის დროს მნიშვნელოვანია, რომ განხილული იქნეს ყველა ფაქტი, რომელიც შემდეგ სტატიაში გამოქვეყნდება.

მომზადება კონფრონტაციული ინტერვიუსთვის:

- ვიდრე მუშაობას დაიწყებთ, იფიქრეთ, თუ რას მოელით ინტერვიუდან. წინასწარ ჩამოწერეთ ყველაზე რთული შეკითხვების სია, მოამზადეთ სცენარი და განიხილეთ თქვენს კოლეგებთან;
- ინტერვიუზე შეთანხმებისას ზოგჯერ საჭიროა თქვენი ვიზიტის მიზნის გამჟღავნება, თუმცა არა ყოველთვის. ამ შემთხვევაში დამხმარე ფრაზებად გამოდგება: „მე ვიკვლევ ამ საკითხს“. „მე მოვამზადე მასალა, მაგრამ ის არ არის სრულყოფილი თქვენი ხედვის გარეშე“. „ვფიქრობ, ამ საკითხს სჭირდება პირადად თქვენგან ინტერვიუს აღება“;
- წინასწარ დასკვნებს ნუ გამოიტანთ. გამოიყენეთ ეს, როგორც მეორადი წყაროსგან მიღებული მასალის შემოწმების შესაძლებლობა. არ დაგავიწყდეთ ისეთი ელემენტარული კითხვების დასმა, როგორიცაა: რა თანამდებობა გიჭირავთ? რამდენი ხანია, რაც ამ სამუშაოზე იმყოფებით? რა სამეცნიერო ხარისხი გაქვთ? როდის, სად მოიპოვეთ იგი? და ა.შ.
- ხშირად დასვით შეკითხვა ან ხშირად დაუბრუნდით იმ საკითხს, რის შესახებაც შეკითხვა დასვით;
- თქვენ გჭირდებათ სრული პასუხი, როგორც ინფორმაციის, ასევე სპეციფიკური დეტალების გასაგებად. განიხილეთ სპეციფიკური საკითხები, თუნდაც მოგიწიოთ მათზე საუბრის დაწყება ზოგადი ფრაზით: „ფაქტების დასაზუსტებლად მე, უბრალოდ, მინდა შევეხო ამ საკითხებს თქვენთან ერთად“;
- ზოგჯერ ისეთი უბრალო შეკითხვა, როგორიცაა „რა მოხდა?“ ბადებს ანგარიშგასაწევ თვალსაზრისს;

- ნუ განსჯით, კარგია თუ ცუდი მიღებული პასუხები, უბრალოდ, დასვით შეკითხვა ფრთხილად, დაზუსტების მიზნით. რაც უფრო მეტს ილაპარაკებს თქვენი თანამოსაუბრე, უკეთესია;
- დარწმუნდით, რომ თქვენ გესმით პასუხების აზრი ისევე, როგორც ცალკეული სიტყვები. გახსოვდეთ, რომ თქვენს მიზანს არ წარმოადგენს პიროვნების შეცდომაში შეყვანა, თქვენი მიზანია, მისი თვალსაზრისის სრულად გაცნობა.
- ინტერვიუს ბოლოს დგება საჭირო მომენტი, როცა თქვენ შეგიძლაით გადახვიდეთ შემდეგ ეტაპზე ფრაზით: „მე შესაძლოა დამჭირდეს თქვენ მიერ მოყვანილი ფაქტების ან გამონათქვამების დაზუსტება; თუ მექნება შეკითხვები საკითხთან დაკავშირებით, თუ არ შეგაწუხებთ, დაგირეკავთ“;
- თუ საჭირო გახდება, კვლავ მიაკითხეთ ამ პიროვნებას [24, 44-46].

ხშირად მკითხველს ჰგონია, რომ გამონათქვამი, რომელსაც ავტორი არ ჰყავს, ჟურნალისტის მიერ არის გამოგონილი. „ნიუ-იორკ-ტაიმსის“ გამომძიებელი ჟურნალისტი ჯეისონ ბლერი სამსახურიდან სწორედ იმიტომ დაითხოვეს, რომ იგი სტატიებს თხზავდა ანონიმური წყაროების გამოყენებით.

გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტის ბობ ვუდვარდის მიერ ანონიმური წყაროების გამოყენების პრაქტიკა დელიკატურ სიტუაციებში მუდმივი განხილვის საგანია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მისი ანონიმური წყარო სახელად „დიფ სროუთი“ (*deep throat*) უოთერგეითის გამოძიების დროს სინამდვილეში გამოძიების ფედერალური ბიუროს მაღალი რანგის თანამშრომელი იყო. კრიტიკოსებს აინტერესებთ, რატომ უნდა ენიჭებოდეს ანონიმურობა სამთავრობო მოხელეებს, რომელთა ხელფასი ბიუჯეტში შემოსული გადასახადებიდან გამოიყოფა, და რატომ არ უნდა აგებდნენ ისინი პასუხს მოსახლეობის წინაშე თავიანთი მოსაზრებებისა და ქმედებების გამო. ვუდვარდი ამ კითხვებზე პასუხობდა, რომ სხვა შემთხვევაში ინფორმაცია არასოდეს გამოვიდოდა სააშკარაოზე და რომ ის არასოდეს იყენებს ინფორმაციას, რომელიც არ დადასტურდება სხვა დამოუკიდებელი წყაროების მიერ [28, 18-19]. ჟურნალისტიკის ექსპერტი დევიდ შოუ ანონიმური წყაროების გამოყენების გამოცდილებას შემდეგი სახით გვთავაზობს – „ეს არასწორი ჟურნალისტური პრაქტიკა ბლერამდეც არსებობდა და მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე არ მიმაჩნია, რომ ანონიმური ციტატების უმრავლესობა მოგონილია, მაინც არასოდეს მესმოდა, რატომ ეგუებიან ანონიმურობას ასე

იოლად საუკეთესო გაზეთების რედაქტორები. რა თქმა უნდა, ზოგი სტატია საერთოდ ვერ გამოქვეყნდებოდა, რეპორტიორს წყაროსთვის ანონიმურობის პირობა რომ არ მიეცა. მაგრამ იმის გათვალისწინებით, თუ როგორი „არგუმენტებით“ არწმუნებს ანონიმური წყაროების გამოყენების აუცილებლობაში თავის რედაქტორსა და მკითხველს ზოგიერთი ამბიციური რეპორტიორი, ყველა სტატია ამად ნამდვილად არ ღირს. სამწუხაროდ, ბევრ ჟურნალისტს რიგითი სტატიების წერის დროსაც კი ეზარება ჩაწერაზე დაითანხმოს ინფორმაციის წყარო. ბევრი რედაქტორი ირწმუნება, რომ ამ თვალსაზრისით მათ გაზეთებში საგანგებო პოლიტიკა აქვთ, რომლის მიხედვითაც ჟურნალისტმა ანონიმური წყაროს ვინაობა სტატიის გამოქვეყნებამდე უნდა გაამჟღავნოს. მაგრამ რეალობაში ეს ხშირად ასე არ ხდება“. „მე ვეკითხები ჩემს რეპორტიორებს, ვინ არიან მათი წყაროები – განსაკუთრებით, რთული სიტუაციების შემთხვევაში. მაგრამ წყაროები იმდენ სტატიაში არ სახელდება, რომ შეუძლებელია, ყველას სახელი მოითხოვო“, – ამბობს „ლოს-ანჯელეს-ტაიმსის“ ჟურნალისტ-გამომძიებელი, ექსპერტი დინ ბექუეტი. „მასმედია ძალიან ხშირად იყენებს დაუსახელებელ წყაროებს და თუ რედაქტორები გაზეთის პოლიტიკას აწესებენ და გადაწყვეტილებას იღებენ, რა უნდა იყოს გამოქვეყნებული? რეპორტიორები ინტერვიუებს იწერენ და წინასწარ წყვეტენ შეუძლიათ თუ არა ანონიმურ წყაროებს დაეყრდნონ. ანონიმურობას ბევრი რეპორტიორი იყენებს და ძალზე ხშირად. „მე ეს კარგად ვიცი, მედიის შესახებ ვწერ და სხვა რეპორტიორები ინტერვიუებს მართმევდნენ, რათა ისეთი სტატიები დაეწერათ, რომლებზეც შემდეგ რეაგირება იქნებოდა. გაოცებული ვარ იმ რეპორტიორების რაოდენობით, რომლებიც მირეკავენ და დაუფიქრებლად მთავაზობენ ანონიმურობას მათ კითხვებზე პასუხის ნაცვლად. ჩემი პასუხი ყოველთვის ერთნაირია: „მე ვცდილობ არ გამოვიყენო ანონიმური წყაროები. ასე რომ, არ მინდა ერთ-ერთი მათგანი ვიყო. მაგრამ სიამოვნებით ვუპასუხებ თქვენს შეკითხვებს **„ონ ზე რეკორდში**“ გამოსაქვეყნებლად“ [28, 18-19].

დევიდ შოუ ასევე გვთავაზობს კონსულტაციებს, თუ რა ხერხს უნდა მივმართოთ იმისათვის, რომ არ გამოვიყენოთ ანონიმური წყაროები. – „როდესაც წყარო მთხოვს, არ დავასახელო მისი სახელი, ვცდილობ, დავითანხმო, რომ დასახელების უფლება მომცეს. თუ არ გამომდის, მე ვეთანხმები, შემდეგ კი ინტერვიუს წარვმართავ და სანამ დავამთავრებ, ვცდილობ, გავარკვიო, რა მითხრა ისეთი, რაც შეიძლება სტატიისათვის დამჭირდეს. შემდეგ კი ინტერვიუს

ვაჯამებ და დაახლოებით ასეთ ფრაზას ვამბობ: „კარგი, მაგრამ, რატომ ხართ წინააღმდეგი აი, ამ ციტატასთან თქვენი სახელი ვახსენო?“ ვუხსნი, რატომ შექმნის პრობლემებს მისი ციტატების სტატიაში გამოყენება. შესაძლოა, აღვნიშნო, რამდენად ჭკვიანური და მნიშვნელოვანია მისი ნათქვამი და რატომ არის ასე საჭირო მისი ვინაობის დასახელება. ჩემი რესპონდენტები უფრო ხშირად მთანხმდებოდნენ მათი სახელის დასახელებაზე, ვიდრე უარს მეუბნებოდნენ“ [28, 18-19].

იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი მიდგომა არ ჭრის, დევიდ შოუ გვირჩევს, რესპონდენტს, როგორც წესი, დავეთანხმოთ პირობაზე, რომ არ მოვიხსენიოთ მისი სახელი და არც მისი სიტყვები გამოვიყენოთ. მაგრამ აქვე, ასეთ სიტუაციაში აპრობირებულ მეთოდს გვთავაზობს პირადი გამოცდილებიდან: „როდესაც სტატიის წერას დავასრულებ, თუ რომელიმე თქვენი გამონათქვამი და თქვენი სახელი ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდება, დაგირეკავთ და წაგიკითხავთ თქვენს სიტყვებს. ამასთან ერთად, წაგიკითხავთ წინა და მომდევნო აბზაცებს. აგიხსნით, რატომ არის მნიშვნელოვანი თქვენი სახელის ხსენება. ეს თქვენი გადასაწყვეტი იქნება. თუ უარს იტყვით, გპირდებით, რომ არც თქვენს სიტყვებს გამოვიყენებ და არც თქვენს სახელს, მაგრამ თქვენ უნდა შემპირდეთ, რომ ჩემს ზარს უპასუხებთ და ჩემს არგუმენტებს მოუსმენთ”. ამ სტრატეგიას უკვე 25 წელია ვიყენებ და მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა დაიჟინა, არ დამესახელებინა მისი ვინაობა, მას შემდეგ, რაც ხელმეორედ დავუკავშირდი. რა თქმა უნდა, ამის გაკეთება ძნელია, როდესაც საუბარი სასწრაფო და მნიშვნელოვან ახალ ამბავზეა, როდესაც რეპორტიორს იმისი დროც ძლივს რჩება, ინტერვიუ ჩაიწეროს, ხელმეორედ დარეკვაზე რომ არაფერი ვთქვათ. მაგრამ დაუსახელებელი წყაროების ძირითადი ნაწილი, როგორც წესი, იმ სტატიებში გვხვდება, რომლებიც სულაც არ არის საგანგებო და საჩქარო“. [28, 18-19]. დევიდ შოუ ამტკიცებს, რომ თუ რეპორტიორები უფრო მეტად ეცდებიან თავიანთი წყაროები **„ონ ზე რეკორდის**“ საუბარზე დაითანხმონ და თუ რედაქტორები მოსთხოვენ რეპორტიორებს ან ასე მოიქცნენ, ან საერთოდ არ გამოიყენონ ციტატები, უფრო ეფექტურ შედეგს მივიღებთ.

ყოველი ჩვენგანის, როგორც მოქალაქის, ცოდნა უმეტესწილად ინფორმაციის სხვა წყაროებს ეყრდნობა. როდესაც ჟურნალისტები თავიანთი რეპორტაჟების დეტალების გასარკვევად სამყაროს აკვირდებიან, ისინი ხშირად არიან

დამოკიდებული სხვებზე. ერთ-ერთი ძველი ხერხი, რომელსაც ჟურნალისტები თავიანთ პატიოსნებაში ჩვენს დასარწმუნებლად მიმართავენ, ინფორმაციის წყაროს დასახელების პრაქტიკა იყო. მისტერ ჯონსმა თქვა ესა და ეს. ამა და ამ გამოსვლისას ელკს ლოჯში, ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას და ა.შ. როცა ჟურნალისტი ინფორმაციის მოპოვებისას ამდენად არის სხვებზე დამოკიდებული, ასეთ დროს სკეპტიკური მიდგომა განსაკუთრებით საჭიროა. ადრე ასეთი მოარული გამოთქმა არსებობდა: „თუ დედა გეუბნება, მიყვარხარო, გადაამოწმე“. თუ ინფორმაციის წყარო სრულად არის დასახელებული, აუდიტორიას თვითონ შეუძლია გადაწყვიტოს, სანდოა თუ არა ეს ინფორმაცია, რადგანაც ბოლო ხანებში საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ანონიმურ წყაროებზე დამოკიდებულება გაიზარდა – როგორც ეს კლინტონ-ლევინსკის შემთხვევაში იყო – ჟურნალისტები მიხვდნენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი კრიტერიუმების შემუშავებას, რომლებიც მათაც და აუდიტორიასაც დაარწმუნებდა, რომ ისინი ახალი ამბების ანონიმური წყაროებისაგან დამოუკიდებელნი რჩებიან.

ერაყში აშშ-ს ინტერვენციის მომზადების პერიოდში „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აქვეყნებდა მასალებს ბრალდებებით, რომ ერაყი მალავდა მასობრივი განადგურების იარაღს და საერთაშორისო ტერორიზმს ეხმარებოდა. ბრალდებები უსაფუძვლო გამოდგა და გაზეთმა ამის შესახებაც გამოაქვეყნა მასალები. შემდეგ გამოცემის რედაქტორებმა გადაწყვიტეს, რომ „დრო იყო, საკუთარ თავს ჩაღრმავებოდნენ“ – აღმოაჩინეს, რომ მათმა ჟურნალისტებმა არ გადაამოწმეს წყაროების მოწოდებული ინფორმაცია, რომ ტექსტისა და დარგობრივ რედაქტორებს უნდა „დაესვათ რეპორტიორებისთვის კითხვები, მეტი სკეპტიკურობა მოეთხოვათ...“ მათ ეს არ უქნიათ, როგორც ეწერა ანგარიშში, ალბათ, იმიტომ რომ „ძალიან უნდოდათ გაზეთი ექსკლუზივებით გაევსოთ“ [8, 553].

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ პასუხისმგებელი რედაქტორი ჯო ლელიველდი მოითხოვდა, რომ სანამ ანონიმურ წყაროს გამოიყენებდნენ, ჟურნალისტებსა და რედაქტორებს საკუთარი თავისთვის ორი შეკითხვა დაესვათ: 1. რამდენად უშუალოდ იცნობს მოვლენას ანონიმური წყარო; 2. რა უნდა ვქნათ, თუკი ინფორმაციის წყაროს აქვს რაიმე მოტივი იმისათვის, რომ თავგზა აგვიბნიოს,

სურათი შეალამაზოს ან დამალოს მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ჩვენი წარმოდგენა ამ საკითხზე?

მათ მხოლოდ მას შემდეგ შეუძლიათ წყაროს გამოყენება, რაც ამ შეკითხვებზე პასუხებით დაკმაყოფილდებიან. შემდეგ კი რამდენადაც შესაძლებელია, აუდიტორიასაც უნდა ამცნონ, რამდენად ინფორმირებულია წყარო (მაგალითად, „წყარო, რომელმაც ნახა დოკუმენტი“) და რა განსაკუთრებული ინტერესი შეიძლება ჰქონდეს მას (მაგალითად, „წყარო დამოუკიდებელი ბრალმდებლის“ ოფისიდან“). მეტი გამჭვირვალობის მიღწევის ასეთ მცდელობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აუდიტორიის მიერ რეპორტაჟის დამაჯერებლობის ხარისხის განსაზღვრისათვის; მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს წარმოაჩენს სტანდარტებს, რომლებსაც ჟურნალისტები ახალი ამბების სანდოობის გაზრდისთვის იყენებენ.

„ნიუ-ჰაუსის“ გაზეთების ვაშინგტონელ რედაქტორ დებორა ჰოუელსს ანონიმური წყაროებისათვის ორი განსხვავებული კრიტერიუმი აქვს, რომლებიც ლელიველდისას აძლიერებს: 1. სხვისი აზრის მისაწოდებლად არასოდეს გამოიყენო ანონიმური წყარო; 2. არასოდეს გამოიყენო ანონიმური წყარო წერილში პირველ ციტატად [6, 106-109].

ეს არის ორი პრაქტიკული ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა წერო ამბავი, თუკი ანონიმური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენებას გადაწყვეტ. ქართულ პრესაში წყაროების დაუსახელებლობის მაგალითების განხილვისას, ძნელი გასაგებია, თუ რომელი წყარო დგას ჟურნალისტების მიერ გადმოცემული ინფორმაციის უკან. ხშირად განხილული გაზეთის საგამოძიებო სტატიაში ვხვდებით ასეთი ტიპის ანონიმური წყაროების აღნიშვნებს, მაგალითად, „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ვინ გააპარა ოფთალმოლოგიის კლინიკიდან პატიმარი?“ – ინფორმაციის მიწოდებისას წყარო არ არის მითითებული. ანალოგიური სიტუაციაა გაზეთ „რეზონანსში“ დაბეჭდილ სტატიაში – „ვრცელდება ასევე ინფორმაცია, რომ მძევალთა გათავისუფლება პეტერბურგელი კანონიერი ქურდის ჩარევის შედეგად მოხდა“. როგორც „რეზონანსს“ კონფიდენციალურმა წყარომ აცნობა, „მძევლების გათავისუფლება სწორედ ამ „ავტორიტეტის“ უშუალო ჩარევისშედეგად მოხდა“. ჟურნალისტი აქ მიუთითებს, რომ წყაროს ანონიმურობას იცავს, მაგრამ რა მოტივით – არ

მიუთითებს. სტატიის სათაურად კი გამოტანილია ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით მიღებული ინფორმაცია: „გატაცებული გაეროს დამკვირვებლები ტარიელ ონიანმა გაათავისუფლა“?

„ონ-ზე-რექორდი“ – გვაქვს გამოყენებული მასალა და ავტორიც მითითებულია. ასეთი ტიპის პროექტები განსაკუთრებული ამბიციურობით გამოირჩევა და მისი გაშუქება საკმაოდ დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში მუშაობისას ჟურნალისტ-გამომძიებელმა რეგულარულად უნდა დასვასშეკითხვები: რა არის მასალის მაქსიმუმი? რამდენად არის დაცული ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, ბალანსი? თქვენი გამოძიება შეგიძლიათ წარმართოთ შემდეგი აპრობირებული ნორმებით:

- ✓ ინფორმაცია და კომენტარი (პირადი აზრი) მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული;
- ✓ ვარაუდი არ უნდა წარმოჩნდეს, როგორც დადასტურებული ფაქტი;
- ✓ მნიშვნელოვანი ფაქტების გამოტოვებით ინფორმაცია არ უნდა დამახინჯდეს;
- ✓ ფაქტებით გამყარებული კრიტიკის ობიექტს უნდა მიეცეს თავისი მოსაზრებების გამოთქმის საშუალება. თუ ამის შესაძლებლობა არ არსებობს, საზოგადოებას უნდა ეცნობოს;
- ✓ მხარეთა პოზიციები მაქსიმალურად თანაბრად უნდა წარმოჩნდეს;
- ✓ მასალებში – სტატიებში, ტელე-რადიო გადაცემებში, რომლებშიც ავტორთა აზრი და შეხედულებებია გადმოცემული, აღნიშნული უნდა იყოს სპეციალური მითითებები – მოკრიბეთ მაქსიმალურად სასარგებლო დეტალები, ციტატები, გამოიყენეთ ის ფაქტები, რომელიც საინფორმაციო წყარომ დაგიდასტურათ და საჭირო დეტალები, რომლებსაც გთავაზობენ მასალის შესახებ. ყველა ეტაპზე მოსაზრებები თანაბრად უნდა იყოს წარმოდგენილი;
- ✓ ჟურნალისტ-გამომძიებელს შეუძლია საინფორმაციო წყაროს მიერ მიწოდებული მასალა გამართოს სტილისტურად, გრამატიკულად, გააკეთოს რედაქტირება, გადაამოწმოს ყველაფერი, განსაკუთრებით ის, რაც საეჭვოა, მაგრამ დაუშვებელია ფაქტების შეცვლა, ყურადღება უნდა გამახვილდეს დასახელებების სისწორეზე. ჟურნალისტმა უნდა იცოდეს, როდის გამოიყენოს გადახვევა, როდის წეროს პირდაპირ;

- ✓ მასალაში ჩართული პიროვნებების იდენტიფიცირების, ფაქტებისა და ინფორმაციის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია მისაღები, თუ მათ პირდაპირი კავშირი აქვთ მომხდარ ფაქტთან [24, 46-47].

„ონ-დიფ-ბექრაუნდ“ – მასალას წერ საკუთარი და არა წყაროს ენით. ამ შემთხვევაში უშუალო დაკვირვება არ შეიძლება იქნეს უარყოფილი. მაგალითი: „ფილადელფია ინქვაირერის“ ჟურნალისტმა აღწერა რუსეთის ჯარების მიერ ჩეჩნეთის მშვიდობიანი მოსახლეობისთვის იარაღით სროლის ფაქტი – ინციდენტი მოგვიანებით უარყო ოფიციალურმა მოსკოვმა. კორესპონდენტმა შეძლო სოფლების დაცხრილვის ფაქტზე სტატიის მომზადება, რადგან თვითონ იქ იმყოფებოდა.

შემთხვევის ადგილზე რეპორტაჟის მომზადებისას ვლინდება ბევრი დეტალი, რომელიც უფრო დამაჯერებელს ხდის საგაზეთო, ტელე-რადიო სიუჟეტს. მკითხველს, მაყურებელსა თუ მსმენელს აძლევს საშუალებას, დაინახოს, იგრძნოს მომხდარი მოვლენა.

ქართული გაზეთი „24 საათი“ აქვეყნებს სტატიას ტრეფიკინგის პრობლემაზე სათაურით – „მოტყუებულ გოგონას აიძულებდნენ, 24 საათის განმავლობაში მომსახურებოდა მამაკაცებს“, რომლის ავტორია გიორგი მოლოდინი. საინფორმაციო წყარომ უარი განაცხადა ვინაობის დასახელებაზე და მოითხოვა ანონიმურობის დაცვა. ავტორი შეეცადა არ გამოეყენებინა ანონიმური წყარო, რომელმაც შემდეგი სახის ინფორმაცია მიაწოდა: „აღნიშნულ საცხოვრებელ სახლში მისულ ანის რამდენიმე სოლიდური მამაკაცი დახვდა, რომლებმაც იგი მეორე ოთახში გაიყვანეს და როგორც მოგვიანებით გაირკვა, რუსი ეროვნების საქართველოს მოქალაქეს ვინმე ლენა დავიდოვას შეახვედრეს. ანიმ შესანიშნავად იცოდა ინგლისური ენა და გადაწყდა, რომ მას ამერიკის შეერთებულ შტატებში გაამგზავრებდნენ, როგორც ძიძას. თუმცა, მანამადე შესაბამისი დოკუმენტაცია იყო „მოსამზადებელი“. ჟურნალისტმა ამ შემთხვევაში ჩათვალა, რომ მკითხველს არ მოეწონებოდა ან არ დაიჯერებდა, ან მის მიერ შეთხზულ მასალად მიიღებდა ანონიმურ წყაროზე დაყრდნობილ ჟურნალისტურ გამოძიებას. ამიტომ მან ეს ადამიანური წყარო გამოიყენა, როგორც საფუძველი, რათა შემდეგ თავად მოეძია ამ ფაქტის მსხვერპლი. ჟურნალისტი დაუკავშირდა იმ გარემოცვას, რომელიც ჩართული იყო ამ დანაშაულებრივ ქმედებებში და

თავად მოიპოვა ფაქტობრივი ინფორმაციები, რაც ამტკიცებდა აღნიშნული კრიმინალური ჯგუფის თანამშრომლობას ვიზების მომზადების საკითხში საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან. აღმოჩნდა, რომ ვიზების დამზადებაზე პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებდა აღნიშნული ჯგუფი [9]. ამით მასალის სანდოობის ხარისხი ამაღლდა არა მარტო საზოგადოების თვალში, არამედ იმ სამართალდამცავ უწყებებში, რომელთაც ევალებოდათ ამ პრობლემაზე რეაგირება და მისი მოგვარება.

ამგვარ სამუშაო პირობებში აუცილებელია ჟურნალისტმა ჩაწეროს ინტერვიუები (საუბრები) საქმის მონაწილეებთან, თვითმხილველებთან, კომენტარები, აღწეროს გარემო პირობები... შეგროვდეს რაც შეიძლება მეტი დოკუმენტური მასალა. ზუსტად იქნეს აღწერილი სუბიექტების გარემო პირობები, იმ წამს შექმნილი სიტუაციები.

აშშ-ში, კენტუკის შტატში (ქ. ლუივილში), მედიაორგანიზაციებში ჩემი ვიზიტებისას, პირადი დაკვირვების საფუძველზე შევისწავლე იქ მომუშავე ჟურნალისტ – გამომძიებლების მუშაობის სტანდარტები წყაროების გამოყენებისა და მათთან ურთიერთობის თვალსაზრისით. მათ სტატიების გამოქვეყნებამდე სამართლიანობის დაცვის მიზნით კონსულტაციებს უწევენ ადვოკატთა ასოციაციები, რომლებიც შექმნილია ჟურნალისტებისათვის. მაგალითად, ასეთი ტიპის ორგანიზაციაა Dinsmore & Shohl. იგი მედიის წარმომადგენლებს ეხმარება თავიანთი და წყაროს უფლებების დაცვაში, ეთიკური ნორმებისა და ქცევის კოდექსის შესაბამისად მოქმედებაში გამოძიების დროს, მთავრობიდან ოფიციალური დოკუმენტების გამოთხოვაში, რომელსაც ჟურნალისტი იყენებს, როგორც საინფორმაციო წყაროს. ამ ასოციაციის წარმომადგენლებმა ადვოკატმა ჯონ ფლეშეიკერმა და დოქტორ რასელ უივერმა, ლუივილის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა დაგვისახელეს კონკრეტული მაგალითები, რომლებიც პირდაპირ შეეხებოდა მათ მიერ შემუშავებულ იმ კანონმდებლობებს, რაც ხელს უწყობს ჟურნალისტებისთვის ინფორმაციის მისაწვდომობას, სახელმწიფო შეხვედრებზე დასწრებას, წყაროს დაცულობას მისი გამოყენებისას, სასამართლოს ისეთი ჩანაწერების გამოთხოვას, რომლებიც დალუქულია. დოქტორ რასელ უივერმა აღნიშნა, რომ „ჟურნალისტები სანამ საინფორმაციო წყაროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციებს გამოაქვეყნებენ, ჩვენ ვამოწმებთ მისი სამართლიანობის ხარისხს და ამის შემდეგ ვრთავთ ნებას

ჟურნალისტებს, გააშუქონ გამოძიებული ფაქტები... სტატიის გამოქვეყნების შემდეგ დავის წარმოშობის შემთხვევაში ორივე მხარეს – ჟურნალისტებსაც და მოდავეებსაც, ანუ მასალებში მხილებულ პირებს, ვეხმარებით კანონის ფარგლებში განვიხილოთ წარმოქმნილი დავა და პრობლემა გადავწყვიტოთ სამართლიანობის პრინციპების დაცვით". ამ იურიდიულ ორგანიზაციაში მუშაობს ცხელი ხაზი, რომელიც ბატონმა ფლეშეიკერმა, დინსმორმა და შოლმა ჟურნალისტებისთვის შემოიღეს. ცხელ ხაზზე 6-7 ადვოკატი მუშაობს და მედიის თითქმის 140 ორგანიზაციას უწევს იურიდიულ მომსახურებას. ადვოკატები მედიასთან მუშაობისას იცავენ როგორც ჟურნალისტების უფლებებს, ასევე მედიის წარმომადგენლებს აკისრებენ პასუხისმგებლობას მხილებულ პირთა მიმართ. ჟურნალისტებს სამივე დონეზე – ფედერალური, ლოკალური და ადგილობრივი კანონის ფარგლებში სასტიკად ეკრძალებათ: პირველი – ისეთი საინფორმაციო წყაროს გამოყენება, რომელიც ამხელს მის პირად ცხოვრებას, მაგალითად, არ შეიძლება, სამხილად გამოყენებული იყოს ამ უკანასკნელის სამედიცინო ჩანაწერის დოკუმენტი. მეორე – ცილისწამება. Dinsmore & Shohl (დინსმორი და შოლი) ჟურნალისტ-გამომძიებლებს ეხმარება სასამართლოებში დახურული საქმეების მეორედ გადახედვაში და სამძებრო განყოფილებებიდან დოკუმენტების, ჩანაწერებისა და სხვა ინფორმაციების გამოთხოვასა და გამოყენებაში. აშშ-ში სწორედ ასეთი ტიპის ორგანიზაციებში იქმნება გამომძიებელ-ჟურნალისტთა განვითარების პრეცენდენტული პრაქტიკა და ხშირად მედიის განვითარების პირდაპირპროპორციულია.

სახელმწიფო დაწესებულებები

დემოკრატიზმის პრინციპის მიხედვით, როდესაც ჟურნალისტი ინფორმაციისთვის მიმართავს სოციალურ ინსტიტუტებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, იცის, რომ ეს დაწესებულება ვალდებულია, იმ ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, მიაწოდოს აუდიტორიას მათთვის საჭირო, ზუსტი, სრული და ობიექტური ინფორმაცია. ბევრი დაწესებულება, სამინისტროები, უწყებები ფუნქციონალურად არიან ვალდებულნი, მოიპოვონ და დაამუშაონ ინფორმაცია.

ჟურნალისტმა აუცილებლად უნდა იცოდეს ორგანიზაციები, რომელნიც გასცემენ ასეთ ინფორმაციებს, უნდა იცოდეს შესაბამისი საკანონმდებლო აქტები და წესები, კანონი, რომელიც მათ ინფორმაციის გაცემას ავალდებულებს. მაძიებლის

ქმედითუნარიანობა და მიწოდებული ინფორმაციის უტყუარობა მაინც დამოკიდებულია იმ პოლიტიკურ რეჟიმზე, სადაც ისინი ფუნქციონირებენ. ზოგჯერ ჟურნალისტი ვერ იღებს საჭირო ინფორმაციას, თუნდაც უბრალოდ იმიტომ, რომ ორგანიზაციას არ აქვს შესაფერისი ინფორმაცია ან იგი არაა სრულყოფილი და ვერ აკმაყოფილებს მაძიებლის ინტერესებს.

ჟურნალისტი, ვიდრე ორგანიზაციაში ინფორმაციის ასაღებად მივა, წინასწარ უნდა გაერკვეს, ექნება თუ რა მისთვის საჭირო ინფორმაცია ამ დაწესებულებას?! ჟურნალისტმა უნდა იცოდეს, რომელ დაწესებულებას რა სახის ინფორმაციის შეკრება-შეგროვება შეუძლია. მაგალითად, თუ ჟურნალისტი გამოძიებას ატარებს ეკოლოგიის სფეროში, უნდა იცოდეს, რომ ამ სახის ინფორმაციები შეუძლია მოიპოვოს სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებში – ერთნი აგროვებენ ინფორმაციებს საწარმოო ნარჩენებზე, მეორენი ნიადაგის შემადგენლობაზე, ჰაერის, წყალსაცავების, მიწისქვეშა წყლების, მინერალური რესურსების შესახებ და ა.შ. ინფორმაციის განაწილების ცხრილები წარმოდგენილია სამინისტროებსა და უწყებებში. შესაძლოა, მათ ერთ საკითხზე ერთი და იგივე ინფორმაცია ჰქონდეთ, მაგრამ იგი არ იქნება სრულიად იდენტური. ყველა უწყება ინფორმაციას იღებს მისი უწყების პროფილის მიხედვით, საინფორმაციო ბანკიდან ამოკრეფს იმ ნაწილს, რომელიც კონკრეტულად მას ეხება, შეუძლია, მოახდინოს ფაქტზე ზეგავლენა თავისი კომპეტენციის მიხედვით. ამიტომ ჟურნალისტი ვალდებულია მიმართოს ან ერთ, ან რამდენიმე უწყებას. მიღებული ინფორმაცია ერთისა და იმავე ობიექტის შესახებ იქნება სხვადასხვაგვარი, როგორც მოცულობის, ასევე ხარისხის მიხედვით [78, 263-265].

ჟურნალისტმა უნდა იცოდეს თავისი ფუნქციები მოვალეობების მიხედვით, თუ რა სახის ინფორმაციები შეიძლება იყოს სხვადასხვა უწყებაში, რომელიც დაკავშირებულია მისთვის საინტერესო პრობლემატიკასთან. მას უნდა ჰქონდეს დოსიე, სადაც მონაცემები იმის მიხედვით იქნება შედგენილი, თუ რომელი დაწესებულება კონკრეტულად რომელ ინფორმაციაზე მუშაობს (შეიძლება ცხრილიც კი შეადგინოს, რომელშიც მოცემული იქნება ყველა სფერო). ასეთი ცნობები შეიძლება ამოკრიფოს სპეციალური ლიტერატურიდან, შესაბამისი მონოგრაფიებიდან, ცნობარებიდან, საიტებიდან და ა.შ.

ჟურნალისტმა უნდა იცოდეს, რომ სხვადასხვა უწყებას აქვს როგორც ცენტრალური, ისე რეგიონალური სამსახურები. გამოძიების პროცესში მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, კონკრეტულ შემთხვევაში რომელი დონის უწყებას რა სახის ინფორმაციის მიწოდება შეუძლია. სწორი არჩევნისთვის საჭიროა ინფორმაციის სტრუქტურის ცოდნა, მისი ადგილის სწორად განსაზღვრა სახელმწიფო ორგანოებში.

საინფორმაციო ნაკადის ორგანიზაცია სახელმწიფო დაწესებულებათა სისტემაში

ჟურნალისტი ნაკლებ ძალისხმევას კარგავს ინფორმაციის მოსაპოვებლად მაშინ, როდესაც სახელმწიფო დაწესებულებებში განვითარებული არის ინფრასტრუქტურა, სადაც თანამიმდევრული, სისტემური მუშაობა მიმდინარეობს ინფორმაციის დამუშავება-გადაცემისა და მასზე ხელმისაწვდომობის კუთხით. რეალურად კი, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების საინფორმაციო უზრუნველყოფა ევალება, მთელ რიგ სახელმწიფო ორგანოებში ასეთი მოქმედი ინფრასტრუქტურა პრაქტიკულად არ არსებობს. ინფორმაციები, რომელთაც ეს ორგანოები ფლობენ, ხშირად გაუგებარია ჟურნალისტებისთვის. გარდა ამისა, ამ უწყებებში ინფორმაციები ძირითადად შედგენილია სპეციალისტებისა და არა ფართო აუდიტორიისთვის გასაგებ ენაზე. ამიტომ ჟურნალისტმა (გამომძიებელმა) ზუსტად უნდა იცოდეს, როგორ არის აგებული ინფორმაციები, რომელნიც მიმობნეულია (ტრიალებს) სახელმწიფო დაწესებულებებში. ეს საჭიროა იმისთვის, რომ ზუსტად იმ სტრუქტურებს მიმართონ, სადაც შეუძლათ გასცენ გამოძიებისთვის საჭირო ცნობები [78, 270-273].

როგორც ცნობილია, სახელმწიფო ორგანოებს სჭირდებათ უპირველესად ის ინფორმაციები, რომელიც შეიძლება გამოიყენონ საზოგადოებრივი პროცესების სამართავად, საწარმოთა რეგულირებისათვის, მართვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, კონტროლისათვის და ა.შ. შემდეგ ინფორმაცია დამუშავდება, ადაპტირებული იქნება მოცემული სამინისტროსა და უწყებების მიხედვით.

ინფორმაციის დამუშავება „პირამიდის“ პრინციპით ხდება და მიემართება სახელმწიფო ორგანოებში განსაკუთრებული სახით (დღესაც ინფორმაცია მიდის ქვევიდან ზევით). სახელმწიფო ქვეუწყებები აგროვებენ ყველა სახის აღწერით, ციფრულ, კარტოგრაფიულ, საანგარიშო ცნობებს, რომელნიც უფრო

დეტალურად, დაწვრილებით აღწერენ რომელიმე რეალურ მოვლენას, რაც მასზე გარკვეულ სრულ წარმოდგენას იძლევა. მაგრამ რადგან ზემდგომი ორგანოებისათვის ხდება მათი დამუშავება და ანალიზი, თანდათან მისი მოცულობა მცირდება, განზოგადდება და მისგან იქმნება მოკლე ანგარიში. მასში ყველა დაწვრილებითი მონაცემი განზოგადებულია, ეს აუცილებელია იმისათვის, რომ გამოვლინდეს განსაზღვრული კანონზომიერებანი, ტენდენციები და განვითარება ამა თუ იმ პროცესისა, რაც ქვეყანაში მიმდინარეობს (მაგ., მოხსენება „კახეთის რეგიონში კანონდარღვევების შესახებ“ – სტატისტიკური მონაცემები).

ზევიდან ქვევით (ანუ ცენტრალური უწყებებიდან) ინფორმაციები მიდის გარკვეული დადგენილებების, ნორმატიული აქტების, განკარგულებების, ბრძანებების სახით. ასეთი ინფორმაციები ექვემდებარება ქვეუწყებების მიერ მათ შესრულებას. წარმოიდგენს რა სახელმწიფო აპარატში ინფორმაციის მოძრაობის მარშრუტებს, ჟურნალისტს შეუძლია სრულიად შეგნებულად აიღოს ორიენტაცია მათი ძიების დროს. მაგალითად, თუკი იგი იძიებს რომელიმე დაწესებულების საქმიანობას, რომელიც პატარა ქალაქში მდებარეობს, მან უნდა ეძებოს ინფორმაციები იმ კონკრეტულ საქალაქო და, შესაძლებელია, რეგიონალურ ინსტანციებში, ხოლო უფრო მნიშვნელოვანი სტატისტიკა ან ნორმატიული ინფორმაცია შეუძლია მიიღოს ცენტრალურ საუწყებო ორგანოებში.

ინფორმაციის მოძრაობა სახელმწიფო დაწესებულებებში „საინფორმაციო პირამიდის“ პრინციპით მთელ რიგ პრობლემებს ქმნის, რაც ხელს უშლის შემოსული ცნობების ეფექტურად გამოყენებას. ძირითადი მიზეზია რეგიონული სახელმწიფო ორგანიზაციების გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა; რაც ეხება მმართველობით გადაწყვეტილებებს, ყველა ძირითადი გადაწყვეტილება „ზევიდან“ მოდის, „ქვევით“, მხოლოდ შემსრულებლები არიან უკვე მიღებული გადაწყვეტილებების. მეორე პრობლემა არის ის, რომ თვით სახელმწიფო უწყებათა შორის შედარებით რთული ურთიერთობები არსებობს. მათ შორის საინფორმაციო გაცვლაც კი უწყებათშორის ბარიერებს აწყდება. ამდენად, თუკი თვით სახელმწიფო აპარატის შიგნით ინფორმაციის მოძრაობა ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით ძირითადად მყარია, საინფორმაციო გაცვლა „ჰორიზონტალურად“ რიგ შემთხვევაში გაძნელებულია [19, 24].

პრესცენტრი

სახელმწიფო ინფორმაციის სისტემა მიმართულია ძირითადად საკუთარი უწყების (და არა სხვა სოციალური ინსტიტუტების) თვითმომსახურებისკენ. ჟურნალისტს შეუძლია მისთვის საინტერესო უწყებაში ისარგებლოს პრეს-ცენტრით, რომელსაც აქვს მედიისთვის აუცილებელი ინფორმაცია, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ პრესცენტრები დიდად არ იწუხებენ თავს, რომ ჟურნალისტს უტყუარი (სარწმუნო) ინფორმაცია მიაწოდონ.

რით არიან ისინი დაკავებულნი? – ჩვეულებრივ ინფორმაციის მიღებით, დამუშავებით, ანალიზით, რასაც აწვდიან დაწესებულების ხელმძღვანელს: ამზადებენ მასალას მედიისთვის მათი მუშაობის შესახებ.

თეორიულად პრესცენტრი საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარების გარანტირებული მექანიზმია; პრესმოხელემ უნდა შეასრულოს მედიატორის ფუნქცია ჟურნალისტთა კორპუსსა და საკუთარ უწყებას შორის: ჟურნალისტების აკრედიტაცია, უწყების თანამდებობის პირებთან შეხვედრების ორგანიზება, საინფორმაციო მასალის მომზადება და გავრცელება. გარდა ამისა, ეს სამსახური ამყარებს ურთიერთობას მედიასთან, სხვა პრესცენტრებთან. მაგრამ მათი მუშაობის მთავარი ეტაპია მოსახლეობის უფრო მეტად ინფორმირება დაწესებულების მუშაობის შესახებ. ამ მიზნით ეწყობა ბრიფინგები, პრესკონფერენციები და ა.შ.

კონსტიტუციით პრეს-ცენტრი უნდა ეხმარებოდეს მოქალაქეებს ინფორმაციის მიღებასა და სიტყვის თავისუფლების დაცვაში. ოპერატიულად გაავრცელოს ობიექტური ინფორმაცია მასმედიაში თავიანთი საქმიანობის შესახებ. მაგრამ უფრო ხშირად მათი ძირითადი საქმიანობა, ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ იზრუნონ მხოლოდ სტრუქტურის იმიჯსა და ავტორიტეტზე, დაიცვან საკუთარი ინტერესები. ამის გამო ხშირად აჭარბებენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს... ექსპერტები შეახსენებენ პრესმოხელეებს, რომ არ არსებობს არანაირი უწყებრივი ან სახელმწიფო ინტერესების გამო გამართლებული არგუმენტი, რომელიც მათ ინფორმაციის დამალვას, დამახინჯებას, შესაბამისად, კანონის დარღვევას აიძულებს.

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის 24-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს

ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“. ამავე მუხლში პირდაპირ ნათქვამია, რომ: 2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. 3. სახელწიფოს ან ცალკეულ პირებს არ აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება. 4. მუხლის პირველ და მეორე პუნქტში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად [19, 24].

ინფორმაციის მოპოვებისას ჟურნალისტს სჭირდება აკრედიტაცია, რომელსაც ისინი იღებენ შესაბამისი ორგანიზაციის (სახელმწიფო და კერძო, არასამთავრობო და ა.შ.) პრესცენტრის საშუალებით.

ჟურნალისტები ხვდებიან პრესცენტრის ხელმძღვანელებს და იღებენ აკრედიტაციას. ამ დროს სასარგებლოა რედაქციის სარეკომენდაციო წერილია კრედიტაციის შესახებ, რაც ჟურნალისტს „თავისიანთა“ წრეში მოახვედრებს. ბევრ ფირმას ურჩევნია, ურთიერთობა ჰქონდეს ჟურნალისტთან, რომელსაც მუდმივი აკრედიტაცია აქვს. ეს სასარგებლოა ჟურნალისტისთვისაც, რადგან იგი ესწრება ორგანიზაციის სხვადასხვა ღონისძიებებს, აფართოებს ურთიერთობათა წრეს.

ბევრ სახელმწიფო დაწესებულებაში მოქმედებს იერარქიის დაცვის პრინციპი. ამრიგად, ჟურნალისტმა ურთიერთობათა სწორად წარმართვაზეც უნდა იფიქროს: ორგანიზაციაში მისვლისას არ უნდა მოითხოვოს პირდაპირ ხელმძღვანელთან შეხვედრა, რადგან შეიძლება უარი განუცხადონ ამ მოთხოვნაზე. იგი პრესცენტრს უნდა დაუკავშირდეს. პრესმოხელე ვალდებულია დააკმაყოფილოს ის მოთხოვნები, რომელსაც მას უყენებს მაძიებელი ჟურნალისტი: მიაწოდოს მისთვის საინტერესო ინფორმაციები, საჭირო დოკუმენტები, დაეხმაროს კიდევ ერთხელ გადაამოწმოს ციფრების, ფაქტობრივი მონაცემების სიზუსტე,

უზრუნველყოს იმ პირის შერჩევა და მასთან დაკავშირება, ვინც ყველაზე კომპეტენტურად გასცემს პასუხს ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვებს, დაეხმაროს ინტერვიუს ორგანიზებაში.

ინფორმაციის მოპოვების ყველაზე ეფექტური წყარო ჟურნალისტისთვის საინტერესო დაწესებულებაში შეიძლება იყოს იქ მომუშავე ნაცნობი, რომლისგანაც პრესსამსახურის გვერდის ავლით შეიძლება უფრო სწრაფად აიღოს მასალა. ასეთი საინფორმაციო წყაროს ყოლა განსაკუთრებით სასარგებლოა სამართალდამცავ ორგანოებში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სწორედ სასამართლო უწყებები ფარავენ ხშირად კრიმინალურ ამბებს, მხილებებს და ა.შ.

პოლიცია, როგორც წესი, პრივილეგირებულია მიღებული ცნობების განმარტებებში, მაგრამ ხშირად ამისგან თავს იკავებენ, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს ხელს შეუშლის დანაშაულის გახსნას ან მათ არ სურთ ჟურნალისტებთან ერთად აწარმოონ დანაშაულებრივი ქმედების საქმის გახსნა. ასეთი ტიპის ორგანოებში ხშირია თანამდებობის პირებისა თუ რიგითი თანამშრომლების კორუმპირებულობის ფაქტები, ამიტომ თუკი ჟურნალისტ-გამომძიებელი არაფორმალურად იღებს ინფორმაციებს, გამოქვეყნებამდე აუცილებლად უნდა გადაამოწმოს... [59, 248]. ასეთი მასალების საინტერესო ფორმით მიწოდება ჟურნალისტური უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკის საკითხია. თუმცა, ბევრი რამ მედიის წარმომადგენელთან საინფორმაციო წყაროს – ნაცნობის პიროვნულ ნდობაზეც არის დამოკიდებული. სასურველია, რომ საინფორმაციო წყარომ იცოდეს, როგორ მუშავდება ინფორმაცია, რა პრიორიტეტები აქვს ჟურნალისტს მასალის გაშუქებისას, რადგან ამ უწყებიდან გამოტანილი ინფორმაცია მეტწილად ადამიანის ბედს, ღირსებასა და რეპუტაციას უკავშირდება...

ჟურნალისტური გამოძიების სფეროში მომუშავე ბევრ ჟურნალისტს სახელმწიფო უწყებებში სერიოზული ბარიერების გადალახვა უწევს ინფორმაციის მისაღებად, მიუხედავად იმისა, რომ იგი უფლებამოსილია ოფიციალურად მიიღოს ინფორმაცია. ამის შედეგად მასში ძლიერდება მოხელეთა მიმართ კრიტიკული, ზოგჯერ აგრესიული დამოკიდებულებაც კი. როგორ გადავლახოთ პრობლემა, რათა მოვიპოვოთ ის საჭირო ინფორმაცია, რომელიც, მისი აზრით, ამ

უწყებაშია? ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჟურნალისტისგან ინფორმაციის მოთხოვნის ცოდნას.

ინფორმაციის მოთხოვნა სახელმწიფო დაწესებულებებში

ჟურნალისტმა უპირველესად უნდა მოამზადოს მოთხოვნის წერილი (უკეთესია, ეს მომზადდეს რედაქციის სახელით) სახელმწიფო დაწესებულებისთვის. ინფორმაციას მოთხოვნის შესაბამისად იძლევა ორგანიზაციის ხელმძღვანელი, შეიძლება პრესსამსახურის თანამშრომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში. წერილის მოთხოვნის შესვლის დღიდან პასუხისთვის ვადა ოფიციალურად 7 დღეა. ინფორმაციის მოპოვებას თუკი უფრო დიდი დრო სჭირდება, რედაქციას 3 დღის განმავლობაში ატყობინებენ. ხსნიან რა მიზეზებს, თუ რატომ ვერ გასცემენ ინფორმაციას 7 დღის შემდეგ, შეტყობინების ზუსტ თარიღს, დროს, თუ როდის გააგზავნიან ინფორმაციას, ხელს აწერს პასუხისმგებელი პირი.

ჟურნალისტი, თუ იგი არ არის ამა თუ იმ მედიაორგანიზაციის თანამშრომელი და „თავისუფალი ჟურნალისტია“, მისთვის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა დაწესებულებას შეუძლია იმ ვადებში, რომელსაც თვითონ დააწესებს. ჟურნალისტს ამ დროს ძალიან დაეხმარება თავისი პირადი გამოცდილება და ცოდნა იმისა, თუ რატომ შეიძლება არ უპასუხონ მის მოთხოვნებსა და შეკითხვებს საინტერესო მონაცემების შესახებ. ამიტომ იგი იგონებს შესაბამის ფორმას, რათა აუცილებლად მიიღოს საჭირო ინფორმაცია დაწესებულებიდან. სახელმწიფო ორგანოებში შეიძლება მოითხოვო ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა იმისა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო, კომერციულ საიდუმლოს ან პირადი ცხოვრების მონაცემებს.

1999 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომლის დეკლარირებული პრინციპების საფუძველზე უნდა მოქმედებდნენ როგორც ჟურნალისტები, ასევე სახელმწიფო დაწესებულებების მოხელეები. კერძოდ, კოდექსის მესამე თავი, სადაც აღნიშნულია, რომ ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნები ვრცელდება ყველა სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანოსა თუ დაწესებულებაზე და მათზეც, ვისაც სახელმწიფომ გარკვეული უფლებამოსილების განხორციელება ანდო და ნაწილობრივ ან სრულ სახელმწიფო დაფინანსებაზე არიან.

ადმინისტრაციული კოდექსი მკვეთრად აყალიბებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ნორმას: „საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოს მიკუთვნებული ინფორმაციისა“ [17, 28].

ჟურნალისტი თუკი თავის კითხვა-პასუხებში ინფორმაციის გარდა ითხოვს იმ რესურსებს (დოკუმენტებს), რის საფუძველზეც შეადგინეს ინფორმაცია ორგანოს შესახებ მის ქვეუწყებრივ ორგანიზაციებში, კანონის თანახმად (ინფორმაციის გაცემის თაობაზე), ორგანიზაცია თვითონ განსაზღვრავს შესაძლებლობასა და განაწესს ამ დოკუმენტების გაცემაზე. ამასთან, იგი არაა ვალდებული აუხსნას რედაქციას თავისი გადაწყვეტილებების მოტივი. თუ ჟურნალისტი ითხოვს ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება წინასაგამოძიებო მონაცემებს, მისი მიღება შეუძლია მხოლოდ პროკურორის ნებართვის შემდეგ.

ჟურნალისტის მოთხოვნაზე ინფორმაციის გაცემის შესახებ ორგანიზაციის ყველაზე ტრივიალური პასუხი არის ის, რომ ასეთი ინფორმაცია ორგანიზაციას არ გააჩნია. ზოგ შემთხვევაში ესაა ჟურნალისტის მიერ შედგენილი შეკითხვა-მოთხოვნის არასწორად ფორმულირების შედეგი: რომ მან არასწორად ან არასრულფასოვნად ჩამოაყალიბა თავისი მოთხოვნა. ამიტომ აუცილებელია, ჟურნალისტმა დააზუსტოს და უფრო მეტად დააკონკრეტოს თავისი შეკითხვა.

ორგანიზაციამ შესაძლოა, არ გასცეს ინფორმაცია იმიტომაც, რომ მისთვის ნათელი არ იყოს გამომცემლობის ან რედაქციის მიზანი, რისთვისაც „ინფორმაციის მოთხოვნა შეიტანეს მის უწყებაში. ასეთ სიტუაციაში შემდეგი მოქმედებისათვის ჟურნალისტს აქვს ორი გზა: პირველი – იგი მიუთითებს კანონზე „ინფორმაციის, ინფორმატიზაციის, ინფორმაციის დაცვის შესახებ“ [16, 37]. რომლის თანახმადაც, ჟურნალისტი, რედაქცია არ არიან ვალდებულნი აცნობონ ინფორმაციის გამცემებს, თუ რისთვის გამოიყენებენ ამ ინფორმაციას (რა თქმა უნდა, ეს არ ეხება ინფორმაციას სახელმწიფო თუ კომერციული საიდუმლოებების შესახებ და პირთა პირადი ცხოვრების მონაცემებს).

კონფრონტაცია ინფორმაციის გამცემ ორგანიზაციასთან ჟურნალისტისთვის არასასურველ შედეგებს იძლევა. ბოლოს და ბოლოს, ამ ორგანიზაციამ შეიძლება გასცეს მოთხოვნილი ინფორმაცია, მაგრამ ეს მოხდება იმ ვადებში,

როდესაც მას შეიძლება გამოძიებისათვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდეს. შედეგი უკეთესია, როდესაც ირჩევთ მეორე გზას – აუხსნათ ინფორმაციის გამცემ ორგანიზაციას, თუ რისთვის არის ასეთი მონაცემები საჭირო; დაუდასტუროთ, მიუთითოთ იმ მომენტისთვის ამ პუბლიკაციის საზოგადოებისათვის გაცნობის დიდ მნიშვნელობაზე. ამასთან, თუკი უნდა აუხსნათ მიზანი, რისთვისაც გამოიყენებთ ინფორმაციას, შეიძლება იგი ზოგადად იქნეს ჩამოყალიბებული და არა კონკრეტულად, რადგანაც ნიუანსებზე საუბარმა ან აღნიშვნამ, შეიძლება დააფრთხოს ინფორმაციის გამცემი აღნიშნული ფაქტის მიმართ, არასწორი წარმოდგენები შეუქმნას ჟურნალისტის შემოქმედებით ჩანაფიქრსა და მიდგომაზე.

უნდა გადავიხადოთ თუ არა ფული სახელმწიფო დაწესებულებებში ინფორმაციის მიღებისთვის? როგორც ცნობილია, ზოგიერთ დაწესებულებაში ჩინოვნიკები თანხას აწესებენ. აქვთ თუ არა მათ ამის უფლება? ეს საკითხი და ყოველი კონკრეტული შემთხვევა დაფიქსირებული უნდა იქნეს ჟურნალისტის მიერ.

დაწესებულებები უფასოდ იძლევიან ინფორმაციებს, ზოგიერთი ორგანიზაცია კი (მაგ., საკონსულოები, რეესტრები და ა.შ.) მოქალაქეებს ცნობის გაცემისთვის ფულს ახდევინებს.

როგორ მოიქცეს ამ შემთხვევაში ჟურნალისტი, რომელსაც ასეთი ცნობა სჭირდება? პირველ შემთხვევაში მან უნდა გაარკვიოს, რატომაა ინფორმაციის გაცემა ფასიანი სახელმწიფო დაწესებულებაში, რომელიც საბიუჯეტო ორგანიზაციაა? ე.ი. გადამხდელთა ხარჯზე არსებობს და დამატებით ახდევინებს მოქალაქეებს ფულს, რაც კანონდარღვევაა. ჟურნალისტმა უნდა მოითხოვოს უფასო მომსახურება და გაარკვიოს, რის საფუძველზე ითხოვს სახელმწიფო ორგანიზაცია ფულს ინფორმაციის მიღებისათვის, მაგრამ არა მაშინ, როდესაც იგი ატარებს მნიშვნელოვან ოპერატიულ გამოძიებას. ამ შემთხვევაში მან უნდა გადაიხადოს ცნობისთვის, ხოლო მოგვიანებით დაუბრუნდეს ამ საკითხს.

ჟურნალისტმა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეისწავლოს კანონები, რომელიც არეგულირებს მასმედიისა და სახელმწიფო ორგანიზაციების ურთიერთობას. ინფორმაციის გაცემის შესახებ არსებული კანონების ცოდნა ჟურნალისტს

საშუალებას მისცემს, უკეთ განსაზღვროს, რა ინფორმაცია როგორ და რა წესით მოიპოვოს, როგორ მოითხოვოს იგი ისე, რომ უკუშედეგი არ მიიღოს.

სახელმწიფო ორგანიზაციებიდან ინფორმაციის მიღების მეთოდები სხვადასხვა ქვეყანაში

სხვადასხვა ქვეყანას ინფორმაციის მისაწვდომობის სხვადასხვა პირობები აქვს. რიგ ქვეყნებში ინფორმაცია (გარდა სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოებისა) ღიაა, რომ გამოიყენოს მოსახლეობამ, აგრეთვე ჟურნალისტებმა. მაგალითად, აშშ-ში ყველა შტატს აქვს „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ აქტები", რომლებიც მოითხოვს დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობას საჯარო შემოწმებისთვის. ეს კანონები მიიღეს მას შემდეგ, რაც „უოტერგეიტის სკანდალის" დროს ცნობილი გახდა 64 აუდიოჩანაწერზე აღბეჭდილი პრეზიდენტ ნიქსონის საუბრების შინაარსი. საზოგადოება სერიოზულად შეაშფოთა ხელისუფლების საიდუმლოებებმა. მართალია, ამ კანონების მეშვეობით საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო საჯარო დოკუმენტაცია და შეხვედრები, მრავალ შტატში ამის თავისუფლება შეიზღუდა. ორგანიზაცია „საინფორმაციო კოალიციის ეროვნული ფედერაციის" ცნობით, 38-მა შტატმა ხელმისაწვდომობას წინააღმდეგობები შეუქმნა [8, 522-523].

ქართულ მედიაში ეს პრობლემა დღის წესრიგში კვლავ დგას. ქართული მედიასაშუალებები იყენებენ საჯარო და არასაჯარო ინფორმაციებს. ჟურნალისტი ია ანთაძე მათს გამოყენებას ქართულ საინფორმაციო საშუალებებში ასეთ შეფასებასაძლევს – „ქართულ პრესაში მკაფიოდ არის გამიჯნული გაზეთები, რომლებიც უპირატესად საჯარო ინფორმაციაზე მუშაობენ და გაზეთები, რომლებიც კულუარულ ინფორმაციას მოიპოვებენ. თავისთავად, პრესას საჯარო ინფორმაციაც სჭირდება და არასაჯაროც. ოღონდ საქმე ისაა, რომ ნებისმიერი ფაქტი შეიძლება გაშუქდეს მაღალ ან დაბალ პროფესიულ დონეზე, საინტერესოდ ან უინტერესოდ. მეორე მხრივ, არიან ჟურნალისტები, რომლებიც ხშირად წერენ ისეთ ფაქტებზე, რომელთა გადამოწმება შეუძლებელია. მაგრამ თუ მათ მიერ მოპოვებული არასაჯარო ინფორმაცია შემდგომ განვითარებული პროცესებით დასტურდება, მათ მიმართ ნდობის ხარისხი მაღალია. აუცილებელია ერთი ზოგადი განმარტება. საჯარო ინფორმაცია თავისი არსით გაცილებით უინტერესოა, ვიდრე კულუარული.

ოღონდ ეს არ ეხება ექსტრემალურ სიტუაციებს, როდესაც საჯარო ინფორმაციას კულუარული ვერ ცვლის. სულ სხვაა კულუარული ინფორმაცია, რომელთა მიმართ ინტერესი თავისთავად არსებობს და არ არის გასაკვირი, რომ გაზეთები, რომლებიც საიდუმლო ცნობებს გავლენიანი პოლიტიკური ფიგურების ან ჩინოვნიკების მეშვეობით მოიპოვებენ, აქცევენ საჯარო ინფორმაციად. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალისტის პასუხისმგებლობაა, საჯარო ინფორმაცია აქციოს აუდიტორიისთვის საინტერესოდ, ხოლო არასაჯარო აქციოს სანდოდ". ია ანთაძე მკაფიოდ მიჯნავს ერთურთისგან ჟურნალისტების მუშაობის პრინციპს, გემოვნებასა და მათ მიმართ აუდიტორიის ნდობის ხარისხს. ის ამბობს, რომ „საჯარო ინფორმციაზე მუშაობა ჟურნალისტს საშუალებას აძლევს, გაემიჯნოს ინფორმაციის წყაროს და არ შევიდეს მჭიდრო კონტაქტში იმ ადამიანებთან, ვისზეც წერს, შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა. ხოლო თუ ჟურნალისტი მუდმივად მოიპოვებს კულუარულ ინფორმაციას, ცხადია, იგი დაახლოებულია წყაროებთან და მეტ – ნაკლებად დამოკიდებულიც არის მათზე. მისი დამოუკიდებლობის ხარისხი დაბალია, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ინფორმაცია – განსაკუთრებული"....

საქართველოში არსებობს კანონი, რომელიც იძლევა იმის გარანტიას, *რომ სამთავრობო ჩანაწერებისა და სამთავრობო სხდომების უმეტესობა ღია იყოს საზოგადოებისთვის. ეს გარანტიები ჩამოთვლილია ადმინისტრაციულ კოდექსში (მესამე თავი, ინფორმაციის თავისუფლება). 28-ე მუხლში ნათქვამია: „საზოგადოებრივი ინფორმაცია ღიაა, გარდა საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა..."* [16, 28]. *იგულისხმება მხოლოდ ორი გამონაკლისი. პირველი ეხება ეროვნულ უსაფრთხოებას, რაც იმას ნიშნავს, რომ დოკუმენტების გამოაშკარავებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას „დაგეგმილ ან განხორციელების პროცესში მყოფ სამხედრო, სადაზვერვო ან დიპლომატიურ ქმედებათა განხორციელებას და მათ მონაწილეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას". [15, 28] მეორე გამონაკლისი ნებას რთავს პოლიციას, დაფაროს ინფორმაცია კრიმინალური დანაშაულის გამოძიების შესახებ. აქაც არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც გადმოცემულია 28-ე მუხლში. დაპატიმრებისა და მოკვლევის მასალები ღიაა საზოგადოებისათვის. პირადი ინფორმაცია, როგორიცაა სამედიცინო ჩანაწერები, შეიძლება გასაიდუმლოებული დარჩეს, თუმცა სასამართლოს მათი გამოაშკარავებაც შეუძლია* [16, 28].

როგორ მოვითხოვოთ დოკუმენტები საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში?

- შეადგინეთ წერილი უწყების იმ ოფიციალური პირის სახელზე, რომელსაც ეხება დოკუმენტების გაცემა და აღნიშნეთ, რომ, ადმინისტრაციული კოდექსის დებულების თანახმად, გსურთ გაეცნოთ კონკრეტულ საბუთს ან ამა თუ იმ ჩანაწერს გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით. თუ ვერ დაადგენთ, ვინ არის პასუხისმგებელი დოკუმენტის გაცემაზე, მისწერეთ ორგანიზაციის ხელმძღვანელს.
- წერილის ორი ასლი მიიტანეთ დაწესებულების ან შესაბამისი სამსახურის კანცელარიაში. ორივე ეგზემპლარზე დაასმევინეთ ბეჭედი და მოაწერინეთ ხელი. ერთი ცალი ამ დაწესებულებას დაუტოვეთ, მეორე კი თქვენთვის შეინახეთ იმის დასადასტურებლად, რომ ამ უწყებას მიღებული აქვს თქვენი მოთხოვნა.
- უწყება, როგორც წესი, ვალდებულია დაუყოვნებლივ გიპასუხოთ ათი დღის ვადაში, თუკი რაიმე ფიზიკური დაბრკოლება არ არსებობს (მაგ., დოკუმენტები ხელთ არ აქვთ, – შორსაა ანდა საჭიროა მათი მოძიება და შეგროვება სხვადასხვა უწყებიდან). მოითხოვეთ ტელეფონის ნომერი, რათა მოგვიანებით შეძლოთ გადამოწმება.
- თუ უწყება უარს განაცხადებს თქვენს მოთხოვნაზე, მან ეს წერილი უნდა გააფორმოს ამავე ან სხვა კანონის იმ ნაწილის ციტირებით, რომელიც აძლევს მას ამ სახის ინფორმაციის დაფარვის უფლებას. უწყებამ აქვე უნდა მიგითითოთ, სად შეგიძლიათ გაასაჩივროთ ეს გადაწყვეტილება. თუ უწყება ასე არ მოიქცევა, ამით მან დაარღვია კანონი.
- საჩივრით უნდა მიმართოთ იმ პირს, რომელმაც უარი განაცხადა მოთხოვნის შესრულებაზე, უჩვენეთ კანონის ასლი და განუმარტეთ, თუ რატომ არის ღია ეს ჩანაწერები საზოგადოებისათვის. თქვენ შეიძლება შეაცვლევინოთ მას თავისი გადაწყვეტილება. თუ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, მიმართეთ საჩივრების განხილვაზე პასუხისმგებელ პირს ამავე უწყებაში. თუ ამანაც არ გაჭრა, მიმართეთ უწყების ხელმძღვანელს.
- მორიგი მარცხის შემთხვევაში მიმართეთ სასამართლოს. ეს არის საჩივრის უმარტივესი ფორმა, რომელიც იურისტის დაუხმარებლად თავისუფლად შეგიძლიათ შეადგინოთ.
- შესაძლოა, კვლავ დაგჭირდეთ ახალი საჩივრის შეტანა სასამართლოში.

- თუ თქვენ მხოლოდ დოკუმენტებს ითხოვთ და არა ზარალის ანაზღაურებას, ამისათვის დაწესებულია სარეგისტრაციო გადასახადი. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლოს დამთავრებამდე ფიზიკური პირი თავისუფალია ბაჟისგან საჯარო დაწესებულებასთან ადმინისტრაციული დავის დროს. არავითარ შემთხვევაში არ წახვიდეთ კომპრომისზე: რაც უფრო მეტი ქართველი ჟურნალისტი მოითხოვს და მიიღებს ინფორმაციას, მით უფრო ნაკლები თანამდებობის პირი გაგიწევთ წინააღმდეგობას. დოკუმენტები ხშირად უნდა მოითხოვოთ, რათა ოფიციალური პირები შეაჩვიოთ იმას, რომ უარის თქმა, უბრალოდ, შეუძლებელია.

შეეცადეთ იყოთ კეთილგანწყობილი და თავაზიანი, მაგრამ, ამასთან, სიმტკიცეც უნდა გამოიჩინოთ. ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება, საკუთარი თვალით ნახოს ეს საბუთები; ამით თქვენ, უბრალოდ, ამოწმებთ საკუთარ უფლებებს. თუ თქვენი განმარტება დამაჯერებელი იქნება და თან შეძლებთ კანონის ციტირებასაც, ბიუროკრატთა უმეტესობა ვეღარ გეტყვით უარს სათანადო მოთხოვნაზე და მოგცემთ საჭირო დოკუმენტებს. თანდათან თქვენ შეაჩვევთ წყაროებს, ისე შეასრულონ ეს პროცედურა, როგორც ყოველდღიური სამუშაო, ისე, რომ წერილით მიმართვა აღარ დაგჭირდებათ: დოკუმენტები მოთხოვნისთანავე მარტივად გადმოგეცემათ. მთავრობა დოკუმენტების მოწოდებისათვის, როგორც წესი, გადასახადს არ მოგთხოვთ. თუ თქვენ ძალიან ბევრ საბუთს ითხოვთ, დაელაპარაკეთ ამის შესახებ სათანადო პირს და შეეცადეთ მის ან მისი მდივნის ოფისში გადახედოთ დოკუმენტებს, მონიშნოთ, რაც გჭირდებათ, და საჭირო გვერდების ასლები გადაიღოთ. ეს ხარჯებსაც შეგიმცირებთ და მათაც გაუადვილებს მუშაობას, ვინაიდან აღარ მოუხდებათ ასობით გვერდის ასლის გადაღება, რამდენადაც თქვენ ფაქტობრივად მხოლოდ ზოგიერთი მათგანი გჭირდებათ [15, 28].

ღია სხდომების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა

- ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე მუხლში ნათქვამია: „თითოეული კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. არსებობს მხოლოდ ზემოხსენებული

გამონაკლისები, რომლებიც ეხება ეროვნულ უსაფრთხოებასა და სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებას; ისინი მოცემულია 28-ე მუხლში.

- ეს მუხლი ეხება ყველა საზოგადოებრივ სამსახურს, რომელსაც ჰყავს მრჩეველთა ან მმართველთა საბჭო ერთ საზოგადოებრივ პირზე მეტი შემადგენლობით. თუ, მაგალითად, ქალაქის საკრებულოს ან ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევრები ხვდებიან ერთმანეთს თავიანთი სამსახურის სახელით გადაწყვეტილების მისაღებად, ეს სხდომა ღია უნდა იყოს.
- საზოგადოების უმთავრესი უფლებაა იცოდეს, თუ რას აკეთებენ ოფიციალური პირები. მას მით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ჟურნალისტებისათვის, რომლებიც ამ საკითხზე მუშაობენ.
- მაგრამ ჟურნალისტებმა უნდა გამოიყენონ ეს მუხლი. სხდომაზე მყოფი ყოველი ჟურნალისტი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ, თუ თანამდებობის პირები აპირებენ მის დამთავრებას, წამოდგეს და მოითხოვოს ამ მუხლის დაცვა. ხშირ შემთხვევაში ეს ნიშნავს სხდომის გაგრძელებას.
- სამთავრობო პირებს უფლება არ აქვთ საიდუმლო სხდომები მოაწყონ. სხდომა უნდა დაინიშნოს და გამოცხადდეს ერთი კვირით ადრე. საჭიროების შემთხვევაში კი სხდომა ვერ იქნება დახურული საზოგადოების თანხმობის გარეშე. დახურვის მიზეზი საჯაროდ უნდა გამოცხადდეს.
- თუ თანამდებობის პირები შეეცდებიან სხდომის დახურვას, ადექით და განაცხადეთ, რომ თქვენ მას არ დატოვებთ, რადგანაც მისი დახურვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა. თუ სხდომის დახურვა მაინც საჭირო გახდა, ეცადეთ დარბაზი დატოვოთ დაცვის თანამშრომლების თანხლებით [16, 37].

საზოგადოებრივი რეესტრი

ყველა სამსახური ვალდებულია ჰქონდეს დოკუმენტების საჯარო რეესტრი, რომელშიც უნდა აღირიცხებოდეს დაწესებულებაში შექმნილი ან შემოსული ყველა დოკუმენტი. რეესტრში აღრიცხული უნდა იყოს თვით სამართლებრივად საიდუმლოდ წოდებული დოკუმენტებიც კი. თითოეულ სააგენტოს უნდა ჰყავდეს სათანადო პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ ჩანაწერთა ხელმისაწვდომობაზე.

აშშ-ში ფედერალური კანონმდებლობით სახელმწიფო ორგანიზაციები აძლევენ ნებისმიერ მოქალაქეს, მათ შორის უცხოელსაც, ინფორმაციებს მთავრობის

მუშაობის შესახებ, გარდა კანონით გათვალისწინებული შეზღუდვისა. გამოძიების ზოგიერთი (საყურადღებო) მნიშვნელოვანი დოკუმენტი შეიძლება დახურული იყოს, მაგრამ უმრავლესობა ხელმისაწვდომია, თუკი ჟურნალისტმა იცის, ზუსტად რა სჭირდება მას, რატომ და როგორ უნდა გამოიყენოს მიღებული ცნობები.

აშშ-ის სახელმწიფო და საქალაქო ორგანოები ვალდებულნი არიან დაიცვან კანონი „დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ" და სხვა კანონები, რომლის მიხედვითაც მოქალაქეები დაიშვებიან სახელმწიფო ორგანიზაციათა კურსებზე. ჟურნალისტები კარგად იყენებენ ამ საშუალებებს ჟურნალისტური გამოძიების დროს. აქ არის ელექტრონული ვერსიის საშუალებები მონაცემთა ბაზით, რომელშიც შედის სახელმწიფო დოკუმენტები; აშშ-ში მუშაობენ სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტები, რომლებიც ჟურნალისტურ გამოძიებებს ატარებენ; ამერიკული დოკუმენტები მათთვისაც სასრგებლოა. მისი მიღებაც რეალურად ადვილად ხდება. აშშ-ის სახელმწიფო დაწესებულებები განაცხადზე პასუხს იძლევიან 10 დღის (მაქსიმუმ 20 დღის) განმავლობაში. თუკი უარს ამბობენ განაცხადზე, ჟურნალისტს შეუძლია გააპროტესტოს და მასზე პასუხს მიიღებს 20 დღის განმავლობაში.

აშშ-ის სახელმწიფო დაწესებულებებში განაცხადის შეტანის დროს თავდაპირველად უნდა განისაზღვროს, სად შეიძლება იყოს საჭირო ინფორმაცია: საგარეო საქმეთა სამინისტროში, სოფლის მეურნეობის სამინისტროში, თავდაცვის სამინისტროში თუ საერთაშორისო განვითარების სააგენტოში. განაცხადში მკაფიოდ და დაწვრილებით უნდა იქნეს აღწერილი, კონკრეტულად რა არის საჭირო. მაგ., ინფორმაცია პარტნიორის შესახებ, რომელიც მონაწილეობს ერთობლივ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებულ პროექტში (უნდა მიუთითოთ პროექტის ხელშეკრულების დაწყების თარიღი), არ არის აუცილებელი დაწვრილებით იქნეს განმარტებული, რისთვის ითხოვენ მონაცემებს. თუკი ჟურნალისტს უნდა მიიღოს ცნობა უფასოდ, მან უნდა მიუთითოს, რომ ინფორმაცია სჭირდება პროექტის შესახებ მოსამზადებელი სტატიისთვის, რომელსაც პრესით გაეცნობა საზოგადოება. ასეთი განმარტება კანონით ითვალისწინებს უფასო ინფორმაციის გაცემას. განაცხადს უნდა დაერთოს, რა სახით უნდა პასუხი ჟურნალისტს – ფაქსით, ტელეფონით, წერილობით და ა.შ. [17, 142].

საზოგადოებრივი ორგანიზაციები

საქართველოში ბოლო ათი წლის მანძილზე აქტიურად მუშაობს ასობით არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა მიზანია სხვადასხვა ამოცანათა რეალიზაცია – პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, საქველმოქმედო და ა.შ. ასე რომ, თუ გვსურს ვაწარმოოთ დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიება დემოკრატიზმის პრინციპების განხორციელების მიზნით, დემოკრატიის კრიტერიუმებით უნდა განვიხილოთ ისეთი მოვლენები, რომლებიც არასახელმწიფოებრივი სოციალური ინსტიტუტების მმართველობით საქმიანობასთანაა დაკავშირებული. ჟურნალისტიკა გვიჩვენებს, როგორ მონაწილეობენ ქვეყნის მართვის პროცესებში ეს ინსტიტუტები სხვადასხვა დონეზე. ამით იგი ხშირად ქმნის საზოგადოებრივ აზრს და ხელს უწყობს მართვის პროცესის სრულყოფას.... საზოგადოებრივი ორგანიზაციები შეიძლება იყვნენ ჟურნალისტური გამოძიებისათვის სათანადო ინფორმაციის მომწოდებელნი.

რა ინფორმაცია შეიძლება იყოს არასამთავრობო ორგანიზაციაში? საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. 2006 წლის 21 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის სააპელაციო საჩივარი გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე. ეს გადაწყვეტილება შიდა ქართლში რწმუნებულის ადმინისტრაციას ავალდებულებს საჯარო ინფორმაციის გაცემას საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სასარგებლოდ. აღნიშნული ინფორმაცია ჯერ კიდევ 2005 წლის ივნის-ივლისის თვეში იქნა გამოთხოვილი საია-ს გორის ოფისის მიერ 482-ე და 505-ე განცხადებების საფუძველზე. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან მოპასუხე მხარეს წარმოადგენდნენ პროექტის „პრეზიდენტის რწმუნებული ხალხის სამსახურში" დირექტორი ნიკა გეგეშიძე და საია-ს გორის ოფისის ხელმძღვანელი ქეთევან ბებიაშვილი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მიუღებლად მიაჩნდა შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მიხეილ ქარელის ადმინისტრაციის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საჯარო ინფორმაციის

გაუცემლობა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა უხეში დარღვევების ფაქტები.

ასეთი ტიპის ინფორმაციას ეს არასამთავრობო ორგანიზაცია თავისუფლად გასცემს, უფრო მეტიც, ჟურნალისტს ხელს შეუწყობს, კონსულტაციებს გაუწევს სწორად, სამართლებრივ პრინციპზე დაყრდნობით აწარმოოს თავისი სამუშაო. არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო მისაწვდომია ჟურნალისტ-გამომძიებლისათვის. ბევრი თვითონაა დაინტერესებული ჟურნალისტური გამოძიების ხელშეწყობაში ან ამ მხრივ აინტერესებს ორგანიზაციის წარდგენა საზოგადოების წინაშე.

ბიბლიოთეკები

ჟურნალისტურ საქმიანობაში დახელოვნებული ჟურნალისტებიამბობენ, რომ ნებისმიერი მასალის მომზადება იწყება ბიბლიოთეკაში. ჟურნალისტი უნდა გახდეს ექსპერტი თავისი პროექტის თემატიკაში. ერთ-ერთ უპირველეს ნაბიჯს წარმოადგენს კონკრეტულ თემაზე ინფორმაციის გადამოწმება საკუთარი ორგანიზაციის ან სხვა ბიბლიოთეკაში. ეს არის კვლევის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც ბევრი დამწყები ჟურნალისტი უგულებელყოფს. მართალია, ზოგჯერ საინფორმაციო სტატიები ხელმისაწვდომია ინტერნეტის საიტებზე ან კომპაქტდისკებზე, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ისე, როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში, ეს მასალები ხშირად ინახება ქაღალდის ფურცლებზე და ზოგჯერ დახარისხებულია ქრონოლოგიურად.

ჟურნალისტმა უნდა მოიძიოს სხვა მასალებიც – გაზეთები, წიგნები, ჟურნალები, ბროშურები, სამთავრობო მოხსენებები, რეფერატები და სადოქტორო თეზისები. ამ მასალების გაცნობა არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯი კვლევით პროცესში და აუცილებელი იმისათვის, რომ ჟურნალისტმა გაიაზროს თემატიკა თავიდან ბოლომდე რათა ააგოს შემოქმედებითი გეგმა. ბიბლიოთეკა მართლაც აძლევს საშუალებას ჟურნალისტს, შევიდეს მიმდინარე ყოველდღიური ცხოვრების აქტუალური, ოპერატიული ინფორმაციის სამყაროდან მრავალგანზომილებიან ინფორმაციის სამყაროში, სადაც ოპერატიული ინფორმაციებიც არის და წინა დღეებისა თუ წლების, თუნდაც

საუკუნისწინანდელი ინფორმაციები. ასევე შემეცნებითი მასალა, რომელიც შეიძლება ამოკრიფო ცხოვრების სხვადასხვა სფეროდან. რაც მთავარია, ბიბლიოთეკაში ინფორმაცია სისტემატიზებულია სხვადასხვა კატალოგების მიხედვით (ალფაბეტის, თემატიკის, დარგის და ა.შ.), რაც აადვილებს საჭირო მონაცემების მიღებას. ბიბლიოთეკაში მუშაობენ ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ კონსულტაცია გაუწიონ ჟურნალისტ-გამომძიებელს, სწორ გზაზე დააყენონ ისინი; აუხსნან სხვადასხვა ფონდების დანიშნულება და მნიშვნელობა, დაეხმარონ ჟურნალისტს, მიაგნოს საჭირო მასალას.

ჟურნალისტს დაეხმარება პერიოდიკის განყოფილება, სადაც შეუძლია იპოვოს გამოსაძიებელი თემისთვის აუცილებელი, მნიშვნელოვანი მოვლენების ამსახველი ინფორმაციები, შეიძლება იქვე იპოვოს ინფორმაციის წყაროც, პუბლიკაციები კოლეგა-ჟურნალისტების მიერ წარმართული ჟურნალისტური გამოძიების შესახებ, გაიგოს გამოძიების შედეგები, რამაც შეიძლება მისცეს მიმართულება მის გამოძიებებს. მაგალითად, რეპორტაჟი „კონფლიქტური ზონიდან დევნილებთან“, რომლებიც დაასახლეს მათთვის არახელსაყრელ პირობებში (სადაც არც წყალია, ნიადაგიც უსარგებლოა). შეიძლება გაჩნდეს კითხვები, რატომ არ გადაიყვანეს ეს ადამიანები საცხოვრებლად ნორმალურ ადგილას და დაიწყოს გამოძიება; საინტერესოა აგრეთვე, მიწა რამდენად ნაყოფიერია? მიზნობრივად დაიხარჯა თუ არა მათთვის ის თანხები, რომელიც ევროკავშირმა დახმარების სახით მათ გამოუყო? [78, 80-281].

პერიოდულ გამოცემებში შესაძლოა, კვალიფიციური კომენტარებიც იყოს დაბეჭდილი ახალი კანონების ან პრეზიდენტის გადაწყვეტილებების შესახებ, მთავრობის მიმდინარე დადგენილებებზე და ა.შ.

საინტერესო მონაცემები შეიძლება შეხვდეს მომავალი გამოძიების თემის მაძიებელ ჟურნალისტებს სარეკლამო გამოცემებსა და საქმიან გაზეთში, როგორიც არის, მაგ., „სიტყვა და საქმე“, სადაც განყოფილებაში „გთავაზობთ სამუშაოს“, შეხვდებით განცხადებას „სამუშაო საზღვარგარეთ“ ან „დაგეხმარებით ვიზის მიღებაში“ და ა.შ. ეს ყოველივე იძლევა იმის საშუალებას, რომ ჟურნალისტმა დაადგინოს სიმართლე და საშუალება არ მისცეს თაღლითებს მოატყუონ ადამიანები [78, 282].

ბიბლიოთეკებს აქვთ სხვადასხვაგვარი ცნობარები, საიდანაც შეიძლება ამოიკრიფოს სტანდარტული მონაცემები კვების პროდუქტების ხარისხის შესახებ. შემდეგ შესაძლებელია, გამოირკვეს, რამდენად შეესაბამება ნებისმიერი სუპერმარკეტის პროდუქტი ამ სტანდარტებს. კონკრეტულად შეიძლება ავიღოთ ხორცის, რძის ან პურის პროდუქტები. ვინ აკონტროლებს მის ხარისხს და ა.შ. დიდი შემეცნებითი პოტენციალი აქვს სპეციალიზებულ პერიოდიკას; სპორტულ, ეკოლოგიის, ქალთა, ავტომოყვარულთა, ახალგაზრდულ, მამაკაცთა და სხვა გამოცემებშიც გვხვდება პრობლემები, სიტუაციები, შემთხვევები, რომელთა გაცნობის შემდეგ შეიძლება დაიწყოს აქტუალური ძიება. გარდა ამისა, ამ გამოცემებში ჟურნალისტი-გამომძიებელი შესაძლოა, შეხვდეს საჭირო რჩევებს, მისამართებს და ა.შ.

ბიბლიოთეკის პერიოდიკის განყოფილებაში ჟურნალისტს საინტერესო ფაქტის გარდა, შეუძლია, გაიგოს ამ ფაქტთან დაკავშირებულ ადამიანთა სახელები, ორგანიზაციების დასახელება, დოკუმენტების მითითება, მოწმეთა ჩვენებები, დამატებითი ფაქტები. ეს ინფორმაციები ძალიან სასარგებლოა – ჟურნალისტს ეცოდინება, საიდან დაიწყოს გამოძიება. აუცილებელია უკვე გამოქვეყნებული მასალების გადამოწმებაც და ამავე თემაზე მომდევნო პუბლიკაციებთან შედარება.

ჟურნალისტს ბევრი სასარგებლო მონაცემის შეკრება შეუძლია წიგნიდან, რომელიც რომელიმე კონკრეტულ გამოძიებას ეხება. იგი მკითხველს აძლევს ღრმა დეტალურ ინფორმაციას. მაგრამ როდესაც მათ მიმართავენ, როგორც წყაროს, აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ რა ტიპის გამოცემაა. მაგ., სამეცნიერო თემა აუცილებლად გამოირჩევა სიზუსტით, განხილვის ლოგიკითა და ფაქტის უტყუარობით. იმ შემთხვევაში, როდესაც ჟურნალისტი-გამომძიებელი თავისი განსჯის დასამტკიცებლად იყენებს მემუარულ ან სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას, შესაძლოა, აქ მოყვანილი ფაქტები არ იყოს ზუსტი.

განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო ე.წ. „საიდუმლო ლიტერატურისადმი“ [78, 283]. საქართველოს კანონების მიხედვით, რომელიც ეფუძნება დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების კანონებს, ჟურნალისტს არ აქვს უფლება გაახმოვანოს, სააშკარაოზე გამოიტანოს სახელმწიფო თუ სამხედრო საიდუმლო,

არ შეუძლია გამოიყენოს ამ ლიტერატურიდან აღებული მონაცემები. ჟურნალისტმა თუ ეს ლიტერატურა როგორღაც გაიცნო, შეუძლია მხოლოდ აიღოს ორიენტაცია ამა თუ იმ სიტუაციაში აღებული მასალის მიხედვით, მაგრამ საიდუმლო მონაცემების პუბლიკაცია არ შეიძლება. არის შემთხვევა, როდესაც ამგვარი მასალა აშკარავდება, ხდება ღია და აღარ არის აკრძალული,მაშინ ჟურნალისტს შეუძლია მიუთითოს და დაიმოწმოს ეს ლიტერატურა.

ჟურნალისტს შეუძლია იქვე, ბიბლიოთეკის ფონდების მიხედვით ჩაატაროს გამოძიება მოპოვებულ მასალაზე. ამის თვალსაჩინო მაგალითია რუსული ყინულმჭრელის „ჩელუსკინის" დაღუპვის ამსახველი მასალების საფუძველზე ჩატარებული გამოძიება. ჟურნალისტმა ეს მასალა შეკრიბა ბიბლიოთეკაში. იქვე დაიწყო გამოძიება იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი ინფორმაციით „ჩელუსკინს" მიჰყვებოდა მეორე გემი „პიჟმა", რომელსაც გადაჰყავდა 2 ათასი პატიმარი. ეს გემი განზრახ ჩაძირეს და იქვე, გახდა ცნობილი, რომ იძირება „ჩელუსკინიც". ვის გადაჰყავდა ხალხი? სად მიდიოდნენ? რატომ მიჰყვებოდა და რად სჭირდებოდა „ჩელუსკინს" ეს თანამგზავრი გემი? ამ შეკითხვაზე რომ ეპასუხა, ავტორმა გამოიკვლია ამ გემების ისტორია დასაწყისიდან. ყველა საჭირო მასალა მან ბიბლიოთეკაშივე აღმოაჩინა. იქვე, ერთ-ერთ პუბლიკაციაში ნახა სახელი კარინა, რომელმაც უამბო ჟურნალისტს, რაც თვითონ იცოდა, რაც მაშველებმა და მათმა მეგობრებმა გადასცეს. ეს იყო ჟურნალისტის წარმატება, რომელსაც მიაღწია ბიბლიოთეკაში მიზანმიმართული მუშაობის შედეგად [78, 106-109]. ელექტრონული ვერსიითა და ინტერნეტით სარგებლობისას, რომელიც ამ მიმართებით ინფორმაციის უშრეტი წყაროა, ჟურნალისტმა უნდა განსაზღვროს, თუ რა არის კარგი, ღირებული, ორიგინალური მასალა და რომელია მეორე ხელიდან მიღებული ინფორმაცია, რომელსაც გადამოწმება სჭირდება...

არ უნდა დავივიწყოთ საბიბლიოთეკო სხვა წყაროებიც, მაგალითად, „ვინ ვინ არის", ენციკლოპედია, თუნდაც ტელეფონების ცნობარი, რაც შესაძლოა ღირებულ ინფორმაციას შეიცავდეს.

არქივები

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყარო ჟურნალისტური გამოძიების დროს არის არქივი, რომელიც შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოებრივ ორგანიზაციას, კერძო პირს და ა.შ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არქივს მაშინ, როდესაც ჟურნალისტური გამოძიება ეხება ისტორიულ საიდუმლოებას ან მოვლენას. საარქივო დოკუმენტებზე მუშაობას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ჩატარებული მუშაობის შედეგად ჟურნალისტი მიიღებს სარწმუნო ინფორმაციას, რაც არქივში დამტკიცებულია მეცნიერების მიერ, რომელნიც ამ დოკუმენტებზე მუშაობდნენ. არქივში ზოგიერთი საინტერესო მასალა იმის გამო, რომ იგი მიიჩნიეს სახელმწიფო საიდუმლოდ, შეიძლება ამოღებული იყოს და ჟურნალისტს, ბუნებრივია, ასეთი დოკუმენტის მოძიება უკვე სხვა საინფორმაციო წყაროდან მოუწევს.

საარქივო დოკუმენტების გამოყენება შეიძლება როგორც ბეჭდვით, ისე ელექტრონულ მედიაში. მისი ეფექტურად გამოყენება შემოქმედებითი ჯგუფის ხედვასა და ოსტატობაზეა დამოკიდებული, რომ აუდიტორიას მკაფიო წარმოდგენა შეექმნას ამა თუ იმ დოკუმენტის დედაარსზე.

საარქივო ინფორმაციის როლი გამოძიების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარია. საარქივო ინფორმაცია შეიძლება სრულიად მოულოდნელად გახდეს ჟურნალისტური გამოძიების მიზეზი და მაშინ ჟურნალისტი წინასწარგანზრახვით მიმართავს არქივს, რომ იპოვოს საინტერესო თემა ჟურნალისტური გამოძიებისათვის.

არქივში თემის ძიება ეფექტურია მაშინ, როდესაც ჟურნალისტმა იცის, რისთვის მივიდა არქივში, რა უნდა ეძებოს, როდესაც მას უკვე აქვს პირველადი ინფორმაცია. ამ დროს ჟურნალისტმა ისიც იცის, თუ რომელ არქივში შეიძლება იპოვოს გამოძიებისთვის საჭირო ინფორმაცია. საარქივო ინფორმაცია ზოგ შემთხვევაში არის თემის დამატებითი არგუმენტაციის მატარებელი, ზოგჯერ კი საარქივო ინფორმაციას შეუძლია სხვა მიმართულებით წაიყვანოს გამოძიება, უარყოს უკვე არსებული ცნობები. სხვადასხვა სახის არქივი არსებობს: სახელმწიფო, ორგანიზაციების და კერძო პირთა არქივები.

თანამედროვე არქივებში მუშაობას აადვილებს ის, რომ თითქმის ყველას აქვს თავისი ვებგვერდი ინტერნეტში. არსებობს სისტემატიზებული, კომპიუტერული, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მონაცემების ბაზა. მისი დამუშავება და საინფორმაციო ბანკის შექმნა ამ დარგში პოსტსაბჭოთა სივრცისა და ამერიკული თანამშრომლობის რეზულტატია „არქეობიბლიობაზა“ შექმნილია მკვლევართათვის და მითითებულია, რა რომელ არქივში ინახება, რა საცნობარო საშუალებები არსებობს. ყოველგვარი არქივის მისამართს ნებისმიერ მაძიებელს აძლევს სატელეფონო საინფორმაციო სამსახური. როდესაც განისაზღვრება, თუ რომელ არქივში შეიძლება საჭირო ინფორმაცია იყოს, ჟურნალისტი ამზადებს წერილს (განაცხადს, შეკითხვას), რომელშიც მიუთითებს, თუ რა მიზნით ითხოვს ინფორმაციას. წერილი უნდა იყოს მედიაორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ დამოწმებული.

ამერიკელი ჟურნალისტები (გაზეთი „ფილადელფია ინქვაირერი“) დონალდ ბარლეტი და ჯეიმს სტილი, რომელნიც აღიარებულნი არიან აშშ-ის ჟურნალისტ-გამომძიებელთა შორის საუკეთესო წყვილად, ეფექტურად იყენებენ არქივს ჟურნალისტური გამოძიების დროს. გამოძიებებს ისინი არქივში იწყებენ. ასე იყო მაშინ, როდესაც გაზეთში მათ დაავალეს, შეემოწმებინათ, მართალი იყო თუ არა ფედერალური ადმინისტრაციის მიერ ჩადენილი სპეკულაცია და ძალაუფლებისბოროტად გამოყენება. ეს ფაქტი ცნობილი გახდა ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლის აშენებისა და მათი განახლების პროგრამის შესრულების დროს, რომელიც სენატის მიერ იყო დამტკიცებული. ჟურნალისტებმა მუშაობა დაიწყეს ფედერალური დოკუმენტების არქივში, ადმინისტრაციის, აგრეთვე სხვა დაწესებულებების არქივში. „გადავქექეთ მასა აქტებისა, საგირავნო ფურცლებისა, რომ გაგვეგო, როგორ მოქმედებდნენ სპეკულანტები და ვინ ყიდულობდა მათი ნებართვით ბინებს. მოვინახულეთ ეს სახლები და ვესაუბრეთ იქ მცხოვრებთ, გვინდოდა გაგვეგო, რამდენი სახლი უნდა გვენახა, რომ ჩვენს დასკვნებში დავრწმუნებულიყავით... “ [78, 286-287].

ამ გამოძიების დროს ბარლეტი და სტილი აღმოჩნდნენ განსაკუთრებულ სიტუაციაში. მაშინ, როდესაც არაფერი მიუთითებდა, რომ საქმის გახსნისთვის საჭირო იყო დიდი ძალისხმევა, ჟურნალისტები წააწყდნენ დოკუმენტს, რასაც ეწოდა საინფორმაციო გარღვევა.

„მთელი კვირა ვიქექებოდით დოკუმენტებში, – ამბობს სტილი, – თანდათან გამოიკვეთა უყაირათობის სურათი. მაგრამ შემთხვევით ერთ „ფაილში" წავაწყდით დოკუმენტს, თუ რაოდენ დაშორდა საცხოვრებლის მშენებლობა იმ მიზანს, რომელიც მას დაუსახა აშშ კონგრესმა. სახლები, რომელსაც თითქოს მოსახლეობის ღარიბი ფენისათვის აშენებდნენ, აღმოჩნდა ჩინოვნიკებისა და ოფიცრების ხელში, შემდეგ კი ისინი შესახლდნენ"...

ერთ-ერთი გამოძიების დროს, როდესაც ბარლეტმა და სტილმა გადაწყვიტეს გამოეძიათ, რატომ ათავისუფლებდნენ სასამართლოდან ასე ადვილად სხვადასხვაგვარ თაღლითებს, ქურდებსა და ბანდიტებს, მუშაობა ისევ არქივიდან დაიწყეს.

„გავატარეთ რა დახუთული ზაფხული არქივში, შევისწავლეთ 1034 საქმე მკვლელობაზე, გაუპატიურებასა და ძარცვაზე", – წერს დ. ბარლეტი. "შეისწავლეს 400 გვერდი ამონაბეჭდი კომპიუტერიდან, ჩაატარეს მრავალი ინტერვიუ სასამართლოებში – მსხვერპლთან, პროკურორებთან, ბრალდებულებთან, დამცველსა და მოსამართლეებთან. ბარლეტმა და სტილმა დაწერეს სტატიათა სერია იმის შესახებ, როგორ აღასრულებდნენ მოსამართლეები უსამართლო მართლმსაჯულებას" [78, 288-290]. ამ სტატიების სერიაზე გავრცელდა ხმები ჟურნალისტებს შორის, განსაკუთრებით არქივში კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. მათი სტილი შემდეგ გადაიღეს სხვა ქვეყნების ჟურნალისტებმა. საარქივო ცნობების დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, მათი უტყუარობა ხანდახან ეჭვქვეშაა; ამის მთავარი მიზეზი კი არის ის, რომ ეს დოკუმენტები და ცნობები, რომელიც არქივში იყრის თავს, შექმნილია ადამიანების მიერ. დაინტერესებული პირები შეიძლება ზოგჯერ მიზანმიმართულად აყალბებდნენ დოკუმენტს ან განგებ უშვებდნენ შეცდომებს. შესაძლოა, რომელიმე მოვლენის აღწერისას დაუშვეს უნებლიე უზუსტობა და ამ სახით შევიდა არქივში. ეს შენიშვნა არსებითია ყველა სახის არქივისთვის, თვით საიდუმლო არქივისთვისაც, სადაც ადამიანს ჰგონია, რომ ეცნობა ყველაზე ზუსტ ინფორმაციას.

ცნობილი ამერიკელი მათემატიკოსი და მზვერავი უოლტერ ლაკერი ამბობს: „ამ საიდუმლო საბუთებში, რაპორტებში, დაშიფრულ წერილებში არის სიმართლე,

ნახევრად სიმართლე და სიცრუე. ჩემი მეგობარი, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების არქივების შესწავლით არის დაკავებული, უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ დოკუმენტების უამრავი რაოდენობაა ამ არქივებში, მაგრამ არ არის შესაძლებლობასერიოზული სამეცნიერო კვლევისა“ [78, 290-291].

გერმანული უშიშროების სამსახური არ განსხვავდებოდა საბჭოთა „კგბ“-სგან, ამიტომ მკვლევრები, რომელნიც მზვერავების საქმეებს იკვლევდნენ, შეიძლება დაწვრილებით აღწერილ ქაღალდებში ჩაიძირონ; ისინი იქექებიან ამ ქაღალდებში და არ უჩნდებათ შეკითხვა: რისთვის კეთდება ყველაფერი სწორედ ამგვარად? რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას? თუ ეს არის უბრალოდ აქტივობის სიმულაცია? არის აგრეთვე ერთი, უფრო პროფესიონალური ავადმყოფობა – ჯაშუშები ყოველთვის გადაჭარბებით აფასებენ თავიანთ მნიშვნელობას.

ბისმარკი თავის მემუარებში წერდა, რომ არასოდეს ენდობა თავის ჯაშუშებს, რადგან ისინი დიდ დროს უთმობდნენ იმაზე ფიქრს, თუ რა ისტორიები შეეთხზათ იმისათვის, რომ ემტკიცებინათ თავიანთი განუმეორებლობა და პროფესიონალიზმი, და ის, რომ მათზე ფული ამაოდ არ იხარჯება. [78, 291].

არქივებში შენახულია სახელები ადამიანებისა, რომელთაც ამ სამსახურებთან არაფერი აქვთ საერთო და არც ჰქონიათ. ეს ეხება არა მარტო საბჭოთა დოკუმენტებს, არამედ ამერიკულსაც, რომელიც დროთა განმავლობაში აშკარავდება. ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც დაელაპარაკა ჯაშუში, გადაიქცევა „წყაროდ“ [78, 291]. ამიტომ ხშირად ნაკლებ დამაჯერებელია, რასაც მის ნათქვამად მოიხსენიებენ. გამონაგონი გადაიქცევა კარგად ინფორმირებულ წყაროსაგან გაგონილად, შემდეგ კი ეს გაგონილი ცხადდება ფაქტად. საარქივო ცნობები ისე, როგორც სხვა ნებისმიერი, საჭიროა გადამოწმებული იქნეს. იმ შემთხვევაში, თუკი ეს შეუძლებელია, აუცილებელია მითითება, როგორ, საიდან, რა გარემოში და რა მიზნით შეადგინეს ეს ცნობები? ცნობებში მითითებული მოვლენები უნდა ემთხვეოდეს მათი აღსრულების მომენტს. მხოლოდ მაშინ გაუწევს ეს ცნობები დახმარებას ჟურნალისტურ გამოძიებას.

ჟურნალისტის პირადი არქივი

ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა ჟურნალისტის პირადი არქივი. იგი შეიძლება შეიქმნას სტიქიურად ან რაღაც პრინციპზე – თუ როგორ გადაწყვეტს თვით ჟურნალისტი. იმის მიხედვით, თუ კერძოდ რისი გამოძიება სურს, მას შეუძლია სხვადასხვა სახის დოსიეს შედგენა. მათ შორის შედარებით ცნობილია შემდეგი:

თემატური დოსიე. ამგვარი დოსიეს შედგენისას ჟურნალისტი მუშაობს იმ მოსაზრებით, რომ რაც შეიძლება მეტი სხვადასხვაგვარი დოკუმენტი შეაგროვოს (ტექსტები, ფოტო, ვიდეო, აუდიოჩანაწერები და ა.შ.) მისთვის საინტერესო თემაზე. ამ დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ კონცეფციის სისწორეს, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბებულია საწყისი წარმოდგენა ობიექტის შესახებ, აგრეთვე არსებითი ნიშან-თვისებებისა და კავშირების დასაბუთებული შერჩევა.
ეს თემა კი შეიძლება იყოს განუსაზღვრელი. მაგ, კრიმინალისტიკის სფერო. მაგრამ ამ სფეროში გამოძიების შესახებ შესაძლებელია შეგროვილ უამრავ მასალათა შორის არაფერი აღმოჩნდეს. დოსიე რომ ეფექტურად გამოვიყენოთ, იგი თემის მიხედვით უნდა შევადგინოთ. მაგ., „სამართალდამცავების მიერ უმნიშვნელო დანაშაულში ეჭვმიტანილების მიმართ უსამართლო მოქცევის კონკრეტული რამდენიმე ფაქტის შეგროვება...“ [78, 292]. ამ შემთხვევაში იქ თავს მოიყრის უფრო კონკრეტული და ამავე დროს მრავალფეროვანი მასალა თემის შესახებ. ჟურნალისტური გამოძიების დროს ასეთ დოსიეს დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითისთვის, აშშ-ში გაზეთ „ფილადელფია ინქვაირერ“-ში გამოქვეყნდა ორი ახალგაზრდა დამწყები ჟურნალისტის – მარიმოუს და ჯონ ნიუმანის – სტატია სათაურით „მკვლელობის მასალები“ [78, 293].

ეს იყო პუბლიკაცია, რომელიც ახლაც მსოფლიოს თანამედროვე ჟურნალისტურ გამოძიებაში ისწავლება. სტატიის მიხედვით, ფილადელფიის პოლიცია სცემდა და აიძულებდა უდანაშაულო, ხშირად ღარიბ და დაუცველ ადამიანებს, ეღიარებინათ მკვლელობის ჩადენა. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ზოგიერთი ეჭვმიტანილი უდანაშაულოდ ცნეს. სხვა ეჭვმიტანილები გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც მათი აღიარება ცნეს უკანონოდ. სტატიის შედეგად პოლიციის დეპარტამენტში სისტემური ცვლილებები დაიწყო. მისი ავტორები კი გახდნენ რედაქტორები და მისაბაძი მაგალითები ყველა სხვა ახალბედა ჟურნალისტისათვის, რომელსაც ისინი შემდგომში ეხმარებოდნენ. სტატიის შედეგი განაპირობა ამ ფაქტის შესასწავლად სწორად შეგროვილმა თემატურმა

დოსიემ [76, 293]. ჟურნალისტებმა სამართალდამცავების შესახებ შეაგროვეს ისეთი მამხილებელი, არგუმენტირებული თემატური ფრაგმენტები, რომელმაც უზრუნველყო სტატიის წარმატება და მასზე სათანადო რეაგირება. რაც მთავარია, ჟურნალისტ-გამომძიებლები ამით იმსახურებენ წარმატებას, აღწევენ მიზანს, მოიპოვებენ პატივისცემასა და აღიარებას. ამ დროს ჟურნალისტს უჩნდება შეგრძნება, რომ იგი სასარგებლო საქმეს აკეთებს და საზოგადოებას ემსახურება.

პრობლემური დოსიე. ამ სახის დოსიეს შედგენისას გასათვალისწინებელია არა განსაზღვრული სფერო ან მიმართულება, რომელიც ასახული არის შეგროვილ პუბლიკაციაში, არამედ პრობლემა, რომლის შესახებაც მასში ფაქტებია წარმოდგენილი. მაგ., ხე-ტყის გატანა საქართველოდან. ამ შემთხვევაში დოსიეში თავს იყრის პუბლიკაციები, რომლებშიც განხილულია ხე-ტყის გატანის პრობლემა. აქ არის დოკუმენტები, ფაქტები ამ უკანონო მოვლენასთან, თუ კანონიერად გატანასთან დაკავშირებით, როგორ ებრძვიან ამ დანაშაულს სხვა ქვეყნებში და ა.შ.

ხშირად გაშუქებული საგამოძიებო მასალები ასახავს, თუ რა ცუდად მუშაობს ესა თუ ის სფერო. ჟურნალისტმა უნდა მიაკვლიოს უკეთესად მომუშავე სისტემას და არსებული მას შეადაროს. მაგალითისთვის, თუ ჟურნალისტები იკვლევენ, რა ჩავარდნები აქვს ამინდის პროგნოზირების სამსახურს, აუცილებელია მოიძებნოს უკეთესად მომუშავე ანალოგიური ორგანიზაცია სხვა ქალაქებში ან ქვეყნებში. ამით ჟურნალისტ-გამომძიებელი დაეხმარება ამ სფეროს განვითარებას [78, 292].

პრობლემურ საკითხთა დოსიეს ის ღირებულება აქვს, რომ იგი უჩვენებს ჟურნალისტ-გამომძიებელს არა მხოლოდ იმას, როგორ შეიძლება მოხდეს დანაშაული, რა მიზეზთა გამო, არამედ უკარნახებს (ან ასწავლის) იმ გზებს, თუ როგორ შეიძლება ამ დანაშაულის შეჩერება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის.

პიროვნებათა დოსიე. ჟურნალისტ-გამომძიებელი აგროვებს მონაცემებს პიროვნებების შესახებ; ამგვარი დოსიე არის სხვადასხვა შინაარსისა. პიროვნება, რომლის შესახებაც გროვდება ცნობები, შეიძლება წარმოდგენილი იქნეს

სხვადასხვა ასპექტით. მაგალითად, პიროვნება შეიძლება ნაჩვენები იყოს, როგორც პოლიტიკური ლიდერი – ერთ შემთხვევაში, მეორეში კი – როგორც კარგი სპეციალისტი, მესამეში – როგორც სპორტული შეჯიბრებების მონაწილე და ა.შ. აქვე ხაზგასმით არის აღსანიშნავი, რომ პიროვნების პირადი ცხოვრების დეტალები შეიძლება გახდეს ცნობილი თვით პიროვნებისგან და პუბლიკაციებით, რაც მის შესახებ გამოქვეყნებულა. კანონს ექვემდებარება აგრეთვე ფარული მასალის შეგროვება და ვიდეო-აუდიო მასალის ჩაწერა პიროვნების შესახებ [78, 293].

„სახელმწიფო სამსახურში ინტერესების კონფლიქტისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლში მოცემული ნუსხის მიხედვით, ყველა ოფიციალური პირი ვალდებულია, შეავსოს ფორმა, რომელიც ასახავს მის ფინანსურ მდგომარეობასა და შემოსავლებს; ეს ფორმა შეინახება საფინანსო დეკლარაციების ბიუროში. თანამდებობის პირთა პირადი ფინანსური ინფორმაცია შეგვიძლია, მოვითხოვოთ სწორედ ამ დაწესებულებაში [76, 294].

პერსონალური დოსიე სხვადასხვა ადამიანების შესახებ უფრო პრაქტიკულად გამოიყენება, როდესაც იგი არის სისტემატიზებული, შედგენილია კარტოთეკა. დროთა განმავლობაში ამგვარი დოსიე მრავალგვერდიანი და დიდი მოცულობის ხდება. შეიძლება მისი შეტანა კომპიუტერში, მაგრამ ინტერნეტიდან ამოღებული მასალა, საგაზეთო სტატიისგან განსხვავებით, სასამართლოს მიერ მტკიცებულებად არ მიიღება. დოსიეს ნებისმიერი სახით შედგენისას, მასალას გარკვევით უნდა ეწეროს თარიღი, რაც მას დოკუმენტად აქცევს.

2.3. წყაროს მოპოვება და შენარჩუნება

ამ საკითხში განვიხილავთ იმ პირობებსა და ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ ინფორმაციის წყაროს არაკრიტიკულ აღქმას, მათი ანალიზისა და შემოწმების მოტივაციის უქონლობას. მოყვანილია კომუნიკატორის იმ სტატუსთა ავტორისეული კლასიფიკაცია, რომელთა მეშვეობითაც მოიპოვებს იგი ნდობას.

„სტატუსისა“ და „ნდობის“ კატეგორიების მოშველიებით ჟურნალისტ-გამომძიებელი განმარტავს ისეთ სოციალურ-ფსიქოლოგიურ მოვლენებს, როგორიცაა: საჯარო სიტყვა, გარემოებები, რომლებიც ხელს უწყობენ საჯარო სიტყვის ეფექტურობას, განიხილავს საზოგადოებრივი აზრისა და განწყობილების განვითარებისა და გამოვლინების პასიურსა და აქტიურ ფაზებს. ყოველივე ამის საფუძველზე გამოაქვს დასკვნა, რომ უდიდესი ძალა აქვს საჯარო სიტყვას, თუ მას წარმოთქვამს ის, ვინც საჭიროა, სადაც და როცაა საჭირო... ამ შემთხვევაში ნაგულისხმევია საზოგადოებრივ ცნობიერებაზე სიტყვის ზემოქმედების ეფექტიანობა, რაც წარმოადგენს მცდელობას, ყურადღება მიიპყრონ და თავად შექმნან ინტერესი ამა თუ იმ აქტუალური პრობლემის მიმართ, მოახდინონ საზოგადოების დარაზმვა განსაზღვრული საკითხის გადასაწყვეტად თუ არა, განასახილველად მაინც.

ეს მით უფრო საყურადღებოა დღეს, როდესაც ზოგიერთი ჟურნალისტიკის ექსპერტის დაკვირვებით, ნდობის კრიზისთან დაკავშირებით ჟურნალისტური გამოძიების საქმიანობაში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ისეთი ცნება, როგორიცაა, ინფორმაციის წყაროს გამოყენებისას ეთიკური ნორმებისა და სანდოობის დაცვა. კოდექსს შეუძლია უზრუნველყოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი სიმტკიცის განცდა. ამასთანავე, კოდექსი მიზნად ისახავს, თავიდან აიცილოს სახელმწიფოს ჩარევა, რაც განსაკუთრებით სახიფათოა, როცა საქმე მედიას ეხება [1, 58]. ეს მნიშვნელოვანია არა მარტო თავად ჟურნალისტებისათვის, არამედ აგრეთვე მომხმარებლებისთვის, რომლებიც მეტად მგრძნობიარენი არიან, როდესაც ეს ნორმები ირღვევა, მით უფრო, რომ ხშირად ისინი გადაჯაჭვულნი არიან ადამიანის უფლებების დაცვასთან. ამ შემთხვევაში ძირითადი კრიტიკოსი და განმსჯელი მოსახლეობაა, რომელიც იღებს მოცემულ მასალებს. გამოძიებაში გამოცდილი და დახელოვნებული ჟურნალისტები იშვიათად თუ ვარდებიან საეჭვო ვითარებაში და თითქმის არასოდეს აძლევენ სენსაციურ წყაროს უპირატესობას. ამ შემთხვევაში ჟურნალისტისთვის ძირითადი უნარია, შეარჩიოს ნამდვილად ვარგისი ინფორმაცია და წარმოაჩინოს მისი აქტუალურობა, ჩართოს მკითხველი, მსმენელი, მაყურებელი დასმული პრობლემისა თუ ინტრიგის არსში იმისთვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული წყაროს საეჭვოობა, არ მოხდეს საინფორმაციო წყაროებისგან დაზუსტებული ფაქტების არასწორი და განსხვავებული მიზნების განხორციელება.

ამ ასპექტში მიღებულია განსაზღვრული ზომები, რათა მოხერხდეს მისი ეფექტური რეგულირება:

კონფიდენციალური ინფორმაციის წყარო *ვალდებულია თუ არა მასმედია დაასახელოს ინფორმაციის წყარო?*

აშშ-ში ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ ქვეყნის კონსტიტუციის პირველი შესწორება სწორედ წყაროს გამჟღავნებისგან ათავისუფლებს მათ. მედიის წარმომადგენლები შიშობენ, რომ, თუ ინფორმაციის მიმწოდებლის ანონიმურობა არ იქნება დაცული, მაშინ მასმედია გაღარიბდება და სხვა მხრივაც წააგებს.

უმაღლესი სასამართლო კი მიიჩნევს, რომ ჟურნალისტები არ არიან პრივილეგირებულნი და ისეთივე მოპასუხეები არიან, როგორიც სხვა მოქალაქეები, თუკი მათ სასამართლო გამოიძახებს ინფორმაციისთვის. ერთი ბოსტონელი ტელეჟურნალისტი სამი თვით ციხეში მოხვდა სასამართლოს უპატივცემლობის ბრალდებით: მან უარი თქვა წყაროს დასახელებაზე, რომელმაც უთხრა, რომ დაინახა, როგორ მარადიორობდნენ პოლიციელები აფთიაქში. საქმეს ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიური იძიებდა და პროკურატურამ შესჩივლა მოსამართლეს, რომ მოწმის ჩვენების გარეშე გამოძიება ჩიხში შევიდა. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ჟურნალისტმა ჯუდი მილერმა 85 დღე გაატარა ციხეში, როდესაც არ გათქვა თავისი წყარო, რომელიც ერაყში იარაღის არსებობაზე მასალის მომზადებაში დაეხმარა, ვიდრე ჯერ კიდევ იქ აშშ-ს ჯარები შევიდოდნენ [8, 522]. თუმცა მედიისადმი სასამართლო უწყების მხოლოდ ასეთი ცალსახა მიდგომით ვერ შემოვიფარგლებით, რადგან ამერიკის მრავალ შტატში (ფედერალური დამცავი კანონი არ არსებობს) და ცივილიზებული მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არსებობს ე.წ. დამცავი კანონები, რომელიც გარკვეულ პროტექციას უწევს ჟურნალისტს ინფორმაციის იძულებით გამოაშკარავებისგან. ეს კანონები მსგავსია ვექილისა და ექიმის ინფორმაციის, აგრეთვე საეკლესიო პირთათვის აღსარების საიდუმლოს სახით გამჟღავნებული ინფორმაციის დამცავი კანონისა.

აღმასრულებელ შტოს ნაცადი აქვს მედიის საქმიანობის შეზღუდვა. 1991 წ. სპარსეთის ყურეში საომარი მოქმედებისას საბრძოლო შეღწევა ლიმიტირებული იყო და ინფორმაცია მანამ არ ქვეყნდებოდა, სანამ საბოლოოდ არ აღმოიფხვრა

ის საფრთხე, რომელიც შეიძლება დამუქრებოდა, როგორც საბრძოლო ოპერაციების წარმატებას, ასევე იქ მყოფთა სიცოცხლეს.

მშვიდობიანობის დროსაც კი მთავრობა იყენებს კლასიფიკაციის სისტემას, რომელიც ინფორმაციის მიღებას ამკაცრებს იმ შემთხვევაში, ინფორმაცია გასაჯაროება ზიანს თუ მიაყენებს ეროვნულ უსაფრთხოებას. მას მერე, რაც ინფორმაციის დახარისხება დაიწყო ხელისუფალთაგან არა აუცილებლობის, არამედ მატერიალური კუთხით, ჟურნალისტები დღენიადაგ ცდილობენ, მიმდინარე პრობლემების სიმწვავე დაანახონ მაღალჩინოსნებს, რათა მიიღონ მრავალფეროვანი ცნობები, რომლის მიღებაც როგორც მედიის წარმომადგენლებს ესაჭიროებათ და ამის უფლებაც აქვთ.

ამერიკელი ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ მათი ჩანაწერები – რომლებიც შეიძლება კონფიდენციალური წყაროების სახელებსა და ჟურნალისტური გამოძიების სხვა დეტალებსაც შეიცავდეს – კონფიდენციალური უნდა იყოს. ცალკეული შტატის დამცავი კანონმდებლობა იცავს ჟურნალისტის ინტერესებს, თუ სისხლის სამართლის საქმეში დაცვის მხარე არ დაამტკიცებს, რომ ეს ჩანაწერები საქმისთვის მნიშვნელოვანია და ინფორმაციის ყველა დანარჩენი წყარო ამოიწურა. დამცავ კანონებს განსაკუთრებული როლი ეკისრება. როდესაც შტატის უმაღლესი ინსტანციის სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას შტატის კონსტიტუციით გათვალისწინებულ საკითხებზე, საქმეს ვეღარ გადასინჯავს აშშ-ს უზენაესი სასამართლო, რადგან შტატის სასამართლო საბოლოო ავტორიტეტია, როდესაც საქმე შტატის კონსტიტუციური გარანტიების ინტერპრეტაციას ეხება. ზოგიერთი შტატის კონსტიტუცია დაცვის უფრო ფართო გარანტიასაც იძლევა, ვიდრე აშშ-ს კონსტიტუცია.

დამცავი კანონები ავსებს კანონმდებლობას ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, რომელიც საჯარო დაწესებულებებისგან სხდომების საჯაროდ გამართვას მოითხოვს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გასაიდუმლოებისთვის დამაჯერებელი საბაბი არსებობს [8, 524].

ინფორმაციის წყაროს გახსნის მეთოდები

ჟურნალისტი თუ მედიაორგანიზაცია საინფორმაციო წყაროს გაუხსნელობის ხელშეკრულების საფუძველზე ყოველთვის იცავს მის ანონიმურობას. ჟურნალისტი, ინფორმაციის წყაროს უფლებების დაცვის მიუხედავად, ვალდებულია ეცადოს მის გამჟღავნებას. თუკი ეს შეუძლებელია, ჟურნალისტმა წყაროზე მიუთითებლობა უნდა დაასაბუთოს, თუმცა თითქმის ყოველთვისაა შესაძლებელი წყაროზე მიახლოებით მითითება.

საგამოძიებო ჟურნალისტიკაში აუცილებელია კონტაქტები იმ პირებთან, რომლებიც ფლობენ საჭირო ინფორმაციას. ახალ წყაროებთან ნდობის მოპოვებას შესაძლოა დიდი დრო, ზოგჯერ წლებიც კი დასჭირდეს, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ, დროულად შეუდგეთ საქმეს, განსაზღვროთ ადამიანის ტიპები, ვისთანაც მომავალში შეძლებთ ურთიერთობების განვითარებას. გარკვეული პირების სახელები არასოდეს გამოჩნდება თქვენ მიერ გაშუქებულ ჟურნალისტურ გამოძიებაში, მაგრამ მათ შეუძლიათ თქვენი მასალისთვის საჭირო ინფორმაციის მოწოდება. ეს კონტაქტები შეიძლება მოიცავდეს მოხელეებს სამთავრობო სტრუქტურებში, გაერთიანებების ლიდერებს, პროკურორებს, პოლიციელებს, ბიზნესმენებს, მეხანძრეებს, მეგობრებს, ფაქტობრივად ნებისმიერ ადამიანს. არიან პიროვნებები, რომლებმაც შესაძლოა ვერასოდეს მოგცენ სასარგებლო მიმართულება თქვენი მასალისათვის, სამაგიეროდ, მათი, როგორც საინფორმაციო ბანკის, წყაროს გამოყენება შეიძლება ციტირებისთვის. ამ კატეგორიაში შედიან მთავრობის ოფიციალური პირები, პროკურორები, პოლიტიკოსები, საავადმყოფოს თანამშრომლები და საზოგადოებასთან ურთიერთობის უწყებების წარმომადგენლები [88, 198-199]. სასარგებლოა კონტაქტების დამყარება დამოუკიდებელ ექსპერტებსა და დამკვირვებლებთან, უნივერსიტეტის პროფესორებთან, ლიტერატორებთან, საზოგადოებრივი აზრის მკვლევრებთან.

ჟურნალისტმა აუცილებლად უნდა გადაამოწმოს წყაროს სანდოობა – ინფორმაცია არის პირველწყაროდან გადმოცემული თუ ჭორის სახით მიღებული.

ჟურნალისტის მთავარი მიზანი – მოპოვებული საინფორმაციო წყაროს მაქსიმალური გამოყენება

განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების მედია-ორგანიზაციების უმრავლესობას აქვს ჟურნალისტურ გამოძიებაში მუშაობის ამგვარი პრინციპი – მასალა უნდა აიგოს ძირითადად ციტატებსა და „გამოსაქვეყნებლად“ აღებული ინტერვიუს მასალებზე, სადაც დასახელებულია წყაროს ვინაობა და თანამდებობა. „კონფიდენციალური ან ანონიმური წყაროებით სარგებლობა შეზღუდული უნდა იყოს“, ასე ფიქრობს ბევრი მედიაორგანიზაცია, რადგან ანონიმური წყაროების ხშირმა გამოყენებამ შეიძლება გაზეთის, რადიოს, ტელევიზიის რეპუტაციას მიაყენოს ზიანი და მკითხველს, მაყურებელსა თუ მსმენელს გაუჩინოს ეჭვი წყაროს ფიქტიურობაზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბევრი საინფორმაციო წყარო მზად არის, გასცეს ნეგატიური ინფორმაცია, მაგრამ არ სურს ვინაობის გამჟღავნება, რადგან არ შეუძლია ამ ინფორმაციის დადასტურება. ხშირ შემთხვევაში მედიაორგანიზაციები ითხოვენ, რომ პასუხისმგებელმა რედაქტორმა პუბლიკაციის გაშვებამდე თანხმობა მისცეს ანონიმური წყაროს გამოყენებას.

ჟურნალისტის მიერ კონფიდენციალურობის დაცვის სიტყვიერი პირობა წერილობითი კონტრაქტის ტოლფასია, ამიტომ ამ დაპირებას სერიოზულად უნდა მიუდგნენ. ყოფილა შემთხვევები, ჟურნალისტები ციხეშიც კი მოხვედრილან იმის გამო, რომ უარი უთქვამთ თავიანთი წყაროების დასახელებაზე.

ანონიმურ წყაროზე დაყრდნობა შეიძლება ცუდ ჩვევადაც იქცეს, როგორც წყაროსათვის, ასევე ჟურნალისტისთვის. გამოცდილი ოფიციალური პირები ცდილობენ, თავი აარიდონ ლაპარაკს მაშინაც კი, როცა ეს საჭირო არ არის. დამწყები ჟურნალისტები გარკვეულწილად ებმებიან ამ მახეში. ხშირად წყაროს ჩაწერა ხდება მარტივი მეთოდით. მასალაზე მუშაობისას ჟურნალისტი ამბობს: „მე ვიღებ ინტერვიუს თქვენგან, როგორც თანამდებობის პირისგან და მჭირდება თქვენი ვინაობის დასახელება“. ზოგჯერ ავტორი უარსაც კი ამბობს მოისმინოს საუბარი „არა გამოსაქვეყნებლად“ [26, 10-11].

ჟურნალისტის სინფორმაციო წყაროსთან საუბრისას არსებობს კონფიდენციალურობის რამდენიმე ფორმა:

ინტერვიუ „არა გამოსაქვეყნებლად“ – ამ შემთხვევაში წყაროს ვინაობა არ მჟღავნდება, ინფორმაციის გამოყენება არ შეიძლება, ვიდრე იგივე ინფორმაცია დამოუკიდებლად არ დადასტურდება.

ინტერვიუ „წყაროს ვინაობის გამჟღავნების გარეშე“ – განმარტებულია, როგორც წყაროს ციტირება, მაგრამ არა მისი ვინაობის გამჟღავნება. შეგიძლიათ წინასწარ შეთანხმდეთ, თუ როგორ მოახდენთ ციტირებას, მაგალითად, ციტატის ავტორად შეიძლება დაასახელოთ მოლაპარაკების მონაწილე, ხელისუფლების მაღალჩინოსანი, პარლამენტის წევრი, რომელმაც ითხოვა ვინაობის საიდუმლოდ შენახვა და ა.შ. [26, 9].

ტერმინოლოგიის სხვადასხვაგვარად განმარტებებისა და რისკის გამო წყარო და ჟურნალისტი უნდა შეთანხმდნენ მასალის გამოყენების პირობებზე. ეს პირობები დეტალურად განიხილება წყაროსთან ერთად.

დამოუკიდებელი წყაროების გადამოწმების მეთოდიკა

გამოცდილი მედიაორგანიზაციები, რომელთა წამყვანი მასალები ჟურნალისტურ გამოძიებას ეფუძნება, ინფორმაციას რაიმე მოვლენის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ აქვეყნებენ, როცა გადაამოწმებენ ინფორმაციის სისწორეს სულ მცირე ორი დამოუკიდებელი წყაროს მეშვეობით, განსაკუთრებით ანონიმური წყაროს შემთხვევაში. მაგალითად, აშშ-ში, „არკანზასის დემოკრატთა გაზეთში“ (*Arkansas Democrat-Gazette*) მომხდარი ინციდენტის მერე გასაგებია, თუ რატომ ერიდებიან მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო საშუალებები ინფორმაციის გავრცელებას დამატებით წყაროებთან გადამოწმების გარეშე. ცნობილი და გახმაურებული ფაქტია მსოფლიოში, რომ *Arkansas Democrat-Gazette*-მა 1996 წელს პრეზიდენტ ბილ კლინტონის მშობლიურ შტატში გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია დამოუკიდებელი პროკურორის – კენეტ სტარის მიერ პრეზიდენტის შესახებ წარმოებული გამოძიების თაობაზე. ინფორმაციის უდიდესი ნაწილი შედგენილი იყო ანონიმური წყაროსგან მიღებულ მასალებზე. ეს პიროვნება მუშაობდა კენეტ სტარის ოფისში და წარსულში მისგან მიღებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე, ობიექტური და საინტერესო სტატიები დაწერა. 1997 წლის დასაწყისში წყარომ განუცხადა ჟურნალისტს, რომ კენეტ სტარმა მოაწყო საცდელი არაოფიციალური სასამართლო პროცესები, რომელზეც ბრალს

სდებდნენ პრეზიდენტს ცრუ ჩვენების მიცემასა და კანონის დარღვევაში. „სასამართლომ“, წყაროს თქმით, ხმა მისცა პრეზიდენტის გადადგომას. სტატია დაიბეჭდა პირველ გვერდზე 1997 წლის 15 თებერვალს. ჟურნალისტმა ვერ შეძლო ინფორმაციის დადასტურება სხვა წყაროს მიერ, მაგრამ რედაქტორმა გადაწყვიტა, ნებისმიერ შემთხვევაში დაებეჭდა სტატია. მეორე დღეს ეს ფაქტი კატეგორიულად უარყო კენეტ სტარმა და გაზეთი იძულებული გახდა, ეღიარებინა თავისივე გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი სტატიის უზუსტობა.

პირველწყაროს მითითების ტექნოლოგია

ჟურნალისტ-გამომძიებელი ხშირად „ფაქტების სამეფოში“ თავად მანიპულირებს ან მასალისთვის სხვა პიროვნებისგან მოიპოვებს ინფორმაციას. აუცილებელი არ არის, იგი მოვლენის თანამონაწილე იყოს. გამომძიებელი-ჟურნალისტისთვის ასეთი სახისუამრავი წყარო არსებობს. მისი მოვალეობაა, აკონტროლოს და დაამტკიცოს გადაუმოწმებელი ინფორმაცია, ტელე-რადიო მაუწყებლობით გადაცემამდე ან დაბეჭდვამდე. როცა საუბარია ჟურნალისტის პირდაპირ კონტაქტზე მოვლენასთან, იგი სუბიექტურად აფასებს ნანახსა და გაგონილს. სწორედ ამ ვითარებაში იჩენს თავს მისი დამოკიდებულება საგანთან: ეთანხმება თუ არა ავტორის იდეალებს, მრწამსს, ცხოვრებისეულ პოზიციას. ამ მდგომარეობას ჟურნალისტიკის ექსპერტები „ანდი-კიმენოთი“ მოიხსენიებენ. „კიმენო“ – სუბიექტური მიდგომაა, „ანდი“ – ობიექტური, საერთო აზრი. ამავე ფაქტის საფუძვლიანი გამოკვლევისთვის ავტორმა-თვითმხილველმა მაინც უნდა მიმართოს რამდენიმე საინფორმაციო წყაროს, უპირველესად კი – პირველწყაროს.

ჟურნალისტები ხშირად სვამენ შეკითხვას სხვა გაზეთების, ჟურნალებისა და პუბლიკაციების გამოყენების თაობაზე: რამდენის გამოყენება შეუძლიათ მათ? ზოგიერთი ჟურნალისტი ცდილობს გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, ამოიღოს ციტატები სხვისი პუბლიკაციიდან და თავის სტატიაში პირველწყაროს მითითების გარეშე მოათავსოს. ეს დაბალი დონის ჟურნალისტიკადაა შეფასებული. ცნობილია, რომ დასავლეთის წამყვანმა მედიაორგანიზაციებმა ჟურნალისტები ასეთი საქციელის გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს. სხვა პუბლიკაციების შინაარსი შესაძლოა თქვენი სტატიის ან სიუჟეტის საფუძვლად გამოდგეს, მაგრამ მასალის გამოყენებამდე აუცილებელია მათი გადამოწმება.

თუ საჭიროა სხვა მასალიდან ფრაზის ციტირება, ეს უნდა მოხდეს პირველწყაროს მითითებით. ზოგ შემთხვევაში პირველწყაროს მიერ განსაზღვრულ თემაზე მიცემულ ინტერვიუს „ირიბი ინფორმაციის“ მნიშვნელობა აქვს; ტერმინი „ირიბი ინფორმაცია“ ნიშნავს, რომ საინფორმაციო „ადამიანური წყარო“ ცდილობს, შემოვლითი გზებით სიმართლეზე აუხილოს თვალი მასმედიის წარმომადგენელს... იბადება კითხვები: რამდენი სარწმუნო წყარო შეიძლება ჰქონდეს ერთ ახალ ამბავს? რამდენი საკითხი უნდა გავარკვიოთ, ერთი შეხედვით, უბრალო მოვლენაზე? ჟურნალისტს სწორედ აქ მოეთხოვება გამოამჟღავნოს პროფესიული ცოდნა, დაეყრდნოს თუნდაც პირად ინტუიციას, გამოცდილებას, რაც საბოლოოდ ეფექტურ შედეგებამდე მიიყვანს [26, 7-8].

თავი III. ახალი ამბები და მედია ეთიკა

ეთიკური მედიის ნორმებით მომზადებული თანამედროვე საინფორმაციო გამოშვებები ოპერატიულობით, სამართლიანობით, აკურატულობითა და კრიტიკულობით გამოირჩევა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, შემოსავლიანი, მომგებიანი მედია ყოველნაირად უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება დიდი აუდიტორიის შენარჩუნებას, მკითხველ-მსმენელ-მაყურებელთა მოსაზიდად ჟურნალისტს საზოგადოებისათვის საინტერესო თემებზე უწევს მუშაობა. ეთიკურმა მედიამ ყველანაირად უნდა აუწყოს ფეხი ხალხის მოთხოვნებს, თორემ მკითხველთა, მსმენელთა და მაყურებელთა დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. დილემა, რომლის წინაშეც ჟურნალისტიკა დგას, ესაა – როგორ დაამთხვიოს საბაზრო მოთხოვნები საზოგადოების ინტერესთა დაკმაყოფილებას და, ამავდროულად, შეასრულოს თავისი როლი დემოკრატიაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა საზოგადოებას მაინცდამაინც არ იზიდავს პოლიტიკისა და ხელისუფლების სიახლენი.

უმეტესწილად, ახალი ამბების მედია, რომლიც არ ითვალისწინებს ეთიკურ ნორმებს, თავისუფალია გადაწყვეტილების მიღებისას, თუ როგორ შექმნას ახალი ამბების პროგრამა. იგი უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს მოქმედებას, ვიდრე იდეას, პოლიტიკას, ხალხს – ვიდრე ინსტიტუციებს. ყურადღება მახვილდება კონფლიქტებზე, დრამასა და ისეთ მოვლენებზე, რომელნიც ადამიანების გრძნობებს ეხება.

გაზეთს, რადიოსა და ტელევიზიას არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ დემოკრატიისთვის ბრძოლაში. მასმედია საზოგადოებისა და მთავრობის საუკეთესო დამაკავშირებელია. იგი ინფორმაციის მომწოდებლისა და ხელისუფლების დადგენილებათა ანალიტიკოსის როლშიც გამოდის, ამახვილებს რა პოლიტიკის წარმმართველთა ყურადღებას მოსახლეობის მოთხოვნებსა და სურვილებზე. საბოლოოდ, მედია ხელისუფლების გადაწყვეტილების გახმოვანებასა და შეფასებაში მთავარ როლს ასრულებს. მას ასევე შესწევს ძალა, საზოგადოების მუდმივი ინფორმირებით ხელისუფალთაგან მოითხოვოს პასუხი მათ ყოველ ცდომილებაზე [67, 366-367].

საკუთარი ფუნქციების თვალსაჩინოდ წარმოჩენისთვის მედია თავისუფალი უნდა იყოს. მან უნდა მოიძიოს და გვაუწყოს ახალი ამბები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. პოეტი ჯონ მილტონი, ფილოსოფოსი ჯონ სტიუარტ მილი და პოლიტიკოსი თომას ჯეფერსონი ფრიად ენამჭევრობდნენ თავისუფალი პრესისა და თავისუფალი გამოძიების აუცილებლობაზე. ტრაქტატში „არეოპაგიტიკა“ (1644 წ.) მილტონმა განმარტა, რომ თავისუფალი გამოძიება აუცილებელია ჭეშმარიტების დასადგენად: „მიეცით ჭეშმარიტებასა და სიცრუეს დაჭიდების საშუალება და სამართალი პურსა სჭამსო“. ჯონ სტიუარტ მილი ამ მოსაზრებას გამოეხმაურა ესეში („თავისუფლების შესახებ“, 1859 წ.).

თომას ჯეფერსონი ერთ კერძო ბარათში ამბობს: „ჩემი გადასაწყვეტი რომ ყოფილიყო: მთავრობა გაზეთების გარეშე, თუ გაზეთები მთავრობის გარეშე, წამითაც კი არ შევყოვნდებოდი ამ უკანასკნელის ასარჩევად“. მილტონს, მილს და ჯეფერსონს სწამდათ, რომ პრესის უმნიშვნელოვანესი როლია „იდეათა ბაზრის“ მომარაგება, შექმნა სამსჯავროსი, რომელშიც ჭეშმარიტება ვლინდება. ხალხის ნებაზე დამყარებულ მმართველობაში, ისევე როგორც სამსჯავროში, არსებითია არა მხოლოდ სიმართლის გარჩევა, არამედ ოფიციოზის წარდგინებათა შეფასება. ავტორიტარულ პოლიტიკურ სისტემაში ახალი ამბების მედიას განსხვავებული ფუნქცია აკისრია. ასეთი რეჟიმის პირობებში ჟურნალისტები არათუ აკრიტიკებენ მთავრობას, პირიქით, მის მაშველადაც გვევლინებიან, ხელს უწყობენ ამა ქვეყნის ძლიერთ მათი მოსაზრებების საზოგადოებამდე დაუბრკოლებრივ მიტანაში. გასართობი პროგრამებიც კი ისეთ ინფორმაციას შეიცავენ, რომლის გავრცელებაც მთავრობას აძლევს ხელს.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ეთიკური მედია აშუქებს რა ხელისუფლების მიღწევებს, ამავე დროს „საზოგადოების დამცველი ძაღლის“ ფუნქციასაც ითავისებს. მას ხალხი თვითკმაყოფილების მდგომარეობიდან გამოჰყავს და საზოგადოების მივიწყებულ წევრებს ხმის ამოღების საშუალებას აძლევს. „მე მინდა ლაპარაკის საშუალება მივცე იმ ხალხს, ვისაც ეს სჭირდება. ხალხს, რომელსაც თავად ამის ძალა არ აქვს“, – თქვა იუენ იინგ ჩანმა, ნიუ-იორკის დეილი ნიუსის ყოფილმა რედაქტორმა, რომელმაც ჰონგ-კონგში ჟურნალისტების საგანმანათლებლო პროგრამა შეიმუშავა.

ის რეაგირებს მასებისათვის საჭირბოროტო, თუნდაც უმცირეს მოვლენებზე. „საზოგადოების დამცველი ძაღლების“ როლი ხელისუფლების პოლიტიკის გაშუქება-გაკრიტიკებაში ურთიერთგადაჯაჭვულია ამ ურთიერთობით გამოწვეული დაძაბულობა ძირეულია, თავისუფალია და მზადაა ხელი შეუწყოს დემოკრატიული სისტემის შექმნას, სადაც მმართველი და მართული უწყვეტად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ღია დისკუსიებისა თუ ფარული კრიტიკის მეშვეობით.

როგორ ასრულებს ეთიკური მედია ინფორმაციულ და საგანმანათლებლო როლს, რომელსაც თავისუფალი საზოგადოება ეყრდნობა, რა გავლენას ახდენს პოლიტიკოსებზე? ეთიკურ მედიას ძალუძს, ჩამოაყალიბოს არა მხოლოდ მოსაზრებები, არამედ რწმენაც. მას შიგასაზოგადოებრივი დაძაბულობის გამოწვევაც შეუძლია, როცა წინა პლანზეა წამოწეული ადამიანის ინტერესები, საჭიროებები და პირდაპირი ან ირიბი პიროვნული ფასეულობები. ამერიკელი მედიამკვლევარის დეილ ჯექუიტის აზრით: „ახალი ამბების გადაცემის დროს მიკერძოების პრობლემა ძირეულადაა დაკავშირებული სიმართლის ძიების მეთოდოლოგიის თეორიულ საკითხთან, ვინაიდან ეს შეეხება მეცნიერებას, ისტორიასა და ჩვენ მიერ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ზოგად გააზრებას. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ვალდებულებათა საკითხები, რომლებიც ჟურნალისტებსა და საზოგადოებას შორის კონფლიქტურ სიტუაციებში იჩენენ თავს, სცილდება ინდივიდუალური მორალის ფარგლებს, ვინაიდან ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პოლიტიკურ და სამართლის ფილოსოფიაზე, ასევე მედიის სოციალური დანიშნულების კონცეფციაზე“. ამავე მოსაზრებას იზიარებს მედიამკვლევარი პოლ თროდი, როდესაც წერს:

„ნებისმიერი კარგი კვლევა მედიის ზეგავლენის საკითხებზე თეორიული არგუმენტებით უნდა იყოს გაჯერებული იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანს პასუხი მხოლოდ საკუთარ ქმედებებზე მოეთხოვება, ეთიკა მხოლოდ იმ შემთხვევაში განვითარდება, თუ მედია თავისუფალი იქნება“. უეჭველია, მედია ეთიკა მხოლოდ დემოკრატიის პირობებში შეიძლება არსებობდეს. კლოდ-ჟან ბერტრანის აზრით კი, თვითრეგულირებაზე სერიოზული საუბარი მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც სიტყვის თავისუფლება გარანტირებულია და შედარებით წარმატებულ მედიაში პროფესიონალი ჟურნალისტები მუშაობენ. დასავლური ჟურნალისტური სკოლის თეორეტიკოსთა გარკვეულ წრეებში კი გამოითქვა ერთობ პარადოქსული აზრი: „მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიზანია ჭეშმარიტების ძიება“. თავის დროზე უოლტერ ლიპმანი წიგნში „საზოგადოებრივი აზრი“ [47, 20-26] შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ჟურნალისტს „არ გააჩნია არც ისეთი წესები, რომლებიც წარმართავენ მის საკუთარ აზროვნებას და არც ისეთები, რომლებიც გზას გაუკვალავენ გამომცემლის ან მკითხველის შეხედულებებს.“ კონტროლი, რომელსაც მისი ცნობიერება სამუშაოს შემკვეთთა ან მკითხველთა მხრიდან განიცდის, უნდა წარმოვიდგინოთ არა როგორც ცრუმორწმუნეთა მიერ ჭეშმარიტების კონტროლი, არამედ ერთი აზრის მიერ მეორის გაკონტროლება, რომელთაგან ვერც ერთს ვერ მივიჩნევთ უფრო ჭეშმარიტად.

ლიპმანის თანახმად, ჟურნალისტურ ინფორმაციასა და ჭეშმარიტებას შორის მკვეთრი ზღვარი უნდა იყოს გავლებული: „ინფორმაციის ფუნქცია მოვლენის შესახებ სიგნალის გადაცემაა. ჭეშმარიტების ფუნქცია კი ის არის, რომ მან ფარული ფაქტები გვიჩვენოს, დაგვანახოს კავშირი მათ შორის და ამით სინამდვილის ისეთი სახე შეიქმნას, რომლის საფუძველზე ადამიანები მოქმედებას შეძლებენ. ინფორმაცია და ჭეშმარიტება ერთმანეთს შეესაბამებიან მხოლოდ მაშინ, როცა სოციალური ურთიერთობები შემეცნებად და გაზომვად ფორმას შეიძენენ. ეს კი ადამიანთა ინტერესების ძალზე მცირე მოცულობას ეხება“ [47, 20-26].

თანამედროვე მედია-სივრცეში მთავარია ინფორმაციის მოძიება და ამ პროცესში ნებისმიერი დაშვებული თუ დაუშვებელი ხერხის გამოყენება... ამ საკითხზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა გავმიჯნოთ ის, რაც მისაღები და მიუღებელია სამართლებრივი და ზნეობრივი კანონებით. ახალი ამბების ჟურნალისტიკაში იურიდიულ კანონებზე საუბარი შედარებით უფრო ადვილია,

ხოლო რაც შეეხება ეთიკურ ნორმებს, მათი დაცვა მხოლოდ სინდისის კარნახით არის შესაძლებელი.

სამწუხაროდ, ჟურნალისტები ინფორმაციის ძიებისას ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, თუ რამდენად არის მისაღები და ზნეობრივად გამართლებული მათი ქმედება. რა ეთიკური პრობლემების წინაშე დგას დღეს თანამედროვე ახალი ამბების მედია? დაძაბულობის წყარო გამოცემებთან ერთად იცვლება. ხანდახან ლეგალურად და კონსტიტუციურად წამოაყენებენ ხოლმე საკითხს პრესის თავისუფლების შესახებ. ხანდახან საკუთარ იმიჯზე მომუშავე კანდიდატსა და „ფარდის ამხდელ“ მედიას შორის უთანხმოება იწვევს დაძაბულობას. ზოგჯერ მთავრობა თავის კანდიდატებზე სარეკლამო შეტყობინებას აგზავნის, მედია კი უარყოფითად პასუხობს, დაძაბულობა თვითონ ხელისუფლებაშიც აშკარაა. დებატები იმართება იმის თაობაზეც, თუ რამდენად აქტუალურია ესა თუ ის გამოცემა, რამდენად ობიექტურად არის სამოქალაქო საზოგადოება ინფორმირებული ან რამდენად პასუხისმგებელია, ანგარიშვალდებული თავის საქმიანობაზე ესა თუ ის გამოცემა?

ინფორმაცია ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ეფუძნებოდეს პროფესიულ ეთიკას. ამ ეთიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია პიროვნებებისა და მათი უფლებების დაცვა. სწორედ ამიტომ გაზეთები არ აქვეყნებდნენ ერაყის მიერ ნაჩვენებ ფრანგი ტყვეების ფოტოსურათებს. ზუსტად ასევე ისინი არ აქვეყნებდნენ განცხადებებს, რომლებსაც ბაღდადის რეჟიმი იყენებდა პროპაგანდის მიზნით. ჯარისკაცების ღირსება, მათი ოჯახების მგრძნობელობა კარგად პასუხობდა ჟენევის შეთანხმებების მოთხოვნებს ომის ტყვეების თაობაზე [6, 34-35].

პრესის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიების პირველი შესწორება უზენაესი სასამართლოს მიერ განხორციელდა, მაგრამ სასამართლოს სრული თავისუფლება არ მიუნიჭებია მასმედიისთვის. კანონისა და ეთიკის მიხედვით, ჟურნალისტიკის თავისუფლება ბალანსდება პრესის კანონითა და ეთიკური კოდექსებით, რათა ინდივიდების, ჯგუფებისა და მთავრობის უფლებები, პრაივესი არ შეილახოს. მედიისთვის ძირითადია ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება, ნაწარმოების აგება და სიტყვიერად გამოცხადება. სხვებისთვის კი მთავარია საიდუმლოების, სიმართლისა და პატივის დაცვა. კლოდ-ჟან ბერტრანი თავის ნაშრომში „მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულებების სისტემები“ –

ჟურნალისტთა ეთიკურ კოდექსებზე წერს: „ნორვეგიიდან სამხრეთ აფრიკამდე, იაპონიიდან თურქეთამდე, კანადიდან ჩილემდე – უმეტეს ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური რეჟიმები დიქტატორული არ არის, დღეს პრესის ეთიკის სულ მცირე ერთი კოდექსი მაინც არსებობს. სხვადასხვა ქვეყნებში ეთიკის კოდექსებს განსხვავებული სახელწოდება აქვთ. ესენია: ღირსების კოდექსი, ქცევის კოდექსი, პრაქტიკის კოდექსი ან ლათინურ ქვეყნებში „დეონტოლოგია“. ზოგიერთ ქვეყანაში მას ჟურნალისტიკის კანონი, ჟურნალისტთა ქარტიის, პრინციპთა ჩამონათვალის, ჟურნალისტთა უფლებებისა და მოვალეობების დეკლარაციის და სხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ. სწორედ ეს ეთიკური კოდექსები არეგულირებენ ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობას, მის ურთიერთობებს კოლეგებთან, სახელისუფლებო უწყებებსა და საზოგადოების სხვა წევრებთან [1, 57-58].

რამდენად იცავენ მედიის წარმომადგენლები ამ წესებსა და ნორმებს, რომელთაც იურიდიული ძალა არ გააჩნიათ. რაზე ამახვილებენ ყველაზე მეტად ყურადღებას ეთიკური კოდექსები? იქიდან გამომდინარე, რომ ჟურნალისტს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს ურთიერთობა აქვს ადამიანებთან, როგორც ინფორმაციის წყაროსთან, იგი მოვალეა დააკმაყოფილოს ინფორმაციის მიმწოდებელ პირთა თხოვნა მათი ავტორობის არგამხელის ან, პირიქით, მითითების შესახებ. ჟურნალისტმა უნდა იცოდეს, თუ როგორ მიუდგეს ადამიანურ წყაროს, როგორ მოიპოვოს მისი ნდობა და იყოს საინფორმაციო წყაროები მისაწვდომი.

საჭიროა კი პრესის თავისუფლებისა და ინდივიდების თუ საზოგადოების, როგორც ერთი მთლიანის, დაპირისპირება? მედიას აქვს ინფორმაციის შეგროვების, შეფასებისა და გავრცელების უფლება ოფიციოზზე, თუკი ეს მასალა შეიცავს სიმართლეს. ხოლო თუ მედიას აწვდიან გამოსაქვეყნებლად არაობიექტურ, მცდარ ინფორმაციას, ასეთ შემთხვევაში მას ეკრძალება მასალის გამოქვეყნება. მედიას უფლება არ აქვს პირადული საიდუმლოს გამჟღავნებისა, აგრეთვე, ისეთი მასალის პუბლიკაციისა, რომლითაც შეიძლება ზიანი მიადგეს ეროვნულ უსაფრთხოებას. ამ მხრივ ყოველმა გადახრამ შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი, რომელიც გვარდება კანონმდებლობით. მასმედიას ადანაშაულებენ დროის ფუჭ გაფლანგვაში, ბავშვთა ძალადობისადმი წინასწარგანწყობის შექმნაში, საზოგადოების კრიმინალიზაციაში, საზოგადოებრივი სისტემის

დანგრევაში, აჯანყების, რევოლუციებისა და ხალხის მასობრივი დაღუპვის ინიცირებაში. მეორეს მხრივ, რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო მოდერნიზებულია მედიის ახალი ამბები, რაც შეიძლება მიუთითებდეს, რომ იგი პროგრესისა და განვითარების სასარგებლო ფუნქციებსაც ასრულებს.

რას უნდა ემყარებოდეს ბეჭდვითი სიტყვა, რადიო თუ ტელევიზია, რათა ინფორმაციის გავრცელებისას პიროვნებას არ მიაყენონ ზიანი? კანონი ამასაც არეგულირებს. პირადულზე მედიას შეუძლია გამოაქვეყნოს მხოლოდ გადამოწმებული და ამ ინდივიდთან შეთანხმებული ცნობები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჟურნალისტის ქმედება თავხედობად და დაუდევრობად იქნება მიჩნეული. საზოგადო მოღვაწეთა შესახებ ინფორმაცია ასევე უნდა იყოს გადამოწმებული, თუმცა არა ყოველთვის შეთანხმებული. თუ მასალა არ შეიცავს დადასტურებულ ფაქტებს და გამომცემელმა ეს უწყის, მაშინ იგი ვალდებულია მიუთითოს ინფორმაციის საეჭვოობაზე. კონფლიქტური სიტუაციის გაშუქებისას ჟურნალისტმა ორივე მხარის პოზიცია უნდა წარმოაჩინოს. მაყურებელმა, მსმენელმა თუ მკითხველმა არ უნდა იფიქროს, რომ ჟურნალისტი ტენდენციურია და კომენტარს რომელიმეს სასარგებლოდ აკეთებს. მან სამართლიანი პოზიცია უნდა აირჩიოს, საპირისპირო შემთხვევაში ჟურნალისტის ქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც ბოროტი განზრახვა. თავხედობისა და ბოროტი განზრახვის გამიჯვნა იმიტომ ხდება, რომ დაცული იყოს დებატების შესაძლებლობა და საზოგადოებრივ მოხელეთა პასუხისმგებლობა.

ახალი ამბების ეფექტურად წარმოებისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთავარია გამოსაძიებელ მოვლენაზე ან მომხდარ ფაქტზე სარწმუნო ინფორმაციების მოპოვება; საერთოდ, საჭირო ინფორმაციის მიღება ნებისმიერი ახალი ამბის მომზადებისათვის ყველაზე რთული ეტაპია.
მისი მომზადება ადვილდება მაშინ, როდესაც ავტორი ფლობს ინფორმაციის მოპოვების წესებს; იცის, თუ რომელ წყაროს რა დატვირთვა აქვს მომხდარ ფაქტებზე.

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო მედიასივრცეში ახალი ამბების ჟურნალისტური ეთიკა მრავალი სიახლისა და ორიგინალობის შემცველია. მისი შედეგიანობა დამოკიდებულია ჟურნალისტიკის ფუნქციების ზუსტ

შესრულებაზე, პრინციპების დაცვაზე, პრაქტიკული მუშაობისა და გაშუქების პროცესში სამართლებრივი და დეონტოლოგიური ინფორმაციის ნორმების გათვალისწინებასა და ჟურნალისტურ ოსტატობაზე.

3.1. მიღებული ინფორმაციის გადარჩევა

ინფორმაციის ნაკადიდან, ჟურნალისტს აუცილებლად უნდა შეეძლოს, გადაარჩიოს, უპირველესად, მიზნის მიღწევისათვის სასარგებლო ინფორმაცია. მთავარია მიღებული ცნობების მნიშვნელობათა ცოდნა. ინფორმაციის მნიშვნელობა კი, პირველ ყოვლისა, განისაზღვრება შინაარსით, ფაქტების სიუხვითა და უტყუარობით. ინფორმაციის მნიშვნელობის გარკვევა აუცილებელი საფეხურია ყოველი უწყებისა და ცალკეული ჩინოვნიკის საქმიანობაში. ინფორმაცია, უპირველესად, უნდა შეფასდეს მისი მნიშვნელობის თვალსაზრისით, რომელიც ამა თუ იმ სახით შუქდება პრესაში მის შემქმნელთათვის გამოსადეგი მიზნებით. ასეთი ინფორმაცია ხშირად არსებობს დოკუმენტური ფორმით, თუმცა სრულიადაც არ წარმოადგენს სინამდვილის გარანტიას, შესაძლოა, იგი იყოს უტყუარიც ან დეზინფორმაციაც. სწორედ ამ უკანასკნელმა გარემოებამ ჟურნალისტი მუდამ უნდა დაიცვას დოკუმენტების სრული ნდობისგან, რომლის გამოქვეყნებაში ზოგიერთი არ არის ძალიან დაინტერესებული. მას უნდა შეეძლოს, განარჩიოს ერთმანეთისგან უტყუარი და ყალბი, ტყუილი. თუმცა ამის გაკეთება ზოგჯერ ძალიან ძნელია. პირველი, რაშიც ჟურნალისტმა უნდა შეიტანოს ეჭვი, არის უავტორო ინფორმაცია.

ჟურნალისტები, ჩვეულებრივ, ამგვარ ცნობებს „ნაკადს“ უწოდებენ. რედაქციაში დადგენილი წესით გაფორმებულია დოკუმენტები: „წერილები“, „გამოსვლები“, რომელთაც ჰყავთ ავტორები, აქვთ აუცილებელი რეკვიზიტები (საწყისი ნომრები, ბეჭედი, ხელმოწერები, დაწესებულების – გამომგზავნელების სახელწოდებები და სხვა). ამგვარი ინფორმაციის ავტორები სინამდვილეში შეიძლება იყვნენ რომელიმე პირი ან პირთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ გარკვეული მიზნები, ან რომელნიც ამზადებენ სხვადასხვა „გამოშვებებს“ ხელმოწერისა და სათაურის გარეშე, აგზავნიან საჭირო მისამართზე პრესის ჩათვლით.

ასეთი მასალები, ჩვეულებრივ, შეიცავენ მაკომპრომეტირებელ ცნობებს ამა თუ იმ დაწესებულებათა და ცალკეულ მოღვაწეთა შესახებ. მიზანი შესაძლოა იყოს სხვადასხვა; მაგალითად, მიმართული იყოს ამა თუ იმ გამონათქვამთა, გამოსვლათა და საქმიანობაში „დამნაშავეთა“ პროვოცირებაზე იმისათვის, რომ დავინახოთ მათი რეაქცია. შესაძლებელია „ნაკადის“ შემდგენლები უბიძგებენ კომპეტენტურ ორგანოებს, რათა მიიღონ ზომები იმათ მიმართ, ვისზეც შექმნილია კომპრომატი. განსაკუთრებული აქტივობით მოდის „ნაკადი“ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში წინაასარჩევნო კამპანიის დროს, როცა დაპირისპირებული პოლიტიკური ჯგუფები ყველა საშუალებით ცდილობენ, ხელი შეუშალონ თავიანთ კონკურენტებს ხელისუფლებაში მოსასვლელად (ან დარჩნენ ხელისუფლებაში). ამის უახლესი მაგალითია – ბელორუსიაში პრეზიდენტის არჩევნების წინ იატაკქვეშა ჯგუფის მიერ გავრცელებული „ნაკადი“, ი. ანდრეევას პუბლიკაციაში „ანონიმური ანალიტიკოსების საზოგადოება“ („ვრემია“, ცნობები. 2001 წ. 29 მაისი). ის, კერძოდ, გვამცნობს: „გუშინ რამდენიმე ბელორუსულმა გამოცემამ მიიღო წერილები, რომლებიც ხელმოწერილი იყო „ჯგუფის“ მიერ. მან შარშან პირველად განაცხადა თავისი არსებობის შესახებ, როცა ამავე მეთოდით გაავრცელა ინფორმაცია დიმიტრი ზავადსკოის, ORT-ს ოპერატორის გატაცებისა და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. ამ წერილში მოყვანილი ფაქტების უმრავლესობა დღეს ოფიციალურად დადასტურებულია. როგორც მიაჩნია ერთ-ერთ პრეზიდენტობის კანდიდატს, ექს-პრემიერ მიხეილ ჩიგორს, ამ „ჯგუფში“ შესაძლოა შედიან ხელისუფლების ან ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, რომლებიც უპირისპირდებიან იმ დაჯგუფებებს, რომლებიც გამოდიან მოვლენათა ძალოვანი გზით განვითარებისთვის“ [78, 107-110].

შესაძლოა „ნაკადი“ ზოგჯერ აღმოჩნდეს იმდენად საინტერესო (ან მნიშვნელოვანი), რომ ჟურნალისტმა ვერ გაუძლოს „ცდუნებას“ და გამოიყენოს იგი თავისი გამოძიების ამოსავლად (ან უბრალოდ გადმოსცეს თავის პუბლიკაციაში მიღებული ცნობები გარკვეული კომენტარებით). მაგრამ ყველა შემთხვევაში, როცა ჟურნალისტი იყენებს „ნაკადს“, ის ხდება რაღაც თამაშის მონაწილე, რომელზეც მას შეუძლია ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდეს. მან კი შესაძლოა საქმე გაურთულოს მას ან ორგანიზაციას, სადაც იგი მუშაობს.

მედიამ არ უნდა გამოაქვეყნოს შემთხვევითი ადამიანებისგან აღებული, ნაჩქარევი ინტერვიუები ან არაფრის მთქმელი დოკუმენტები. საინფორმაციო საშუალებამ გვერდზე უნდა გადადოს როგორც ჭორები, ასევე გადაუმოწმებელი ინფორმაცია და პრესრელიზები – ან უნდა განმარტოს, თუ რა მიზანს ემსახურება მსგავსი ინფორმაციის გავრცელება. ჰიპოთეზა არ უნდა გამოქვეყნდეს, როგორც დადასტურებული ფაქტი; მედიასაშუალებამ არ უნდა გამოაქვეყნოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც, მართალია, სიმართლეს შეეფერება, მაგრამ სოციალურად ფასეული არ არის და შეიძლება, ავნოს მასში მოხსენიებულ ადამიანებს. ნებისმიერი სახის ზეწოლის შემთხვევაში, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი – საინფორმაციო საშუალების შიგნიდან (მაგალითად, ბიზნეს-დეპარტამენტი), თუ გარედან (მაგალითად, რეკლამის დამკვეთი ან წყარო), პირდაპირი იქნება ის თუ ირიბი, ჟურნალისტმა არ უნდა გამოტოვოს მნიშვნელოვანი ფაქტი ან სიტყვა. ძალზე ცოტა კოდექსი თუ მიუთითებს გამოტოვებებზე, რომლებიც სიზარმაცით (იმ შემთხვევაში, როცა ინფორმაციის მოძიება/კვლევა თუ დამუშავებაა საჭირო) ან სიმხდალით (იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის მიმწოდებელი არაოფიციალური წყაროა ან როდესაც ინფორმაცია არ არის მოხსენიებული „მსხვილ“ მედიასაშუალებაში) არის განპირობებული [1, 108].

ახალი ამბის (ინფორმაციის) შერჩევა უნდა მოხდეს მისი მნიშვნელობის, საზოგადოებისათვის სარგებლიანობის საფუძველზე – და არა გაუნათლებელი მასის ცნობისმოყვარეობის, გართობის, თამაშებისა და ვაუერიზმისადმი მისი მისწრაფების დაკმაყოფილების მიზნით. სივრცე ზედმეტად არ უნდა დაიხარჯოს აღმგზნებ ინფორმაციაზე (სექსი, დანაშაული) ან ისეთზე, რომელიც მოსახლეობის დემორალიზაციას იწვევს [1, 109].

3.2. რისთვის ესაჭიროებათ ჟურნალისტ-გამომძიებლებს ახალი ამბების გაშუქებისას სახელების „დანიუსება“

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, ახალი ამბები საგამოძიებო იდეის წყარო ან თემა შეიძლება გახდეს. გამომძიებელი-ჟურნალისტი შემთხვევის ადგილზე ცოტა მოგვიანებით მიდის იმ მიზნით, რომ ეს ჩვეულებრივი ფაქტი კი არ იყო, არამედ

მის უკან რაღაც სხვა იმალებოდა. ამიტომაც მნიშვნელოვანია მათ საგამოძიებო ახალ ამბებში, სტატიებში სახელების „დანიუსება“.

წლების განმავლობაში ჟურნალისტებმა დაამკვიდრეს სახელების დანიუსების პრაქტიკა. უმეტეს შემთხვევაში რეპორტიორებს აინტერესებთ, ვინ დაზარალდა ან გარდაიცვალა ავტოკატასტროფაში, ვინ მოკლეს იარაღით, ვინ მოჰყვა ხანძარში და ა.შ. დამწყებ ჟურნალისტ-გამომძიებლებს ეუბნებიან, რომ სახელები „ნიუსის“ სტანდარტული ნაწილია. „ნიუსებში“ მონაწილე ადამიანებს კი განსაკუთრებით მაშინ, თუ არაფერი ჩაუდენიათ, საკუთარი სახელის პრესის ფურცლებზე გამოჩენა აღიზიანებთ.

ჟურნალისტებსაც არ სიამოვნებთ, როდესაც უნებლიეთ ხვდებიან „ნიუსებში“. გაზეთ „ბოსტონ გლოუბის“ სვეტის ავტორი თომას ოლეფანტი წერდა: „წუხელ გამქურდეს. აღმოჩნდა, რომ პოლიციელები უფრო მეტად იგებენ ამ ვითარებაში მყოფი ადამიანის მდგომარეობას, ვიდრე ჟურნალისტები – ისინი უსულო საგნებივით ექცევიან დაზარალებულებს“. ოლეფანტის თქმით, დანაშაულის შემდეგ რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, უნდოდა დაერეკა პოლიციაში იმ იმედით, რომ თავდამსხმელებს დააკავებდნენ. ისიც იცოდა, რომ 911-ის აკრეფით მისი პრივატულობა დაირღვეოდა. იცოდა, რომ საზოგადოებას აუცილებლად დააინტერესებდა, სად იყო და რას აკეთებდა იმ დროს ქუჩაში, სხვებისთვის ირონიის ობიექტიც გახდებოდა ჟურნალისტი, რომელიც კრიმინალების სამიზნე გახდა. „რა მაღიზიანებს, როგორც კრიმინალური შემთხვევის მსხვერპლს? ის, რომ ჟურნალისტებს თავად შეუძლიათ, გადაწყვიტონ, როდის დაირღვევა ჩემი პრივატულობა, მცდელობა, შევეწინააღმდეგო ამ გადაწყვეტილებას – არარეალურია“ [59, 121-123].

ყველაფრის მიუხედავად, სახელების „დანიუსება” მედია ეთიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან ისტორიები კონკრეტული სახელებითა და გვარებით აუდიტორიისთვის ბევრად უფრო დამაჯერებელია. წამკითხველსა და მაყურებელს აინტერესებს, რა ხდება მათ გარშემო. მხოლოდ განსაკუთრებულ, ზოგიერთ შემთხვევაში რეპორტიორები არღვევენ სრული სახელების „დანიუსების“ პრაქტიკას.

დანაშაულში ეჭვმიტანილების დასახელება

პოლიცია ხშირად ასახელებს იმ პიროვნებებს, ვისთვისაც ოფიციალურად ბრალი არ წაუყენებიათ, დანაშაული არ დაუმტკიცებიათ. ასეთი ფაქტები პრობლემური საკითხია ჟურნალისტებისთვის. ერთი მხრივ, მათი სახელებისა და გვარების „დანიუსება“ შეიძლება პოლიციელს გამოადგეს საქმის გახსნაში, მაგრამ ეს ჟურნალისტურ წრეებში ერთგვარ უსამართლობის განცდასაც აჩენს. დასახელებული პიროვნებისთვის ბრალი ოფიცილურად თუ არ დაუდგენიათ, მაშინ ამ საქციელით უდანაშაულობის პრეზუმფცია ირღვევა. საზოგადოებისთვის კი ეჭვმიტანილი დამნაშავესთან ასოცირდება მაშინაც კი, თუ პოლიცია ბრალეულობის დადგენას ვერ შეძლებს. ჯორჯიის შტატში ოლიმპიური თამაშებისას მომხდარ აფეთქებაში ეჭვმიტანილად დაცვის სამსახურის წევრი რიჩარდ ჯუველი დაასახელეს. მისი ფოტოები იბეჭდებოდა თითქმის ყოველი მეორე გაზეთის მთავარ გვერდზე. ეს იყო ყველა საინფორმაციო გადაცემის მთავარი სიახლე; საბოლოოდ, გამოძიებამ დამნაშავედ სხვა პიროვნება დაასახელა. სამაგიეროდ, რიჩარდ ჯუველი საზოგადოებისთვის ცნობილ სახედ იქცა, რომელსაც დანაშაული ბრალდებოდა [59, 141-142].

როგორც წესი, რედაქტორები ცდილობენ, „ნიუსებში“ შეცდომა არ დაუშვან მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიცია ვინმეს დამნაშავედ მიიჩნევს. გაზეთ „დენვერპოსტმა“ თავი შეიკავა ერთ-ერთი ცნობილი მინისტრის შესახებ გამოექვეყნებინა ინფორმაცია, რომელიც მას სექსუალურ სკანდალში ხვევდა. რედაქტორის ასისტენტმა ფრენკ სკენდალმა აღნიშნა: „საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ შესაბამისმა სამსახურებმა საკმარისი მტკიცებულებები ვერ წარადგინეს, ჩვენ მიერ მინისტრის დასახელება მტკივნეული იქნებოდა“, „პოლიციელები უშეცდომოები არ არიან. ის, რომ მათ ვიღაცას ბრალი წაუყენეს,არ ნიშნავს ადამიანის დამნაშავეობას“ [59,171].

პოლიციამ მსგავსი შეცდომა ჩაიდინა ინდიანას შტატშიც. მათ მედია საშუალებებს გადასცეს დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების ფოტოები. მედიასაშუალებებმა მას შემდეგ, რაც სურათები საზოგადოებას წარუდგინეს, ეს ადამიანები უდანაშაულოდ დაასახელეს. სამაგიეროდ, ალბათ, შეგიძლიათ ადვილად წარმოიდგინოთ, როგორი რეაქცია ექნებოდა საზოგადოებრივ

ადგილებში, მაღაზიებში, ბანკებში მათ გამოჩენას და როგორ დათრგუნავდა თავად მათ ეს განწყობა.

„რიჩმონდ ტაიმსის“ რედაქტორები სწორედ მსგავსი ინციდენტების გამო ერიდებიან გადაუმოწმებელი ფოტოებისა და სახელების გამოქვეყნებას. რიჩმონდის მოლში (სუპერმარკეტი) მიტოვებული ბავშვის პოვნის შემდეგ, პოლიციამ მედიას მიაწოდა სავარაუდო ეჭვმიტანილის შესახებ ვიდეო დისკი, რომელზედაც აღბეჭდილი იყო ქალი სურსათის ურიკითა და ბავშვის ცარიელი ეტლით. მათი ვარაუდით, ეს იყო დაკარგული ბავშვის დედა. „რიჩმონდ ტაიმსის“ ჟურნალისტების აზრით, კი ამ ფაქტს სხვა ათასგვარი ახსნა შეიძლებოდა ჰქონოდა. მაგალითად, შეიძლება ბავშვი სადღაც იქვე, მის წინ ან სულაც რიჩმონდის მოლის (სუპერმარკეტი) სხვა ნაწილში იყო, მამასთან ერთად. ამიტომ მათ თავი აარიდეს ამ ფოტოების გამოქვეყნებას [59, 174].

გამოკვლევების მიხედვით, რედაქტორების 20 პროცენტი არ ასახელებს ეჭვმიტანილებს ბრალის დადასტურებამდე. „სან ხოსე მერკური ნიუსის“ გამომცემელმა დევიდ არნოლდმა განაცხადა, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა მსგავს მიდგომას, რადგან, მისი მტკიცებით, ეჭვმიტანილთა დასახელებით, გაზეთებს ეძლევათ შანსი აიმაღლონ რეპუტაცია: „გაზეთისთვის ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამართლიანობის დაცვა. ფაქტები არსებობენ, ჩვენ მხოლოდ მივსდევთ მოვლენებს“ [59, 180].

არასრულწლოვანი დამნაშავეების დასახელება

ჟურნალისტმა არ უნდა გაამჟღავნოს არასრულწლოვან ბრალდებულთა გვარები; არ უნდა მიუთითოს პიროვნების ძველ დანაშაულზე, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, თუ იგი ამნისტირებული იყო – არ ახსენოს შეწყალების უფლება იმ კრიმინალებთან მიმართებაში, რომელთაც სასჯელი უკვე მოხდილი აქვთ. მედიამ არ უნდა მიუთითოს ბრალდებულის ნათესავების, მეგობრების ან სხვა ახლობლების სახელები, თუ ამისათვის სერიოზული საბაბი არ არსებობს. მედიის ქმედების შედეგად საფრთხის ქვეშ არ უნდა აღმოჩნდეს დანაშაულის მსხვერპლი ან ინციდენტში შემთხვევით გარეული ადამიანი: მაგალითად, თუკი მედია შესაძლებელს ხდის, დაკავებული კრიმინალის თანამზრახველებმა მოახდინონ მათი ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება. ჟურნალისტმა ყოველთვის

უნდა შეახსენოს აუდიტორიას, რომ არავინ შეიძლება ჩაითვალოს დამნაშავედ, ვიდრე მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულები არ სცნობენ ვინმეს ბრალეულობას. ყოველ მოქალაქეს აქვს სამართლიანი სასამართლოს უფლება, რაც გულისხმობს იმას, რომ სასამართლო თავისუფალი უნდა იყოს პრესის ზეწოლისაგან [59, 185].

სამხრეთ ფლორიდის „სან სენეთიალის“ რეპორტიორ ჯო კოლინის დაკვირვებით, საინტერესო მოვლენაა, როდესაც საქმე ეხება არასრულწლოვანი დამნაშავეების სახელების მედიასაშუალებებით გამოქვეყნებას. აქ თითქოს სიტუაცია იცვლება – თუ ჩვეულებრივ ვითარებაში ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი დეტალური ინფორმაცია მოიპოვონ პოლიციისგან და არც თავს არ იკავებენ მათი სახელების დანიუსებისას, პოლიცია, თავის მხრივ, ცდილობს, ნაკლებმა ინფორმაციამ გაჟონოს, არასრულწლოვანთა შემთხვევაში, პირიქითაა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოლიცია თავად ცდილობს, ჟურნალისტებმა სახელები და ფაქტები „დაანიუსონ”. წარსულში 18 წლამდე ასაკის დამნაშავეთა საქმეები არასრულწლოვანთა სასამართლოებს გადაეცემოდა და პროცესები საზოგადოებისგან იზოლირებულ დახურულ სხდომებზე იმართებოდა. სასჯელიც შედარებით მცირე იყო იმავე დანაშაულში სრულწლოვან დამნაშავეებთან შედარებით. ფიქრობდნენ, რომ კონფიდენციალურობის დაცვით არასრულწლოვან დამნაშავეებს შანსს აძლევდნენ, სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებას კანონმორჩილ მოქალაქეებად დაბრუნებოდნენ. ამასთან, ამ ხერხით ისინი თავიდან აირიდებდნენ ე.წ. იარლიყის მიწებებას, რადგან ხშირ შემთხვევაში ადამიანი ისე იქცევა, როგორი წარმოდგენისაცაა მასზე საზოგადოება. ასე რომ, არასრულწლოვანი დამნაშავე, რომელზედაც საზოგადოება ინფორმირებულია და განწყობაც შესაბამისი აქვს, იძულებულია დამნაშავესავით მოიქცეს. ამიტომ „ფრენსო ბიის“ გამომცემელი მოზარდების სახელების გამოქვეყნების წინააღმდეგია. მთავარი რედაქტორი კეითი მოიერი ამ საკითხს ასე განმარტავს: „ჩვენ არასდროს ვიცით, როდის დაუბრუნდება დადანაშაულებული მოზარდი ნორმალურ, ღირებულ ცხოვრებას, რაც ნამდვილად გაუჭირდება, თუ მისი, როგორც დამნაშავის სახელი, ცნობილი იქნება საზოგადოებისთვის“ [59, 188].

არასრულწლოვანთა დანაშაულის ზრდის გამო მოსამართლეები უფრო და უფრო ემხრობოდნენ მათი საქმეების ჩვეულებრივ სასამართლოებში განხილვას, რომელიც მედიისა და საზოგადოებისთვის ღიაა. აიოვას შტატში,

მოსამართლეები, და არა ჟურნალისტები, მოითხოვდნენ კანონის შეცვლას, რათა არასრულწლოვან დამნაშავეთა სახელების გამოქვეყნების უფლება მისცემოდათ. ტეხასის შტატის ერთ-ერთ ნაწილში ეს უფლება ოფიციალურად მიანიჭეს ჟურნალისტებს. კრიმინალური შემთხვევები საგრძნობლად შემცირდა. კანონი ფლორიდაშიც შეცვალეს და მედია საშუალებებს აქაც მსგავსი შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ რედაქტორებმა არ ისარგებლეს ამ უფლებით.

ხშირად სახელების გამოქვეყნებასაც თავისებურად ხსნიან მედიის წარმომადგენლები. მაგალითად, „ნიუს ენდ ადვენს ინ ლინქბურგის“ რედაქტორი ჯოზეფ თ. სთინეთი მიიჩნევს, რომ „საზოგადოებას უფლება აქვს, იცოდეს მკვლელობაში მონაწილე არასრულწლოვნის სახელი, მიუხედავად იმისა, რომ ის მხოლოდ 16 ან თუნდაც 14 წლისაა“. „რიდინგ იგლის“ რეპორტიორის, დენ კელის თქმით, აუცილებელია დამნაშავეთა სახელების წარმოდგენა ბრალის წარდგენისთანავე: „ჩვენ არ გვევალება, მათთან ლოლიავი, ისინი სულაც არ არიან დაზარალებულები“ [59, 177].

უფრო ხშირად რედაქტორ-გამომცემლები მხოლოდ მას შემდეგ ასახელებენ არასრულწლოვან დამნაშავეებს, რაც მათი საქმე ჩვეულებრივ სასამართლო ინსტანციას გადაეცემა. ფლორიდაში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებები მთელი ქვეყნის მასშტაბით მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა – გასაჩივრების უფლების გარეშე, სამუდამო პატიმრობა მიესაჯა 12 წლის მოზარდს, რომელმაც 6 წლის გოგონა მოკლა. 28 წლით პატიმრობა შეუფარდეს 13 წლის მოსწავლეს, რომელმაც ინგლისურის მასწავლებელი მოკლა [58, 189].

<u>სხვა კრიმინალური დეტალები:</u>

დასავლეთის ქვეყნებში ჟურნალ-გაზეთების გამომცემელთა უმრავლესობას 1970 წლამდე ტერმინ „გაუპატიურების“ გამოყენება გაუმართლებლად მიაჩნდათ. ჟურნალისტ-გამომძიებელს შეეძლო დაეწერა **„კრიმინალურად შეურაცხყოფილი“**, მაგრამ არავითარ შემთხვევაში **„გაუპატიურებული“.** იყო შემთხვევები, როდესაც იცვლებოდა რესპონდენტების ფრაზები. ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში მომხდარი ჯგუფური გაუპატიურების შესახებ კრიმინალური დეტალები ცნობილი გახდა საზოგადოებისთვის. სასამართლოში ინტიმური დეტალები

განიხილებოდა, რომელსაც შემდეგ რეპორტაჟებში გადასცემდნენ. ნიუ-იორკის სატელევიზიო არხის “WPIX-TV”-ის ვიცე პრეზიდენტმა ჯორჯ კორპორნმა ფაქტის შესახებ განაცხადა: „რაც ამ ქალმა განიცადა, ტრაგედიაზე უფრო მეტია, მაგრამ არა მგონია, რომ სიმართლეზე თვალის დახუჭვით მედიამ მოახერხოს მისი პრივატულობის დაცვა“ [59, 240]. “Fort Worth Star Telegram”-ის გამომცემლებმა გადაწყვიტეს, თავად მკითხველისთვის მიეცათ არჩევანის შესაძლებლობა, თუ რამდენად დეტალურად მიწოდებული ინფორმაცია იქნებოდა მისაღები. რეპორტიორებმა მკვლელობის შესახებ ინფორმაცია პოლიციის მასალებიდან დააკოპირეს. სტატია იტყობინებოდა: „ორმა ეჭვმიტანილმა გაძარცვა გასართობი ცენტრი და მოკლა იოანეს ჩერი“. სტატიის ონლაინ ვერსია პოლიციაში არსებულ მასალებს ეყრდნობოდა, საიდანაც საზოგადოება კიდევ უფრო „ცოცხალ“ დეტალებს გაეცნობოდა. გაზეთის მენეჯერს დამატებითი ინფორმაციის მიწოდება აუდიტორიისთვის მნიშვნელოვნად მიაჩნდა. მან თავისი არგუმენტი ასე განუმარტა გაზეთის რედაქტორს: „მინდა ვიცოდე, რამდენად ეფექტურად და ეთიკურად მოქმედებს პოლიცია. მათი გამოძიება დაფუძნებულია თუ არა ფაქტებზე, ექსპერტიზაზე; დაკითხვის რა მექანიზმებია გამოყენებული, ხომ არ დაარღვიეს კანონი სასამართლო გადაწყვეტილებებისას? ინფორმაცია შეიძლება შემაშფოთებელი იყოს, მაგრამ ის აუცილებლად უნდა მივაწოდოთ საზოგადოებას“ [59, 245].

“South Africas Mail”-ის რედაქტორიც ამავე მიზეზით ათავსებს დამატებითი დეტალების შემცველ ლინკებს გაზეთის ვებგვერდზე. მისი თქმით, გამომცემლობის ვებსაიტი საშუალებას აძლევს აუდიტორიას, თავად აირჩიოს მისთვის ღირებული ინფორმაცია. მისი თქმით, „ლინკის გამოყენებით ადამიანი თავისთავზე იღებს არჩევანის პასუხისმგებლობას“ [59, 249].

ჟურნალისტური ეთიკური ნორმების წიგნის ავტორი რობერტ ბერკმანი არ ეთანხმება მსგავს მიდგომას: „საქმე ასე მარტივად არაა, ყოველთვის უნდა გახსოვდეს უმთავრესი მოვალეობა, რამდენად მნიშვნელოვანი, პრივატული და ღირებულია განთავსებული ინფორმაცია“ [59, 256].
კოდექსი გვეხმარება გადაუდებელ, კრიტიკულ სიტუაციებში გადაწყვეტილებების მიღებაში იმ საერთო საღ აზრზე დაყრდნობით, რომელიც ხანგრძლივი დისკუსიების შედეგად ჩამოყალიბდა. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ერთმა პროფესიონალმა მიიღოს თავისი კოლეგისაგან სრულიად განსხვავებული

გადაწყვეტილება და მასაც „პასუხისმგებლობის“ ისეთივე გრძნობა ამოძრავებდეს, როგორიც პირველს. ასე, მაგალითად, როდესაც ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ პატარა ამერიკულ ქალაქში დაბრუნდა მცირეწლოვანი გოგონა, რომელიც საშინლად დამახინჯდა ხანძრის დროს, ერთ-ერთმა გაზეთმა მისი ფოტო გამოაქვეყნა, მეორემ კი – არა. პირველმა ჩათვალა, რომ ბავშვის საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის საჭირო იყო, ადამიანები მის ამჟამინდელ გარეგნობას შესჩვეოდნენ, მეორემ კი ამჯობინა, არ დაეფრთხო საკუთარი მკითხველი [59, 259].

განსხვავებულად გააშუქა ერთი და იგივე შემთხვევა მინეაპოლისისა და სენტ-პოლის ორმა გაზეთმა. ერთ-ერთ სკოლაში თავი ჩამოიხრჩო ამავე სკოლის მოსწავლემ. ერთ გაზეთში არ გამოქვეყნდა მოსწავლის სახელი, რადგან ჩათვალეს, რომ თვითმკვლელობა პირადი აქტი იყო; ხოლო მეორე გაზეთმა გამოაქვეყნა ეს სიახლე იმ მიზეზით, რომ ასეთი შემთხვევა ადრეც მოხდა და, რედაქტორთა აზრით, სახალხო ადგილას თვითმკვლელობა საჯარო აქტი იყო. ორივე გადაწყვეტილება კანონიერია. მაგრამ განა ორივე ეთიკურია? გამოდის, რომ არ შეიძლება ყველაფერი, რაც კანონიერია, ეთიკურიც იყოს. კანონი ეთიკურ კოდექსთან შედარებით უფრო ნათლად განსაზღვრულია და ამიტომაც ეფარებიან მას ჟურნალისტები ასე ხშირად [59, 258].

ამდენად, ჟურნალისტმა, უფრო რედაქტორმა, შორსმჭვრეტელობა უნდა გამოიჩინოს, სცადოს, თავი აარიდოს იდეოლოგიურ ცრურწმენებს იმ რისკის მიუხედავად, რაც აუდიტორიის ნაწილის ნეგატიურმა განწყობამ შეიძლება გამოიწვიოს.

სექსუალური კრიმინალის რეპორტაჟი

უკიდურეს შემთხვევაში ასეთი მასალის მოსამზადებლად ერთი კვირა მაინც არის საჭირო, რათა ჟურნალისტს ფაქტების საფუძვლიანად გარკვევის შესაძლებლობა ჰქონდეს. სექსუალური კრიმინალური ამბების მომზადება მოითხოვს ცოდნას, სპეციფიკურ საგამოძიებო მეთოდებს, ინფორმატორთა ქსელებს. ექსპერტთა გაფრთხილება: „ის, რაც თითქოსდა აშკარაა, შესაძლოა მართალი არ აღმოჩნდეს“ [59, 211] – პოლიციის წყაროები ხშირად ზედმეტად თავდაჯერებულნი არიან. სიფრთხილით მიუდექით წყაროებთან გამოძიების

დროს გაკეთებულ აღიარებებს. ნუ მიუთითებთ მსხვერპლის სახელს ან რაიმე ისეთ დეტალს, რომელიც მსხვერპლის იდენტიფიცირებას გააადვილებს (თუ მსხვერპლი თავად არ მოითხოვს მისი სახელის გამოქვეყნებას, რაც გათვალისწინებულია 1980 წლის 23 დეკემბრის კანონის 39-ე მუხლის მიხედვით). ბრიტანეთის პრესის საჩივრების კომისის ქცევის კოდექსის (პრესის საჩივრების კომისია (პსკ) ხელმძღვანელობს ქცევის კოდექსით, რომელიც შემუშავებულია გაზეთებისა და პერიოდული ინდუსტრიის მიერ და რატიფიცირებულია კომისიის მიერ 2004 წლის 28 აპრილს. განახლებული კოდექსი ძალაში შევიდა 2004 წლის 1 ივნისს) თანახმად, ჟურნალისტებმა არ უნდა აიღონ ინტერვიუ და არ უნდა გადაუღონ ფოტოსურათი 16 წლამდე ასაკის ბავშვს, მეურვე მშობლის ან ბავშვზე პასუხისმგებელი პირის თანხმობის გარეშე, როდესაც საკითხი თავად ბავშვის ან სხვა ბავშვთა კეთილდღეობას შეეხება.

ჟურნალისტები თანხმდებიან იმაზე, რომ სახელები ჟურნალისტურიმასალების მნიშვნელოვანი ნაწილია. ყოფილი რედაქტორი, ჟურნალისტიკის პროფესორი, ჯენევა ოვერჰოსლერი პოინტერის ვებსაიტზე განთავსებულ სტატიაში წერს: „სახელების გამოქვეყნება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მედიაში, შეიძლება მსგავსმა სიმართლემ ვინმეს ტკივილი მიაყენოს, მაგრამ გახსნილობა ყოველთვის ეხმარება საზოგადოებას. საუკეთესო ჟურნალისტური პრინციპია მივაწოდოთ პუბლიკას ის ინფორმაცია,რომელიც გვაქვს“ [59, 212]. ეს მოსაზრება გულისხმობს სიმართლის მოპოვების მცდელობას, პირველ ყოვლისა, ნებისმიერი დეზინფორმაციის, მცდარი ინფორმაციისა თუ თვითრეკლამირების ინფორმაციისგან ნამდვილი ინფორმაციის გამოცალკევებას, შემდეგ კი საზოგადოებისთვის რეაგირების საშუალების მიცემას.

განსაკუთრებულ ყურადღებასა და დელიკატურ მოპყრობას მოითხოვს დანაშაულის მსხვერპლთან ურთიერთობა:

- საზოგადოება ხშირად ხდება ექსტრემალურ სიტუაციათა მოწმე და მონაწილე. არიან ადამიანები, რომელთაც არაადამიანური განსაცდელი გადაიტანეს და აგრძელებენ ცხოვრებას, ისინი გარკვეულ ფასეულობასაც წარმოადგენენ. საზოგადოებამ უნდა გაითავისოს მათი ტრაგედია:
- ჟურნალისტი განსაკუთრებით ემზადება მსხვერპლთან ინტერვიუსთვის; მან უნდა გაითვალისწინოს ამ ადამიანების ფსიქიკის თავისებურებები, მათი

ფსიქოლოგიური მდგომარეობის ცვალებადობა. ისინი ჯერ კიდევ განიცდიან გადატანილი კოშმარის ზემოქმედებას. ზოგი იწყებს საუბარს, მაგრამ არაადეკვატურნი არიან თავიანთ ცნობიერებასთან;

- საუბრისას იგრძნობა დაძაბულობა, მაგრამ არ შეიძლება შეკითხვების იმგვარად დასმა, რომ სტრესი უფრო გაუღრმავდეთ. მსხვერპლს ხშირად საუბრის, ემოციებისგან დაცლის მოთხოვნილება აქვს, საუბრობს კატასტროფაზე, გადატანილ უბედურებაზე, ზოგჯერ დაწვრილებით აღწერს ნანახსა და განცდილს, თითქოს სურს მისგან გათავისუფლება;
- მსუბუქი გამოკითხვა, კეთილგანწყობილად და ყურადღებით მოსმენა დაძაბულობას შეანელებს. ჟურნალისტი არ არის ფსიქიატრი, მაგრამ უნდა იცოდეს ქცევის ნორმები მსგავს სიტუაციაში, რაც გააუმჯობესებს ემოციონალურ ფონს და დაეხმარება კონტაქტისთვის;
- მოთმინება, კეთილგანწყობა და თანაგრძნობა არ უნდა იყოს დემონსტრირებული ჟურნალისტის მხრიდან. არ შეიძლება, დაამდაბლო თანამოსაუბრე, თითქოს მისი აპეკუნი ხარ. წინააღმდეგ შემთხვევაში მისგან ზიზღს მიიღებთ სიმპათიის ნაცვლად;
- ექსტრემალურ მდგომარეობაში საუბარი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაცადამიანმა ნაწილობრივ მაინც თავი დააღწია სტრესულ მდგომარეობას. წინააღმდეგ შემთხვევაში „განმუხტვის" ობიექტი შეიძლება თვით ჟურნალისტი გახდეს;
- არასრული პასუხის დროს საჭიროა მოსაუბრეს აგრძნობინოთ, რომ თქვენ ელით გაგრძელებას. ამისათვის კარგია, ერთხანს გაჩუმდეთ და არ დასვათ შეკითხვა.

<u>არ დასვათ პროვოკაციული შეკითხვები</u>

- თქვენ მიიღებთ უფრო სასარგებლო ინფორმაციას, თუ თქვენი შეკითხვები იქნება მშვიდი და კონკრეტული. თუ თქვენ იქნებით უხეში ან აგრესიული, ინტერვიუერი საპასუხო შეტევაზე გადმოვა;
- **რა მიზანს ისახავთ** – გამოხატოთ თქვენი აღშფოთება, თუ მიიღოთ პასუხი შეკითხვაზე? დადებით შედეგს მიიღებთ მაშინ, თუ თქვენ იქნებით შეუვალი, მაგრამ თავაზიანი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ არ შეგიძლიათ რთული შეკითხვების დასმა. შეეკითხეთ მკაცრად, მაგრამ მომეტებული ემოციის გარეშე;

- არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს პროვოკაციულ შეკითხვებს.

<u>ინტერვიუერს მიეცით საშუალება, ბოლომდე თქვას სათქმელი</u>

- თქვენ შეიძლება გაგაბრაზოთ მიღებულმა ინფორმაციამ. აკონტროლეთ თქვენი თავი, ამან შეიძლება ხელი შეგიშალოთ გაგების პროცესში. მიეცით საშუალება ბოლომდე თქვას სათქმელი. არ ჩაებათ, არ შეაწყვეტინოთ საუბარი დროზე ადრე – იყავით მომთმენი და მიეცით საკმარისი დრო საუბრისთვის. მოუსმინეთ, რისი თქმა სურს, მხოლოდ ამის შემდეგ გამოთქვით თქვენი აზრი;
- უკანა პლანზე დაწიეთ თქვენი ემოციები – ეს საკმაოდ რთულია, მაგრამ შეეცადეთ, ცოტა ხნით დაივიწყოთ თქვენი წუხილი, შიში ან ზრუნვა;
- აღნიშნეთ ძირითადი მომენტები – თქვენ ვერ დაიმახსოვრებთ ყველაფერს, შეეცადეთ, გაიგოთ ძირითადი შინაარსი.

პარაფრაზი – დაუბრუნეთ მისი ნათქვამი მოკლედ, თქვენი სიტყვებით. ეს დაარწმუნებს მას, რომ თქვენ გაუგეთ.

საინფორმაციო წყარო როდესაც შორს არის ან მხოლოდ რამდენიმე დეტალია მასთან დასაზუსტებელი, ინტერვიუს ჟურნალისტ-გამომძიებელი ტელეფონით აწარმოებს [20, 48-49], [79, 40-46].

გაუპატიურების მსხვერპლის დასახელების მოწინააღმდეგეთა შეხედულებები

ზემოთ დასახელებული არგუმენტები ვერ დაარწმუნებს რედაქტორთა იმ 90 პროცენტს, ვინც იშვიათად აქვეყნებს ამგვარი დანაშაულის მსხვერპლის სახელებს და, ზოგადად, წინააღმდეგია ამ ქმედებისა. მათი თქმით, გაუპატიურება განსხვავდება სხვა ტიპის ძალადობებისგან. კოლუმბიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის პროფესორი რობინ ბენედიქტი წერს: „მანამ სანამ ადამიანებს ექნებათ სექსუალური აქტის მიმართ პრივატულობის შეგრძნება, გაუპატიურების დანაშაულსაც ექნება სტიგმა არა მსხვერპლის დადანაშაულების, არამედ ამ დანაშაულთან მისი სახელის დაკავშირების სტიგმა“ [41, 133].

ამ მოსაზრებას იზიარებენ იმ გამოკითხვის მიხედვითაც, რომელშიც დაზარალებული ქალების ორმა მესამედმა განაცხადა, რომ ისინი უფრო ადვილად ისაუბრებდნენ, ისეთი კანონის არსებობის შემთხვევაში, რომელიც მათ შეურაცხყოფისგან დაიცავდა. „Winston Salem, N.C.”-ის (მედიის კვლევის სოციალური ცენტრი) მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ, რომელიც ჟურნალში გამოქვეყნდა, იმ ქალების გაღიზიანება გამოიწვია, ვისი სახელებიც დაიბეჭდა. მათი თქმით, სახელების დასახელებით კიდევ უარესი სირცხვილი იგრძნეს. რამდენიმე მათგანმა განაცხადა, რომ ამ პუბლიკაციის შემდეგ ისინი შეურაცხმყოფელი რეპლიკებისა და სატელეფონო ზარების სამიზნედ იქცნენ [59, 246], [54].

თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ პრაქტიკის მომხრეებიც კი ვერ ახერხებენ წესის ყოველთვის შესრულებას, გარკვეულ შემთხვევებში ისინი არღვევენ ეთიკურ ნორმებს და ასახელებენ დანაშაულის მსხვერპლს. ვერც ერთი კოდექსი ვერ გაითვალისწინებს ყველა შესაძლო შემთხვევას: პროფესიონალი ხშირად იძულებულია, მიენდოს „მორალის გრძნობას“ ან საღ აზრს, რომელიც ფიქრისა და განსჯის შედეგად იბადება. გარდა ამისა, ვერც ერთი ამ გრძნობათაგანი ვერ გაექცევა ქვეყნის რელიგიურ და პოლიტიკურ ტრადიციას, რაც ზოგჯერ მრავალ საუკუნეს ითვლის აფრიკული ტრიბალიზმისა და ჩინური ფეოდალიზმის მსგავსად. როდესაც შეერთებულ შტატებში ჟურნალისტები კამათობენ იმის გამო, გამოაქვეყნონ თუ არა გაუპატიურებული მსხვერპლის სახელი, ყველაზე მარტივი გადაწყვეტილებაა, ჰკითხონ თავად ძალადობის მსხვერპლს [1, 82].

თითქმის ყველა მედია-საშუალება გამოაქვეყენებს სახელს იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი გარდაიცვალა. მაშინაც, თუკი რესპონდენტი დათანხმდება ამ შეთავაზებას, მედიასაშუალებების ნახევარი დაასახელებს მსხვერპლს, თუ ის ქვეყნის მასშტაბით ცნობილი პიროვნება აღმოჩნდება; მხოლოდ 7 პროცენტი გააკეთებს იმავეს, თუ ადამიანი ლოკალურად ცნობილი სახეა. ბევრი რედაქტორი არღვევს წესს იმ შემთხვევაში, თუ სხვა მედიასაშუალებები დაასახელებს მსხვერპლის ვინაობას, თუ ცოლი ადანაშაულებს ქმარს ან თუ მსხვერპლი გატაცებულია. მედიაპროფესიონალებს, მეცნიერ-მკვლევარებსა და მომხმარებელთა დამცველებს შორის არ არსებობს მკვეთრი აზრთა სხვაობა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ან არ უნდა იქცეოდეს მედია. თუმცა, ცხადია, სხვადასხვა კოდექსი ერთმანეთისაგან განსხვავდება, თუნდაც

მათი მოცულობის გამო. SNJ-ის ქარტია ნახევარგვერდიანია ლუისვილის (კენტუკის შტატი) „კურიერ-ჯორნალის“ 65 – გვერდიან კოდექსთან შედარებით. ყველა კოდექსში გამოტოვებულია ესა თუ ის ნორმა [1, 84].

უნდა დასახელდეს თუ არა გაუპატიურების მცდელობაში ბრალდებული

მასმედიამ სინთეზსა და შემოწმებაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, გათავისუფლდეს ჭორების, ცილისწამების, უმნიშვნელო დეტალებისა და შეთხზული, გაწელილი ისტორიებისგან, იმას მიაპყროს ყურადღება, რაც მართალი და მნიშვნელოვანია. აუდიტორია ხშირად ეჯახება მონაცემთა უზარმაზარ ნაკადს და ამიტომ მეტი მოთხოვნილება უჩნდებათ წყაროებისა, რომლებიც ამ ინფორმაციის შემოწმებას, მნიშვნელოვანი საკითხის გამოყოფასა და უმნიშვნელოს გაფილტვრას ემსახურება. იმის ნაცვლად, რომ ხალხმა თავად დაიწყოს ინფორმაციის გადარჩევა, რომელსაც თანდათანობით უფრო დიდი დრო მიაქვს, მას უნდა მივაწოდოთ წყაროები, რომლებიც აუდიტორიას პირდაპირ ეტყვის, რა არის მართალი და აღსანიშნავი.

ჰარვარდის იურიდიული სკოლის პროფესორ ალან დერშოვიტზის რწმენით, თუ მედია-საშუალებები ასახელებენ დანაშაულში ბრალდებულს (მამაკაცს, რომლისთვისაც ჯერ ბრალი არ დაუმტკიცებიათ), მაშინ ამავე პრინციპით უნდა დასახელდეს ბრალმდებელიც. „ამ ქვეყანაში არ არსებობს ანონიმური ბრალდების ფორმა“. ბევრი ადამიანი აღნიშნავს, რომ მსგავს დანაშაულში ეჭვმიტანილი მამაკაცისთვის ძალიან ძნელია იარლიყის მოშორება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის საბოლოოდ სრულიად უდანაშაულო აღმოჩნდება. მიხეილ გარტნერი, აიოვას შტატის “The Daily Tribune” -ის ყოფილი რედაქტორი, იხსენებს შემთხვევას, რომელშიც ადგილობრივ კალათბურთელს გაუპატიურება ედებოდა ბრალად. მედია საინფორმაციო საშუალებებში ინფორმაციის წვდომის შემდეგ გაირკვა მისი უდანაშაულობა [59, 170].

არ შეიძლება ინფორმაციისათვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება მისი ე.წ. სენსაციონალიზაციის (მაღალფარდოვანი გამოთქმებით, დრამატული ფოტოებით) გზით, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა საქმე ძალადობას ეხება. მედიამ თავი უნდა აარიდოს უსარგებლო, შოკისმომგვრელი სურათის

აღწერას, განსაკუთრებით სასტიკი ქმედების შემთხვევებში, რამაც შესაძლოა, ბრალდებულის ტრავმირება გამოიწვიოს [1, 86].

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტები საკუთარი საქმიანობის განმარტებას გაურბიან, ისინი მთლიანად იზიარებენ მის მიზნებს. როცა 1997 წელს ჟურნალისტიკის მკვლევრებმა ბილ კოვიჩმა და ტომ როზენსტილმა დაიწყეს გამოკითხვის ჩატარება ჟურნალისტების საერთო ინტერესებისა და მიზნების შესახებ, პირველი პასუხი, რომელიც მიიღეს, ასეთი იყო: „ჟურნალისტიკის უპირველესი მიზანი სიმართლის თქმაა იმისათვის, რომ ხალხს ჰქონდეს სრული ინფორმაცია, რომელიც თავისუფლებისთვის სჭირდება“. ეს პასუხი ეკუთვნოდა ჯეკ ფულერს, ჟურნალისტს, მწერალს, ადვოკატსა და „ტრიბუნ პაბლიშინგ კომპანის“ პრეზიდენტს, კომპანიისა, რომელიც ჩიკაგო ტრიბუნას გამოსცემს (ჟეკ ფულერი, ჩიკაგოს ფორუმი, 6 ნოემბერი, 1997 წ.). „ადამიანებისა და პრესის პიუს კვლევითი ცენტრის“ თანამშრომლებთან ერთად ჟურნალისტებს ბილ კოვიჩმა და ტომ როზენსტილმა ჰკითხეს, რა მიაჩნიათ ჟურნალისტიკის განსაკუთრებულ, სხვა საქმიანობებისგან განმასხვავებელ თვისებად? მათ, ვინც ახალ ამბებს ქმნის, ჟურნალისტიკის დემოკრატიული ფუნქცია ნებისმიერ სხვა ფუნქციაზე ორჯერ უფრო მნიშვნელოვნად აღიარეს [6, 30]. ასეთივე დასკვნა მიიღეს ასი ჟურნალისტის ხანგრძლივი, ყოველმხრივი გამოკითხვის შემდეგ ჰარვარდის სტენფორდისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტის განვითარების ფსიქოლოგიის სპეციალისტებმაც, რომლებთანაც მჭიდროდ თანამშრომლობენ ბილ კოვიჩი და ტომ როზენსტილი. „ახალი ამბების სფეროს ყველა დონის პროფესიონალები იმ რამდენიმე ძირითადი სტანდარტის სრულ ერთგულებას გამოხატავენ, რომლებიც საოცარი ერთიანობითა და საზოგადოების ინფორმირების მისიისადმი მჭიდრო კავშირით ხასიათდება“, – წერენ ფსიქოლოგები. აქედან დასკვნა, ეთიკური კოდექსი და ჟურნალისტიკის მისიასთან დაკავშირებული განცხადებები ერთნაირი ხასიათისაა. მიზანია „საყოველთაო კეთილდღეობის სამსახური ხალხის ინფორმირების გზით“ , ნათქვამია „ამერიკის გაზეთების რედაქტორთა საზოგადოების“ – ჩრდილოეთ ამერიკაში პრესის მენეჯერთა უდიდესი ასოციაციის წესდებაში. „მიეცი ხალხს სინათლე და ის გზას თავად იპოვის“, - წერია „სკრიპს კომპანის“, ყოველი გაზეთის სათაურის ქვეშ. რედაქტორთა საზოგადოების წევრთა მიერ გაზეთების მისიის შესახებ, გაკეთებულ ყველა განცხადებაში, თვიმმართველობის ხელშეწყობა ნებისმიერი ჟურნალისტური ორგანიზაციის უპირველეს მიზნადაა დასახელებული [35, 55].

თავი IV. მასმედიის სამართლებრივი რეგულაციები

ჟურნალისტ-გამომძიებელი ვალდებულია ზედმიწევნით დაიცვას კანონის მოთხოვნილებანი – მიუკერძოებელი და გონივრული ფარდობა გამოძიებულ მასალაზე საზოგადოების მოთხოვნილებასა და ჟურნალისტის მიერ გადაცემულ აღწერილ ფაქტებს შორის. ასევე არსებობს ისეთი გარემოებები, როდესაც ავტორის მიერ აღნიშნული თემის გაშუქებას შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული უზუსტობანი ქვეყნის კანონმდებლობასთან, რომლებიც ზღუდავენ ამ საქმიანობას. ფილოსოფოსი ბერნარდ უილიამზი სიმართლის თქმაში ორ მხარეს ასახელებს: სიზუსტე – დასკვნების გამოტანისას არსებულ საუკეთესო მტკიცებულებებს ვიყენებთ, მიუკერძოებლად და გულმოდგინედ ავწონ-დავწონით მათ და თვალებს არ ვხუჭავთ საპირისპირო მონაცემებზე; არ ავყვებით გულისწადილს და ვამჩნევთ პროპაგანდასა და მიკერძოებას. გულწრფელობა – ფაქტობრივი ინფორმაციის გადმოცემისას ჩვენ, უბრალოდ, ინფორმაციის გამტარები ვართ; რასაც გადმოვცემთ, პირადად ჩვენთვის მას არავითარი სარგებელი არ მოაქვს [8, 551].

ეთიკური ნორმების სტანდარტების უგულებელყოფა განვითარებული ქვეყნების მედიის, განსაკუთრებით ამ სფეროში საზოგადოების ნდობის გაცრუებას ნიშნავს. აზრისა და ფაქტის დასაბუთების სიცხადე, სიზუსტე და სამართლიანობა ხარისხიანი გამოძიების ის პრინციპებია, რომლებიც არეგულირებენ როგორც ინფორმაციის წყაროებთან, ასევე „გამომსვლელ“ [78, 335] პერსონაჟებსა და მედია-აუდიტორიასთან ურთიერთობას.

ეთიკურ-სამართლებრივი საზღვრების გათვალისწინებით, უმაღლესი პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკური პრინციპების დაცვითაა შესაძლებელი ჟურნალისტ-გამომძიებელმა რეალურად გაუკეთოს რეალიზაცია იმ გამოსაძიებელ თემას, რომლისთვისაც ეს გამოძიება ჩაატარა [77, 336].

4.1. ჟურნალისტების სამართლებრივი რეგულაციები

სამართლებრივი ნორმები ჟურნალისტ-გამომძიებლის მოღვაწეობაში აუცილებელია განვასხვაოთ იმისგან, რასაც, ვთქვათ, ეწოდება **„ჟურნალისტის**

სამართლებრივი დევნა“, როცა სამართლის ნორმები გამოიყენება ანგარიშსწორებისთვის მედიის არასასურველი გამოძიებების ავტორების მიმართ. სამართლებრივი შეზღუდვა ესაა იურიდიული ნორმა, კანონი, რომელიც ჟურნალისტმა (როგორც ყოველმა კანონმორჩილმა მოქალაქემ) აუცილებლად უნდა დაიცვას თავისი პროფესიული მოღვაწეობის განხორციელებისას, მათ შორის, საგამომძიებლო. ჟურნალისტ-გამომძიებლის მუშაობის სამართლებრივი „არეალი“, როგორც იტყვიან, „გაწერილია“ უპირველესად კანონებში. სწორედ ისინია მისი მოღვაწეობის რეგულირების საფუძველი. საერთაშორისო ფედერაციის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ჟურნალისტთა უფლება-მოვალეობების შესახებ მუხლები საქართველომაც შეიტანა საკონსტიტუციო კანონში (განსაკუთრებით საყურადღებოა სტატია, რომელიც ჟურნალისტს აძლევს უფლებას, მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია). კონსტიტუციაში შეტანილი კანონები „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე“, „პოლიციაზე“, „პროკურატურაზე“, „მოსამართლის სტატუსზე“, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე“, „უსაფრთხოების ფედერალურ სამსახურზე“, „სახელმწიფო საიდუმლოებაზე“ აუცილებელია, იცოდეს ყოველმა ჟურნალისტ-გამომძიებელმა. სისხლის სამართლისა და სამოქალაქო კოდექსის თუ სხვა ნორმატიულ-სამართლებრივ დოკუმენტებზე, ასევე სარედაქციო წესდებასა და მოლაპარაკებებზე ჟურნალისტის მოღვაწეობის განმსაზღვრელ კანონთა კრებული, სამწუხაროდ, არასრულია, სხვები კი გახდნენ პოლიტიკური თამაშების ტყვეები.
კანონების არასრულფასოვნება, როგორც მათი არ ცოდნა, ჟურნალისტის სამართლებრივი უწესრიგობის გამართლებად არ გამოდგება და ასეთი ფაქტი კი სულ უფრო ხშირად მჟღავნდება წარმოქმნილი გზით ლეგიტიმური კონფლიქტების გადაწყვეტის პროცესში.

კანონები, რომლითაც უხდებათ მოქმედება ჟურნალისტებს, რასაკვირველია, ვიღაცას შეიძლება მოწონდეს, ვიღაცას – არა, მაგრამ ამისგან დამოუკიდებლად ჟურნალისტი აუცილებლად ყოველთვის უნდა მისდევდეს კანონს, სანამ ის ლეგიტიმურია.

ჟურნალისტიკის დიდი სოციალური, მორალური და სამართლებრივი ვალდებულებები იმათაც კარგად ესმით, ვინც ამ სფეროს არ მიეკუთვნება. აი, რა განაცხადა იოანე პავლე მეორემ 2000 წლის ივნისში: „ჟურნალისტიკა,

რომელიც უდიდეს და უშუალო გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე, არ უნდა იმართებოდეს ეკონომიკური ძალებით, მოგების მიღებისა და განსაკუთრებული ინტერესების დაცვის მიზნით. მის ნაცვლად, ჟურნალისტიკა უნდა აღიქმებოდეს, როგორც გარკვეული თვალსაზრისით წმინდა მისია, რომელიც იმის შეგნებით უნდა ხორციელდებოდეს, რომ კომუნიკაციის მძლავრი საშუალებები ჟურნალისტებს მთელი საზოგადოების დაცვის მიზნით მიანდეს“.
მედიის დემოკრატიულობის ერთ-ერთი მისია – კანონის გამოყენება ჟურნალისტის მოღვაწეობის სამართლებრივ რეგულირებაში (მათ შორის გამომძიებლის) გულისხმობს გარკვეულ ბალანსს, ჟურნალისტის მიერ უამრავი კანონის მოთხოვნილებებს, რომლებიც ზღუდავენ მის შეღწევას სხვადასხვა სახის საიდუმლოებებში, ადამიანის პირად ცხოვრებაში და სხვ. ასევე უფლებას მიუკერძოებელ სასამართლოზე; იმ შემთხვევაში თუ მან დაარღვია კანონი და უფლება საზოგადოებისა, იცოდეს სიმართლე. რასაკვირველია, ჟურნალისტი, თავის მხრივ, აუცილებელია ეყრდნობოდეს ყველა ზომას იმისათვის, რომ სამართალდამცავებს არ ჰქონდეთ მიზეზი გამოიყენონ მასთან მიმართებაში სათანადო სანქციები ამა თუ იმ კანონის დარღვევის გამო. ამისათვის კი საჭიროა, შეისწავლონ კანონები, ამ სახის პროფესიული მოღვაწეობის რეგულირებისა და დაცვისათვის. კანონი ზღუდავს ჟურნალისტ-გამომძიებელს სხვადასხვა ასპექტში.

საქართველოში სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების მიმოხილვამ გვიჩვენა, ნებისმიერი მსგავსი ქმედება კანონით იკრძალება. 2004 წლამდე მოქმედ კანონში „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ (1991 წ.) კი ნათქვამი იყო, რომ „ჟურნალისტის მიერ ჩადენილი ისეთი ქმედებისთვის, რომელიც არ ატარებს კრიმინალურ ხასიათს, მაგრამ მიუღებელია ეთიკური თვალსაზრისით, რასაც მოჰყვა თვით ჟურნალისტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალების დისკრედიტირება, იქმნება ღირსების სასამართლო“ [20, 153]. ღირსების სასამართლოს ქმნის ჟურნალისტთა კავშირი ან ნებისმიერი მასობრივი ინფორმაციის საშუალების კოლექტივი. მას შეუძლია დააყენოს პროფესიონალი ჟურნალისტის დასჯის საკითხი (გაკიცხვა, ფულადი ჯარიმა, კავშირის წევრობის დროებით შეჩერება ან გარიცხვა). ამჟამად საქართველოს კანონმდებლობა მსგავსს არაფერს ითვალისწინებს და, რაც მთავარია, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი „ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის კოდექსში“. საგულისხმოა, რომ კოდექსი

ჟურნალისტთა ფედერაციის მიერ იქნა შემუშავებული და მასში ამის შესახებ აუცილებლად უნდა ყოფილიყო მითითებული.

4.2. სამართლებრივი შეზღუდვები ინფორმაციის მოპოვებისას

სამართლებრივი შეზღუდვები, რომლებიც აქტიურად „მოქმედებენ“ ინფორმაციის მოპოვების დროს, მოქცეულია უპირველესად საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლში: „საქართველოს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ [18, 24]. პროფესიული მოღვაწეობის განხორციელების დროს ჟურნალისტი ვალდებულია, პატივი სცეს სამართალს, დაკანონებულ ინტერესებს, მოქალაქეთა და ორგანიზაციების პატივსა და ღირსებას.

ჟურნალისტი ვალდებულია: 1. დაიცვას რედაქციის წესდება და პროგრამა; 2. შეამოწმოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა; 3. დააკმაყოფილოს ინფორმაციის მიმწოდებელ პირთა თხოვნა მათი ავტორობის არგამხელის ან, პირიქით, მითითების შესახებ, თუ ასეთი ინფორმაცია პირველად ქვეყნდება. 4. უარი თქვას რედაქტორის (მთავარი რედაქტორის), ან რედაქციის მიერ, მიცემულ დავალებაზე, თუ ეს დავალება არღვევს კანონს; 5. პატივი სცეს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა კონსტიტუციურ უფლებებს 6. პატივი სცეს საქართველოს და მისი პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს სიმბოლოს, ღირსებას.

ჟურნალისტს აქვს ასევე სხვა ვალდებულებანი დადგენილი „საქართველოს კანონით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ [15, 24]. კანონმა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ [21, 148]. იმდენად გაზარდა სიტყვის თავისუფლების დაცვის საზღვრები, რომ თითქმის ხელშეუხებელი აღმოჩნდა, როგორც კეთილსინდისიერი, ისე არაკეთილსინდისიერი ჟურნალისტი. ამ რეალობამ თავად ჟურნალისტებს შორის განსაკუთრებით აქტუალური გახადა სტანდარტების საკითხი. კეთილსინდისიერ ჟურნალისტებს ბუნებრივად გაუჩნდათ სურვილი, კანონის შიგნით თავად მონიშნონ უფრო ვიწრო საზღვარი, რომელსაც ისინი ნებაყოფლობით დაიცავენ და არ ისარგებლებენ კანონის მიერ მინიჭებული თითქმის განუსაზღვრელი თავისუფლებით. მედიის თვითრეგულაციის პროცესი ახალი დროის ახალი გამოწვევაა და ეს პროცესი უკვე დაწყებულია. ქართველი ჟურნალისტების

ნაწილი ხშირად გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სტანდარტზე საუბარი მხოლოდ იმის შემდეგ შეიძენს აზრს, როცა მოგვარდება მთავარი პრობლემა – როდესაც თვისებრივად გაუმჯობესდება სარედაქციო დამოკიდებულებისა და, ზოგადად, სიტყვის თავისუფლების ხარისხი.

ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნილება, რომელიც ჟურნალისტმა უნდა მიიღოს მხედველობაში, უპირველესად, საჭირო ცნობების შეგროვების ეტაპზე საიდუმლოს შენახვაა. მთავარია ვიცოდეთ, რომ კანონებში არსებობს ინფორმაციის დანაწილება ხელმისაწვდომობის ხარისხით საიდუმლო და სამსახურებრივი მოხმარების მიხედვით. ამასთან ერთად, არსებობს არასახელმწიფოებრივ საიდუმლოთა გაგებაც, რომლებსაც მიეკუთვნება: გამოძიების საიდუმლო, ცნობები სამსახურებრივი გამოყენებისათვის (არა ბეჭდვითი), კომერციული, საექიმო, პირადი და სხვა ტიპები. კანონები საიდუმლოს არ მიაკუთვნებს ცნობებს თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ, დოკუმენტებს, რომლებიც კომერციული მოღვაწეობის უფლებას იძლევა, ინფორმაციას, დაკავშირებულს ეკოლოგიური ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევასთან, ასევე ცნობებს, რომლებიც შეიცავს საბუღალტრო ანგარიშებს.

არასახელმწიფოებრივი საიდუმლოს შენახვა ხორციელდება მისი, მესაკუთრის და იმ პირების მიერ, რომელთაც ისინი ანდეს სამსახურებრივი თუ საქმიანობის ხაზით. ამასთან ერთად, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსი აღიარებს ***დანაშაულად ცნობების გახმაურებას, რომელიც საიდუმლოებას წარმოადგენს იმ პირის მიერ (მათ შორის ჟურნალისტის), რომელსაც ეს ცნობები გაანდეს ან გახდა ცნობილი სამსახურიდან თუ სამუშაოდან. სახელმწიფო საიდუმლოს გახმაურება ან შპიონაჟი – სახელმწიფო ღალატი ითვლება ყველაზე მძიმე დანაშაულად.*** ხოლო პასუხისმგებლობა სამსახურებრივიან კომერციული საიდუმლოს გახმაურებაზე („არასახელმწიფოებრივი საიდუმლოს გაგებაში") გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსში. პირებმა, რომლებმაც მიიღეს (მათ შორის ჟურნალისტებმა) და გაახმოვანეს სამსახურებრივი თუ კომერციული საიდუმლოება, ასევე მომსახურეები (სამუშაო ხელშეკრულების დარღვევის გზით) ან კონტაქტორები – მიუხედავად დადებული სამოქალაქო სამართლის ხელშეკრულებისა, ვალდებულნი არიან ზარალი აანაზღაურონ [4, 109-110].

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ჟურნალისტური გამოძიების მიმდინარეობისას ინფორმაციის შეკრების ეტაპზე საკმაოდ მძიმეა გადალახო ის უამრავი

დაბრკოლება, რომელიც აიხსნება მათი შემქმნელისგან, გადამისამართებით „კომერციულ" და სხვა ტიპის საიდუმლოებებზე. ყოველივე ეს რითი აიხსნება? უპირველესად, ფორმულირების არასაკმარისი გარკვეულობის გამო, რომელსაც იძლევა კანონთა მრავალმნიშვნელოვანი ახსნა. ავიღოთ, მაგალითად, წარმოდგენა „სახელმწიფო საიდუმლოზე", რომელიც თითქმის ნათლად ხსნის მას. ძირითადში სახელმწიფო საიდუმლოს ეხება ქვეყნის სამხედრო და თავდაცვითი პოტენციალი. ***კანონი განსაზღვრავს მათ, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო საიდუმლოს, სრულიად გასაიდუმლოებული და სამხედრო საიდუმლო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა ცნობები, დაცული სახელმწიფოს მიერ*** [4, 109-111]. როგორც ჩანს, მოჩვენებით სიცხადესთან ერთად, სინამდვილეში ინფორმაციის საზღვრები, რომლებიც მოქცეულია „სახელმწიფო საიდუმლოს" გაგებაში, იმდენად წაშლილია, რომ შედეგად ყოველგვარი ინფორმაცია, რომლის გამოჩენა იქნებოდა არასასურველი, ვთქვათ, ხელისუფლებისათვის, შესაძლოა იყოს გაცხადებული საიდუმლოდ, რომელიც გახმოვანებას არ ექვემდებარება.

ყოველ შემთხვევაში ჟურნალისტს უნდა ახსოვდეს, რომ ინფორმაციის მოძიებისას, ამა თუ იმ საიდუმლოში შეღწევის დროს, მათ შორის ადამიანის პირად ცხოვრებაში (რაც, როგორც წესი, კანონის დარღვევასთანაა კავშირში), შესაძლოა, რაღაც დოზით იყოს გამართლებული, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი მასში არის დიდი საზოგადოებრივი მოთხოვნილების აუცილებლობა.

საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დარღვევად, უპირველესად, მცდარი, შეუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნება ითვლება. კონფლიქტური სიტუაციის გაშუქებისას ჟურნალისტმა ორივე მხარის პოზიცია უნდა წარმოაჩინოს. მკითხველმა და მაყურებელმა არ უნდა იგრძნოს, რომ ჟურნალისტი რომელიმე მათგანისკენ იხრება და კომენტარს რომელიმეს სასარგებლოდ აკეთებს. მან ნეიტრალური პოზიცია უნდა აირჩიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის აუდიტორიის ნდობას დაკარგავს. პროფესიონალიზმი იმასაც გულისხმობს, რომ ნაჩქარევი გადაწყვეტილებები და დასკვნები არ გააკეთოს. მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე დაუშვებელია ეჭვმიტანილის დამნაშავედ გამოცხადება.

4.3. სამართლებრივი წესები, რომლებიც ჟურნალისტური გამოძიების თემებს ეხება

კაცობრიობის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მონაპოვრად ითვლება ის ფუნდამენტური ცვლილებები, რომლებიც საზოგადოებრივ ცნობიერებაში მოხდა უკანასკნელ პერიოდში. გაჩნდა მისწრაფება ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებისა, რომელიც დაფუძნებული იქნება სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპზე, დისკრიმინაციისა და ძალადობის ყველანაირი ფორმის გამოვლენის გარეშე... თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საზოგადოებაში მისი ნებისმიერი წევრისთვის უფლებრივი დამკვიდრების ტენდენციამ მიიღო აბსოლუტური ღირებულების სახე. ამავე დროს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში ჯერ კიდევ საკმაოდ ხშირად ვხვდებით არა მარტო თანასწორუფლებიანობის პრინციპების უქონლობას, არამედ სხვადასხვა ტიპის დისკრიმინაციასა და ძალადობასაც. ადამიანების უფლებრივი დაცვა გლობალური პრიორიტეტი გახდა, რაზეც მეტყველებს გაეროსა და მრავალი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ძალისხმევა ამ მიმართულებით.

მედია, განსაკუთრებით ჟურნალისტური გამოძიების სფეროში მომუშავე ჟურნალისტები, უნდა ცდილობდნენ საზოგადოებაში სამართლიანობის დამკვიდრებას; მათი შრომა მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალურ განვითარებაშიც შეიტანონ წვლილი, უსამართლობისგან დაიცვან ადამიანები.

საერთაშორისო კვლევების შედეგების მიხედვით, დღეს, როდესაც ადამიანის უფლებების დარღვევა მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, არ ჩანს მისი გადაჭრის რეალური შესაძლებლობები – საგამოძიებო ჟურნალისტიკას სწორედ აქ შეუძლია მიუთითოს მოსახლეობის დაცვის სტანდარტებზე, ადგილობრივ თუ ეროვნულ დონეზე გავლენა მოახდინოს ადამიანებისადმი ძალადობის შემცირებაზე, აიძულოს ხელისუფლება, დროულად მოაგვაროს ქვეყანაში არსებული კრიზისი. უფრო მეტიც, ეთიკურ რეგულაციებზე დაფუძნებულ საგამოძიებო ჟურნალისტიკას შეუძლია ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება, რომელიც სხვა შემთხვევაში შეიძლება ან დამალული, ან შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ჟურნალისტურ გამოძიებებს ასევე შეუძლია კატასტროფების თავიდან აცილებასაც შეუწყოს ხელი. სამხრეთ აფრიკის მედიაინსტიტუტის ჟურნალ „რეპრეს“ რედაქტორი – ზოე ტიტუ ჟურნალისტური გამოძიების მნიშვნელობასა და ფუნქციაზე წერს: „1951-1961

წლების ჩინეთში შიმშილობას 23-დან 30 მილიონამდე ადამიანი შეეწირა. მიუხედავად მთავრობის მონდომებისა, მოესპო შიმშილობა, სამი წლის განმავლობაში ჩინეთში არსებითად არ შეცვლილა „დიდ ნახტომად“ წოდებული სამოქმედო პოლიტიკა. რაც მთავარია, მმართველი სტილის შეცვლა არ მოხერხდა არა მხოლოდ პოლიტიკური ოპოზიციისა და თავისუფალი მედიის არარსებობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ჩინეთის მთავრობას არ ჰქონდა რეალური ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა შედეგი მოჰყვა „დიდ ნახტომს“. ჩინელი ჩინოვნიკები ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდნენ, ეგონათ, რომ სხვა რეგიონებში ამ პროგრამამ გაამართლა, მათთან კი – არა. ამიტომ სხვადასხვა კოლექტივმა და კომუნამ მიზნად დაისახა, გაეყალბებინათ მონაცემები, რითიც სხვებს დაარწმუნებდნენ, რომ მათ რეგიონში უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე სხვაგან. მოგონილმა ციფრებმა უსაშველოდ გაბერა ჩინეთის ხარჯთაღრიცხვა და შიმშილობამ პიკს მიაღწია. თანამდებობის პირებს თავადაც სჯეროდათ, რომ არსებულზე 100 მილიონი ტონით მეტი მარცვალი ჰქონდათ. დაბოლოს, ღირებულებების ფორმირება ინფორმირებულობასა და არგუმენტების სააშკარაოზე გამოტანას მოითხოვს. პრესის თავისუფლება კი ამ პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ახალი სტანდარტები და პრიორიტეტები დისკუსიების დროს ყალიბდება... “ [78, 335-336].

მედიაექსპერტები ყოველთვის მიგვანიშნებენ იმაზე, რომ ისეთ ყოვლისმომცველ ურთიერთობაში, როგორიცაა ჟურნალისტური გამოძიების შესწავლის სფერო, მზა რეცეპტები პრაქტიკულად არ არსებობს და საუბარი მხოლოდ კონსულტაციურ ხელშეწყობაზე თუ შეიძლება. თუ ადამიანს ერთი დღე უმუშავია ჟურნალისტურ გამოძიებაზე, დაინახავს, რომ ამ სფეროს წარმატებულობის განმსაზღვრელი ფაქტორებია: საკუთარი საქმისადმი ურყევი რწმენა, მედიის მნიშვნელობის სათანადო გააზრება და თანამშრომლობის უნარი. თეორიული პოსტულატებით ყოველივე ამის სწავლება შეუძლებელია.
აბრაამ ლინკოლნის სიტყვები – „მიეცით ხალხს შესაძლებლობა, იცოდეს ფაქტები და ქვეყანა უსაფრთხო იქნება“ – ჩვენი საზოგადოებისათვის კვლავ აქტუალურია. მრავალი საერთაშორისო კონვენციითა და დეკლარაციით განმტკიცებული თავისუფლების ამ ნორმის ნებისმიერი სახით ხელყოფას დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობა განიხილავს არა როგორც ცალკეული სახელმწიფოს, არამედ მთელი ცივილიზებული სამყაროს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას. საქართველოში თანამედროვე სახელმწიფო

მოხელე ინფორმაციის თავისუფლებას, მასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ნორმებს განიხილავს, როგორც საიდანღაც, ვიღაცის მიერ თავსმოხვეულ სამწუხარო ვალდებულებას და არა მისი, როგორც მოქალაქის, სასიცოცხლო, აუცილებელ გარანტიას იმ სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის, რომელსაც იგი, როგორც მოქალაქე და სახელმწიფო მოხელე წარმოადგენს. სწორედ ინფორმაციის თავისუფლებაზეა დამყარებული დიალოგი ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის; ამგვარ კომუნიკაციურ ურთიერთობას ეფუძნება ხელისუფლების ეფექტიანობა.

დემოკრატიული სახელმწიფოს მართვისთვის აუცილებელი კომუნიკაციური ურთიერთობა საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის წარმოუდგენელია ისეთი მედიასაშუალებების გარეშე, რომლებიც აწარმობენ გამოძიებას, დაკვირვებას ჩინოსნებზე, მათ შეცდომებზე... აიძულებენ მათ მოგვარებას... მეორე მხრივ, სახელმწიფო მოხელეებს ევალებათ მედიაში მიმდინარე პროცესებისა და საინფორმაციო ნაკადში ჩართვის მეთოდების ცოდნა.

4.4. სამართლებრივი შეზღუდვები ინფორმაციისა და გამოძიებათა შედეგების გადმოცემის დროს

სამართლებრივი დაბრკოლებები არსებობს ინფორმაციის გადმოცემის დროსაც, რომელიც მიღებულია გამოძიების შედეგად. ისინი ზღუდავენ უპირველესად განზოგადებისა და შეფასების ხასიათს, რომელიც გამოტანილია მაძიებლის მიერ (მათ შორის, ექსპერტების პირით, გამოსაძიებელი შემთხვევის მოწმეებისა და სხვა პირების მეშვეობით). ენობრივ საშუალებათა ხასიათი, ექსპრესიული გამონათქვამები, რომელიც გამოიყენება ტექსტის გადმოცემის დროს (მაგალითად, ჟურნალისტს არ აქვს უფლება დაარქვას ვინმეს დამნაშავე მანამდე, სანამ ეს არ იქნება აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებაში), ჟურნალისტის მიერ რაიმე საშუალებებით მონაცემთა შეკრების ეტაპზე მიღებული ესა თუ ის ინფორმაცია, ვიდრე ის იქნება გამოქვეყნებული, უნდა იქნეს შეფარდებული უპირველესად „საქართველოს კანონის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ“ *21-ე მუხლის, მე-3 სტატიის მოთხოვნებთან. სტატია გვაუწყებს შემდეგს:* „ჩაიწეროს მასალა ნებისმიერი საშუალებით (მათ შორის აუდიო-ვიზუალური ტექნიკის გამოყენებით,

კინო და ფოტო გადაღებით) კანონით აკრძალული შემთხვევების გარდა, თუ ეს არ არღვევს ადამიანისა და მოქალაქის თავისუფლებასა და საკონსტიტუციო უფლებებს, თუკი ეს აუცილებელია საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად და მიღებულია უცხო პირთა იდენტიფიკაციის შესაძლო საწინააღმდეგო ზომები, თუკი ჩაწერისას დემონსტრაცია ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. მე-4,20 მუხლის თანახმად, „ჟურნალისტის უფლებების ბოროტად გამოყენება დაუშვებელია"; 15,24 მუხლში კი ნათქვამია: „მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით რედაქციას მოსთხოვოს პიროვნების შეურაცხმყოფელი მასალის უარყოფა, რომელიც ქვეყნდება გაზეთში ან ჟურნალში სპეციალური რუბრიკით იმავე გვერდზე ან ტელე-რადიოპროგრამების მორიგ გამოშვებაში, მოთხოვნის შემოსვლის დღიდან არა უგვიანეს ერთი კვირისა. უარყოფა შეიძლება გამოქვეყნდეს სხვა გაზეთში ან ჟურნალში, თუ პიროვნების შეურაცხმყოფელი მასალა დაიბეჭდება რომელიმე ერთჯერად გამოცემაში. თუ მოქალაქეს ან ორგანიზაციას არ აკმაყოფილებს პასუხი, უფლება აქვს მიმართოს სასმართლოს" [15, 24-ე მუხლი].

აკრძალულია ჟურნალისტის უფლება გამოყენებული იყოს ინფორმაციის გავრცელებაზე მოქალაქეთა ან ცალკეული პირის შეურაცხყოფისთვის, სამუშაოს, საცხოვრებელი ადგილის, პროფესიის, რელიგიასთან დამოკიდებულების, ენის, ნაციონალური მიკუთვნილების, ასაკის, მარტოოდენ სქესის ნიშნითა და ასევე მათი პოლიტიკური მრწამსის მიხედვით [21, 148-ე მუხლი]. ინფორმაციის მოძიებისას, რა თქმა უნდა, კანონიერების ფარგლებში, მოქმედების არა ვიწრო, არამედ ფართო არეალი ყველა ჟურნალისტის სანუკვარი ოცნებაა. სწორედ ამიტომ ეს კოდექსი ჟურნალისტის დამოუკიდებლად მოქმედების აუცილებლობას უსვამს ხაზს. მასში ნათქვამია, რომ პრესის წარმომადგენელი თავისუფალი უნდა იყოს ყველა იმ ვალდებულებისაგან, რომელიც საზოგადოების მოთხოვნას ინფორმაციის მიღებაზე არ უკავშირდება. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტი ვალდებულია:

1. თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი, რაც შესაძლოა აშკარა ან დაფარული იყოს;

2. არ ეწეოდეს ისეთ საქმიანობას და არ იყოს იმ გაერთიანების წევრი, რამაც შესაძლოა ჟურნალისტთა ერთიანობის დარღვევა და ნდობის შერყევა გამოიწვიოს;
3. უარი განაცხადოს საჩუქრების, ჰონორარების, შეღავათების მიღებაზე, უფასო მგზავრობებსა და მკურნალობაზე, ასევე უარი განაცხადოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, თუკი ეს ჟურნალისტურ ერთიანობას ზიანს აყენებს;
4. გამოააშკარაოს გარდაუვალი კონფლიქტები;
5. იყოს წინდახედული და თამამი მათთან, ვინც ძალაუფლებას ფლობს;
6. დაგმოს რეკლამის ობიექტთა პრივილეგირებული გაშუქება ან მათდამი განსაკუთრებული ინტერესის გამოვლენა, ამავე დროს წინააღმდეგობა გაუწიოს მათ მცდელობას, ვინც ახალი ამბების საშუალებით საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას ცდილობს;
7. „იყოს წინდახედული იმ საინფორმაციო წყაროებთან, რომლებიც ინფორმაციის საფასურად თანხას ან სხვა სარგებელს ელიან. მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ თანხის შეთავაზების პრეცედენტი არ შეიქმნას“ [21, 148].

კოდექსში ცალკე თავად არის გამოყოფილი სიმართლის ძიება და მისი გადმოცემის საშუალებები, რომელშიც ნათქვამია, რომ ჟურნალისტი ინფორმაციის მოძიების, გაშუქებისა და ინტერპრეტაციის პროცესში ობიექტური, მიუკერძოებელი და თამამი უნდა იყოს. კოდექსში მოცემულია იმ ქმედებათა ჩამონათვალი, რომელიც მათ პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს თავიდან უნდა აიცილონ. საყურადღებოა, რომ პირველ ადგილზე არაობიექტურობა და ფაქტების დამახინჯების თავიდან აცილება დგას. კოდექსში განსაკუთრებით საინტერესოა ის თავი, რომელიც ჟურნალისტს მისი საქმიანობიდან მიყენებული ზარალის მინიმუმამდე დაყვანას ავალდებულებს. მასში ნათქვამია, რომ ჟურნალისტი, რომელიც ეთიკური კოდექსებით ხელმძღვანელობს, რესპონდენტებსა და კოლეგებს პატივისცემით უნდა ექცეოდეს.

თუ ჟურნალისტს რაიმე მიზეზით არ შეუძლია გაითვალისწინოს სამართლის მოთხოვნილებანი მასალის დამუშავების პროცესში, შესაძლებელია მათ თავი იჩინონ გამოქვეყნების შემდეგ, მაგრამ უკვე ავტორზე სასამართლო სარჩელის

ფორმაში. სამართლებრივი „ხაფანგების“ წარმოქმნის გაუთვალისწინებელი ხასიათი (დაბრკოლებები) შესაძლოა, მაგალითად, „სახელმწიფო საიდუმლოს“ სამართლებრივი განსაზღვრების შემთხვევაში, რადგან, სამწუხაროდ, დღევანდელი კანონების არეალში, არსებობს მრავალი ტერმინოლოგიური „შეუსაბამობანი“, რომელიც ხელს უშლის ჟურნალისტს, მოძებნოს ზუსტი სამართლებრივი ორიენტირები გამოსაძიებელი ფაქტების მომზადებისას, მასალის გადმოცემისა და მომავალში თავისი უფლებების დაცვისათვის. ასე, არსებულ კანონებში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ჟურნალისტურ გამოძიებასთან ხშირად დაკავშირებული, ასევე სასამართლო პროცესების ძირითადი გაგებანი, როგორიცაა „პატივი“, „ღირსება“, „ცილისწამება“, „შეურაცხყოფა“, „ღირსებისა და პატივის დამცირება“.

ხოლო უზუსტობა და გაურკვევლობა ძირითადი ცნებების განსჯისას, როგორც კანონმდებლობის ტექსტებში, ასევე იურიდიულ ლიტერატურაში „ხელს უწყობს სუბიექტივიზმს, გაურკვევლობას და ამით აიხსნება უზუსტობა სამართალდამცავ პრაქტიკაში“.

უზუსტობა, გაურკვევლობა იურიდიულ ტერმინებში გვევლინება მნიშვნელოვან ნაკლოვანებად, რომლებიც განეკუთვნებიან ჟურნალისტური მოღვაწეობისა და მისი ტექნოლოგიის განსხვავებულ რეალიებს, კანონისა და ჟურნალისტის ურთიერთდამოკიდებულების განსხვავებულ ასპექტებს. მაგალითად, ცნობილი იურისტების აზრით, რომლებიც ამზადებენ მედიის ახალ მოქმედ კანონებს, არ შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული ის, რომ კიდეც გამოსაყენებული კომპიუტერებისათვის კანონმდებლობაში უკვე დაგროვდა ბევრი ტერმინოლოგიური აბდაუბდა. ასე, მაგალითად, უკვე ნახსენებ კანონში „ინფორმაციასა და ინფორმაციის დაცვაზე“ – გამოიყენება ტერმინები: „ინფორმაციული სისტემა“, „ინფორმაციული პროცესების რეალიზაციისთვის საჭირო გამოთვლითი ტექნიკისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი“ და ა.შ.

არსებულ ინფორმაციულ-სამართლებრივ არეში მუშაობისას, მისთვის მნიშვნელოვანია მისდიოს ორ აუცილებელ პირობას: ერთი მხრივ, „პრინციპების არ დათმობა“, ანუ ისწრაფოდეს, მიაღწიოს საზოგადოებრივად მინიშვნელოვან მიზანს – გახსნას საიდუმლო, რომელიც საზოგადოებისთვის მავნეა და მეორე მხრივ, თავი აარიდოს კანონებთან კონფრონტაციას.

ჟურნალისტმა არ უნდა დაივიწყოს ის, რომ კანონის დარღვევა მისი მხრიდან (თუკი ისინი უმნიშვნელოა იმ სხვა დანაშაულებთან შედარებით, რომელსაც ის იძიებს) აძლევენ მის საწინააღმდეგოდ მოქმედ პირებს რეალურ საფუძველს, რომ დააკისრონ მას სასამართლო პასუხისმგებლობა. კანონთან ჟურნალისტის გაუფრთხილებელი დამოკიდებულების მაგალითები შეიძლება არა ხშირად, მაგრამ მაინც მჟღავნდება. ასე, მაგალითად, ერთი ცნობილი ჟურნალისტ-გამომძიებელი დააკავეს სამართალდამცავებმა, რადგან თავისი ავტომობილით დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები. დამრღვევის დოკუმენტების შემოწმების დროს პოლიციის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს მასთან საბუთები, რომელიც მფლობელს ანიჭებდა უფლებას, რომ საგზაო პოლიციის დათვალიერებას არ ექვემდებარებოდა (ყველა ამ დოკუმენტის მფლობელი ის იყო თავად).

ჟურნალისტმა სასტიკი უარი განაცხადა ეპასუხა შეკითხვაზე, საიდან აქვს მას ეს დოკუმენტები, მაგრამ გააფრთხილა პოლიცია, რომ ისინი წარმოადგენენ შესაბამისი ორგანოების მიერ მხოლოდ მასზე გაცემულ „დაცვის დოკუმენტს". რეზულტატში მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ყალბი დოკუმენტების გამოყენების ფაქტზე. იგი გააგზავნეს დროებითი განთავსების იზოლატორში. მეორე დღეს ის გამოუშვეს ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით. მოგვიანებით საქმე გადაეცა პროკურატურას და მხოლოდ მაღალი თანამდებობების მფარველთა წყალობით, რომელთა მეშვეობით ადრე მან მიიღო „დამცავი დოკუმენტები", რომლებიც აუცილებელი იყო მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული გამოძიების შესასრულებლად, საქმე იქნა დახურული [78, 337-341].

ჟურნალისტ-გამომძიებელს ხანდახან იმ კანონების სრულიად საპირისპირო გააზრებათა გათვალისწინება უხდება, რომლებთანაც აქვს შეხება. ეს სავსებით შესაძლებელია, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, კანონების არასრულყოფილების გამო, მისი გაგების უკმარისობასა და კატეგორიულობაში. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, აუცილებელია დისკუსიები და კომპრომისები მოწინააღმდეგე მხარესთან.

თავად გამომძიებლისათვის რამდენად მნიშვნელოვანია შესაძლო შედეგების პროგნოზირება სამართლებრივი თვალსაზრისით, გვიჩვენებს უკვე წინა თავებში ხსენებული გახმაურებული შედეგიანი და ეფექტიანი სტატიები.

ჟურნალისტს, რომელიც ეს-ესაა შეუდგა ჟურნალისტურ გამოძიებას, გეგმის სრულყოფისათვისგარკვეული იურიდიული დახმარება შეუძლიათ აღმოუჩინონ იურიდიულ საკითხებზე მომუშავე ექსპერტებმა და ასევე, მონაწილეობამ სემინარულ მეცადინეობებში, რომელსაც ხშირად აწყობს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; ხოლო ინტერნეტში (რომელიც უფრო დიდი აუდიტორიისთვისაა ხელმისაწვდომი, ვიდრე სპეციალური მივლინება) მეცადინეობებს ატარებს ასეთი სახის სემინარებისთვის იურიდიული ტრენინგის ფირმის საჯაროობის დაცვის ფონდი. შეიძლება ასევე გამოყენებული იქნეს იურიდიული, თავდაცვის ტექნოლოგიის მასალები ჟურნალისტებისთვის, მაგალითად, სასამართლო ჟურნალისტიკის სახელმძღვანელო (გამოცემულია თბილისში, სამართლებრივი განათლების ასოციაცია ALPE-სა და ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის ICFG-ის მიერ, 2002 წ.). ეს სახელმძღვანელო შეიცავს მთავარ დასკვნებს, რეკომენდაციებს და დაწერილია ჟურნალისტებისთვის პირდაპირი გამოყენების თვალსაზრისით.

იურიდიული თავდაცვის საკითხებზე მომავალი ჟურნალისტებისა და მედიის თანამშრომლებისთვის ეფექტური იქნება მომზადდეს პრაქტიკული სასწავლო სემინარები და მასზე დაყრდნობით გამოიცეს მასალების კრებული. ასეთი სახის ინფორმაციები გამომძიებელ-ჟურნალისტებს ხელს შეუწყობს იმოქმედონ სამართლებრივი პრინციპების დაცვით. იმისათვის, რომ შეიქმნას ზოგადი წარმოდგენა ასეთი ტიპის სემინარებისა თუ პრაქტიკუმების შინაარსსა და მის ეფექტიანობაზე, ჟურნალისტურ გამოძიებაში მომუშავე ჟურნალისტებისათვის გავეცნოთ საერთაშორისო მედიის გამოცდილებას ზოგიერთი იურიდიული რეკომენდაციების თვალსაზრისით. აი, მაგალითად:

რა არის „ღირსება“ და მისი „დამცირება?“

სამართლებრივი თვალსაზრისით – ეს არის თვისებების დადებითი შეფასებების ასახვა (ფიზიკურის ან იურიდიულის), რომელიც არსებობს საზოგადოების შემეცნებაში; თუმცა ღირსების განსაზღვრება გარკვეულ წინააღმდეგობაში

მოდის საქართველოს კონსტიტუციის სამოქალაქო კოდექსის გაგებასთან, რომელიც პიროვნების არამატერიალური ჩამოუშორებადი უფლებაა მხოლოდ მაშინ, თუ ამ უფლებას არ გავიგებთ, როგორც თავისებურ, „ღირსების“ ქონის (არსებობის) „პრეზუმფციას“, რითაც ადამიანი ფლობს ღირსებას, თუკი მის მიერ არ არის დაშვებული ისეთი მოქმედებანი ან გამონათქვამები, რომლითაც არ შეესატყვისება საზოგადოებრივი აზრის მიერ მის დადებით შეფასებას [78, 342]. შეადარეთ საქართველოს კონსტიტუციის სამოქალაქო კოდექსი „ღირსებისა და პატიოსნების დაცვისას“ – არსებობს პრეზუმფცია, რომლის თანახმად შეურაცხმყოფელი ცნობების გავრცელება არ ჩაითვლება სინამდვილის შესატყვისად. ეს ნიშნავს, რომ ასეთი ცნობების სარწმუნო დასაბუთება უნდა მოახდინოს მან, ვინც ისინი გაავრცელა.

ღირსების დამცირება გულისხმობს, რომ მოსარჩელე გრძნობს (ან მიაჩნია პოტენციურად შესაძლო ცვლილება) საზოგადოებრივი აზრის ცვლილებას მის მიმართ. ეს არის ადამიანის შეგნებული დისკრედიტაცია საზოგადოებაში. თუმცა, როგორც საქართველოს კონსტიტუციის სისხლის სამართლის კოდექსშია მითითებული: „დამცირების არსებობის ფაქტი, მისი ხარისხი და სიღრმე ფასდება, უპირველესად, დაზარალებულის მიერ: ობიექტური, მით უფრო, ოპერაციონალური კრიტერიუმები იმის დასამოწმებლად, რომ ღირსების შელახვას ჰქონდა ადგილი, კანონსა და მართლმსაჯულებაში საერთოდ არ არის“ [17, 142].

რა არის „ღირსება“ და შეიძლება თუ არა მისი „დამცირება?“

მედიის მკვლევარების განმარტებით, ღირსება ესაა „პიროვნების თვითშეფასება, რომელიც ეფუძნება საზოგადოების მიერ მის შეფასებას“, მაგრამ ადამიანის საზოგადოებრივი შეფასება არ შეესაბამება ღირსების გაგებას. ღირსება ადამიანის მიერ თავისივე ფასეულობის შეგრძნებაა, როგორც ადამიანისა – ზოგადად, როგორც კონკრეტული პიროვნებისა, პროფესიონალისა და ა.შ. და აქედანაა პირადულის, პროფესიონალურის, ნაციონალური ღირსების გაგებანი. ***საქართველოს კონსტიტუციაში ნათქვამია.:*** „პიროვნების ღირსებას იცავს სახელმწიფო. არაფერი არ შეიძლება იყოს მისი დამცირების საფუძველი. ღირსება, ისევე, როგორც პატიოსნება, კანონმდებელთა მიერ შეყვანილია პიროვნების არამატერიალურ უფლებათა რიცხვში“ [15, 24]. სასამართლოს

განაჩენის ძალაში შესვლამდე თავის მასალაში წინასწარ წყვეტს განსასჯელის დამნაშავეობის საკითხს ან სხვაგვარად არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპებს. კრიტიკული მასალის მომზადების დროს ჟურნალისტმა არ უნდა შეურაცხყოს კრიტიკის ობიექტი, არ უნდა მიუთითოს ფიზიკურ ნაკლზე.

სამწუხაროდ, ლანძღვა-გინების მაგალითებს თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკა უხვად იძლევა. მთავარია, რომ ჟურნალისტმა რესპონდენტს მორალური ზარალი არ მიაყენოს. მან წინასწარ უნდა გაიაზროს, თუ რისი გამოქვეყნება შეიძლება და რისი არა. ჟურნალისტს, რომელსაც პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს უამრავ ადამიანთან აქვს ურთიერთობა, არ უნდა ღალატობდეს ტაქტის გრძნობა. დაუშვებელია ყურმოკრულ ფაქტებზე, დაუზუსტებელ ცნობებზე, ჭორებზე, ვარაუდებზე მასალის აგება და სიმართლის გაყალბება. როგორც დღეს საქართველოში სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების მიმოხილვამ გვიჩვენა, ნებისმიერი მსგავსი ქმედება კანონით იკრძალება. კოდექსში განმარტებულია, თუ რა მოეთხოვება ჟურნალისტს, რა არის მისთვის დასაშვები და რა არა. პირველ თავში საუბარია ჟურნალისტის სოციალურ პასუხისმგებლობაზე, ხაზგასმულია, რომ ის ვალდებულია ემსახუროს სიმართლეს, იყოს ობიექტური, კეთილსინდისიერი, პატივი სცეს საყოველთაო ღირებულებებს [15, 24]. ამგვარად, ღირსების გაგება თავის თავში შეიცავს ადამიანის მიერ საკუთარი აბსტრაქტული და კონკრეტული სოციალური ღირსებების გააზრებას და ასევე, სოციალური ჯგუფების ფასეულობებს, რომლებსაც იგი განეკუთვნება. სხვა საკითხია, რა საფუძველზე ხდება ამ ჯგუფების ფორმირება: ყველაზე ხშირად ისინი წარმოადგენენ პროფესიონალურს ან კონფენსიალურს (რელიგიურს).

მისი განმსაზღვრელი ნიშანი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანის ესა თუ ის დადებითი თვისებები და საზოგადოებრივი აზრი მის ქმედებებზე. შემთხვევითი არ არის საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერილი – ღირსების შეზღუდვასა და არა დამცირებაზე. არ შეიძლება დაამცირო ადამიანი მის, საკუთარ თვალში. ამიტომ უფრო აღმატებული იქნებოდა გვეთქვა, არა „ღირსებისა და პატიოსნების დამცირება“, არამედ ღირსების დამცირება და პატიოსნების დაკნინება.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ბრიტანეთის დეფამაციის კანონი, რომელიც საგამოძიებო ჟურნალისტიკას გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს. დეფამაცია ინგლისის კანონმდებლობაში განისაზღვრება, როგორც: „არასწორი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც აზარალებს პიროვნების რეპუტაციას და ამცირებს მას საზოგადოების თვალში“.

რა არის „რეპუტაცია“ და „პატიოსანი სახელი“

რეპუტაციის ცნება (ზოგადად) საკანონმდებლო ტექსტებში არ არის. მხოლოდ საქმიანი რეპუტაციის გაგება აიხსნება, როგორც პიროვნების არამატერიალური უფლება (რომელიც მიეკუთვნება იურიდიულ პირს), რომელსაც საქართველოს კონსტიტუციაში სისხლის სასამართლო კოდექსში არ აქვს არავითარი ახსნა (თუმცა ტერმინი „რეპუტაცია“ საქართველოს კონსტიტუციის სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება ცილისწამების სტატიაში, მაგრამ კონტექსტიდან ჩანს, რომ მხედველობაშია მიღებული სწორედ და მხოლოდ საქმიანი რეპუტაცია). როგორც ჩანს, რეპუტაციის ცნება, რომელიც განმარტებულია საქართველოს კონსტიტუციიის კომენტარებში, როგორც „ადამიანზე შექმნილი შეხედულება, დამყარებული მისი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თვისებების შეფასებაზე“ [5, 22-23] არის მხოლოდ გაგების ერთი მხარე, რომელიც გაცილებით მასშტაბურია, ვიდრე რეპუტაციის არსი. რაც შეეხება საქმიანი რეპუტაციის ცნებას, სამართლის ტექსტებში იგი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ბიზნეს-სამეწარმეო საქმიანობასთან.

პრესტიჟის ან მორალური პრესტიჟის ცნებას კანონმდებლები საერთოდ არ იყენებენ და იგი გვხვდება მხოლოდ იურიდიულ ლიტერატურაში. ეს არის აღებული პიროვნების შეფასება საზოგადოების აზრის მიერ მისი სოციალური როლის, სტატუსის, გავლენის თვალთახედვით. ამიტომ პრესტიჟი, შესაძლოა იყოს მეტ-ნაკლებად მაღალი, მაგრამ არ გააჩნია თვისობრივი (ხარისხობრივი) შეფასება. რაც შეეხება, შეთავსებას „მორალური პრესტიჟი“ თავისი არსით წინააღმდეგობრივია: „მორალური“ მიეკუთვნება ადამიანის პიროვნებას, ხოლო „იმიჯი“ „პრესტიჟი“ – უცილობლად მხოლოდ საზოგადოებრივი აზრით მის შეფასებას [78, 342-343].

რა არის ადამიანის „პატიოსანი სახელი“ – ეს ტერმინი ჯერჯერობით სრულიად გაუგებარია. იგი უფრო საქართველოს კონსტიტუციაში განმარტებული „რეპუტაციის“ სინონიმურია (ზოგადი გაგებით) და, ამდენად, პატიოსანი სახელის გაგება დაქვემდებარებულია ღირსების გაგებასთან.

ამგვარად, ყველა ეს სამი ცნება კანონშემოქმედებით არ არის განსაზღვრული და ჯერ არ შემოაქვთ შინაარსობრივად ან პროცესუალურად რაიმე ახალი.

რა არის ცილისწამება

კანონმდებლობა ცილისწამებისა და პირადი ცხოვრების უფლების შესახებ ერთმანეთთან დაკავშირებულია, ისინი მაინც სპეციფიკურ სამართლებრივ პრინციპებს ეფუძნება და ფუნდამენტურად განსხვავდება. ცილისწმება ადამიანის პიროვნებასა და რეპუტაციას ეხება. როდესაც სარჩელი პირად ცხოვრებაში ჩარევას ეხება, უზენაესი სასამართლო „ტაიმსის“ დოქტრინით ხელმძღვანელობს. ანუ, თუნდაც მოსარჩლემ დაამტკიცოს, რომ მის შესახებ მცდარი ცნობა გამოქვეყნდა, თუ ეს საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხს ეხებოდა, მან უნდა აჩვენოს, რომ შეცდომის დაშვებისას „იცოდნენ მისი მცდარობის შესახებ ან გამოიჩინეს დაუდევარი უყურადღებობა მისი მცდარობა-ჭეშმარიტებისადმი“ [8, 518]. ამერიკელი ჟურნალისტებისთვის ფედერალური სააპელაციო სასამართლოს ფორმულირება ამ საკითხთან მიმართებაში ასეა წარმოდგენილი: ჟურნალისტს ან გამომცემლობას, რომელსაც სააშკარაოზე გამოაქვს პირის პირადი ცხოვრება, არ ეკისრება სამართლებრივი პასუხისმგებლობა პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევისთვის, თუ მასალა (1) ეხება საზოგადოებისთვის საინტერესო პირს – და არ არის აუცილებელი, რომ იგი არჩევითი თანამდებობის პირი ან სახელგანთქმული ადამიანი იყოს, – და (2) არ არის „მეტად შეურაცმყოფელი ზომიერად მგრძნობიარე, გონიერი ადამიანისთვის და საზოგადოების სამართლიან დაინტერესებას იწვევს“ [8, 518].

სიმართლე საუკეთესო თავდაცვაა, თუ ცილისწამებას გაბრალებენ, მაგრამ, ამავე დროს, იგი შეიძლება პირად ცხოვრებაში ჩარევის ბრალდების საფუძველიც გახდეს. პირადი ცხოვრების უფლება ირღვევა, როდესაც პირის ცხოვრება საზოგადოების სააშკარაოზე გამოაქვთ და ამ საჯაროობის შედეგად იგი ფსიქიკურ ტრამვას იღებს. ცნება „სახელის გატეხისაგან“ განსხვავებით,

რომელსაც ანგლოამერიკულ (საერთო) სამართალში ხანგრძლივი ისტორია აქვს, პირადი ცხოვრების უფლება შედარებით ახალი იურიდიული ხილია და ბევრად მეტი უპასუხო კითხვაა, ვიდრე ცილისწამების შემთხვევაში. სასამართლოებმა უნდა გაავლონ მკაფიო ზღვარი საზოგადოების უფლებას შორის, რომელიც კონსტიტუციაში ნახსენები არ არის, თუმცა საყოველთაოდ აღიარებულია, და ინდივიდის პირადი ცხოვრების უფლებას შორის [8, 517].

ამერიკის მედიაში ცილისმწამებლური მასალის გამოქვეყნება საშიშროებას არ წარმოადგენს, თუ იგი პრივილიგირებულია. „პრივილიგირებული“ იმას ნიშნავს, რომ, თუ სტატია წარმოადგენს სასამართლო, საკანონმდებლო ან სხვა საჯარო ოფიციალური ორგანოს მუშაობისა და მათ სხდომებზე, თათბირებსა თუ პროცესებზე წარმოთქმულის ზუსტ ანგარიშს. საჯარო დოკუმენტაციის შინაარსი უმეტესად პრივილიგირებულია. ის, ვინც ამერიკის კანონებს ქმნიდა, ხვდებოდა, რომ სერიოზული საკითხების ღია განხილვა ვერ მოხერხდებოდა, თუ საზოგადოება სრულად ვერ გაეცნობოდა ხელისუფლების საქმიანობას. ცილისწამების ბრალდების წინააღმდეგ თვადაცვის მეორე საშუალება სიმართლეა. მიუხედავად იმისა, რამდენად სერიოზულად გაილანძღა ადამიანი, თუ დამტკიცდა, რომ განცხადება სიმართლეს შეესაბამება და იგი ბოროტი განზრახვის გარეშე გამოქვეყნდა, გალანძღული ადამიანი სასამართლოში ვერაფერს გახდება. მესამე თავდაცვა: სამართლიანი კომენტარი და კრიტიკა. ეს როგორც წესი, რედაქტორების წერილებს, ავტორებს და კომენტატორებს ეხება ხოლმე. თუკი კომენტარი უკეთდება ან გაკრიტიკებულია გაწეული სამუშაო და არა კონკრეტული ადამიანი, ეს ცილისწამებად არ მიიჩნევა. რომ შევაჯამოთ, ჟურნალისტს არ ეხება ცილისწამების ბრალდება, თუ გამოყენებული მასალა პრივილიგირებულია (საჯარო და ოფიციალური) ან მასალა არსებითად სიმართლეს შეესაბამება, ან წარმოადგენს სამართლიან კომენტარს. ტელეჟურნალისტების შემთხვევაში მომზადებული ტექსტიდან წაკითხული სახელის გამტეხი განცხადებები წერილობით ცილისწამებად მიიჩნევა, ხოლო წინასწარი მომზადების გარეშე წარმოთქმული სახელის გამტეხი შენიშვნები – ზეპირ ცილისწამებად [8, 509].

აშშ-ში გამოძიებათა ფედერალურმა ბიურომ, როდესაც თითქმის ზუსტად დაადგინა ატლანტაში ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დროს ბომბის აფეთქებაში ეჭვმიტანილი პირის ვინაობა, მასმედიამ მისი სახელი გაავრცელა.

„ენ-ბი-სის“ ჟურნალისტმა ტომ ბროუკომ თქვა, რომ გამომძიებლებს მალე „ყველა სამხილი ხელში ექნებათ“ და რომ „შესაძლოა, საკმარისი აქვთ, რომ ახლავე დააპატიმრონ, შესაძლოა საკმარისი, რომ საქმე აღძრან, მაგრამ ყოველთვის გინდა, რომ მსჯავრიც დასდო. ამ საქმეში კიდევ ბევრი ხარვეზია“. საქმეში იყო ხარვეზები, იმდენი, რომ ფედერალურმა ბიურომ ბოლოს აღიარა, რომ ორი თვე სულ სხვა ადამიანს დასდევდა, დაცვის თანამშრომელს, რომელმაც საეჭვო ზურგჩანთა ზუსტად აფეთქების წინ შეამჩნია. მისი სახელი, რომელიც გამოძიებათა ფედერალური ბიუროსგან შეიტყვეს, გაზეთმა „ატლანტა ჯორნელ-კონსტიტიუშენმაც“ ახსენა: „რიჩარდ ჯუელი... ბომბის ჩამდების აღწერილობას შეესაბამება“. როდესაც მასმედიამ შეწყვიტა ამ თემის გაშუქება, ჯუელის ნამდვილად ჰქონდა საფუძველი, რომ ვიღაც-ვიღაცები ცილისწამებაში დაედანაშაულებინა. „ენ-ბი-სიმ“ სასამართლო დავას მოსარჩელისთვის ფულის გადახდა არჩია: როგორც აცხადებდნენ, 500 000 დოლარისა. „ნიუ-იორკ დეილი ნიუზმა“ შეთანხმების შესახებ მასალას ასეთი სათაური წარუმძღვარა: „ბროკომ წამოროშა – „ენ-ბი-სიმ“ გადაიხადა“. იგივე ქნა „სი-ენ-ენმაც“. გაზეთმა კი უარი თქვა შეთანხმებაზე და ხანგრძლივი და ძვირად ღირებული სასამართლო პროცესიც დაიწყო. ერთმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ჯუელი იმ დროისთვის უკვე საჯარო პირი იყო და უნდა დაემტკიცებინა, რომ საგაზეთო მასალა „ნამდვილი ბოროტი განზრახვით“ გამოქვეყნდა. გაზეთმა აჩვენა, რომ კეთილსინდისიერად იმუშავა, მაგრამ ჯუელმა გაასაჩივრა განაჩენი. საქმე მხოლოდ ჯუელის გარდაცვალების შემდეგ დაიხურა. აქედან დასკვნა: ვიდრე სისხლის სამართლის საქმეში ეჭვმიტანილს დაასახელებდნენ, ჟურნალისტები უნდა დარწმუნდნენ, რომ მას ბრალდება ოფიციალურად წაუყენეს. ის, თუ პოლიცია ან სხვა ოფიციალური უწყებები რას ამბობენ, რომ აკეთებენ, ან გეგმავენ, რომ გააკეთონ, ოფიციალურ ქმედებებს არ მიეკუთვნება და, ამგვარად, არც პრივილიგირებულია [8, 514].

ამერიკელი ჟურნალისტიკის მკვლევარის, ექსპერტის მელვინ მენჩერის რჩევით, ჟურნალისტი იურიდიული ხრიკების იმედად არ უნდა იყოს და ყოველთვის სამართლიანად და ზუსტად უნდა გააშუქოს ყველაფერი. ცილისწამების ბრალდებათა მიზეზი ხშირად ხდება: უყურადღებობა, გაზვიადებული ნაწერი, ფაქტებზე დაუფუძნებელი მოსაზრებები, ოფიციალური პირებისა და ინფორმატორების განცხადებები, რომლებიც პრივილიგირებული ვითარების გარეთ გაკეთდა, ცნობების არაჯეროვანი გადამოწმება, რესპოდენტთან

შეუმოწმებელი განცხადებების გამოქვეყნება. თუ ცილისმწამებლური მასალა გამოქვეყნდა, უნდა გამოქვეყნდეს შეცდომის გასწორებაც. სიტყვების უკან წაღება სასამართლოში გამართლებად არ გამოდგება, მაგრამ შეამცირებს კომპენსაციის თანხას და შეიძლება მოსარჩლეს სადამსჯელო კომპენსაცია მოაკლოს.

საქართველოს კონსტიტუციის სისხლის სამართლის კოდექსის პასუხი შემდეგია: ესაა „წინასწარი ყალბი ცნობების გავრცელება, რომლითაც ავტორიტეტს უფუჭებს მეორე ადამიანის ღირსებასა და პატიოსნებას ან ძირს უთხრის მის რეპუტაციას". ამდენად, ცილისწამების გაგება შეიცავს სამ ნიშანს: 1. ღირსებისა და პატიოსნების დამცირება (ცილისწამება) ან რეპუტაციიის შელახვა; 2. ამ ქმედების წინასწარგანზრახულობა; 3. გავრცელებული ცნობების სიყალბე.

ამგვარად, ცილისწამება – ღირსებისა და პატიოსნების ისეთი შელახვაა (ან ღირსების დამცირება და პატიოსნების დაკნინება), რომელიც უკავშირდება წინასწარ განზრახულ სიცრუეს, მაგრამ სრულებით არ გულისხმობს უკადრისი ფორმის აუცილებლობას (შეურაცხყოფისაგან განსხვავებით).

შევეცდებით უფრო დაწვრილებით გავერკვეთ ცილისწამების განსაზღვრებაში, რომელიც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციაში, სისხლის სამართლის კოდექსში. აქ არსებობს ორი გაუგებრობა:

ჯერ ერთი, არ არის „წინასწარ ცნობილი ტყუილი" ცნობები. როგორც ჩანს (ასეთ განმარტებას აძლევს ამ გამოთქმას საქართველოს კონსტიტუციის სისხლის სამართლის კოდექსში მოტანილი კომენტარი), მხედველობაში მიიღება ცილისმწამებლური ცნობების გამვრცელებლის მიერ ვითარების ცოდნა ამ ცნობათა სიყალბის შესახებ. მაგრამ ზუსტ განსაზღვრებას კანონშემოქმედი არ გვაძლევს.

მეორეც, რა არის „სახელის გამტეხი" ცნობები და როგორ შეეფარდებიან ისინი ღირსებისა და პატიოსნების დამცირებას? კანონს დაქვემდებარებულ აქტებში არის სახელის გამტეხ ცნობათა განსაზღვრება: „ცნობები, რომლებიც არ შეესატყვისებიან სინამდვილეს, არ შეიცავენ მტკიცებულებას მოქალაქისა ან იურიდიული პირის მიერ მოქმედი კანონმდებლობის, ან მორალური პრინციპების

დარღვევას, რომლებიც (მტკიცებულებანი) ამცირებენ მოქალაქის ღირსებას და პატიოსნებას ან მოქალაქისა, ან იურიდიული პირის რეპუტაციას“. ამგვარად, სახეზეა დამამცირებელ ცნობათა სამი ნიშანი: 1. ღირსებისა და პატიოსნების ან საქმიანი რეპუტაციის გამიზნული დამცირება; 2. ცნობათა ხასიათი (კანონმდებლობის ან ზოგადად მიღებული მორალური პრინციპების დარღვევა); 3. ამ ცნობათა სიყალბე. თუ 1-ელ და მე-2 ნიშანთა მიხედვით ადვილია ცნობების კვალიფიცირება, როგორც სახელის გატეხის ძირითადი ნიშანი, 1-ელი გვაბრუნებს ღირსებისა და პატიოსნების შელახვის გაურკვეველ დარჩენილ ცნებასთან. სახელის გამტეხი და თავის მომჭრელი (შემარცხვენელი) ცნობები – ეს ერთი და იგივეა? არა, არ არის ერთი და იგივე, თუმცა აქა-იქ იურიდიულ ლიტერატურაში ხდება მათი გაიგივება. თავის მომჭრელი ცნობები, როგორც სახელის გამტეხი, მიმართულია ღირსებისა და პატიოსნების დამცირებაზე. მაგრამ აქედან პირველს არ აქვს სიყალბის ნიშნები.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონში არსებობს ოთხი ძირითადი პრინციპი, რომლებიც ჟურნალისტს იცავს ხელისუფლების ნებისმიერ ჩინოვნიკთან დაპირისპირებისას, ამათგან პირველი – „ცილისწამებაა“ [21, 148 მუხლი]. ცილისწამება აღარ არის სისხლის სამართლის დანაშაული და, შესაბამისად, არც ერთი ჟურნალისტი ციხეში არ ჩაჯდება ცილისწამების ბრალდებით (მაგალითად, შევარდნაძის პრეზიდენტობისას გაზეთ „თრიალეთის” ჟურნალისტის – საბა წიწიკაშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრული იყო სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლით).

რა არის საერთოდ მონაცემები?

ეს არის ისეთი შინაარსის ტექსტები, რომლებიც შეიცავენ ამა თუ იმ მოვლენათა ან მათი ცალკეული კომპონენტების აღწერას. ისინი შეიძლება იყვნენ ფაქტოგრაფიული ან შეფასებითი, უტყუარი ან ყალბი და ა.შ. მონაცემები შეიძლება გახმაურდეს და გავრცელდეს. ისინი შეიძლება იყოს გამოხატული სხვადასხვა ენობრივი ფორმით.

რა არის პიროვნების შეურაცხყოფა

საქართველოს კონსტიტუციის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ესაა „მეორე პირის (სხვა პირის) ღირსებისა და პატიოსნების შელახვა უზრდელი ფორმით“. აქ მონაწილეობს ორი ნიშანი: 1. დამცირება ღირსებისა და პატიოსნების; 2. უზრდელი ფორმა. სინამდვილეში იგულისხმება კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც სტატიის ტექსტში არ არის პირდაპირ მითითებული – ესაა მოქმედების განზრახული ხასიათი ცნობათა სიმართლის ან სიყალბისა, რომელთა გავრცელებას შეურაცხყოფის დროს მნიშვნელობა არ ენიჭება.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ღირსებისა და პატიოსნების დამცირების გაგება სუბიექტურია და იურიდიულად მედიაში გამოყენების თვალსაზრისით ზუსტი განმარტება არ გააჩნია. დაბოლოს, ასევე ბუნდოვანია, როგორ დავინახავთ შემდგომ „უწესო ფორმის“ ცნებას.

რას ნიშნავს ჟურნალისტურ ტექსტში „უწესო ფორმების“ გამოყენება

განვითარებული დასავლეთის ქვეყნების კანონშემოქმედები არავითარ განმარტებას არ გვთავაზობენ ამ ტერმინის მნიშვნელობაზე. დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობაში სისხლის სამართლის კანონზე კომენტარებს ვხვდებით ამგვარი ფორმით, რომელიც სამართლებრივი ნორმების სტანდარტული ფორმებია: „დაზარალებულის დისკრედიტაციის უწესო ფორმების გამოყენება ნიშნავს, რომ მისი პიროვნების უარყოფითი შეფასება მოცემულია აშკარად ცინიკურად და ამიტომ მკვეთრად ეწინააღმდეგება ადამიანთა შორის საზოგადოებაში მიღებული ურთიერთობის მანერას. ეს - უპირველეს ყოვლისა, არის უცენზურო გამოთქმები, ოდიოზურ, ისტორიულსა და ლიტერატურულ პერსონაჟებთან შედარება“.

აშშ-ის მასმედიაში უხამსობის, უწესობის და ბილწსიტყვაობის საკითხებთან დაკავშირებით ბეჭდვითი სიტყვის უხამსობის კრიტერიუმად მიჩნეულია 1973 წლის საქმე „მილერი კალიფორნიის წინააღმდეგ“. სასამართლომ არ დააწესა საერთო ეროვნული სტანდარტები. მისი მტკიცებით, „მრავალფეროვნება არ უნდა შებოჭოს თავს მოხვეული უნიფიცირების აბსოლუტიზმმა“ [8, 536].

ნაწარმოები, როგორც ერთი მთლიანი, მიიჩნევა უხამსობად, თუ იგი (ა) აღძრავს ბიწიერ ინტერესს „საშუალო სტატისტიკური ადამიანის აზრით, რომელიც მისი

დროის საზოგადოებრივი სტანდარტებით ხელმძღვანელობს“; (ბ) ასახავს ან აღწერს აშკარად მიუღებელი სახით სქესობრივ ქცევას, რომელიც შტატის შეასაბამისი კანონმდებლობით მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული; და (გ) გონიერი ადამიანის თვალში არ გამოირჩევა რაიმე ყურადსაღები ლიტერატურული, ესთეტიკური, პოლიტიკური ან მეცნიერული ღირებულობებით. ნამუშევარი რომ უხამსობად გამოცხადდეს, აუცილებელია სამივე კომპონენტი. მართალია, სასამართლოების თანახმად, უხამსობას აშშ-ს კონსტიტუცია არ იცავს, მათ არ გამოაქვთ ხოლმე გადაწყვეტილებები ბეჭდვითი მასალის წინააღმდეგ – პორნოგრაფიული გამოცემების შემთხვევებშიც კი, რომლებიც საგაზეთო ჯიხურებში იყიდება [8, 538].

ცინიკური – ესაა უხამსისა და უწესოს სინონიმები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უხამსობა არ გულისხმობს წინასწარ განზრახულობას, ცინიზმი კი გულისხმობს... თუ რა არის აშკარად „ცინიკური“ მანერა, ეს რჩება საიდუმლოდ. რა არის ჩადებული ამ გაგებაში – „ადამიანთა შორის საზოგადოებაში ურთიერთობის მანერა? კიდევ უფრო ნაკლებადაა გასაგები“ [78,345].

უცენზურო გამოთქმები – ასევე უწესობის სინონიმებია, რადგან ისინი გვაძლევენ დაზარალებული ადამიანის უარყოფით შეფასებას – გარკვეულ სემანტიკას სიტყვებისა და გამოთქმების მეშვეობით, რაც ურთიერთობათა უმეტეს სიტუაციაში ითვლება უადგილოდ. „ოდიოზური” ლექსიკონში – ესაა „თავის მიმართ უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულების გამომწვევი, უკიდურესად უსიამოვნო“. ამდენად, არც ერთი აქ მოყვანილი გამონათქვამი არ შეიძლება იყოს განსაზღვრული. დისკრედიტაციიდან დაწყებული მთელი სიცხადით სინონიმურია „ღირსებისა და პატიოსნების დამცირებისა“ [78, 345].

საგამომძიებლო საქმიანობის სამართლებრივ თვითრეგულირებაში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება ითამაშოს ასეთი საქმიანობის შემსრულებელი ავტორების მიერ ამა თუ იმ სიტუაციების სასამართლო პრეცედენტების ცოდნამ, რომელშიც შესაძლოა აღმოჩნდეს ჟურნალისტი აუცილებელი, საჭირო ინფორმაციის მოპოვების დროს. ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ, როგორ შეიქმნა ჟურნალისტური გამოძიების ერთ-ერთი ასეთი პრეცედენტი სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, რომელზეც უკვე იყო საუბარი წინა თავებში.

ეს შემთხვევა გვიჩვენებს, რომ თავისთავად სამართლებრივი ჩარევა სიტუაციებში, რომელიც ჟურნალისტურ გამოძიებასთანაა დაკავშირებული, ხელს არ უშლის დანაშაულის გახსნას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო მიუკერძოებელი და სამართლიანია. ასეთად სამაგალითოა, დავასახელოთ დასავლეთის ქვეყნების სასამართლოები. მაგალითად, აშშ-ში ცალკე კანონი პრესის შესახებ არ არსებობს, მაგრამ მის როლს ინფორმაციის თავისუფლების აქტი ასრულებს, რომელიც ფედერალური კონსტიტუციის ნაწილია და სასამართლო განხილვების დროს სწორედ ამ აქტის დაცვას ენიჭება უპირატესობა. ასეთი სასამართლო ეხმარება ჟურნალისტს სიტუაციის განმარტებაში, მისი მეშვეობით ხდება აქცენტების სწორად დასმა, ანუ ჟურნალისტური გამოძიებისთვის სასარგებლო პრეცედენტის შექმნა. უნდა ითქვას, რომ, მაგალითად, ჟურნალისტ გიუნტერ ვარლაფის გამოძიებებს ხშირად ახლდა სასამართლო განხილვები. ის, რის შესახებაც იქნება საუბარი, 1977 წელს მოხდა. იგი მიეძღვნა საიდუმლო გამოძიების ჩატარებისა და, ამავე დროს „ფარული დაკვირვების ან თვალთვალის“ მეთოდების გამოყენების შესაძლებლობებს.

4.5. წყაროების შერჩევა

ჟურნალისტური გამოძიება სანამ ფეხს მოიკიდებდა მედიაში და განვითარდებოდა, ჟურნალისტები ავტორიტეტებთან საუბარს არჩევდნენ და მათგან მხოლოდ ერთ წყაროს იყენებდნენ, ანუ პრივილეგია მოვლენასთან დაკავშირებულ ერთ მხარეს ენიჭებოდა. თანამედროვე ჟურნალისტურ გამოძიებაში ავტორები მოტივირებულნი არიან ბეჭდურ თუ ელექტრონულ მედიაში გამოიყენონ როგორც ოფიციალური წყაროები, ასევე უბრალო ადამიანები, რათა დაბალანსდეს მასალაში დოკუმენტურად გადმოცემული ფაქტები. წყაროების შერჩევა, მისი განაწილება ძირითად ზეგავლენას ახდენს საბოლოო ჟურნალისტური მასალის შედეგზე. მაგალითად, აშშ-ის გაერთიანებული საჰაერო ხაზების გაერთიანების საკითხთან დაკავშირებით ამერიკული გამოცემების – „ვაშინგტონ პოსტისა“ და „ნიუ-იორკ პოსტის“ ჟურნალისტები სხვადასხვა წყაროებს ესაუბრებოდნენ: ერთსა და იმავე დილას მათ გაზეთებში ასეთი სათაურები გამოჩნდა:

„ფასები არ იქნება გაზრდილი“ – „ვაშინგტონ პოსტი“.

„ექსპერტებმა თქვეს, რომ საჰაერო მგზავრობის ფასები აიწევს დიდი გაერთიანების შემდეგ“ – „ნიუ-იორკ პოსტი“ [39].

ჟურნალისტ-გამომძიებლები თემებზე მუშაობისას იურიდიულ საკითხებში კონსულტანტებად არჩევენ ისეთ ადვოკატებს, რომელთა ჩართულობით სატელევიზიო გადაცემები და სტატიები იქნება გამომწვევი და კონფლიქტური იმ იმედით, რომ მიიზიდავენ მკითხველთა და მაყურებელთა აუდიტორიას. გამომწვევი და სენსაციური მასალების ძიებაში ისინი ხშირად მსხვერპლად სწირავენ მოწოდებული ინფორმაციების დაცულობის კეთილსინდისიერებას და ეთიკურ ნორმებს. ამ ტაქტიკის ერთ-ერთი კრიტიკოსი, ცნობილი ჟურნალისტი, „ყოველდღიური შოუს“ ავტორი და წამყვანი ჯონ სტიუარტი თავის გადაცემებში ხშირად ამხელს იმ გამოძიებით გადაცემებსა თუ სტატიებს, სადაც ჟურნალისტები არღვევენ ყოველგვარი პრაივესის უფლებებს, უტაქტოდ საუბრობენ პოლიტიკურ ფიგურებზე, ჩვეულებრივ ადამიანებზე და ამით ტკივილს აყენებენ საზოგადოებას. ისინი პრობლემებს წარმოაჩენენ „შავისა“ და „თეთრის“ უკიდურესობებით, ექსტრემუმებით. გვაწვდიან პატარა „ჭკვიანურ მსჯელობებს“ და, ამის სანაცვლოდ, ისწრაფიან პრობლემები გადაუჭრელად და კომპრომისები შეუძლებლად წარმოაჩინონ. კოლ კემპელი, გაზეთ „ნოფოლკში ვირჯინიან ფაილოთის'' რედაქტორი ამბობს: „სიმართლის დამახინჯება ჟურნალისტურ მასალებში ხდება იმ შემთხვევაში, როცა ჟურნალისტები ცდილობენ დაეყრდნონ მარტივ წყაროებს, ვიდრე მოიძიონ ისეთი საინფორმაციო წყაროები, რომლებიც ფაქტებს სარწმუნოდ და არგუმენტირებულად წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, ისინი შეიძლება დაიყოს ჯგუფებად: წყაროები, რომლებიც პირდაპირ ასახელებენ სამხილ ფაქტებს და ჟურნალისტებს უჩვენებენ გზას თემასთან დაკავშირებული სხვა ელემენტების გასახსნელად. მეორე შემთხვევაში, ჟურნალისტები თავად მიდიან მოქმედების ადგილზე და პირადი ნაცნობობის ხარჯზე მოიპოვებენ საჭირო ინფორმაციებს [41, 231-235].

მეტისმეტად დამოკიდებული ქცევა

საინფორმაციო წყაროებთან მიმართებაში ახალგაზრდა რეპორტიორმა-გამომძიებელმა ჟურნალისტთა სადისკუსიო ჯგუფს განსახილველად წარუდგინა ის პრობლემები, რომლებიც მას ინფორმაციის მისაწვდომობის საკითხებთან

დაკავშირებით ადგილობრივი პოლიციის სტრუქტურასთან ჰქონდა. ჟურნალისტმა აღიარა, რომ იგი ამ უწყების ბევრ საინფორმაციო წყაროდან მიწოდებულ ინფორმაციებს ვერ ბეჭდავდა, რადგან პოლიცია უარს ეუბნებოდა მის გამოქვეყნებაზე. მაგრამ თუ მაინც გააშუქებდა, ამ შემთხვევაში დაკარგავდა ნდობას ინფორმაციის მიმწოდებლებთან.

სტივ ბრილის, ვეტერან მკვლევარი-ჟურნალისტის საქმე განიხილებოდა სასამართლოში სახელმწიფო ოფიციალური პირის მიმართ ცილისწამების ბრალდებით. მას შემდეგ, რაც ბრილმა მოიგო სასამართლო, მისი საინფორმაციო წყაროები უფრო გააქტიურდნენ და ინტენსიურად აწვდიდნენ მისთვის საჭირო ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დოკუმენტურ მასალებს. ბრილმა „პოინტერ დისქაშენ ჯგუფის“ (ეს ორგანიზაცია აწარმოებს მედიაკვლევებს) საშუალებით ამ საკითხებთან დაკავშირებით ჟურნალისტებს ასეთი რეკომენდაციები შესთავაზა: „ყოველთვის აღმოვაჩენდი ხოლმე, რომ წყაროები აგრძელებდნენ ინფორმაციების მოწოდებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ვაქვეყნებდი მათ ციტირებებს, ინტერვიუებს მათთან მოლაპარაკებების საფუძველზე. ისინი უფრო მეტად გცემენ პატივს, თუკი არ ახდენ მათ კომპრომეტირებას, ამასთან, თუკი შენ დაარწმუნებ მათ რომ კარგად მოექცევი და დაიცავ მათ უფლებებს“. ბრილი განმარტავს: „ადამიანებს წყაროდ ქცევის სურვილი აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რწმუნდებიან, მათი თვალსაზრისები და შეხედულებები წარმოჩინდება საჯაროდ გარკვეული წესების დაცვით“ [59, 127-128].

დამწყებმა ჟურნალისტ-გამომძიებელმა პატარა ქალაქ ნიუ ინგლენში მიიღო საინფორმაციო წყაროსთან ურთიერთობის სამაგალითო გამოცდილება. ამ ქალაქის საჯარო სკოლის დირექტორი ინტენსიურად აწვდიდა მისთვის საჭირო ინფორმაციებს. ერთ-ერთ თავის პუბლიკაციაში ინტერვიუს დროს მის უხეშ ქმედებას გაუსვა ხაზი, მისი ნათქვამიც არასწორად იყო ციტირებული. ამის შემდეგ უარი განუცხადა რესპონდენტმა, შეწყვიტა ინტერვიუების მიცემა, ორი კვირის განმავლობაში უარს ამბობდა მასთან საუბარზე. სტატიაში ავტორმა ამის საპასუხოდ ჩართო ასეთი მითითება: „სკოლის ხელმძღვანელი აღარ თანამშრომლობს ამ გაზეთთან, არ პასუხობს სატელეფონო ზარებს კომენტარებისთვის“. იგი საბოლოოდ მაინც დაიყოლია ამ გაზეთში მომუშავე სხვა ჟურნალისტმა ინტერვიუზე [59, 145]. *აქედან დასკვნა:* რეპორტიორმა,

რომელმაც არ დაიცვა წყაროს მიმართ ურთიერთობის ეთიკური ნორმა – მოიხსენია უხეშად და წინასწარ არ შეუთანხმდა, როგორ მოეხდინა მისი ნათქვამის ციტირება, შედეგად დაკარგა საინფორმაციო წყაროს სანდოობა და ურთიერთობის განვითარების პერსპექტივა. დამწყები ჟურნალისტ-გამომძიებლები თემის გამოძიებისას ძირითადად დამოკიდებულნი არიან საინფორმაციო წყაროებზე. მათ მიაწერენ სახელმწიფო ორგანიზმის, სასამართლოების, კანონის შესრულებისა და განხილვის საკითხებს. მათთვის რთულია პირველად ბიუროკრატიული აპარატის სტრუქტურების, სპეციფიკური ტერმინოლოგიებისა და პროცედურების გაგება. ისინი თავის საქმიანობას იწყებენ სახელმწიფო მოხელეებთან – ქალაქის მერთან, სასამართლოს მაღალი თანმდებობის პირებთან მეგობრული ურთიერთობებით. ახალბედა ჟურნალისტ-გამომძიებლები ფიქრობენ, რომ ისინი მისცემენ სასარგებლო გეზს სტატიისათვის – გაერკვევიან იმ საკითხებში, რომლის შესაბამისი განათლება არ აქვთ და აიცილებენ შეცდომებს. მაგრამ ეს მეგობრული ურთიერთობები ხშირად წარმოშობს პრობლემებს. დამხმარე ოფიციალური პირები ჟურნალისტებს თხოვენ, ადეკვატურად იმოქმედონ და ისეთი შინაარსის სტატია მოამზადონ, რომელიც მათ ინტერესებს დაიცავს. მაგალითად, ერთ-ერთი რეპორტიორი ინფორმაციის მოპოვებისას აღმოჩნდა უხერხულ სიტუაციაში. იგი მეგობრობდა პოლიციის ოფიცერთან, რომელიც მას დაეხმარა დოკუმენტალური მასალების მოძიებაში. მისი გაზეთის რედაქციაში მოქალაქემ ხსენებულ ოფიცერზე საჩივარი შემოიტანა. ჟურნალისტი იძულებული გახდა, მასზე სამართლიანი მასალა დაეწერა. ინფორმაციის დაფარვის უფლება მას არ ჰქონდა (დაარღვევდა სამართლებრივ ნორმას). ამით, რასაკვირველია, გაანაწყენა მეგობარი საინფორმაციო წყარო [59, 148].

მერფის სჯერა, რომ რეპორტიორმა შეიძლება თავიდან აიცილოს ეს ხაფანგი. „შენ ყოველთვის გახსოვდეს, რომ ხარ რეპორტიორი და სინამდვილეში ესენი შენი მეგობრები არ არიან“. მან მოახერხა ამ დამოკიდებულების გადაცემა თავის წყაროებზე [59, 130].

სტონი ლუბინსმა, საპოლიციო დეპარტამენტის სერჟანტმა, ამგვარი შეფასება მისცამერფის მიერ ჩატარებულ გამოძიებებს: „ჩვენ მოგვწონს მერფი, მაგრამ ვიცით, რომ ის არის რეპორტიორი და მას საქმე აქვს შესასრულებელი და ჩვენც გვაქვს ასეთივე საქმე“. მერფის აზრით, „ასეთი სახის

ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბების გასაღები მათთან კეთილგანწყობის შენარჩუნებაა. თუკი წყაროს ვინაობას ერთხელ მაინც გაამჟღავნებ მათთან შეთანხმების გარეშე, ისინი მეორედ აღარ დაგეხმარებიან“ [59, 131].

4.6. როდის ხდებიან წყაროები მეგობრები

რეპორტიორები შემთხვევით ხდებიან მეგობრები თავიანთი საკუთარი წყაროებისა. პროფესიონალური ურთიერთობებისას ჩნდება პიროვნული სიმპათიები. წყაროები ხშირად იზიარებენ ჟურნალისტების ძირითად ინტერესებსა და ბეგრაუნდებს. ამას არ აქვს მნიშვნელობა, რომ მეგობრობა განვითარდა პოლიტიკოსებსა და პოლიტიკის თემაზე დამწერს შორის, ეკონომიკის მინისტრის მოადგილესა და ეკონომიკის საკითხებზე მომუშავე რეპორტიორებს შორის. პატარა ქალაქებში ჟურნალისტები თავიანთ წყაროებს ხვდებიან ძირითადად სამუშაო საათების შემდეგ, რადგანაც შეუძლებელია, მათ თავი აარიდონ მათთან ახლო პიროვნულ ურთიერთობებსაც. მაგალითად, გაზეთ „ბატონ როუჩის ადვოკატის“ ცნობილმა რეპორტიორმა ელენ რ. ფინდმა, თავის მეგობარ ადვოკატს სთხოვა, ქალაქის მერისთვის ეკითხა მისი წარმომავლობის შესახებ. ჟურნალისტმა ეს ინფორმაცია თავის მეგობარ ადვოკატთან შეთანხმების გარეშე გამოაქვეყნა. ამით ელენ რ. ფინდმა დაარღვია ყოველგვარი ეთიკური ნორმა, გაანაწყენა და დაკარგა ნდობა წყარო მეგობართან [59, 139].

გაზეთის გამომცემლები თავიანთ ჟურნალისტებს ხშირად უთვალთვალებენ, როგორ მუშაობენ საინფორმაციო წყაროებთან. გაზეთმა „საროსტა ჰერალდ ტრაიბუნმა“ წყაროებთან გადაჭარბებული მეგობრობის გამო ორი რეპორტიორი დაითხოვა [59, 144].

ცნობილი რეპორტიორები მჭიდროდ იდენტიფიცირდებიან თავიანთ საინფორმაციო წყაროებთან. ერთ-ერთი გაზეთის რეპორტიორმა, რომელიც იძიებდა ძალოვან სტრუქტურებში კანონის დარღვევის ფაქტებს, იმისათვის, რომ შეეღწია მაღალ ეშელონებში, გადაიცვა პოლიციელის ფორმა და იარაღის ტარებაც დაიწყო. ზოგიერთი მედიაგამომცემელი ჟურნალისტების ასეთ ქმედებებს თვალყურს ადევნებს, რათა არ დაუშვას ამგვარი ურთიერთობები.

ჟურნალისტის ამგვარი ძიება ხშირ შემთხევვაში ითვლება სარედაქციო პოლიტიკის ნორმების დარღვევად.

ზოგიერთ ჟურნალისტს აქვს წყაროებთან დამოკიდებულების განსხვავებული ტაქტიკა. მათ სწამთ, რომ მთავრობის ოფიციალურ პირებთან, პროკურორებთან, პოლიტიკოსებთან და სხვა პასუხისმგებელ პერსონებთან ხისტი დამოკიდებულებაა საჭირო. პრესა ამით სახელმწიფო სტრუქტურებისა და სხვა მნიშვნელოვანი სოციალური ინსტიტუტების „ჩასაფრებული ძაღლის“ ფუნქციას ასრულებს. ჟურნალისტები დისტანციას ინარჩუნებენ ოფიციალურ პირებსა და მათ ხელქვეითებთან.

მაღალჩინოსნების თითოეულ ნათქვამ სიტყვას ზოგიერთი გამომძიებელ-ჟურნალისტი იყენებს, როგორც თვითგადარჩენის საშუალებას. შედეგად, პუბლიკაციაში ასახული ფაქტები ბუნდოვანი, უსამართლოა და ამჟღავნებს ავტორის ტენდენციურობასა თუ თვითგადარჩენის ელემენტებს.

4.7. სიახლეთა საფასური

მსოფლიოს მედიაორგანიზაციებში მომუშავე მრავალ ჟურნალისტს უწევს საფასურის გადახდა ინფორმაციის მოპოვებისათვის. მაგალითად, ბრიტანეთის მედიას ხანგრძლივი ისტორია აქვს წყაროებთან ამგვარი გარიგებების, ანუ იგი დასავლეთ ევროპაში ცნობილია, როგორც **„ჩეკებთან დაკავშირებული ჟურნალიზმი“.** ნევილ თარლბეკმა, ბრიტანეთში პოპულარული გაზეთის „გაერთიანებული სამეფოს მსოფლიოს სიახლეების“ ჟურნალისტმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „ჩვენ ამას 160 წელია, ვაკეთებთ“. ბრიტანელი ჟურნალისტების დაახლოებით ორი მესამედი ვერაფერ ცუდს ვერ ხედავს ღირებული სტატიისთვის ფულის ხარჯვაში – ბრიტანული ქსელის „ფოქს ნიუსის“ გამოცემამ „სქაი ნიუსმა“ და გაზეთმა „მსოფლიოს სიახლენი“ გადაიხადეს 200 000 $ და 350 000 $ იმ ქალბატონთან ინტერვიუსთვის, რომელმაც აღწერა თავისი სასიყვარულო ურთიერთობები ცნობილ ფეხბურთელ დევიდ ბეკჰემთან. რვა წლის შემდეგ კი მისი სასიყვარულო კავშირი ბილ კლინტონთან. მსოფლიოს ყველა მედიისთვის გახდა ეს ფაქტი სენსაცია... მონიკა

ლევინსკიმ კვლავ მოითხოვა 700 000 $ ბრიტანეთის 4 არხთან ინტერვიუსთვის... [59, 241-243].

„ჩეკებთან დაკავშირებული ჟურნალიზმი“ ბრიტანეთში არ შემოიფარგლება მხოლოდ ცნობილ ადამიანებთან დაკავშირებული ინფორმაციებით. ლონდონის ცნობილი „სანი“ („გაზეთი ყოველდღიურად 4 მილიონზე მეტ ეგზემპლარს ყიდის“) და სხვა ელექტრონული თუ ბეჭდური მასმედია მოცულია კრიმინალური ისტორიების გამოძიებებით. თუმცა, ფაქტობრივად, ბრიტანულმა პოპულარულმა ყოველდღიურმა პრესამ უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში 4 მილიონ მომხმარებელზე მეტი დაკარგა მაშინ, როდესაც მოსახლეობა 7 მილიონზე მეტი ადამიანით გაიზარდა [59, 273]. საინტერესოა ის გარემოება, რომ როდესაც ამერიკულმა სატელევიზიო არხმა სიმპსონის საქმის ერთწლიანი უსარგებლო გაშუქების შემდეგ გადაწყვიტა, აღარასოდეს შეხებოდა დანაშაულის თემატიკას გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს საზოგადოებრივი ინტერესით იყო განპირობებული – მისმა რეიტინგმა დაუყოვნებლივ აიწია. სრულიად განსხვავებულ გარემოში, 90-იანი წლების პოსტსაბჭოთა ლატვიაში ეთიკურობა გაზეთისათვის კორუმპირებული მედიისაგან გამიჯვნისა და ამ გზით თავის გადარჩენის საშუალებად იქცა.

მედიას დიდი ხნის მანძილზე საკუთარი თავით ვაჭრობაში ადანაშაულებდნენ. ისეთი სარედაქციო სექციების კორუმპირებულობა, როგორიცაა: რესტორნების, ტურიზმის, მოდის, სილამაზისა და ავტომობილების მიმოხილვები განსაკუთრებულ ეჭვებს ბადებდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან ჟურნალები, რომლებიც თითქმის მთლიანად ვიწრო პროფილის ეკონომიკის სექტორიდან შემოსული რეკლამის ხარჯზე არსებობენ.

ამდენად, ნათელია, რომ კოდექსები უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს: რეკლამის დამკვეთების გულის მოგების მიზნით არ უნდა ხდებოდეს ინფორმაციის მიჩქმალვა, დამახინჯება ან შეთხზვა. იმისდა მიუხედავად, თუ რა თემას შეეხება ცნობა – ახალი მაღაზიის საზეიმო გახსნას, მანქანის ახალ მოდელს, მოდების პრეზენტაციას თუ ახალ შოუს – არავის უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ჟურნალისტი არ უნდა იყოს ჩართული ისეთ აქტივობებში, როგორიცაა რეკლამა ან საზოგადოებრივი ურთიერთობები.

ინფორმაციის წყაროებს (პოლიციის ოფიცრებს, მოწმეებს თუ მსხვერპლს) ჟურნალისტები ექსკლუზიური ინფორმაციებისათვის კარგად უხდიან. მაგალითად, „სანიმ“ 20 000 $ გადაუხადა მძარცველის მსხვერპლის ვაჟს ინტერვიუსთვის, როდესაც გამომძიებელმა-ჟურნალისტებმა ხელახლა გახსნეს ძარცვის შემთხვევა დანაშაულიდან რამდენიმე წლის შემდეგ. BBC-მაც კი დაახლოებით 40 000 $ გადაიხადა დადასტურებული ინფორმაციისთვის. ბრიტანეთისა და ევროპის სახელმწიფოების ოფიციალური პირები ხშირად „ჰონორარებს“ ითხოვენ ინტერვიუს სანაცვლოდ. სპორტის ვარსკვლავებიც საფასურის გადახდის შემდეგ უთანხმდებიან ევროპელ რეპორტიორებს ინტერვიუს ჩატარებაზე [59, 276].

რუსეთში ზოგიერთი ოფიციალური პირი ამზადებს ანაზღაურებების სიას, რომელიც ემყარება ინტერვიუს შინაარსობრივ დატვირთვასა და მასალის მოცულობას. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი სახელმწიფოს ოფიციალური პირები უფრო გულახდილად ესაუბრებიან ჟურნალისტებს, თუკი ანაზღაურება ჩართულია საქმეში.

ამერიკული მასმედია **„ჩეკებთან დაკავშირებულ ჟურნალიზმს“** ტრადიციულად პოლიციას უპირისპირებს. თუმცა, როდესაც ადგილი აქვს კონკურენციას მედიაკომპანიებს შორის, ამ დროს ისინი არღვევენ ყოველგვარ წესებს. „ჩეკებთან დაკავშირებული ჟურნალიზმი“ გულისხმობს ინფორმაციის გადმოცემაში იმის ასახვას, თუ როგორ შეიქმნა ეს მასალა და რატომაა ის წარმოდგენილი ამ სახით. მაგალითად, კლინტონ-ლევინსკის სკანდალის გაშუქების დროს „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ სწორედ ეს გააკეთა, როცა ლევინსკისა და ხუანიტა ბროუდრიკის ინტერვიუსთვის სოლიდური თანხა გადაუხადა. მკითხველს ასევე აუხსნა, რატომ იყო სტატია ხუანიტა ბროუდრიკის განცხადებების შესახებ ერთხანს შეჩერებული და შემდეგ მე-16 გვერდზე გამოტანილი. ბროუდრიკი ამტკიცებდა, რომ პრეზიდენტმა კლინტონმა მასზე უხეში სექსუალური ძალადობა განახორციელა ოცდაერთი წლის წინ არკანზასში, თუმცა არც ამ დროს და არც ლევინსკის სკანდალის დასაწყისში მას განცხადებები არ გაუკეთებია. ის ამ შემთხვევის იურიდიულ განხილვას არ მოითხოვდა [58, 296]. „ეი-ბი-სის“ წამყვანის ბარბარა უოლტერსის ორსაათიანი ინტერვიუ ლევინსკისთან იმის გარკვევას დაეთმო, იცის თუ არა პრეზიდენტმა კოცნა, არის თუ არა მგრძნობიარე ადამიანი და ხომ არ იყო ვინმეს მიერ ამ

ურთიერთობის დანახვის შიში პრეზიდენტის ფსიქოლოგიურ-სექსუალური მოტივაციის ნაწილი. მხოლოდ გადაცემის ფინალში გამოჩნდა ფაქტებთან დაკავშირებული კითხვები – იცრუა თუ არა თავის ჩვენებაში ლევინსკიმ პრეზიდენტის დაცვის მიზნით და მიიღო თუ არა ამის სანაცვლოდ მისგან კარგი სამსახური. ინტერვიუ წარმოდგენილი იყო, როგორც „მონიკას თავგადასავალი". სწორედ ასე ერქვა წიგნს, რომლის სარეკლამოდაც დაგეგმა ლევინსკიმ ინტერვიუ. ამ შემთხვევაში ახალი ამბები მხოლოდ ხაზს კი არ უსვამდა სექსსა და ემოციებს, არამედ ორმაგი კომერციული რეკლამაც იყო. „ეი-ბი-სის" ლევინსკი საკუთარი რეიტინგის გაზრდისთვის სჭირდებოდა, ლევინსკის კი „ეი-ბი-სის" დახმარებით წიგნის გაყიდვა და სოლიდური თანხის მიღება სურდა [58, 298]. მაგალითად, 1994 წელს ყოველკვირეულმა არგენტინულმა გაზეთმა "Notikcas"-მა გამოაქვეყნა ჟურნალისტური გამოძიება, რომელშიც პროფკავშირების ხელმძღვანელი, არმანდო კავალიერი, ჟურნალისტისთვის ქრთამის მიცემაში ამხილა. კავალიერი ფულს იხდიდა იმის სანაცვლოდ, რომ გაზეთს მისი საწინააღმდეგო სტატია არ გამოექვეყნებინა. ფულზე ვაჭრობის პროცესი ჟურნალისტებმა ფარულად გადაიღეს. მათ, ასევე, ჩაიწერეს კავალიერის სატელეფონო საუბარი, რომლის დროსაც ის პირობას იძლეოდა, რომ ლობირებას გაუწევდა გაზეთს სხვადასხვა კომპანიებიდან სარეკლამო დაკვეთების მიღებაში, ამის გარდა, პროფკავშირებიც შეუკვეთავდა სარეკლამო ადგილს"... [66, 6-8].

ჟურნალისტმა არ უნდა იყიდოს ინფორმაცია დანაშაულის თვითმხილველის ან კრიმინალისგან. ჟურნალისტებმა არ უნდა ისარგებლონ იმ ადამიანთა გულუბრყვილობით, რომელთაც მედიასთან ურთერთობის გამოცდილება არ აქვთ და არ უნდა დასცინონ ამ ადამიანებს. საჭიროა ნებისმიერი რესპონდენტის გაფრთხილება იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენებენ მის მიერ გაკეთებულ განცხადებებს. ცხადია, ეს არ გულისხმობს რესპონდენტის მიერ წინასწარ ინფორმირებას სავარაუდო შემთხვევების შესახებ [1, 35-36].

რატომ არ გადავიხადოთ ინტერვიუებისათვის?

ერთი მიზეზი, რომლის გამოც ამერიკული მედია ყოყმანობს, ჩაერთოს **„ჩეკებთან დაკავშირებულ ჟურნალიზმში"** – იმის შიში, რომ საინფორმაციო წყაროები

ყალბ ინფორმაციებს მიაწოდებენ ჟურნალისტებს ან გააზვიადებენ ფაქტებს, თუკი გაყიდიან ინფორმაციებს.

საზოგადოების უნდობლობა წყაროებთან მიმართებაში ამ კუთხით ბუნებრივია. აუდიტორია ფიქრობს, რომ წყაროები ფულის აღების მიზნით ფაქტებს გააყალბებენ ან გააზვიადებენ... ცნობილია, რომ ზოგიერთი კრიმინალური სასამართლო პროცესი არ ეყრდნობოდა და უნდობლობას უცხადებდა „ჩეკებთან დაკავშირებულ ჟურნალიზმს“. ცნობილია ასეთი შემთხვევა, რომ პროკურორებმა ჟურნალისტ ო. ჯ. სიმფსონის სასამართლო პროცესზე ზოგიერთი წყარო არ მიიყვანეს ჩვენების მისაცემად, რადგანაც ისინითავიანთ ინფორმაციებს ყიდდნენ [59, 248].

ბრიტანეთში ბევრი თვლიდა, რომ სკოლის მასწავლებელი ემი გენრიგი უდანაშაულოდ ცნეს თავის არასრულწლოვან სტუდენტებთან სექსის ბრალდებით, იმ მოტივით, რადგანაც სასამართლოს ეჭვი შეეპარა იმ სტუდენტების ჩვენებებში, რომლებმაც გაზეთიდან მიიღეს ფული. მეორე ასეთი შემთხვევა იყო – გაზეთმა „გაერთიანებული სამეფოს მსოფლიოს სიახლეებმა”ახალგაზრდა გოგონას 25 000 $ ბონუსი აღუთქვა, თუკი მასთან სექსუალური ძალადობის მცდელობაში ბრალდებული კაცი გასამართლდებოდა. მისი აღიარებით ჩვენება სასამართლო პროცესის მთავარი მონაცემის გასაღები იყო [59,175].

„ჩეკებთან დაკავშირებული ჟურნალიზმის“ საწინააღმდეგო მეორე არგუმენტია, რომ ბევრი საინფორმაციო წყარო მალავს ინფორმაციას, თუკი მათ ამისათვის არ გადაუხდიან. ამერიკელი ფოტორეპორტიორი სტენი ჰონდის თქმით: „ხალხის მიერ ფულის მოთხოვნა უფრო და უფრო ხშირდება. გაოცებული ვარ, რომ ასე უკვე ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ფაქტების აღსაწერად უნდა გადავიხადოთ“ [59, 180].

KYTV-ის არხის დირექტორმა მარსი უდრიკმა განაცხადა, რომ „ინფორმაციების გაყიდვის ტენდენცია უფრო და უფრო იზრდება, ხალხი ყიდის თავისი მოყვარული ვიდეო კამერით გადაღებულ მასალებს და ცდილობს ჩვენს ჩართვას ფასების დაწესებულ ომში“ [59, 182].

ცნობილი გადაცემა „60 წუთის“ აღმასრულებელი პროდიუსერი დონ ჰევიტი მიუთითებს, რომ „ფული არ არის ერთადერთი გამომწვევი მიზეზი იმისა, რომ პროდიუსერები სთავაზობენ წყაროებს გამოჩნდნენ სატელევიზიო პროგრამებში. ისინი მათ ჰპირდებიან, რომ მხოლოდ მსუბუქ შეკითხვებს დაუსვამენ ან პირობებს სთავაზობენ, თუ რა შეკითხვა უნდა დაისვას ინტერვიუს დროს. ეს არაა ჟურნალიზმისთვის სასიკეთო. ბრიტანეთში გამომავალი რეიტინგული ჟურნალი „ოკეი“ არა მხოლოდ პოპულარულს ხდის ინტერვიუს მიმცემ წყაროებს, იგი მათ უმტკიცებს ყველა სურათსა და თხრობას [58, 183]. ზოგიერთი ამერიკული ბეჭდური პრესა გარანტიებს აძლევს ინტერვიუერებს, რომ ექსკლუზიური ინფორმაციების მიწოდების სანაცვლოდ საქვეყნოდ ცნობილნი გახდებიან [39].

მესამე არგუმენტი, რის გამოც **„ჩეკებთან დაკავშირებულ ჟურნალიზმს“** აკრიტიკებენ, ფინანსებია. გამომცემლობების ხელმძღვანელებს ეშინიათ, რომ „თუკი ისინი დაიწყებენ ინფორმაციებისთვის გადახდას, მათ მოუწევთ ფულის მუდმივი ხარჯვა“. აშშ-ის გაზეთ „ნიუსდეის“ ლეგენდარული ჟურნალისტიკის მკვლევრის, კოლეჯის პროფესორის, რეპორტიორის – რობერტ გრინის შეფასებით: „ეს იქნება მედიაში ვაჭრობა და არა ეთიკური ნორმების დაცვა მასალების მოპოვებისა და გაშუქებისას“ [59, 189].

პოინტერის ინსტიტუტის წარმომადგენელს კენი ირბის, რომელიც მედიის კვლევებზე მუშაობს, უფრო იდეალისტური შეხედულება აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით: „ძირითადად, როდესაც ხალხს უხდიან ინტერვიუსთვის, ეს ცუდად ემუქრება ჟურნალისტური საქმიანობის პროცესს. ჟურნალისტებისგან მიზანმიმართული ღონისძიებაა საჭირო, რომ წყაროებს სურდეთ მედიას უანგაროდ გაუზიარონ მათ ხელთ არსებული ინფორმაციები და არა უმაღლესი ფასების დაწესების სურვილით იყვნენ შეპყრობილნი ჟურნალისტებისთვის მიწოდებული მასალების სანაცვლოდ“ [59, 191].

დღეს ახალი მედიისა და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების რაოდენობის ზრდის ხანაში სიმართლის ინსტინქტი არანაკლებ საჭიროა, ვიდრე ოდესმე. მეტი ინტერპრეტაცია მხოლოდ აურზაურსა და დაბნეულობას თუ შემატებს სიმართლის ყველაზე ფაქიზ დონეს, რომელიც გადარჩევის პროცესის ნაწილად უნდა იქცეს მას შემდეგ, რაც ფაქტები დადგინდება. შეცდომაა

ინტერპრეტაციის დაწყება, ვიდრე არ დაზუსტდება ის, რაც რეალურად მოხდა [1, 48].

არის ინფორმაცია გასაყიდი საქონელი?

ზოგიერთი რეპორტიორი ხედავს წინააღმდეგობებს **„ჩეკებთან დაკავშირებული ჟურნალიზმის“** სრულყოფილ გახმოვანებაში. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ რეპორტიორმა ჯოუ თირნეიმ, რომელმაც დაწერა ისტორიების სერია ნიუ- იორკის ქუჩის ბინადრებზე, აღნიშნა, რომ „ბევრი მათგანი ითხოვდა ფულს ინტერვიუსთვის. ვუხსნიდი, რომ ვერ შევძლებდი მათთვის საფასურის გადახდას, მაგრამ შემეძლო მეყიდა საკვები ინტერვიუს ჩატარებისას. მუშაობის პროცესი წარმატებულია, სანამ რესტორანში შევალთ და წყარო წარმოთქვამს: „ახლა მე არ მშია. მხოლოდ საზღაური მინდა და მოგვიანებით გეახლებით“. რედაქციის ეთიკური ნორმების გათვალისწინებით, ძნელია იმის ახსნა, თუ რატომ აქვს ეთიკური უპირატესობა ინფორმაციის მომწოდებელ უსახლკარო წყაროს, უყიდო 30 დოლარად სადილი, ვიდრე 10 დოლარი გადაუხადო“ [60].

თირნეი აღიარებს, რომ ზოგიერთი ინტერვიუს ჩატარება უფრო მარტივი იქნება, თუკი ფულადი გადარიცხვები იქნება წყაროსა და რეპორტიორს შორის. მაშინ წყაროები მიხვდებიან, რომ იგი არც მეგობარია და არც ადვოკატი. მათ ეცოდინებათ, რომ იგი რეპორტიორია, რომელიც უხდის ფულს, რათა მიიღოს ხარისხიანი ინფორმაცია. თირნეის განმარტებით, „ყველა წყაროს შეიძლება გადაეხადოს, აუდიტორია აუცილებლად მიიღებს მნიშვნელოვან დეტალებს ამის საფასურად“ [60].

ზოგიერთი კოდექსი აუცილებლად თვლის, ჟურნალისტმა არ გაყიდოს თავისი კალამი, იგი არ უნდა ეწეოდეს შანტაჟსა და გამოძალვას. 90-იანი წლების რუსეთში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა ის, რომ ბიზნესმენები თუ პოლიტიკოსები საკუთარ ინტერვიუში ფულს იხდიდნენ. ფინანსურ თემატიკაზე მომუშავე ჟურნალისტების ეთიკური რეგულაციები ინფორმაციის ყიდვასთან დაკავშირებით ცალკე მსჯელობის საკითხია. მასალის გამოქვეყნებამდე მათ არ უნდა მიიღონ პირადი სარგებელი. ისინი არ უნდა ეცადონ, გამოიყენონ საკუთარი სტატიები აქციების ფასის ასაწევ-დასაწევად. მრავალი მედიასაშუალება მოითხოვს, რომ ჟურნალისტებმა მენეჯმენტს საკუთარი

ფინანსური შემოსავლები გაუმჯღავნოს. პროფესიონალმა მედიის წარმომადგენელმა განცდაც კი არ უნდა შექმნას, რომ ის შესაძლოა, კორუმპირებული იყოს. ერთობ სამწუხაროა, რომ მე-20 საუკუნის დასასრულს მეწარმეთა ეროვნული ასოციაციის ფრანგული ორგანიზაციის ყოფილმა თავმჯდომარემ შეძლო ეთქვა, რომ *„ჟურნალისტების მოსყიდვა შესაძლებელია ბანკეტებით ან ბარათებით“* [59, 222].

ამერიკული ჟურნალიზმის ექსპერტებმა სოციოლოგიურად გამოიკვლიეს ჟურნალისტთა და საზოგადოების პოზიცია ინფორმაციის შესყიდვასთან დაკავშირებით. კვლევებმა ასეთი შედეგები აჩვენა: ჟურნალისტთა 17% ფიქრობს,რომ ინტერვიუსათვის ფულის გადახდა სამართლებრივად უნდა დადგინდეს. საზოგადოების დიდი ნაწილიუპირისპირდება ინფორმაციის მოპოვების ამგვარ მეთოდებს. მესამედზე ნაკლებს სჯერა, რომ **„ჩეკებთან დაკავშირებული ჟურნალიზმი“ მისაღებია** [59, 188].

თავი V. საინფორმაციო წყაროებთან ურთიერთობის სამართლებრივი და ეთიკური ნორმები

ეთიკური და სამართლებრივი ნორმები იმასაც გვეუბნება, თუ როგორი ურთიერთობა აქვთ ჟურნალისტებს ინფორმაციის წყაროებთან. რასაკვირველია, ჟურნალისტებმა არ უნდა მოატყუონ წყაროები ანდა შეცდომაში არ შეიყვანონ ისინი აუდიტორიისთვის სიმართლის თქმის პროცესში.

სამწუხაროდ, ჟურნალისტები, რომლებიც ამ პრინციპზე კარგად არ დაფიქრებულან, ხშირად ვერ ამჩნევენ ამას. წყაროთა დაშანტაჟება, ამბის რეალური მიზნის არგაზიარება, ან უბრალოდ მოტყუება ამბის საკვანძო მომენტთან დაკავშირებით ის მეთოდებია, რომლებიც ჟურნალისტებმა შეიმუშავეს სიმართლის ძიების სახელით. შესაძლოა, ერთი შეხედვით, გულწრფელობა ჟურნალისტის ბორკილად მოგვეჩვენოს, თუმცა, ძირითადად, ეს ასე არაა. ბევრი რეპორტიორი იმ აზრამდე მივიდა, რომ ამას მისთვის უდიდესი გავლენის მოტანა შეუძლია. „მივხვდი, რომ ყოველთვის სჯობს, წყაროებთან თანაბარ დონეზე ვიყო, ვუთხრა მათ, რას ვაკეთებ, სად მივდივარ“ – გვითხრა ბოსტონ გლობის მაშინდელმა პოლიტიკურმა კორესპონდენტმა, ჯილ ზაკმანმა.

ვაშინგტონ პოსტის რეპორტიორმა, ჯეი მეთიუზმა ჩვევად გაიხადა წყაროებისთვის სტატიის სქემის ჩვენება. ის დარწმუნებულია, რომ ეს ზრდის მისი სტატიების სიზუსტეს და ნიუანსებს მატებს მას [1, 60].

ამავე დროს, ჟურნალისტებიც ამგვარ გულწრფელობას უნდა ელოდნენ თავიანთი წყაროებისგან. ჟურნალისტთა დიდ ნაწილს სჯერა, რომ, თუ წყარო, რომელსაც მინიჭებული აქვს ანონიმურობა და მას ჟურნალისტი შეცდომაში შეჰყავს, ასეთი წყარო უნდა გამოაშკარავდეს. ანონიმურობის შენარჩუნების ერთ-ერთი პირობა სიმართლეა.

არსებობს ჟურნალისტთა განსაკუთრებული კატეგორია, რომელსაც წყაროები შეცდომაში შეჰყავს. მას „შენიღბვა“ ჰქვია და აღმოჩნდება, როცა ჟურნალისტი ცნობების მოსაპოვებლად საკუთარ თავს სხვად ასაღებს. ამგვარად, წყაროები შეცდომაში შეჰყავს. ეს „შეფარული“ რეპორტირების ტექნიკა ახალი არ არის. ბინძური საქმეების გამამჟღავნებელი, ნელი ბლაი, რომელიც ფსიქიკურად დაავადებულთა თავშესაფრის ბინადრად ასაღებდა თავს, სწორედ ამ შენიღბვის ტექნიკას იყენებდა მეოცე საუკუნის დასაწყისში. დღეს ტელევიზია ხშირად იყენებს შენიღბვას და პაწაწინა ფარულ კამერებს დანაშაულის გამოსამჟღავნებლად [30, 45].

გაზეთ „ჩიკაგო სან-ტაიმსმა“ სამთავრობო პირისაგან, რომელმაც არ ისურვა სახელის გახმაურება, მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზოგ სამედიცინო კლინიკაში ქალებს ატყუებდნენ, ეუბნებოდნენ, რომ ფეხმძიმედ იყვნენ და არარსებული აბორტის საფასურს ახდევინებდნენ. გაზეთს შეეძლო ეს ფაქტი ეცნობებინა სამართალდამცავი ორგანოებისათვის ან კლინიკის თანამშრომლებისგან მოეპოვებინა მტკიცებულებები. მაგრამ ამის სანაცვლოდ გაზეთმა კლინიკაში შეაგზავნა თავისი გამომძიებელი ქალები, რომლებმაც ანალიზისთვის მამრობითი სქესის თანამშრომლების შარდი ჩააბარეს. როდესაც ანალიზის პასუხმა ფეხმძიმობა დაადასტურა, გაზეთმა კლინიკაში კიდევ შეაგზავნა ჟურნალისტები, რომლებმაც მუშაობა დაიწყეს მიმღების თანამშრომლების, მრჩეველებისა და ექთნების თანაშემწეების თანამდებობებზე. მათ იცოდნენ, თუ რა ზიანი ადგებოდათ კლინიკის პაციენტებს რამდენიმე თვის მანძილზე, მაგრამ კვლავ განაგრძობდნენ ინფორმაციის შეგროვებას, რაც მოიცავდა პაციენტთა ისტორიების არაკანონიერ ფოტოკოპირებასაც. კლინიკის

დანაშაულებრივი ქმედების შესახებ სტატიების გამოქვეყნებამ საზოგადოების განრისხება გამოიწვია. დაიწყო სახელმწიფო გამოძიებები კლინიკებში და ფედერალურმა მარეგულირებელმა ორგანოებმა შესაბამისი სადამსჯელო ზომები მიიღეს [30, 115].

თავისი კიდევ ერთი პროექტისათვის გაზეთმა „ჩიკაგო სან-ტაიმსმა“ გახსნა ბარი სახელწოდებით „მირაჟი“ იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ სძალავდნენ ჩინოვნიკები მცირე მეწარმეებს ფულს მათი ბიზნესის ხელშეუხებლობის სანაცვლოდ. ბოლო წლებში რამდენიმე სამაუწყებლო კომპანია თანამშრომლობდა კერძო ინტერნეტ-ჯგუფებთან, რომელთაც ევალებოდათ, მოეზიდათ პედოფილები და შეეყვანათ იმ სახლებში, რომლებშიც ვითომ ბავშვები ელოდნენ. ამის ნაცვლად, სამაუწყებლო კომპანია პედოფილებთან ინტერვიუების ვიდეოჩანაწერებს აკეთებდა [30, 115].

ჟურნალისტები განუწყვეტლივ კამათობენ იმაზე, იცავს თუ არა ეს მეთოდი საზოგადოებას, თუ ის უბრალოდ პროვოცირებაა. ბარ „მირაჟის“ შემთხვევაში ჟურნალისტები უარყოფენ, რომ მოახდინეს პროვოცირება, და აცხადებენ, რომ მათ შესაძლებლობა მისცეს თანამდებობის პირებს გამოემჟღავნებინათ კანონდარღვევის ნიჭი. პედოფილთა საქმეში ჩართული ჟურნალისტების აზრით, მათ ხელი შეუშალეს დამნაშავეებს ბავშვების გარყვნაში, მაგრამ ზოგი კრიტიკოსი მიუთითებს პროპაგანდულ ჯგუფებთან თანამშრომლობაზე და იმ აგრესიულ აქტებზე, რომლებითაც აიძულებდნენ პედოფილებს მისულიყვნენ დათქმულ ადგილას [30, 115].

ჟურნალისტთა საიდუმლო მუშაობის კიდევ უამრავი მაგალითი არსებობს. ზოგი მათგანი ფარულ აუდიო ან ვიდეოჩანაწერსაც შეიცავს. აყენებს თუ არა ეს ქმედება ზიანს კონკრეტული სტატიის ან ზოგადად ჟურნალისტების სანდოობას? 1990-იან წლებში, სამაუწყებლო კომპანია „ეი-ბი-სის“ ორი რეპორტიორი სამუშაოდ მოეწყო ხორცის დამამუშავებელ კომპანია „ფუდ ლაიონის“ მაღაზიათა ქსელში. კომპანიის შესახებ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, სადაც მხილებული იყო, თუ როგორ მუშავდებოდა ხორცი სანიტარული ნორმების დაცვის გარეშე, კომპანიამ უჩივლა გაზეთს არა მხილების ამ სტატიაში მოყვანილი მცდარი ფაქტების გამო, არამედ იმის გამო, რომ რეპორტიორებმა განზრახ დაიწყეს მუშაობა საწარმოში და სამუშაო განაცხადშიც არასწორი

ინფორმაცია ჩაწერეს. სამოქალაქო სამართალწარმოების შემდეგ სასამართლომ დააკმაყოფილა კომპანიის სარჩელი და გაზეთს მძიმე ჯარიმებიც დააკისრა. სამართალწარმოების დროს ჟურნალისტ-გამომძიებელთა და რედაქტორთა ასოციაციამ სასამართლოს წარუდგინა წერილი, რომელშიც მხარს უჭერდა გაზეთის ქმედებასა და მის ბრძოლას საზოგადოების სასიკეთო შედეგებისთვის [30, 115].

რა ურთიერთმიმართებაშია სიმართლე, გამჭვირვალობა და შენიღბვა? ჩვენი აზრით, პირველი ორი ხელს სულაც არ უშლის ჟურნალისტს, მიმართოს შენიღბვას. უფრო მეტიც, იმის გადასაწყვეტად, თუ როდის უნდა მიმართონ ამ ტექნიკას, ჟურნალისტებმა უნდა გამოიყენონ ის კონცეფციები, რომლებიც სამოქალაქო დაუმორჩილებლობას ამართლებს. მოქალაქეებმაც უნდა მიმართონ ამ კრიტერიუმებს, რომ შეაფასონ, რას ფიქრობენ მის შესახებ [30, 115-116]. ამ გადაწყვეტილებამდე სამი ნაბიჯია:

1. ინფორმაცია იმდენად მნიშვნელოვანი უნდა იყოს საზოგადოებისთვის, რომ ტყუილი გაამართლოს;
2. ჟურნალისტებმა მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენონ შენიღბვის ტექნიკა, როცა ცნობების მოპოვების მეტი გზა არ არსებობს;
3. თუ ინფორმაციის მოსაპოვებლად ჟურნალისტებმა წყაროები შეცდომაში შეიყვანეს, მათ უნდა აუწყონ აუდიტორიას, აუხსნან ამგვარი ქმედებების მიზეზები და ისიც, თუ რატომ იყო ეს ფაქტების მოპოვების ერთადერთი გზა [30, 122].

ასეთი მიდგომით, მოქალაქეებს თავად შეუძლიათ გადაწყვიტონ, გამართლებულია თუ არა ჟურნალისტური არაკეთილსინდისიერება და ჟურნალისტიც სუფთა იქნება მოქალაქეთა მიმართ, ვისი ერთგული სამსახურიც მისი უპირველესი მოვალეობაა. ამდენად, ჟურნალისტი ვალდებულია, თავისი მუშაობა სამართლიანობის დაცვის პრინციპით წარმართოს. უმნიშვნელოვანესია, უნებლიეთ არ მოვატყუოთ აუდიტორია. ამისათვის აუცილებელია წყაროების მოტივაციის კარგად გააზრება და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორეში დარწმუნება. ზოგჯერ საჭირო ხდება წყაროების მოტყუება, თავის სხვად გასაღება, პირად საკუთრებაში შეჭრა, კანონის დარღვევაც კი იმისათვის, რომ ჟურნალისტური გამოძიება

ჩატარდეს და საზოგადოებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფორმაცია გამოაშკარავდეს; ხშირად იმისათვის, რომ ამხილო და გამოამზეურო ტყუილი, ამორალურობა, კრიმინალი – საჭირო ხდება, თავადაც მსგავს ღონისძიებებს მიმართო. მთავარი ამ დროს არის ის, რომ ჟურნალისტი მოქმედებს საზოგადოების ინტერესებში, მის საკეთილდღეოდ და მიზნად არ ისახავს არანაირ პირად ინტერესს [30, 223].

ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ გამჭვირვალე ჟურნალისტიკის ეს მცნება, რადგან ეს დაგვეხმარება მომავალში უფრო გამჭრიახი საზოგადოების ჩამოყალიბებაში. სწორედ საზოგადოებაა მზად, დაინახოს განსხვავებები პრინციპულ ჟურნალისტიკასა და მის უზრუნველ, თავის თავში შეყვარებულ სუროგატს შორის. ამ გზით ჟურნალისტებს შეუძლიათ, შეიძინონ ბაზრის ახალი ენერგია, რათა ხარისხიანი ჟურნალისტიკის მამოძრავებელი ძალა გახდნენ [30, 226].

პროფესიონალიზმის დაბალი დონე კიდევ უფრო ნაკლები პრობლემაა, ვიდრე ის, როდესაც ჟურნალისტები გამიზნულად იტყუებიან და შეცდომაში შეჰყავთ აუდიტორია. 1998 წელს „ქარლთონ ქომუნიქეიშმა“ მოამზადა და გაავრცელა ჟურნალისტური გამოძიება იმის შესახებ, თუ როგორ შემოდიოდა ნარკოტიკები კოლუმბიიდან ბრიტანეთში. ეს მასალა გადაიცა „აი-თი-ვი“ ტელევიზიით და ის ოთხმა მილონმა ადამიანმა ნახა. ამის გარდა, მისი შემოკლებული ვერსია აჩვენა სი-ბი-ესის გადაცემა „60 წუთმაც“. მოგვიანებით გაირკვა, რომ წყარო, რომელიც ამ ნარკოტიკის მარშრუტს აღწერდა, ჩაწერილი იყო არა ნარკოტიკების ქარხანაში, როგორც ამას ჟურნალისტი ირწმუნებოდა, არამედ სასტუმროს ნომერში; ხოლო სცენა, თუ როგორ შეჰყავდათ თვალებახვეული ჟურნალისტი რაღაც ჩაბნელებულ დერეფანში, დადგმული და გათამაშებული იყო. გაირკვა, რომ უხეში ნარკოდილერები, რომლებიც ხელს კრავდნენ ვითომ ინტერვიუზე მიმავალ ჟურნალისტს – მსახიობები იყვნენ... ჟურნალისტის მიზანი ამ შემთხვევაში იყო, მცდარ ფაქტებზე დაფუძნებით შეექმნა სკანდალური გადაცემა, რომელიც მას რეიტინგს მოუტანდა. ამ მიზნით მან შეცდომაში შეიყვანა აუდიტორია, რაც არაეთიკური და ამორალური ქმედებაა. ასეთ ჟურნალისტური გამოძიების პროდუქტს მეტად მოეთხოვება თავისუფლების დაცვა, რადგან ის, როგორც წესი, აღიზიანებს როგორც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, ასევე ხშირად არსებულ ხელისუფლებასაც [3, 46].

პრესის პოპულარობისა და მისადმი ინტერესის შემცირება დიდწილად ტელევიზიის პოპულარობის ზრდის ხარჯზე ხდება. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა აცნობიერებს სატელევიზიო გადაცემების შესაძლო არასანდოობას, ის მაინც მისი გავლენის ქვეშ ვარდება. ყოველივე თქმული დასავლურ ქვეყნებში კარგად წარმოჩნდა სპარსეთის ყურის კრიზისის დროს, როდესაც განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოჩნდა მასმედიის კავშირი ინფორმაციის წყაროსთან, განსაკუთრებით მთავრობასა და სახელმწიფო ძალაუფლებასთან. აშკარა გახდა სატელევიზიო არხების კონკურენცია და განსხვავება აქტუალობის სრული წარმოდგენის თვალსაზრისით პრესასა და აუდიოვიზუალურ ორგანოებს შორის. ამ მოვლენამ წინ წამოსწია არჩევის მექანიზმები, განსაკუთრებით ის, რაც ტელევიზიის ხელშია (ოფიციალური წყაროების მონოპოლია, ამერიკული არხის უპირატესობა). სპარსეთის ყურის ომის ვითარებამ ასახა ლიბერალური საზოგადოების მედიის ინფორმაციის ლოგიკა, რომელიც უარყოფდა ნებისმიერ ფაქტს, რომელიც ამ ლოგიკას არ შეესაბამებოდა. ნებისმიერი გადახვევა მოცემული ლოგიკიდან იკრძალებოდა [2, 34-37].

ერთმა სტუდენტურმა გაზეთმა გამოაქვეყნა მასალა უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილი მშენებლობის შესახებ. გაზეთში ეწერა, რომ დაგეგმარების ადგილობრივი საბჭოს წევრმა სამშენებლო კომპანიისგან ქრთამი აიღო. როდესაც ავტორ სტუდენტს ჰკითხეს, იცოდა თუ არა, რომ ასეთი ბრალდება აშკარად ცილისმწამებლურია, მან უპასუხა: „მაგრამ მე ხომ წყარო მივუთითე.“ ჟურნალისტს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ იგი გაიმეორებს ცილისმწამებლურ განცხადებას ან მოახდენს იმ ადამიანის ციტირებას, ვინც ასეთი განცხადება გააკეთა, თუ გამოყენებული მასალა პრივილეგირებული არ არის. სასამართლოში ან ოფიციალურ შეხვედრაზე გაკეთებული განცხადება – თუნდაც მცდარი – მიიჩნევა პრივილეგირებულად და ეს სტატუსი საჩივრის შემთხვევაში თავის დასაცავად გამოადგება ჟურნალისტს, თუ მისი ანგარიში სამართლიანი და ზუსტია [8, 514].

როგორიც არ უნდა იყოს ჟურნალისტთა ადგილი და პასუხისმგებლობა, ზოგადად, რეალურად წამოიწევა საკითხი, რომელიც განსაკუთრებული პრინციპულობით დგება ბოლო ათწლეულების მოვლენების შემდეგ – სად მიდის

დემოკრატიული ქვეყნების ჟურნალისტიკა? ან უფრო ზუსტად, რას და ვის ემსახურება ის?

ჟურნალისტები ვალდებულნი არიან, განმარტონ მოპოვებული ინფორმაციის არსი ზოგადი ცოდნისა და იმ წყაროს საფუძველზე, რომელსაც ფლობენ. მათ უნდა აჩვენონ ფაქტები სხვადასხვა მხრიდან, წარმოაჩინონ არსებული წინააღმდეგობები ინფორმაციის მოპოვებისა და გაანალიზების დროს, კონკრეტული საგნის შესახებ არსებული ფაქტები განალაგონ გარკვეული თანამიმდევრობით, თავისი გამოცდილებისა და სპეციალური ცოდნის საფუძველზე დაარწმუნონ აუდიტორია დასმული პრობლემის სიცხადეში. საინფორმაციო წყაროების მონაცემების საფუძველზე მიუკერძოებლად გადასცენ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის საშუალებით საზოგადოებას მიეცემა შესაძლებლობა, მიიღოს სწორი გადაწყვეტილება გაშუქებულ პრობლემასთან დაკავშირებით.

ბევრ ჟურნალისტს აქვს ინფორმაციის მოპოვების, წყაროებთან ურთიერთობების თავისი მეთოდები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყოველთვის შეიძლება გამოდგეს მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი. ჟურნალისტური გამოძიების კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი,ხშირად კომპლექსურიც. განვიხილოთ ყველაზე მნიშვნელოვანი და აპრობირებული მეთოდები.

5.1. დაკვირვების მეთოდი

ეს მეთოდი დაფუძნებულია სინამდვილის პირადულ შემეცნებასა და მგრძნობელობით აღქმაზე. ჩვეულებრივისაგან განსხავავებით ჟურნალისტური დაკვირვება შემთხვევით ხასიათს კი არ ატარებს, არამედ მიზანმიმართულია. მისი ობიექტი შეიძლება იყოს უბრალო და, ამავე დროს, განსაკუთრებულად რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, რელიგიური, ზნეობრივი პროცესები, მოვლენები და სიტუაციები. დაკვირვება წარმოადგენს საკმაოდ რთულ მოქმედებას, რასაც განაპირობებს დაკვირვების ობიექტის თავისებურებანი, დამკვირვებლის გამოცდილება, პროფესიული ჩვევები და პირადი თვისებები.

არსებობს ჟურნალისტური დაკვირვების რამდენიმე სახე და მათი განსაზღვრა სხავადასხვა საფუძველზე ხდება [78, 169].

დაკვირვება შესაძლოა იყოს **პირდაპირი და ირიბი**. მხედველობაშია გარემოება, როდესაც საგანზე დაკვირვება ავტორს შეუძლია მოახდინოს, ერთ შემთხვევაში, მასთან უშუალო კონტაქტისას, სხვა შემთხვევაში კი, გამოსაძიებელი საგნის მიუწვდომლობისა და სხვა გარემოებების გამო, შემოიფარგლება ირიბი მონაცემებით.

პირდაპირი დაკვირვების მაგალითია – ჟურნალისტ-გამომძიებლის ხათუნა პაიჭაძის გამოძიებითი პუბლიკაცია „ისე შეგვავიწროვეს, იძულებული გაგვხადეს, სათავო ოფისისთვის აქციები 7 ლარად დაგვეთმო“*{?!}*, რომელიც დაიბეჭდა „კვირის პალიტრაში” (21-27 თებერვალი, 2005 წ). ის, რომ ჟურნალისტი ახორციელებდა სწორედ პირდაპირ დაკვირვებას, ჩანს სტატიის პირველი წინადადებიდან, როცა ის გვიამბობს მოტყუებული მეანაბრეების პრობლემაზე: *„ანაბრების თემა უახლოესი ათი წლის განმავლობაში ქვეყნის მთავრობასა და მის ხელმძღვანელს აქილევსის ქუსლად გადაექცევა. რევოლუციით ხელისუფლების სათავეში მოსული ახალი მთავრობა ამ პრობლემის წინაშე უკვე დგას, თუმცა მისი გადაჭრის პერსპექტივა არ ჩანს. სახელმწიფოს მიერ შიდავალად აღიარებული მილიარდების გასტუმრება ხუმრობა საქმე როდია.“*

დაკვირვება მაძიებლისთვის წარმოადგენს გამოძიების საფუძველს იმისათვის, რომ განაცხადოს შემდეგ: *„გასაჭირში ჩავარდნილი სახელმწიფო, ცხადია, ამ ვალს ვერ (ჯერჯერობით მაინც) გაისტუმრებს. თუმცა არავის გახსენებია გაჭირვებული მოსახლეობა მაშინ, როცა შემნახველ სალაროში დაგროვებულ ხალხის უზარმაზარ ქონებას ერთეულებს ჩუქნიდნენ, ვალს კი ისევ ბიუჯეტსა და ხალხს უტოვებდნენ გადასახდელად. მათზე არავინ ფიქრობდა მაშინაც, როცა მთელი ამ ქონების სამართალმემკვიდრე გაერთიანებული ქართული ბანკი ვალდებულებისგან მთლიანად განთავისუფლდა(?) „კვირის პალიტრა” აგრძელებს ჟურნალისტურ გამოძიებას (რედაქციაში უამრავი ადამიანის წერილი მოდის, სადაც გვთხოვენ, გავარკვიოთ, რა ბედი ელის მათ მიერ წლების განმავლობაში ნაგროვებ თანხებს, რომლებიც მათ დაუკითხავად „ვიღაცებმა” ჩაიჯიბეს) ანაბრების თემასთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით, ფაქტები,*

რომელზეც ამ სტატიაშია მოთხრობილი, ცივილიზებულ მსოფლიოს ნამდვილად შოკში ჩააგდებდა“ [13].

დროის მონაცემებით (დახარჯული დროის მოცულობა) დაკვირვება არის მოკლევადიანი და გრძელვადიანი.

მოკლევადიანი დაკვირვება გამოყენებულია ოპერატიული პუბლიკაციის მომზადების დროს. იმ შემთხვევაში კი, როდესაც საჭიროა საგნის საფუძვლიანად შესწავლა, რასაც იმთავითვე მოითხოვს ჟურნალისტური გამოძიება, გამოიყენება ხანგრძლივი დაკვირვება.

მოკლევადიან დაკვირვებად შეიძლება ჩაითვალოს უკვე მოტანილი მაგალითი, რამდენადაც ჟურნალისტს არ შეეძლო კვირების, თვეებისა და წლების მანძილზე ეწარმოებინა დაკვირვება მეანაბრეების პრობლემაზე, იმ ცვლილებებზე, რომელიც მიმდინარეობდა ქვეყანაში ამ თემასთან დაკავშირებით უახლოესი ათი წლის მანძილზე. დაკვირვება შეიძლება იყოს აგრეთვე ღია და დახურული. პირველ შემთხვევაში ჟურნალისტი სრულიად გააზრებულად აკეთებს თავისი, როგორც დამკვირვებლის როლის აფიშირებას. მეორე შემთხვევაში კი, მალავს იმ ფაქტს, რომ იგი ვიღაცას უთვალთვალებს.

ღია დაკვირვების თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ ჟურნალისტი, რომელიც მუშაობს საძიებელ თემაზე, აცხადებს თავის ვინაობას, მიზანს, რედაქციის მიერ მიცემულ დავალებას და იმას, თუ როგორ შეასრულებს მას ან რა დახმარებას საჭიროებს; ამრიგად, ადამიანებმა, რომელთანაც მას უწევს ურთიერთობა, იციან, რომ მათ შორის არის ჟურნალისტი, რომელიც აგროვებს მასალებს პუბლიკაციისთვის და შესაძლოა, თავისი შეხედულება იქონიონ (დადებითი ან უარყოფითი) მის საქმიანობაზე. კლასიკური მაგალითია დაკვირვება, რომელიც საფუძვლად დაედო გასული საუკუნის 70-იანი წლების ცნობილი ესტონელი პუბლიცისტის იუხან სმულის წიგნს „ყინულის წიგნი.“ ავტორმა ყინულმჭრელით იმოგზაურა ჩრდილოეთის ზღვის მარშრუტით, როგორც გემის ეკიპაჟის წევრმა [78, 108].

პუბლიკაციაში „გამარჯობა, მრისხანე ახალო წელო!“ („მოსკოვსკი კომსომოლეც“, 2001) ჟურნალისტი აღწერს, თუ როგორ ხვდებიან მილენიუმს ჩეჩნეთის დედაქალაქში, სადაც ფეიერვერკის ნაცვლად ვხედავთ „თუ როგორ ფეთქდება ჭურვები და მიჯრით სროლისაგან გაყრუებულია მიდამო, ხოლო პრეზიდენტის მილოცვის ნაცვლად ისმენენ ასეულის მეთაურის მრავალსართულიან გინებას, ჯარისკაცებისა და ოფიცრების კამპანიაში აღმოჩენისას კი თავისი თვალით ხედავს, როგორ „დღესასწაულობენ” ახალ წელს ასოცმილიმეტრიანი კალიბრის ქვემეხების გასროლის „ფეიერვერკების” ქვეშ [78, 109].

დაკვირვების თვალსაჩინო მაგალითია ასევე ქართულ რეგიონალურ პრესაში, ფოთის გაზეთ „თავისუფალ სიტყვაში“ გამოქვეყნებული პუბლიკაცია სათაურით **„ქალაქი სტიქიას ამჯერად გადაურჩა“**, რომელშიც ჟურნალისტი **ნინო თუნთია** აღწერს ქ. ფოთის სავალალო სიტუაციას: *„უკვე რამდენიმე წელია, საკმარისია სამი-ოთხი საათი იწვიმოს, რომ ქალაქის ქუჩები წყლით იტბორება. უფრო ხანგრძლივი წვიმისას კი წყალი საცხოვრებელ სახლებშიც შედის“... ...„ფასადების მოწყობისათვის ბიუჯეტში 400 ათასი ლარია გათვალისწინებული. აქედან მხოლოდ აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 5 სახლის გაფერადებაზე 74-100 ლარი დაიხარჯა“...* ამავე სტატიაში ვკითხულობთ ავტორის დაკვირვებას ფოთის პარკის კეთილმოწყობის სამუშაოებზე დახარჯული თანხის რაოდენობის შესახებ: *„შემოსასვლელი თაღების შეკეთებისთვის – 8 ათასი ლარი; პარკში სანიაღვრე არხების მოწყობა-მოპირკეთება – 40 ათასი ლარი; ლამპიონების, ურნების, სკამების დამზადება-დამონტაჟება – 42 ათასი ლარი; ელექტრომომარაგებითი უზრუნველყოფის სამუშაოები – 30 ათასი ლარი; პარკის შესასვლელის ასფალტის საფარის მოწყობა – 4 ათასი ლარი; ლითონის ღობის დამზადება-დამონტაჟება – 95 ათასი ლარი, ხოლო ამავე ღობის ბეტონის ბორდიურით მოწყობა – 16, 8 ათასი ლარი. მხოლოდ ცენტრალური გზისა და შადრევნის რეკონსტრუქციაზე 117 ათასი ლარია დახარჯული. სატუმბო სადგურები და, საერთოდ, ქალაქის დატბორვა რატომღაც გაცილებით ნაკლები მნიშვნელობის პრობლემად ჩაითვალა და შესაბამისად, მომავალი წლის ბიუჯეტში იქნება თურმე პრიორიტეტი. ძალიან საინტერესოა, როგორ მოახერხებს მთავრობა 9-10-მილიონიანი ბიუჯეტის პირობებში ქალაქისათვის ამ მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრას, როცა*

წლევანდელი 16-მილიონიანი ბიუჯეტიდან ოთხი სატუმბი სადგურის მოვლა-პატრონობისთვის მხოლოდ 86 ათასი ლარი გაიმეტა“ [29].

ღია დაკვირვებისგან განსხვავებით, ფარული დაკვირვება ხასიათდება იმით, რომ მაძიებელი განსაზღვრული დროის მანძილზე (ან არასოდეს) არ უმხელს გარშემომყოფთ, რომელთა მოქმედებას თვალყურს ადევნებს, რომ ის ჟურნალისტია და აგროვებს აუცილებელ ინფორმაციას. ფარული დაკვირვება ტარდება, როგორც ჟურნალისტური გამოძიების განხორციელების, ასევე კონფლიქტური სიტუაციის შესწავლის დროსაც.

დაკვირვების თავისებურებანი შესაძლოა იყოს განსაზღვრული ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა ჟურნალისტის მონაწილეობის ხარისხი იმ მოვლენებში. ამის საფუძველზე დაკვირვება განიყოფა ჩართულად და არაჩართულად. პირველ შემთხვევაში მაძიებელი ხდება, მაგალითად, რელიგიური სექტის წევრი, მეორე შემთხვევაში შეისწავლის იმავე სექტის საქმიანობას, მაგრამ გარედან ისე, რომ მასში მონაწილეობას არ იღებს. ჩართული დაკვირვება ყველაზე პოპულარული მეთოდია ჟურნალისტი-გამომძიებლისთვის, იგი უფრო მეტად აახლოებს ავტორს მისთვის საინტერესო ობიექტთან, რამდენადაც იგი უშუალოდ არის მასთან შეხებაში და ყველაფერს ხედავს შიგნიდან. ჩართული ძიების შედეგად მიღებული ფაქტები და მაგალითები გამოირჩევა განსაკუთრებული სისავსით, სიცხადით, მრავალფეროვნებითა და უტყუარობით.

აი, რას წერს ამ მეთოდზე ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი-გამომძიებელი მაიკლ ბერლინი: „დაკვირვება იმაზე, თუ რამდენ ხანს ატარებენ მოსამსახურეები სამუშაო ადგილებზე, რომელი პოლიტიკოსი ატარებს დროს ამა თუ იმ ფირმის დირექტორის კომპანიაში, რა პირობებში არიან პატიმრები ციხეებში და სხვა მსგავსი დაკვირვებანი სასარგებლოა სტატიისთვის. შესაძლოა თქვენ მოისურვებთ, თვალი მიადევნოთ ავტომობილს, იყოთ სამშენებლო ობიექტზე, მოახდინოთ ფოტოგრაფირება, რაც გადააქცევს თქვენს დაკვირვებას დოკუმენტად. შესაძლოა თქვენ დამალოთ და არ გაამხილოთ, რომ ხართ ჟურნალისტი და აქ გაჩნდება ეთიკური შეკითხვა“ [70, 23-25].

აშშ-ში მიმდინარე, რამდენიმე ხმაურიანი გამოძიების პროცესში ჟურნალისტები მალავდნენ თავიანთ პროფესიას. ჩიკაგოს გაზეთის ორმა ჟურნალისტმა გახსნა თავისი კაფე და ელოდნენ, როდის მოვიდოდნენ მათთან ხელისუფლების, ინსპექციის, პოლიციის ან მაფიის წარმომადგენლები და მოსთხოვდნენ ქრთამს ან შესთავაზებდნენ კანონსაწინააღმდეგო გარიგებას (მაგალითად, როცა მომწოდებელი ყიდის საქონელს დაბალ ფასად, ხოლო გამყიდველი ყიდის ზედმეტად და საქმის კურსში არ აყენებს „ბოსს“), ამის შემდეგ ჟურნალისტებმა გამოაქვეყნეს სტატია კორუფციაზე, რომელიც მსგავს წარმოებებშია გავრცელებული. იყო შემთხვევები, როცა ჟურნალისტები წვებოდნენ საავადმყოფოში, სხდებოდნენ ციხეში და თავს აჩვენებდნენ სულით ავადმყოფებად და მსჯავრდებულებად, რათა მისცემოდათ საშუალება, აღეწერათ შიგნიდან ის ბოროტმოქმედებანი, რომელიც ამ სისტემებს ახასიათებთ. სხვანი ეწყობოდნენ სამუშაოდ ფირმებსა და დაწესებულებებში, მერე კი წერდნენ რეპორტაჟებს იქ გაწეულ თავის სამუშაოზე. იყო შემთხვევები, როცა ჟურნალისტები (როგორც ქალები, ისე კაცები), თავს ასაღებდნენ მყიდველებად, რომ ეჩვენებინათ განსხვავება მომსახურებისა ქალისა და კაცის მიმართ. ასეთი ტიპის დაკვირვება შესაძლოა, გახდეს ინფორმაციის წყარო ჟურნალისტური გამოძიებისთვის, თუ ეს გამოძიება შეისწავლის მთელ სისტემას და არა მის ცალკეულ სფეროებს [78, 169].

დაკვირვების ჩართული მეთოდის გამოყენების კარგად ცნობილი კლასიკური მაგალითი დაცულია მწერლისა და ჟურნალისტის გიუნტერ ვალრაფის შემოქმედებაში; 1964 წ. ახალგაზრდა დამწყები ავტორი მოეწყო სამუშაოდ ქარხანაში, რათა დახმარებოდა დედას, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ მიზერული პენსიით არსებობდა, მაგრამ ერთდროულად, შეიძლება ითქვას, გაუცნობიერებლად გარკვეული სოციალური წრის ადამიანებთან ურთიერთობისას იგი ჩაერთო რეალური ცხოვრების შემეცნებაში. ჟურნალისტს მიეცა საშუალება, როგორც გარეშე დამკვირვებელს, უშუალოდ შეეფასებინა არსებული გარემო (მუშათა ცხოვრება). მისი სტატია ქარხანაზე დაიბეჭდა გაზეთში „მეტალი“. მრავალმა მისმა კოლეგამ იცოდა, რომ ქარხანაში მუშაობისას ის ამავდროულად აგროვებდა მასალებს პუბლიკაციისთვის, ეს არც ვალრაფს დაუმალავს მათთვის. ჟურნალისტმა მოახერხა კარგი ურთიერთობა დაემყარებინა, მათთან, ვინც იყო მისი დაკვირვების ობიექტი. მასთან მიდიოდნენ

მუშები და აღიარებდნენ, რა კარგია, რომ მან ამხილა საწარმოში არსებული წესები [78, 346-348], [72, 206-247]. საქმის მსვლელობის დროს ვალრაფი მიხვდა, რომ განზოგადებული სურათის წარმოსაჩენად აუცილებელია უფრო ღრმა და ფართო სპექტრი, ვიდრე ერთი დასავლეთგერმანული საწარმოს შინაგანი ცხოვრების შესწავლა. ამისთვის, ინფორმაციის შეკრების ნაცადი მეთოდის გამოყენებით, იგი იწყებს დაკვირვებას გრფ-ს სხვა უმსხვილეს საწარმოებზე, რომლის შედეგები სტატიების სერიის სახით კვლავ ჩნდება გაზეთ „მეტალში“, შემდგომში ეს პუბლიკაციები იყრის თავს საავტორო წიგნში [78, 110].

ცნობილი გერმანელი მწერალი ჰაინრიხ ბიოლი აკეთებს რა ანალიზს გამოძიების მეთოდებზე, აცხადებს, რომ ვალრაფს არ შეიძლება, ჩვეულებრივად, რეპორტიორი ვუწოდოთ, რადგან ის ეძებს ფაქტებს, იღებს ინტერვიუს, ხოლო შემდეგ ამას ურთავს თავის ცნობებს. ის არ არის ესეისტი, რომელიც აბსტრაქტულად აანალიზებს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას. ვალრაფი ერთვება სიტუაციაში, რომელზეც აპირებს წერას, იღებს საკუთარ გამოცდილებას, რომელზე დაყრდნობითაც აკეთებს დასკვნებს. ჰაინრიხ ბიოლის შეხედულებებით, გამოძიების ამ მეთოდს ერთი ნაკლი ახლავს, როგორც კი ვალრაფი ცნობილი გახდება ფართო საზოგადოებისათვის, ჟურნალისტი ამ მეთოდს ასევე ეფექტურად ვეღარ გამოიყენებს. და მართლაც, პირველი წიგნის გამოქვეყნების შემდეგ, როდესაც მან მოიპოვა სახელი, ღია დაკვირვების შემდგომი მცდელობა მისთვის უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა [78, 109].

ამის შემდეგ ვალრაფი ცვლის ინფორმაციის მოძიების ტაქტიკას და **შემოაქვს დაკვირვების ფარული მეთოდი.** 1974 წ. ასეთი დაკვირვების ობიექტად გამომძიებლისათვის ხდება სადაზღვევო კონცერნი, რომელიც ეკუთვნის შვედეთისა და გფრ–ის გენერალურ კონსულს გერლინგს. ვარლაფი იცვლის გარეგნობას, ეწყობა ამ საწარმოში, რათა მიიღოს ობიექტური ინფორმაცია. პირველი ექსპერიმენტი წარმატებით ჩაივლის. კონცერნში გამეფებულ წესებს გამომძიებელი აშუქებს შვედეთისა და გფრ-ის ტელევიზიით, შემდგომ ეს მასალები იბეჭდება წიგნში სათაურით „თქვენ იქ, ზემოთ, ჩვენ – აქ, ქვემოთ“. ამის შემდეგ ვარლაფს ღიად ადანაშაულებენ უკანონოდ ინფორმაციის მიღებაში, რაზედაც ვარლაფმა უპასუხა, რომ ამ მეთოდის გამოყენება გარემოებამ მიკარნახა და არა ჩემმა ახირებამო [78, 111], [72, 230].

შეუძლებელია სოციალურ სინამდვილეში ამა თუ იმ სფეროში შექმნილი გარემოებების გაკონტროლება, ყოველივე იძულებულს ხდის ჟურნალისტს, შემოვლითი გზებით იმოქმედოს. ვარლაფი არ ამართლებდა თავის მეთოდებს, ის თვლიდა, რომ ეს მიდგომა იყო იძულებითი და სთხოვდა მიეღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ხშირად შეცდომაში შეჰყავდათ ადამიანები (მაგალითად, საწარმოს მფლობელები); ყოველივე ნაკარნახევი იყო მანკიერების გამომზეურების მიზნით, რაც უშუალო კავშირშია საზოგადოების ინტერესებთან.

ვალრაფისთვის ჩართული ფარული დაკვირვების მეთოდი ხდება მთავარი ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი წყარო. გზადაგზა ეს მეთოდი იძენს ახალ-ახალ ელფერს. იგივე მეთოდი ჟურნალისტმა გამოიყენა წიგნ „ფსკერზე" მუშაობის პროცესში, რომელიც მიეძღვნა უცხოელი მუშების ყოფას გერმანიაში და ადგილობრივი მწარმოებლების მიერ მათ ექსპლუატაციას. ვალრაფი აღწერს, თუ როგორ ახორციელებდა ჩართვით დაკვირვებას, როდესაც თურქი ალის გასტრობაიტერის როლში გამოდიოდა [78, 112-346].

5.2. ექსპერიმენტის მეთოდი ჟურნალისტურ გამოძიებაში

ჟურნალისტურ გამოძიებაში მნიშვნელოვანია ექსპერიმენტის მეთოდი; მის „წინამორბედებად" ითვლება სამეცნიერო და საგამოძიებო ექსპერიმენტები. მეცნიერებასა და იურისპრუდენციაში ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება. ბოლო ხანებში ის უფრო აქტიურად გამოიყენება საქართველოს ჟურნალისტ-გამომძიებლების მიერ.

ექსპერიმენტი ძალიან ახლოა ჩართულ დაკვირვების მეთოდთან და ხშირად მათ ერთ და იმავე მეთოდადაც თვლიან. ზოგჯერ ექსპერიმენტს განსაზღვრავენ, როგორც ჩართული დაკვირვების ერთ-ერთ სახეობას. ჩვენი შეხედულებით, ექსპერიმენტი შეგვიძლია ჩავთვალოთ დამოუკიდებელ მეთოდად. ჟურნალისტი, რომელიც მას იყენებს თავის გამოძიებებში, არ უკეთებს აფიშირებას იმას, თუ როგორ პირობებში და რა გზითაა მიღებული მისთვის საჭირო ცნობები. და აი, რატომ, როცა ჟურნალისტი ატარებს ექსპერიმენტს, ის აუცილებლად ქმნის მანამდე არარსებულ, ხელოვნურ სიტუაციას (მაგალითად, სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებში წერილობით მიმართავს ას ადრესატს და უცდის,

თითოეული მათგანისგან პასუხის მიღებას). ამის მერე იგი მას შეისწავლის და გამოიყენებს დაკვირვების სხვა მეთოდებთან ერთად. განზრახ შექმნილი სიტუაცია საშუალებას აძლევს ჟურნალისტს, დაინახოს უფრო ნათლად ის, რაც, ჩვეულებრივ, დაკვირვების დროს იქნებოდა გაწელილი დროში და არ გამჟღავნდებოდა ისე კონცენტრირებულად და თვალსაჩინოდ. მას შემდეგ, რაც ექსპერიმენტი დასრულებულია, ჟურნალისტის მიერ შექმნილი ხელოვნური სიტუაცია „იხსნება“. შესწავლილი სიტუაციების განსხვავება საკმაოდ იოლად იჩენს თავს, თუ შევადარებთ, მაგალითად, ჩართული დაკვირვების უკვე აღწერილ მეთოდს, რომლითაც სარგებლობს გიუნტერ ვარლაფი, ჟურნალისტური გამოძიებისას ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენებას [78, 111-112].

1967 წელს ვარლაფი ფლობდა ფაქტებს იმის შესახებ, რომ მსხვილ სამრეწველო საწარმოებში იქმნება შეიარაღებული რაზმები, რომლებიც ვარჯიშობდნენ ყოფილი ნაცისტების ხელმძღვანელობით და გამიზნული იყო გაფიცული მუშების დასამორჩილებლად. დასაწყისში პუბლიცისტი ცდილობდა, გადაემოწმებინა ფაქტები ჩვეულებრივი მეთოდის გზით – ინტერვიუ კომპეტენტურ ადამიანებთან. მაგრამ სკანდალური რეპუტაციის მქონე ჟურნალისტთან საიდუმლოს გამხელას არავინ აპირებდა, ამიტომ მომავალში ის მიმართავს სინამდვილის „პროვოკაციას“ იმისათვის, რომ მის მიერ კონტროლირებადი სიტუაცია დასაკვირვებლად ხელმისაწვდომი გახადოს. და, აი, ვარლაფი წარმოადგენს თავის თავს საკითხის არსში ჩახედულ სამინისტროს მრჩევლად და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ სამოქალაქო თავდაცვის არარსებული კომიტეტის თანამშრომლად. პროვოკაციამ იმუშავა: ჟურნალისტი მიიღეს საიდუმლოში ჩახედულ ადამიანად, შედეგად, არაფერია დასამალი. ჟურნალში „პარდონ“ ჩნდება სტატია „უბედურებაა, თუ მათ მისცემენ გასაქანს“, რომელშიც ჟურნალისტი ფარდას ხდის საიდუმლო ორგანიზაციას [78, 110].

კიდევ ერთი მაგალითი ექსპერიმენტის მეთოდის გამოყენებისა გიუნტერ ვარლაფის მიერ: 1967 წ. მან გადაწყვიტა, გამოეძიებინა ბერლინში სტუდენტური ანტიფაშისტური დემონსტრაციის მიზეზები და, რაც მთავარია, გამოერკვია ადგილობრივ მცხოვრებთა განწყობა ამ დემონსტრაციების მიმართ, რადგან, ყურმოკრული ჰქონდა, რომ ისინი იწვევდნენ პოლიციას სტუდენტების დასარბევად, გაზისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოსაყენებლად, ხოლო

ზოგიერთი გამოთქვამდა სინანულს, რომ დაეცა ჰიტლერის რეჟიმი. გამოძიების მსვლელობის დროს ვარლაფი ჯერ გამოდიოდა, როგორც ამ მოვლენათა დამკვირვებელი, შემდეგ კი განახორციელა ექსპერიმენტი. ამ მიზნით მან შექმნა კომიტეტი „სუფთა ბერლინი“ – ორგანიზაცია, რომელიც ვითომ გაფიცულ სტუდენტთა ბრძოლის მიზნებს ეწინააღმდეგებოდა. ვარლაფი მოსაუბრეს თავს წარუდგენდა რეალურ ორგანიზაციად, რომელიც ნათელს მოჰფენდა სიტუაციას მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებისას. ამასთან ერთად, მას სურდა მიეღო კონკრეტული ფაქტები [78, 133], [71, 276].

საუბრებმა „სუფთა ბერლინის“ სახელით დასავლეთ ბერლინის გავლენიანი წრეების პირებთან, დაადასტურეს ეჭვი მათი ნეგატიური დამოკიდებულებისა სტუდენტებისადმი. **ექსპერიმენტის** მიმდინარეობისას პუბლიცისტი ცდილობს, იშოვოს სამუშაო: ის სეირნობს ბერლინის ქუჩებში ბანერით ხელში, რომელსაც აწერია: „სტუდენტი, რომელიც გარიცხეს უნივერსიტეტიდან დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო, ეძებს საცხოვრებელსა და ნებისმიერ სამუშაოს“. ფაშისტური სულისკვეთების გამონათქვამები სეტყვასავით ცვიოდა ვარლაფის – „სტუდენტის“ თავზე, რამაც დაარწმუნა იმაში, თუ რამდენად მიუღებელია სტუდენტების მოთხოვნები. ექსპერიმენტების დროსმოპოვებულ ფაქტებს ვარლაფი იყენებს პუბლიკაციის მოსამზადებლად. თავის პუბლიკაციაში „სუფთა ბერლინი“ მან დამაჯერებლად დახატა სიტუაცია, სადაც დემონსტრირებული იყო, რომ გერმანიაში ფაშიზმის იდეები ჯერაც არ დასრულებულა [78, 135].

პოსტსაბჭოთა ქვეყნების მედიაში გაჩნდა ვარლაფის მრავალი მიმდევარი, ავანტიურული ექსპერიმენტებისადმი დაუოკებელი მისწრაფებით. მაგალითად, საბაჟოს მუშაობის ხარისხის შემოწმებისას (ან ემხილა მისი თანამშრომლები ქრთამის აღებაში) კორესპონდენტებს გაჰქონდათ ბარგში ხელყუმბარები, ნარკოტიკები, არადეკლარირებული ვალუტა. ანალოგიურ გამოძიებას აქვს ფართო რეზონანსი. ასეთი მოქმედებები შესაძლებელია, თუკი არ აყენებს რეალურ ზარალს კონკრეტულ პირს, მაგრამ ამ მეთოდებს არ აქვს გამართლება, როცა შედეგად ვიღებთ მძიმე (სისხლის სამართლის დანაშაულის ჩათვლით) შედეგებს ჟურნალისტის ან სხვა პირთათვის.

როდესაც საუბარია გამოძიებაში ჩატარებული ექსპერიმენტის წარმატების წინაპირობაზე, აუცილებელია, გავითვალისწინოთ მისი დაგეგმვა. ამ მხრივ გიუნტერ ვარლაფის ცდა განსაკუთრებით ჭკუის სასწავლებელია. უნდა აღინიშნოს, რომ დაგეგმვის აუცილებლობაში ის უცებ არ დარწმუნებულა. თავის პირველ გამოძიებაში იგი მოქმედებდა მარტოოდენ „ხელის ფათურით" (ხელის შეხებით), თავის თავს ამოწმებდა ექსპერიმენტის მსვლელობისას [78, 132-133]. მაგრამ ამოცანების გართულებასთან ერთად, რომელიც იდგა მის წინაშე, რთულდებოდა მომზადების პროცესიც, რადგან წარმატება დამოკიდებული იყო სცენარის კარგად გააზრებაზე. უკვე 1974 წ. პუბლიცისტი ხვდება, რომ ინტუიციური წარმოდგენების ადგილზე უნდა მოვიდეს სიტუაციის მკაფიო და მორიგი ექსპერიმენტის ხარისხის ანალიზი. დაგეგმარება ვარლაფთან – ეს ყოველთვის ექსპერიმენტის ყველა ეპიზოდის წინასწარი დეტალური გაანგარიშებაა [78, 135].

ამ თვალსაზრისით საჩვენებელია გიუნტერ ვარლაფის მიერ პორტუგალიაში ანტისამთავრობო შეთქმულების გამოძიების დაგეგმარება. გამოძიების ყველა ნაბიჯი იყო გააზრებული, მომზადებული უკანასკნელ შტრიხამდე. ჟურნალისტი ჰელა შლუმბერგერი, რომელიც ვარლაფს უწევდა ასისტირებას რეპორტაჟის მომზადების დროს, პორტუგალიელი ყოფილი პრეზიდენტის თანაშემწეებსა და დაცვასთან ტელეფონზე საუბრის დროს შეგნებულად აჩვენებდა თავს არაინფორმირებულად, რომ არ დაეფრთხო დოქტორი სპინოლა ზედმეტი მზაობისა და შეხვედრისათვის. მეორე სატელეფონო საუბარი უფრო მეტად გამიზნულია: დაინიშნა წინასწარი შეხვედრა სპინოლას ნდობით აღჭურვილ პირებთან. გათვალისწინებული იქნა სიფრთხილის ზომები – მოძებნილი იქნა ადამიანი, ცრუ ორგანიზაციის, ცრუ პრეზიდენტის როლზე (ვარლაფი გამოვიდა მისი სახელით), რესტორანში შეკვეთილი იქნა მდიდრული მაგიდა ყვავილების თაიგულით. ვარლაფმა და მისმა თანაშემწეებმა წინასწარ მიიღეს ზომები, რომ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ კონსტიტუციის დაცვის უწყებიდან ვინმეს რამე არ გაეგო. გააზრებული იყო გარეგნული ნიშნებიც: ვარლაფის ჰალსტუხი შავ-წითელ-ყვითელი ზოლით, ოქროს სანთებელა და სხვა „ატრიბუტები".

საუბარმა არასასიამოვნო, სახიფათო ფაქტების გამოვლინებების გარეშე ჩაიარა. გართულების შემთხვევაში, რომელიც აღმოაჩნდებოდათ თანაშემწეებს,

ჟურნალისტი ერეოდა საუბარში, გამოცდილი რეჟისორის ხელით უკეთებდა კორექტირებას და ეს ყველაფერი იწერებოდა მაგნიტოფონზე. საუბარი ვარლაფის მხრიდან მიჰყავდა მის ადვოკატს [78, 134]. ამგვარად, ვარლაფმა ინფორმაციის მოპოვების მეთოდში შემოიტანა კიდევ ერთი სიახლე – სხვა ადამიანების აქტიური მონაწილეობა. მაშინ, როცა ადრე, ინფორმაციის მოპოვების დროს, იგი არავის უმჟღავნებდა სამუშაოს ჩანაფიქრს, ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ გამომძიებელი ექსპერიმენტში უშუალო მონაწილეობისათვის იწვევდა ყველაზე სანდო თანაშემწეებს.

ამდენად აშკარა ხდება, რომ ცნობიერების ტრანსფორმაცია დიდადაა დამოკიდებული ინფორმაციულსა და კომუნიკაციურ ტექნოლოგიებზე, რომლებიც მიზნად ისახავენ ცნობიერების ძირეულ ცვლილებებს. რიგ შემთხვევაში ისინი აღწევენ საზოგადოების წევრთა ჩამოყალიბებული ტრადიციული შეხედულებების კარდინალურ ცვალებადობას, რითაც ამტკიცებენ, რომ კომუნიკაცია უთვალავ შესაძლებლობათა ხელოვნებაა, რომელიც თანაბარი წარმატებით გამოიყენება როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ ინტერესთა სხვადასხვა სფეროში. ცხადია, რომ ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა მთლიანად შეცვალეს თავად ინფორმაციულობის სტატუსი. მსოფლიო ეკონომიკა, პოლიტიკა და სამხედრო ძლიერება დღესდღეობით დიდადაა დამოკიდებული ამ უკანასკნელზე. ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინეს ტერორიზმთან დაპირისპირებასა და სამხედრო ძლიერების განსაზღვრაში [12, 66].

ამავე დროს, მოჭარბებულმა ინფორმაციულობამ შეიძლება საპირისპირო განწყობაც კი შექმნას, ამიტომ მაქსიმალურად უნდა მოვერიდოთ გადაუმოწმებელ, დაუმტკიცებელ ფაქტებს; იმის აქცენტირებას, რისი დამტკიცებაც ამჟამად აშკარად არ შეგვიძლია. მაქსიმალური ეფექტის მისაღებად აუცილებელია საზოგადოებას „მთლიანად ესმოდეს" ის, რაზედაც ვსაუბრობთ, იმავდროულად „არ გადავღალოთ" იგი ინფორმაციულობით, მუდმივად გვახსოვდეს მთავარი და წინასწარ შემუშავებული მეთოდიკა მის მისაღწევად და განსახორციელებლად [12, 68].

5.3. ტრაგედიების შესახებ საზოგადოების წინასწარ ინფორმირება

ტრაგედიის შემდეგ ადამიანთა ქმედებები ინდივიდუალურია, რაც ჩანს ამ თემის ირგვლივ დაწერილ სტატიებშიც. კვლევები გვიჩვენებს, რომ გამოცდილ სპეციალისტებსაც გარკვეული სირთულეები აქვთ იმის დადგენისას, თუ რამდენად იმოქმედა ტრავმამ ადამიანზე. ექსპერტები ურჩევენ ჟურნალისტებს: „ნუ დაასკვნით, რომ პიროვნება ადვილად უმკლავდება ტრაგედიას“, მხოლოდ იმიტომ, რომ გარეგნულად არაფერი ემჩნევა. ეს შეიძლება იყოს ერთგვარი შოკი. დელიკატური საკითხია, რომელიც ადამიანის გონებას ეხება, ფსიქოლოგიური ტრავმების ექსპერტის თქმით, „როდესაც ჟურნალისტს უწევს ტრაგედიას გადარჩენილ ადამიანთან შეხვედრა, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ რესპონდენტის პოსტტრავმულ მდგომარეობასთან მოუწევს შეხება“.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჟურნალისტებმა ყოველთვის უკან უნდა დაიხიონ, მაგრამ მათი მხრიდან მეტ გულისხმიერებას მოითხოვს. „ჟურნალისტები, რომლებიც ეთიკური ნორმების დაცვით გამოირჩევიან, იმგვარად ახერხებენ ტრაგედიების შესახებ წერას, რომ ინფორმაციასაც აწვდიან აუდიტორიას და მათ მიერ გაშუქებულ ფაქტებს დახმარების გაწევაც კი შეუძლიათ“ [1, 24-26].

ბევრ ადამიანს მსგავს სიტუაციაში უჩნდება სურვილი, რომ თავი დაანებონ. ამიტომ მნიშვნელოვანია, ჟურნალისტმა პატივი სცეს ამ სურვილს. სიბრაზე ტრავმის თანმდევი მოვლენაა და მომაბეზრებელი რეპორტიორი შეიძლება სამიზნედაც იქცეს. სწორედ გულისხმიერებით მომზადებული ინტერვიუ შესაძლოა ერთგვარ ბენეფიციარადაც კი იქცეს ადამიანისთვის. ჟურნალისტი რობინ ფინიგენი, რომელიც დახელოვნებულია მსხვერპლებთან ინტერვიუების ჩატარებით, მიიჩნევს, რომ „კარგად მომზადებული ინტერვიუ ტრაგედიის მონაწილეს უბრუნებს რწმენას, რომ ის ისევ აკონტროლებს სიტუაციას ან ეს უბრალოდ შანსია, ისაუბროს მისთვის საყვარელ ადამიანზე“. ჟურნალისტებთან მოსალოდნელი არასასიამოვნო ურთიერთობის მიუხედავად, ზოგჯერ ტრაგედიის მონაწილეებს სურვილი აქვთ მოუთხრონ ის, რაც ნახეს და განიცადეს, შესაძლოა, მოინდომონ ინტერვიუს ჩაწერა. მძაფრი ფაქტების აღწერისას ხშირია ოჯახის წევრების გაღიზიანების შემთხვევები, განსაკუთრებით იმ დროს, როცა ჟურნალისტები მიმართავენ მათ მეზობლებს, რომლებმაც შეიძლება ბევრი არაფერი იცოდნენ. მაგალითად, „ერთ-ერთი მოკლული ქალის შვილი

უკმაყოფილო იყო იმით, რომ ჟურნალისტები მხოლოდ მეზობლების გამოკითხვით დაკმაყოფილდნენ და არაფერი ჰკითხეს ოჯახის წევრებს. შედეგად კი მიიღეს დამახინჯებულ ფაქტებზე დაფუძნებული სტატია, რომელშიც ქალის არასრულყოფილი სურათი იყო აღწერილი“ [59, 130].

<u>ხანდახან სასურველია დიქტოფონის ან ვიდეოაპარატურის გამორთვის შემდეგ, ან წიგნაკში ჩაწერის გარეშე დაისვას შეკითხვა:</u>

- ✓ „რას აპირებთ მომავალში? “;
- ✓ „ამ თემაზე დამატებით ხომ არ გაქვთ რამე?” ან „იქნებ მიმასაწავლოთ, სად შეიძლება დამატებითი მასალის მოპოვება?“ [80, 77].

ასეთი საქციელი ხშირად ხდება იმის მიზეზი, რომ გაგრძელდეს საუბარი და შედგეს ინტერვიუ განმეორებით. ეს თანამოსაუბრესაც სხვაგვარად განაწყობს და ჟურნალისტის მიმართ მისი ნდობის ხარისხი ამაღლდება. ამ დროს ქრება ეჭვიც, რომ ჟურნალისტმა შეიძლება არასწორად დაბეჭდოს ან დაამახინჯოს მისი ნათქვამი.

ხშირად რეპორტიორები ცდილობენ, გააგრძელონ საუბარი, დააზუსტონ ნათქვამი, შეამოწმონ მოსაუბრე, მაგრამ საჭიროა, ზუსტად იგრძნონ, სად უნდა დამთავრდეს საუბარი, როდის არის საუბარი ამოწურული. ეს კი არ უნდა მოხდეს უხეშად, უცერემონიოდ. დაშორება უნდა იყოს, რა თქმა უნდა, უკონფლიქტო, თხოვნით, თუ საჭირო იქნება, დაუკავშირდეს ტელეფონით, არ არის აუცილებელი ტექსტი გააცნონ თანამოსაუბრეს მის გამოქვეყნებამდე, ჩააბარონ ანგარიში, რა როგორ დაწერა. თუკი თქვენი პუბლიკაცია სავსებით მისაღები აღმოჩნდება თანამოსაუბრისთვის (აქ იგულისხმება გამოძიების „გმირი“), ეს იმას ნიშნავს, რომ ინტერვიუ უვარგისია [80, 100-104].

არის შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტი ზუსტად გადმოცემს ყველაფერს, რაც მოხდა საუბრის დროს: გმირის მცდელობას, თავი აარიდოს პირდაპირ პასუხებს, რეპორტიორის დაჟინებით ჩაძიებასა და არდათმობის პოზიციას, მაგრამ საუბრის ამგვარ „სარკისებრ ასახვაში“ შეიძლება დაიკარგოს ზუსტი ასპექტები.

ამავდროულად, ამგვარი ინტერვიუ აუდიტორიას ჟურნალისტის უკეთ შეფასების საშუალებას აძლევს [80, 154].

საუბარი ჟურნალისტური გამოძიების დროს რთული და საპასუხისმგებლო პროცესია ეთიკის თვალსაზრისით; ინტერვიუ სხვადასხვა ხასიათისაა და სოციალური ფენის წარმომადგენელთან თავისებურ, სპეციფიკურ მიდგომას საჭიროებს – გულდასმით შემოწმებასა და გააზრებულ, ნაწილობრივ დაგეგმილ მოქმედებას.

საფრთხეები ეთიკის თვალსაზრისით მოსალოდნელია მკვეთრი გამონათქვამებისას, სენსაციური ფრაზებით გატაცების დროს, პირადი ცხოვრების რომელიღაც საჩოთირო მომენტებზე აქცენტების გაკეთებისას და უპირატესობის ჩვენებისას – „მე ყველაფერი ვიცი“!

საუბრის დირიჟორი ჟურნალისტია და მას მოეთხოვება ეთიკის წესების დაცვა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბევრი მამხილებელი შეკითხვის დასმა შეუძლია. პროფესიონალმა უნდა განასხვაოს, რა შეიძლება იყოს მისაღები და რა – არა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. არსებობს ძველი „რეცეპტი“ ეთიკის დაცვისთვის ინტერვიუერთან: რეპორტიორი ყოველთვის ეკითხება საკუთარ თავს: „მე რომ მის ადგილზე ვიყო“ [80, 153].

საგამოძიებო პროცესის დროს წყაროებთან ინტერვიუები უმნიშვნელოვანესი ასპექტია: ვიწყებთ საძიებელი სფეროს ექსპერტებთან ინტერვიუებით, შემდგომ დაზარალებულებსა და მათს ოჯახებთან, უარყოფით პერსონაჟებთან, მოწმეებთან.

როგორ შეიძლება თანამოსაუბრის აზრთა წყობის გათბობა
რა არის „დირიჟორობის ეთიკა“

ინტერვიუს დაზარალებულებსა და მათს ოჯახებთან განსხვავებული სპეციფიკა აქვს. გამომძიებელი-ჟურნალისტი ამ შემთხვევაში ცდილობს საინფორმაციო წყარო გამოიწვიოს თანაგრძნობის გზით გულახდილ საუბარზე. მაქსიმალურად მისცეს საშუალება რესპონდენტს ავტორმა აჩვენოს უარყოფითი პერსონაჟის მიერ მიყენებული მორალური თუ ფიზიკური ტკივილი.

ბევრმა ჟურნალისტმა უბრალოდ არ იცის, როგორ უნდა ესაუბროს დაზარალებულს და საბოლოოდ რაღაცა შეუფერებელს ამბობს. ვილიამ კოუტი და ბონი ბასკეროუქსი, მიჩიგანის უნივერსიტეტის ცენტრის **დაზარალებული და მედიის წარმომადგენლები**, ჰყვებიან უსიამოვნო შემთხვევას, როგორ დაირღვა კომუნიკაცია რეპორტიორსა და რესპონდენტს შორის, რომელსაც ქალიშვილი დაეღუპა. ჟურნალისტმა შემდეგი ფრაზით მიმართა მას, „ვიცი, როგორ გრძნობთ თავს, მეც ასე ვიყავი, როდესაც ჩემი ძაღლი მოკვდა“, ამ რემარკამ, ფაქტია, „კიდევ უფრო გაამძაფრა მამის ტკივილი“, აღნიშნავენ ცენტრის წარმომადგენლები“ [79, 35-38].

„Regonian in Portlandis”-ის გამომცემელი სანდრა როუ ეთანხმება მოსაზრებას, რომ რეპორტიორებმა მსგავს შემთხვევებში საკუთარი პირადი გამოცდილება უნდა გამოიყენონ: „საკმაოდ ბევრ რეპორტიორსა და რედაქტორს არ გააჩნია მსგავსი პირადი გამოცდილება, არავინ დაუკარგავთ, მაგრამ მათ მაინც უნდა მოახერხონ საკუთარი თავი მსგავს ვითარებაში წარმოიდგინონ, **იფიქრონ, „მე რომ ვიყო ამ ადამიანის ადგილას, რას ვიგრძნობდი? როგორ კითხვებზე შევძლებდი, რომ მეპასუხა? რა იქნებოდა მიუღებელი“?** [79, 61-65].

„Ornaldo Sentienelis”-ის რეპორტიორი, რომელსაც ხშირად უწევს მსგავსი ინტერვიუების ჩაწერა, ერთ-ერთი შეხვედრის შესახებ წერდა: „ავდიოდი სახლისკიბეებზე და გული ყელში მებჯინებოდა, ამ ქალმა ეს-ესაა შვილი დაკარგა ომში და მივდივარ მასთან, რომ სურათები ვთხოვო გაზეთისთვის... რას იფიქრებს? რისი თქმა შემიძლია მის დასამშვიდებლად? და საერთოდ, რატომ მოვედი? ჩემდა საბედნიეროდ, ქალს ესიამოვნა, რომ მივედი. მომიყვა, თუ როგორ ამაყობდა თავისი შვილით, უხაროდა, რომ მისი სიკვდილი შეუმჩნეველი არ დარჩენილა, გამომატანა შვილის ფოტოები იმ პირობით, რომ აუცილებლად დავაბრუნებდი და გამომაცილა... რა თქმა უნდა, ყოველთვის ასე არ ხდება. მეორე მასალაზე მუშაობისას დავრეკე დაზარალებულის ოჯახში. დიალოგი კეთილგანწყობილი იყო, მაგრამ მოკლე. ემოციური ჭრილობა იმდენად ახალი იყო, რომ ოჯახს უბრალოდ არ ჰქონდა საუბრის თავი, რაც ადამიანურად გავიგე“ [58, 157-160].

მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად კორექტულია რეპორტიორი, ისინი მაინც ვერ ახერხებენ საზოგადოებაში მათ შესახებ შექმნილი სტერეოტიპის შეცვლას. მას შემდეგ, რაც „Ornaldo Sentienelis"-ის რეპორტიორმა დარეკა ოჯახში, ცოტა ხანში თვითონ მიიღო პოლიციის ოფიცრის ზარი, რომელმაც მისი მოქმედება ადგილობრივი მედიის მიერ ისტორიის მისაღებად გადადგმულ მორიგ უტაქტო ნაბიჯად შეაფასა [58, 159].

იმ შემთხვევაში, თუ საქმე გზებს ან საგზაო მოძრაობის რეგულირებას ეხება, უბედური შემთხვევების შესახებ ინფორმაციას სათანადო მტკიცებულებები ესაჭიროება. თვითმკვლელობები – ასეთ შემთხვევებში მოქმედი წესის თანახმად, არ უნდა მოხდეს იდენტიფიცირება. მსუბუქი-დანაშაული. ცხადია, ჟურნალისტი თავისუფალია, შეაფასოს ფაქტებისა და კონტექსტის მნიშვნელობა. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ გუნდური დიალოგი და იერარქია თანმიმდევრულობისა და სამართლიანობის საუკეთესო გარანტიაა.

ნუ მოახდენთ იმ ადამიანების იდენტიფიცირებას, ვისაც საქმესთან პირდაპირი კავშირი არ აქვს. სათაურებში ნუ მიუთითებთ პროფესიულ, ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებას, მაგალითად, „მკვლელობა ფსიქიატრის მიერ", „ქურდი მეხანძრე იყო", „ალჟირელი მძარცველი"... მოერიდეთ გარკვეული ფრაზების რასისტულ კონოტაციას: ნუ დაწერთ „მაჰმადიანი გრანგი", განა, იტყოდით „კათოლიკე გრანგს?" ნუ გამოიყენებთ დამამცირებელ ტერმინებს... თუ ეჭვმიტანილი უცხოელია (გადაამოწმეთ ფაქტი), დააზუსტეთ, რა ეროვნებისაა იგი და ცხოვრობდა თუ არა საფრანგეთში. გაუპატიურება – ნუ მიუთითებთ მსხვერპლის სახელს ან რაიმე ისეთ დეტალს, რომელიც მსხვერპლის იდენტიფიცირებას გააადვილებს (თუ მსხვერპლი თავად არ მოითხოვს მისი სახელის გამოქვეყნებას, რაც გათვალისწინებულია 1980 წლის 23 დეკემბრის კანონის 39-ე მუხლის მიხედვით). ინცესტი-კანონმდებლობა ასეთ შემთხვევებში ანონიმურობის სრულ დაცვას მოითხოვს. იდენტიფიცირება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ სასამართლო ქმედება მსხვერპლის მიერაა ინიცირებული და ის თავად არის დაინტერესებული საქმის გახმაურებით. არასაკადრისი საჯაროობა – ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის ვინაობის დასახელებას შესაძლოა შედეგად არასრულწლოვანი მსხვერპლის იდენტიფიცირება მოჰყვეს, საჭიროა ანონიმურობის დაცვა. განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო გამოძიების მიმდინარეობის პროცესში.

ინფანტიციდი (ახალშობილთა მკვლელობა) – მაქსიმალური ტაქტითა და გონიერებით აღწერეთ გარემოებები, კონტექსტი, სოციალური გარემო, რათა თავი აარიდოთ ვინმეს შერცხვენას ან დამცირებას. ეს ყოველივე თანაგრძნობასა და სათანადო განსჯას მოითხოვს. სასამართლო პროცესამდე საჭიროა ანონიმურობის აბსოლუტური დაცვა, მცირე გამონაკლისების გარდა [1, 60].

<u>ჟურნალისტებისა და დაზარალებულების ურთიერთობის შესწავლის შემდგომ მედიაცენტრმა შემდეგი რეკომენდაციები წარუდგინა ჟურნალისტებს:</u>

- შთაუნერგეთ დაზარებულსა და მათს ოჯახს ძალისა და სიტუაციის კონტროლის რწმენა: ისინი საშინელი სტრესისგან იტანჯებიან, ამიტომ სთხოვეთ მათ, თქვენ გაგიზიარონ ინფორმაცია, რომლის გაშუქებაც მათ არ სურთ. მიეცით მათ თქვენი ტელეფონის ნომერი და სთხოვეთ დაგიკავშირდნენ, როცა ამის სურვილი გაუჩნდებათ;
- განიხილეთ მათთან ერთად ინფორმაციის პრივატულობასა და კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული საკითხები ინტერვიუს დაწყებამდე. ამან შეიძლება თავიდან აგვაცილოს გაუგებრობები და ხელი შეუწყოს ნდობის გაჩენას. აუხსენით, რა გჭირდებათ მათგან, ვისთან და რამდენი ხანი აპირებთ საუბარს. აუცილებლად შთაუნერგეთ დაზარალებულს პასუხების გაცემის გამბედაობა;
- მოემზადე იმისთვისაც, რომ შენ შეიძლება აღმოჩნდე ცუდი ამბის მიმტანი. ხშირად რეპორტიორები რეკავენ ან მიდიან დაზარალებულთა ოჯახებში დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მანამ სანამ, ოჯახი გაიგებდეს მომხდარს. ასე რომ, მობილიზაცია გაუწიეთ საკუთარ თავს, ვიდრე კარზე დააკაკუნებთ ან ტელეფონით დაუკავშირდებით მათ;
- აიღე ნებართვა, ეს განასაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან ესაა ერთგვარი ინტიმური ზონა, რომელთან მიახლოებაც განსაკუთრებულ კორექტულობას მოითხოვს, თქვენი ნებისმიერი მოქმედება შეიძლება აღიქვან, როგორც პრივატულობის დარღვევა, თუ წინასწარ არ გექნათ თანხმობა. ამიტომ ნუ მიუახლოვდებით დაზარალებულს საწერი კალმითა და ბლოკნოტით ხელში; ჰკითხეთ, გაქვთ თუ არა უფლება, ჩაიწეროთ ინფორმაცია, გამოიყენოთ ჩამწერი;
- გამოიყენეთ მარტივი რემარკები. ტევე შოუ „ნიფიდის“ ფანებმა იციან, რომ დეტექტივები ყოველთვის ამბობენ შემდეგ ფრაზას: „ვწუხვარ თქვენ გამო“.

შეიძლება ეს გამონათქვამი ზოგს არაოფიციალურად მოეჩვენოს, მაგრამ უმჯობესია ფრაზა ზუსტ ინფორმაციას შეიცავდეს, ვიდრე არასწორი სიტყვები გამოვიყენოთ. ნიუ-იორკის პოლიციის ყოფილი კომისარი, რომელმაც მუშაობა თერაპიაში გააგრძელა, გვირჩევს რამდენიმე ფრაზას, რომელთაგან ერთ-ერთი ყოველთვის გამოდგება: **„ვწუხვარ, რომ ეს დაგემართათ“**, **„მიხარია, რომ გადარჩით“**, და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინადადება, **„თქვენ არ ხართ დამნაშავე“**, რადგან ადამიანები მომხდარ უბედურებაში ხშირად თავს იდანაშაულებენ;

- **არ გამოიყენოთ ფრაზა:** „ვიცი, რასაც გრძნობთ“ – მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება გქონდეთ მსგავსი განცდა. თითქმის შეუძლებელია ვინმემ ზუსტად გაიგოს, რას გრძნობს ადამიანი ტრაგედიის მომენტში ან მის შემდეგ;
- ინფორმაციის მიწოდებისას იყავით ზუსტი, რადგან ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაზარალებულებისა და მათი ოჯახებისთვის. მაგალითად, ერთ-ერთ ჟურნალისტურ მასალაში გაიპარა შეცდომა, პანაშვიდზე მინისტრის მიერ წარმოთქმული სიტყვის ციტირებისას გაშუქდა ვერსია „თავს სხვებზე წინ აყენებდა“, მის ნაცვლად უნდა ყოფილიყო, „სხვებს თავისზე წინ აყენებდა“. ფაქტია, რომ შეცდომა არცთუ ისე უმნიშვნელო აღმოჩნდა ოჯახისა და მეგობრებისათვის;
- განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ ბრალეულობის საკითხს. თუ თქვენ ხაზს გაუსვამთ ფაქტს, რომ ადამიანი, ვისზეც საუბრობთ, სვამდა, გულისხმობთ თუ არა იმას, რომ იგი ამჯერადაც ნასვამი იყო? ასე რომ, რეპორტიორებიცა და რედაქტორებიც განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგნენ ვინმეს დადანაშაულების ფაქტს [24, 48-49].

„ვიქტიმ დალასის“ დირექტორი, პატსი დეი კიდევ რამდენიმე საკითხს ამატებს „სტარ ტელეგრამის“ ომბუდსმენის ფორტ ვორთის მოხსენებაზე დაყრდნობით. ის ახსენებს რეპორტიორებს, რომ ტრაგედიაზე ადამიანებს განსხვავებული რეაქციები აქვთ. ასე რომ, ჟურნალისტები ფრთხილად უნდა იყვნენ და არ გამოთქვან საკუთარი ვარაუდები მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ გარეგნული ქმედებების მიხედვით. შოკირებული ადამიანი შეიძლება სრულიად მშვიდად გამოიყურებოდეს. ამ დროს ზოგი, გამძლე ხდება, ზოგი პირიქით, ზედმეტად ემოციური.

5.4. იურიდიულ დოკუმენტებთან მუშაობის პროფესიული სტანდარტები

იმის გათვალისწინებით, რომ ეთიკური კოდექსების უმრავლესობა ახალ ამბებსა და საგამოძიებო ჟურნალისტიკას უკავშირდება, უმეტესი მუხლები ამ კატეგორიაში გვხვდება. ჟურნალისტი არ უნდა ემორჩილებოდეს არავითარ ზეწოლას, იქნება ეს გარე თუ შიგა ზეწოლა, რომელიც მიზნად ისახავს, გავლენა მოახდინოს ახალი ამბებისა და საგამოძიებო თემების შერჩევის პროცესზე ან მათ გადმოცემაზე. გარდა ამისა, ზოგიერთი ეთიკური თუ სამართლებრივი კოდექსი ითვალისწინებს საჯარო დოკუმენტაციის მოთხოვნას, რათა საზოგადოებისათვის რეალურად ხელმისაწვდომი გახდეს ოფიციალური არქივები, წარმომადგენლობითი ასამბლეები, შეკრებები, აღმასრულებელთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები.

დოკუმენტების მოძიება

დოკუმენტებში ასახულია ყველაზე სანდო რეალობა. მათი გადმოტანა და ციტირება შეიძლება პირდაპირ. დასავლელი ექსპერტები მუშაობისას გვთავაზობენ შემდეგი სახის დოკუმენტებს, რომლებიც შეიძლება ყველა ქვეყნის მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა გამოიყენონ:

- ორგანიზაციის რეგისტრაციის დოკუმენტები, წლიური საფინანსო მოხსენებები, დირექტორთა სახელები და მისამართები, კომპანიის ისტორია;
- სავაჭრო კომპანიების მიერ გამოქვეყნებული მასალები. ხშირად ეს მასალები გამოიყენება, რათა გამჟღავნდეს კომპანიაში მიმდინარე დარღვევები.
- კომპანიის წლიური ანგარიშები, რომელშიც ხშირად წარმოდგენილია მოგებისა და დანაკარგების ფინანსური უწყისები;
- კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მოხსენებები, ბროშურები, სადაც ხშირად მოცემულია სახელები, მისამართები და საზოგადოებისათვის მიცემული პირობები კომპანიის გეგმების შესახებ;
- პარლამენტში წარსადგენი კანონ-პროექტები;
- აღწერის მონაცემები;
- სამედიცინო მონაცემები;
- სასამართლოსა და პოლიციის მონაცემები;

- პირადი დოკუმენტები, როგორიცაა: პირადობის მოწმობა, დაბადების ან გარდაცვალების მოწმობა და სხვა. პირადი ჩანაწერები – დღიურები, წერილები და ფოტოსურათები;
- იმ ქვეყნების დოკუმენტები, სადაც კანონით ნებადართულია ჟურნალისტებისთვის სამთავრობო დოკუმენტების ხელმისაწვდომობა; ეს ჩვენს ქვეყანაშიც ნებადართულია;
- სასარგებლოა პირადი კონტაქტები დოკუმენტების ძიების პროცესის გასაიოლებლად. როგორც ამ სფეროს ექსპერტები აღნიშნავენ: „ყველაზე უფრო შეზღუდულ საზოგადოებაშიც არსებობს ინფორმაცია, რომელსაც ჟურნალისტები არ ითვალისწინებენ. თანამედროვე ეპოქაში იქმნება კომპიუტერულ მონაცემთა ბაზები, ზოგი ინტერნეტშია უკვე განთავსებული". სწრაფი ცვლილებები სულ უფრო მეტ ინფორმაციას სთავაზობს ჟურნალისტებს [78, 124-126].

უნდა ვიცოდეთ დოკუმენტების წაკითხვა და გამოქვეყნების წინ გადახედვა

არა მარტო დამწყები, საკმაოდ გამოცდილი ჟურნალისტებიც კი განუწყვეტლივ აწყდებიან ისეთ პრობლემებს, როგორიცაა ოფიციალური დოკუმენტაციის კითხვა – მათი ადეკვატურად გაგება და შეფასება, მთავრისა და მეორეხარისხოვნის ერთმანეთისგან გარჩევა.

თქვენ წინაშე დგას კომპეტენტურობის პრობლემა. ზოგჯერ გრძნობთ უმწეობას, უნიათობას, როდესაც აწყდებით მრავალეტაპიან, დახლართულ ბიზნეს-სქემას. ჭეშმარტების დასადგენად ორი გზა არსებობს: პირველი – მიენდეთ ოფიციალურ დოკუმენტებსა თუ კომენტარებს და მათი ციტირება მხოლოდ შემდეგ მოახდინეთ. ეს იოლი და უსაფრთხო გზაა, მაგრამ, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, არ არის პროდუქტიული. იძულებული ხარ, აირჩიო მეორე – ყველაფერი თავად მოიპოვო, ყველაფერს საკუთარი გონებით ჩასწვდე, შეიძინო გამოცდილება. ამ დროს ჟურნალისტებს ფასდაუდებელ დახმარებას უწევენ კონსულტანტები, ექსპერტები, სათანადო დარგის სპეციალისტები. ამ საქმეში დახელოვნებული ჟურნალისტების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მათი პოვნა ყველგან შეიძლება. ესენი არიან სიმართლის მოყვარული, ჭეშმარიტების დამცველი ადამიანები, თავიანთი პროფესიის პატრიოტები, რომელთაც გული შესტკივათ წარმოებისთვის; განაწყენებული პროფესიონალები, რომელნიც მოითხოვენ

სამართლიანობას; კონკურენტები, რომელთაც სურთ თქვენი ხელით გაუსწორდნენ მეტოქეებს და განახორციელონ თავიანთი ბიზნეს-ინტერესები. მაშ, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ისინი? აქვე შევნიშნავთ, რომ ასეთ წყაროებსა და კონსულტაციებს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. სიფრთხილე გვმართებს ყველანაირ წყაროსთან დაკავშირებით. საერთოდ, წესად უნდა ვიქონიოთ, რომ შევამოწმოთ, შევადაროთ და დავაზუსტოთ ყველაფერი, რასაც კეთილგანწყობით გულწრფელად გვატყობინებენ და, შესაძლოა, გვაჩეჩებენ კიდეც.

დოკუმენტაციის წაკითხვისას ჟურნალისტმა რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი უნდა გაითვალისწინოს:

- ხშირად საბუთი არ არის საკმარისი, თუ ჟურნალისტი ვერ ერკვევა ფინანსურ აღრიცხვაში, მას შეიძლება დასჭირდეს ფინანსისტის დახმარება მასალის სწორი ინტერპრეტაციისთვის;
- ზოგჯერ მონაცემები მოძველებულია. ასეთ შემთხვევაში საჭიროა სთხოვოთ თქვენს წყაროს, მოგაწოდოთ მიმდინარე მონაცემები ან დაელოდოთ ახალი მასალის გამოქვეყნებას;
- ფინანსური ანგარიშები და კომპანიის მიერ გამოქვეყნებული მასალები გამოდგება მომავალი კვლევისა თუ ინტერვიუს ჩასატარებლად;
- თუ ვინმე რჩევას მოგცემთ, დამატებით დაუსვით შეკითხვები, წაახალისეთ, რომ უფრო მეტად დაგეხმაროთ, რადგან ეს ნიშნავს, რომ მას უნდა ინფორმაციის მოწოდება [78, 130].

დოკუმენტური მასალების ეთიკური და კორექტული გამოყენების თავისებურება

დოკუმენტური მასალების გამოყენებისას მნიშვნელოვანია მათი დამუშავების მეთოდების ცოდნა:

ჟურნალისტის საქმიანობაში ეს მეთოდი ერთ-ერთი და ყველაზე მეტად გავრცელებულია. „დოკუმენტი“ – წარმოდგება ლათინურიდან და ნიშნავს მტკიცებულებას, საბუთს. დღევანდელობაში მასთან ასოცირდება წერილობითი მოწმობა რაიმეს შესახებ. მაგრამ არსებობს დოკუმენტის სხვა განმარტებაც – ასე, მაგალითად: ფიქსაციის ტიპის ინფორმაცია, ისინი შეიძლება გავაერთიანოთ

რამდენიმე ჯგუფში – ხელნაწერი, ბეჭდვითი, ფოტო, კინო, მაგნიტოფირები, გრამფირფიტები, ლაზერული დისკები და ა.შ.

საავტორო ტიპია: ოფიციალური და პირადი. გასაშუქებელი ობიექტიდან დაშორების შესაბამისად – თავდაპირველი და წარმოებული. დედნის მიხედვით კი ორიგინალი და ასლი. დასაბეჭდი ფორმატის მიხედვით – წინასწარგამიზნული და განუზრახველი. რუსი ჟურნალისტ-თეორეტიკოსის გ. ვ. ლაზუგინას შეხედულებით, დოკუმენტების ტიპოლოგია მათი წარმომქნელი სამოქმედო სფეროს შესატყვისად შეიძლება იყოს შემდეგი: სახელმწიფო-ადმინისტრაციული; საწარმოო-ადმინისტრაციული; საზოგადოებრივ-პოლიტიკური; სამეცნიერო; ნორმატიულ-ტექნიკური; საცნობარო-ინფორმაციული; მხატვრული [78, 124-125].

ამ სიას შეიძლება დავამატოთ „ყოფითი დოკუმენტები“ (პირადი წერილები, ჩანაწერები, კინო და ფოტოგადაღება, დღიურები და სხვ). რასაკვირველია, მოცემული კლასიფიკაცია არ არის ერთადერთი და ამომწურავი. ავტორი წიგნში „ჟურნალისტური გამოძიება“ გვთავაზობს კლასიფიკაციას: 1. დოკუმენტების ინფორმაციისა და მისი ტიპობრიობის მიხედვით (სამართლებრივი, პოლიტიკური, სამეცნიერო, ტექნიკური, ფინანსურ-ეკონომიკური, საგანგებო სიტუაციების, ჯანმრთელობის დაცვის და ა.შ.); 2. გამოყენების, შენახვისა და ორგანიზაციის შესაძლებლობის მიხედვით (ტრადიციული ფორმები-წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, დოკუმენტების მასივი, დოკუმენტების ფონდები, არქივები, ავტომატიზირებული ფორმები); 3. ხელმისაწვდომობის რეჟიმით (ღია, შეზღუდული, დაშვების, სახელმწიფო საიდუმლო, კომერციული, პროფესიული, პირადი საიდუმლო და სხვ); 4. წამკითხველი მანქანებით (მაგნიტოფირი, კინოფირი, დისკეტა და ა.შ.); 5. კუთვნილების ფორმით (ნაციონალური საკუთრება, სახელმწიფო ქონება, კერძო საკუთრება და ა.შ.) [78, 125].

საბუთების ამა თუ იმ კლასიფიკაციის გამოყენება ეხმარება ჟურნალისტს, უფრო ნათლად წარმოადგინოს საბუთების მიღების პირობები და შესაძლებლობები, მათი გამოყენების თავისებურებანი ჟურნალისტურ გამოძიებაში.

იმის მიხედვით, თუ რომელი მტკიცებულებებია ამ მომენტისათვის ყველაზე მეტად საჭირო ჟურნალისტისათვის, არსებობს საბუთების ანალიზის სხვადასხვა

მეთოდი. სპეციალისტების მიერ აღწერილი ძირითადი მეთოდებია ტრადიციული და ფორმალიზებული. ტრადიციული წარმოადგენს დოკუმენტებს, რომლებიც ეყრდნობიან ჟურნალისტური გამოძიების საფუძველს. ეს მეთოდები აისახება საძიებელი დოკუმენტების გაგებაში, მის ინტერპრეტაციაში, ცნობების ფიქსაციაში. ინტერპრეტაცია ხორციელდება, როგორც საბუთის შინაარსის შედარება გარკვეული კრიტერიუმებით, რომლებიც მას შეესატყვისებიან. რაც შეეხება ფორმალიზებულ მეთოდს, რომლის საფუძველია კონტენტ-ანალიზი, ის მოითხოვს ერთი ტიპის დიდი მოცულობის საბუთების შესწავლას მათი პარამეტრების განსაზღვრით [78, 128-130].

ცნობილია, რომ სხვა დოკუმენტების მიღება ძნელია, როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური გზით. როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება დედანს (განსაკუთრებით ოფიციალურ საბუთებს), იქნებ ღირდეს, შეეცადოთ და გააკეთოთ ასლი საბუთების საარქივო ამონაწერიდან და სხვადასხვა უწყისებიდან? ჩვეულებრივ, ჟურნალისტს უხდება ადამიანების მოძებნა იმისათვის, რომ ამაში დაეხმარონ. ხოლო ადამიანები, რომლებმაც იციან გამოძიების არსის შესახებ, იოლად არ მიდიან კონტაქტზე. ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ დარწმუნების ხელოვნება. ამერიკელი ჟურნალისტი მაიკლ ბერლინი, მაგალითად, თვლის, რომ საბუთები სავსებით შესაძლოა მიიღოთ „თუკი თქვენ დაარწმუნებთ შესაფერის ჩინოვნიკებს მასში, რომ თქვენ გაქვთ უფლება, ნახოთ დოკუმენტები და მათ ზიანს არ მიაყენებთ ანდა თუ ისინი სიმპათიით არიან განწყობილნი თქვენი სამუშაოსადმი. ერთხელ მთელი თვის მანძილზე დავდიოდი ნიუ-იორკის საქალაქო სასამართლოში, ვაკეთებდი საბუთების ასლებს არქივიდან. მთელი ჩემი გარეგნობით, მანერითა და მეტყველებით ვარწმუნებდი მოსამსახურეებს, რომ იურისტი ვარ, თუმცა, ხმამაღლა ეს არასოდეს მითქვამს. მათ გავაგებინე, რომ ამ საქმეში ახალბედა ვარ და მესაჭიროება სასამართლოს გამოცდილი თანამშრომლების დახმარება. ამით მათი კეთილგანწყობა დავიმსახურე და ბევრი მათგანი სიხარულით მეხმარებოდა. ზოგიერთი მასალა უცხოური ფირმების გადაწყვეტილებებისა და გარიგებების შესახებ, ხელმისაწვდომია მხოლოდ საერთაშორისო მონაცემთა ბაზის მეშვეობით, თუნდაც ისინი რუსეთის არქივში არ მოიძებნებოდეს“. მაგრამ ყოველთვის ასე არ არის. იგივე მაიკლ ბერლინი გვაფრთხილებს: „დაიმახსოვრეთ, რომ აშშ-ში, სადაც კანონმდებლობით გარანტირებულია დაშვება საჯარო არქივების უმრავლესობაში, ჩინოვნიკები ინფორმაციის

მოწოდებაზე ჟურნალისტებს უარს ეუბნებიან. ასეთი რამ არაერთხელ შემემთხვა პოლიციის სამმართველოებში, ფედერალურსა და ადგილობრივ დაწესებულებებში. ასეთ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ უჩივლოთ მათ, რაც წაგართმევთ ბევრ დროსა და ფულს ან მოძებნოთ ვინმე, ვინც გაგიწევთ დახმარებას. ვის აქვს საბუთებთან დაშვების უფლება და სურვილი, რათა სიმართლემ იზეიმოს? თუ თქვენ უპასუხებთ ამ შეკითხვას, მაშინ თქვენ იმედი გქონდეთ, მიიღებთდახმარებას“ [70, 24], [73, 16].

როგორი საბუთიც არ უნდა მოხვდეს ჟურნალისტის ხელში, მან აუცილებლად უნდა იფიქროს იმაზე, თუ რამდენად უტყუარია იგი. არსებობს საბუთების სინამდვილის შემოწმების ცნობილი მიმართულებები:

პირველი – მათი მონაცემების შესწავლა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ შეფასდეს, შეესაბამება თუ არა ის მოღვაწეობას, ამ სფეროში გაფორმებას სტანდარტებთან მიმართებაში, ანუ საჭიროა შემოწმდეს, შეიცავს თუ არა არსებული დოკუმენტი საჭირო რეკვიზიტებს (აქვს თუ არა მას საჭირო ხელმოწერები, ბეჭედი, შესავალ-გასავლის ნომერი, შევსების თარიღი და ა.შ.). ამის გარდა, სასურველია, დავრწმუნდეთ (თუ ეს არ შეუშლის ძიებას), რომ საბუთის ხელმომწერმა პირებმა შეადგინეს თუ არა ეს დოკუმენტი; გავიგოთ, დარეგისტრირებულია თუ არა ეს დოკუმენტი, მაგალითად, სარეგისტრაციო ჟურნალში (თუ იყო სადმე გაგზავნილი ან საიდანმე მიღებული) და ა.შ.

დოკუმენტის ანალიზის მეორე მიმართულება მისი შინაარსის შესწავლაა. რომ არ დაუშვან შეცდომები, ჟურნალისტებს შეუძლიათ, ორიენტირი აიღონ წესებზე, რომელსაც იყენებენ სოციოლოგიაში დოკუმენტური მონაცემების სინამდვილის დასადგენად. თანახმად ამისა, დოკუმენტების ანალიზის დროს აუცილებელია:

- განვასხვაოთ მოვლენა, აღწერილობა და მათი ინტერპრეტაცია (ფაქტები, შეხედულებები);
- გავარკვიოთ, რომელ საინფორმაციო წყაროებს ეყრდნობოდა დოკუმენტის შემდგენელი, არის თუ არა პირველადი ან მეორეულ;
- გამოვააშკარაოთ განზრახვა, რომლითაც ხელმძღვანელობდა დოკუმენტის შემდგენელი მისი შექმნის დროს;

- გავითვალისწინოთ, როგორ იმოქმედა დოკუმენტის ხარისხზე გარემოცვამ, რომელშიც ის შეიქმნა [78, 130-131].

საყურადღებოა ასევე, შეძლებისდაგვარად შევადაროთ საძიებელი დოკუმენტების შინაარსი ინფორმაციას, რომელიც სხვა წყაროებიდან გვაქვს მიღებული.

სამწუხაროდ, შეცდომის შესაძლებლობა დოკუმენტის გამოყენებისას ჟურნალისტურ გამოძიებაში არ არის გამორიცხული იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის დედანია. შეცდომები შესაძლოა მაშინ, როცა ჟურნალისტი ცდილობს გაერკვეს დოკუმენტის არსში. თუ ეს ხდება სიჩქარეში, მან შეიძლება უბრალოდ ვერ შეამჩნიოს ზოგიერთი ურთიერთკავშირი დოკუმენტში მოცემულ ფაქტებს შორის, არ მიაქციოს ყურადღება იმას, რა საიდან გამომდინარეობს და რატომ. გარდა ამისა, შესაძლოა ვერ გაიგოს ზოგიერთი ტერმინის ჭეშმარიტი აზრი და გადმოსცეს ის საკუთარი ინტერპრეტაციით. გარკვეული „ზეწოლა“ დოკუმენტის შინაარსის აღქმაში შესაძლოა, მოახდინოს იმ კონტექსტმა (ჟურნალისტის ცოდნა, შეხედულებები, თვალსაზრისი), რომლითაც ეს შინაარსი აუცილებლად აზრობრივად შეესატყვისება გამოძიების საინფორმაციო „ქსოვილს“ მისი შესწავლითა და მასში დოკუმენტის ჩართვით.

ჟურნალისტი არ არის დაზღვეული ელემენტარული შეცდომებისაგან შინაარსის დადგენის, დოკუმენტის ფორმის ფიქსაციის დროს. მას შეუძლია არასწორად ჩაწეროს დოკუმენტში არსებული ზოგიერთი მონაცემები. აერიოს გვარები, ნახსენები პირების ინიციალები, ციფრები და სხვა. მერე ეს დოკუმენტიდან დამახინჯებული ამონაწერები გამოიყენოს უტყუარ საბუთად, რაც, ბუნებრივია, გამოიწვევს უარყოფით შედეგს. თავიდან რომ ავიცილოთ ამგვარი შემთხვევები, უკეთესია ჩვენთვის ვიქონიოთ დოკუმენტების ქსერო და ფოტო ასლები. მას შემდეგ, რაც გამოძიების ტექსტი უკვე დაწერილია, შევადაროთ მასში არსებული მონაცემები ასლის შინაარსთან. თუკი შევეცდებით, გამოვიყენოთ იგი დოკუმენტებთან მუშაობის დროს, მაშინ, ალბათ, „დოკუმენტებთან საჭიროა ბეჯითად მუშაობა“ [78, 132].

რამდენად ბევრი დოკუმენტი შეიძლება დაგვჭირდეს და რა ტიპის იმისათვის, რომ მომზადდეს პუბლიკაცია? – ეს დამოკიდებულება საქმის გარემოებასა და იმაზე, თუ რამდენად ხელმისაწვდომია ესა თუ ის დოკუმენტი. ნებისმიერ

შემთხვევაში აუცილებელია ვეცადოთ, ვიქონიოთ მსგავსი წყაროების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც შეეხება საძიებელ საკითხს. სავარაუდოდ, ყველა დოკუმენტის, მთავარს თუ არ დაამატებთ, დაზუსტებისათვის საჭიროა ინფორმაცია.

ავიღოთ, მაგალითად, ხათუნა პაიჭაძის საგამოძიებო მასალა სათაურ „დავით აღმაშენებელს 30 მილიონი მოჰპარეს“!.., რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კვირის პალიტრაში“ (2005 წ. 21-27 თებერვალი). მასში ავტორი იყენებს დოკუმენტებს იმის დასამტკიცებლად, რომ დავით აღმაშენებლის ქანდაკება, რომელიც ყველაზე ძვირად ღირებულია საქართველოში არსებულ ქანდაკებათა შორის, მრავალწლიანი დაპირისპირების, სასამართლო პროცესებზე მსჯელობის საგანი და კორუფციის წყარო აღმოჩნდა. დიდი ქართველი მეფის ძეგლი 4 მილიონი დაჯდა [13].

მინეაპოლისის გაზეთ „სტარ ტრიბუნაში“ მუშაობისას პროექტების რედაქტორმა ჯონ ულმანმა შეიმუშავა ინფორმაციის დეტალური შემოწმების მეთოდი: „ყოველი პროექტის დასასრულს ვამოწმებთ თითოეულ სიტყვას... ვიღებ პირველი სტატიის მონახაზს და ვიწყებ კითხვას, ხოლო რეპორტიორი დოკუმენტების დედნებში ამოწმებს თითოეულ ფაქტს. როდესაც რიგი ციტატებზე მიდგება, რეპორტიორი კითხულობს ციტატებს კომპიუტერში, სადაც ჩაწერილია ინტერვიუების კონსპექტები. ეს ჩვენი ბოლო შანსია, შევამოწმოთ ინფორმაციის სიზუსტე. ეს მეთოდი ნებისმიერი ადვოკატის მეთოდზე უფრო ზუსტი და საფუძვლიანია. ჩვენ პროექტის დასასრულს ველოდებით, რადგან სირთულეებს არა ფაქტები, არამედ ის სიტყვები ქმნის, რომელთაც ამ ფაქტების გადმოსაცემად ვიყენებთ. ის, თუ როგორ ვამბობთ, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის, თუ რას ვამბობთ. ჩვენ არ ვეძებთ მხოლოდ შეცდომით დაწერილ სახელებსა და დაბადების თარიღებს.

ულმანი აღნიშნავს, რომ შემოწმების ეს მეთოდი ლოგიკური შეუსაბამობისა და ინფრომაციული დეფიციტის აღმოსაჩენადაც საუკეთესოა. მაგალითად, მას სამი შემთხვევა მოჰყავს. ქვემოთ მოცემულია ერთ-ერთი მაგალითი 22 ბავშვის შესახებ, რომლებიც დაიღუპნენ უყურადღებობის ან უცნობი გარემოებების გამო: შესაბამის სახელმწიფო უწყებებს ჰქონდათ ინფორმაცია ამ ბავშვების შესახებ, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს მათი დაცვა. ბევრი მათგანი ერთ წლამდე

გარდაიცვალა. პროექტის გუნდმა დაასკვნა, რომ ბავშვთა სიკვდილიანობა გაუმართავ სისტემაზე მიუთითებდა. მაგრამ რომელ სტანდარტებს ეწინააღმდეგებოდა?

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ერთი ბავშვის სიკვდილი არ ნიშნავს სისტემის გაუმართაობას. იმავე პერიოდში სისტემამ 20.000 ბავშვის სიცოცხლე გადაარჩინა. ნიშნავს თუ არა სიკვდილის 22 შემთხვევა სისტემის დეფექტურობას? კითხვა სხვანაირად შეიძლება დავსვათ: ნიშნავს თუ არა 20.000 გადარჩენილი ბავშვი წარმატებულ სისტემას? რას ვიტყვით ხარვეზის სიხშირეზე სხვა შტატებში? იმის მიხედვით, თუ როგორ შევაფასებთ, მინესოტას შტატში წარმატების მაჩვენებელი საშუალო თუ საუკეთესოა. მაგრამ, რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ჩვენ მიერ მოძიებული ფაქტებიდან? [26, 119].

საქმეთა ხელახლა და დეტალური განხილვისას ახალი ნიუანსი გამოირკვა. პიროვნებას, რომელიც ბავშვს უვლიდა, სურდა თავიდან აეცილებინა ზედამხედველობა, ამას ძალიან ადვილად ახრხებდა. როდესაც სოციალური მუშაკი რომელიმე ოჯახს ბავშვის მოსანახულებლად ეწვეოდა, მას ეუბნებოდნენ, რომ ბავშვს ეძინა და სთხოვდნენ მოგვიანებით მოსულიყო. ამყოლი ან გადაღლილი მუშაკი კი აღარ ბრუნდებოდა, სანამ ბავშვის გარდაცვალების შესახებ არ შეატყობინებდნენ. კიდევ ერთმა შემთხვევამ აჩვენა, რომ სისტემაში არ იყო ჩართული ექიმის, პოლიციისა და მეურვის მეთვალყურეობა, რაც საგრძნობლად შეამცირებდა სიკვდილის რისკს. ამ ბავშვებს ყველაზე აქტიური ჩარევა და დახმარება სჭირდებოდათ და უნდა მიეღოთ კიდეც, მაგრამ ასე არ მოხდა. სისტემა მართლაც რომ მწყობრიდან იყო გამოსული და რეფორმას საჭიროებდა.

ულმანი ამ განხილვას ასრულებს შემდეგი მოსაზრებით: „ვისთვისაც კი მიმუშავია, არავის უყვარს დეტალური შემოწმება, მათ შორის არც მე, მაგრამ მათაც და მეც ძალიან მოგვწონს იმისი შეგრძნება, რომ ყველაფერი, რაც კი გამოვაქვეყნეთ, სიმართლეა“ [26, 119-120].
გამოძიების მსვლელობის დროს ზოგ შემთხვევაში ჟურნალისტმა შესაძლოა გამოიყენოს კონკრეტულად მისთვის საჭირო (და ამ სიტუაციაში დასაშვები) დოკუმენტების „ნაკრები“ [59, 122].

ფაქტობრივი მასალები ჟურნალისტ-გამომძიებლისათვის იმიტომაა მთავარი, რომ იკითხება ტექსტებში (და წარმოჩნდება აუდიტორიაში), როგორც ყველაზე უტყუარი მტკიცებულებები იმ გარემოებების სასარგებლოდ, რომლებიც მათგან გამომდინარეობს ლოგიკური აუცილებლობით. აი, როგორ არის გამოყენებული „საინტერესო ინფორმაციები“ და დოკუმენტები ტექსტში ფაქტების დაზუსტების საფუძვლად: *„საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 9 ნოემბრის ბრძანებულებით, დავით აღმაშენებლის ძეგლის მშენებლობა სახალხო მშენებლობად გამოცხადდა. გადაწყდა, რომ ძეგლის ასაგებად საჭირო თანხები ამოღებულიყო რესპუბლიკის საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგებიდან (5 პროცენტის ოდენობით). სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტისათვის, რომლებიც ბიუჯეტთან ურთიერთობას ფიქსირებული გადასახადით ახორციელებდნენ, დროებით დაწესდა დამატებითი გადასახადები. ასევე, დამატებითი გადასახადები დაუწესდა თითქმის ყველა ობიექტს (დაკავებული ფაქტის გათვალისწინებით). „დავით აღმაშენებლის ფონდში“ ფულის ჩარიცხვა დაევალათ საცხოვრებელი ბინების წინ მოვაჭრეებს, მენაყინეებს, ტაქსების მძღოლებს. გადასახადი დაწესდა საცხოვრებელ ბინებში სავაჭროდ გამოჭრილ თითოეულ სარკმელზეც. ასეთი მასობრივი ღონისძიებების შედეგად საკმარისზე მეტი თანხა მოგროვდა, მაგრამ მის ასავალ-დასავალს დღემდე ვერავინ მიაკვლია. რადგან ძეგლის მშენებელთათვის მისაცემ თანხებს მერია დროულად ვერ ისტუმრებდა, ქანდაკების კომბინატის მუშებმა საქმის გასარკვევად პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს მიმართეს. ჩატარებული მოკვლევის მიუხედავად, ოფიციალური და ზუსტი პასუხის მიღება ვერ მოხერხდა“* [13].

ავტორის დასკვნები ემყარება სხვადასხვა მონაცემებს, მათ შორის მის მიერ მოძიებულ დოკუმენტაციას: *„სულ მცირე 30 მლნ ლარი შეგროვდა. ამ თანხიდან მერიამ, როგორც მისი ჩინოვნიკები ირწმუნებოდნენ, 450 ათასი ლარი მიიღო, რაც მთლიანად გადაურიცხა კიდეც ქანდაკების კომბინატს.“* შემდგომ ამისა, ავტორი გვიზიარებს დოკუმენტიდან მიღებულ შეხედულებას: *„სად გაქრა 29 მილონი ლარი, რომელიც დიდი ქართველი მეფის ძეგლის ასაგებად მაშინ უკვე გაჭირვებულმა მოსახლეობამ გაიღო, უცნობია. ამ საქმესთან დაკავშირებულ პირებს კი, რომელთაც, წესით, თანხის ასავალ-დასავალი უნდა სცოდნოდათ, დროებითი „გულმავიწყობა“ დაემართათ და არაფერი ახსოვთ. უმეტესობა აცხადებს, რომ საქმესა და ფონდთან სრულიადარაფერი აკავშირებს. ბოროტი*

ენები კი ამბობენ, რომ ხსენებული თანხა მაშინდელ არჩევნებში დაიხარჯა, მმართველი პარტიის, „მოქკავშირის“ სასარგებლოდ. სად ან როგორ დაიხარჯა ეს ფული, შესაბამის ორგანოებს ჯერ კიდევ 7 წლის წინ უნდა გაერკვიათ, მაგრამ ამით თავი არავის შეუწუხებია და არც ახლა იწუხებენ(!).

ავტორი დოსიეზე მუშაობს იმავე სქემით, როგორც სხვა დოკუმენტებზე: აღწერს შინაარსს (ან გარკვეულ ნაწილს), რომელსაც შემდეგ უკეთებს კომენტარს, შეავსებს ახალი მონაცემებით, რომელიც იძლევა წარმოდგენას, როგორ ვითარდებოდა და ხორციელდებოდა ქანდაკების მშენებლობა. *„1995 წლის 6 დეკემბერს ქანდაკების კომბინატსა და მერიის მშენებლობისა და კეთილმოწყობის დეპარტამენტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება დავით აღმაშენებლის ძეგლის დადგმის შესახებ. თავდაპირველად საორიენტაციო ღირებულება 1.989.838. აშშ დოლარით განისაზღვრა (მოქანდაკის ჰონორარის გარდა). ხელშეკრულებით სამუშაოს შესრულება ოთხ ეტაპად უნდა წარმართულიყო. პირველი სამი ეტაპი ხელშეკრულების შესაბამისად შესრულდა, მერიას თანხაზე უარი არ უთქვამს. რაც შეეხება მეოთხე ეტაპს (იგი ითვალისწინებდა ავტორისა და ქანდაკების კომბინატისთვის გაწეული მუშაობის საფასურის გადახდას, რაც ჰონორარის 20%-ს შეადგენდა), დამკვეთმა თბილისის მერიამ უარი განაცხადა ძეგლის მიღება- ჩაბარების აქტის ხელის მოწერასა და იმავე თანხის ანაზღაურებაზე. სწორედ აქედან დაიწყო დაპირისპირება მერიასა და ძეგლის შემქმნელთა შორის, რომელიც აგერ უკვე მეშვიდე წელს ითვლის“* [13].

საბუთებთან მუშაობის შერჩეული მიდგომითა და მისი თანამიმდევრული განხორციელებით, ავტორი უქმნის თავის მკითხველს ნათელ წარმოდგენას გამოძიებული ობიექტის წანამძღვრების შესახებ. შემდგომ ის იყენებს იმავე მიდგომას, მაგრამ, ამასთან ერთად, ქრონოლოგიური პრინციპით განიხილავს დოკუმენტებს მათი შექმნისა და დროის გათვალისწინებით. ეს პრინციპი მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის შედარებისთვის. ქრონოლოგიურად გამართული ინფორმაცია ყოველთვის უკეთესია, ვიდრე დაუსაბუთებელი შენიშვნები, რადგან გვეხმარება, დავინახოთ შედარების სრული სურათი (როგორც ეს არის ნაჩვენები ამ ინფორმაციაში). აღებულ შემთხვევაში ამ პრინციპზე დაყრდნობა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ავტორის ხელში აღმოჩნდეს რამდენიმე დოკუმენტი,

რომელიც ხსნის გამოძიების ობიექტის (დავით აღმაშენებლის ქანდაკების) არსს. დოკუმენტების ქრონოლოგიური განხილვა უფრო ეფექტური ხდება, თუ მასთან ერთად ხორციელდება მათი შედარებითი ანალიზი.

აი, როგორ გამოჩნდა იგი დოკუმენტების დამუშავებისას:

„ქალაქის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე კი დაჟინებით ამტკიცებდა, ძეგლის ღირებულება არც მეტი, არც ნაკლები – 10.000 დოლარი თუ იქნებაო. საინტერესო დეტალები იკვეთება კვარცხლბეკის ღირებულებებზეც. იგი ლამის ძეგლზე ძვირი – ერთი მილიონ 330 ათასი ლარი დაჯდა(?!). საინტერესოა ისიც, რომ მერიამ კვარცხლბეკის თანხა სასწრაფოდ აანაზღაურა – ძეგლისა კი დღემდე არ გადაუხდია (ისმის კითხვა: რატომ?). საქმე ის გახლავთ, რომ მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელობა კვარცხლბეკის ღირებულების განაწილებით თავადაც კარგად ხეირობდა, გამოყოფილი თანხის ნაწილი სწორედ მათ ჯიბეებში ილექებოდა. როგორც ირკვევა, ანალოგიური წინადადებით თავის დროზე ქანდაკების კომბინატსაც მიმართეს. იქ ასეთ გარიგებას არ დათანხმდნენ. სამაგიეროდ, კომბინატს თანხა დღემდე არ მიუღია. მეტიც, 2004 წლის თბილისის ბიუჯეტში ქანდაკების კომბინატისთვის გადასახდელი დავალიანება გათვალისწინებული არ არის და ეს მაშინ, როცა ბიუჯეტში ახალი ქანდაკებების მშენებლობაა დაგეგმილი(?!). მას შემდეგ, რაც მერიამ უარი განაცხადა თანხის გადახდაზე, კომბინატმა იჩივლა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მერიამ თანხა უნდა გადაიხადოს. გაცემულია კიდეც საალსრულებო ფურცელი, მაგრამ აღსრულება გაურკვეველი მიზეზებით დღემდე შეჩერებულია. ამასობაში თბილისის კომბინატს იმდენი დავალიანება დაუგროვდა, რომ ეს ერთადერთი უნიკალური საწარმო დღეისთვის პარალიზებულია...“ [13].

ჟურნალისტის მიერ სხვადასხვა დამამტკიცებელი ფაქტების გამოვლენა ხდება შემდეგიდოკუმენტის საფუძველზე:

„საბოლოოდ, ოფიციალური დოკუმენტებით, დავით აღმაშენებლის ძეგლი 1 მლნ 853 ათასი ლარი დაჯდა, კვარცხლბეკი კი 1 მლნ 330 ათასი. თუკი მერიის სპეციალისტთა აზრით, ძეგლი 10 ათას დოლარზე მეტი არ ღირს თავისი

საშემსრულებლო და მხატვრული ღირებულებებით, მაშინ 1 მლნ 330 ათასად შეფასებული კვარცხლბეკი რადა უნდა ღირდეს?

აქვე საინტერესოა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე განთავსებული მემედ აბაშიძის ძეგლისა და მისი კვარცხლბეკის ისტორიაც. მემედ აბაშიძის ძეგლის ასაგები თანხა – 440 ათასი ლარი ედუარდ შევარდნაძემ საკუთარი ფონდიდან გამოყო. ქუთაისური ქვით შესრულებული კვარცხლბეკი 150 ათასი ლარი, თავად ძეგლი კი ათი ათასი ლარით ნაკლები დაჯდა. დანარჩენი თანხა ავტორის ჰონორარისთვის იყო განკუთვნილი.

ხარჯთაღრიცხვაში მითითებულია, რომ თურმე ამ კვარცხლბეკის დასადგმელად მთელი თბილისი გადაუთხრიათ, ჩაუკეტავთ ფეკალური წყლები, მუშებისთვის საათში 8 ლარი გადაუხდიათ (?!) და ა.შ. ერთი სიტყვით, კვარცხლბეკი ძეგლზე ძვირი აღმოჩნდა [13].

როგორც ვხედავთ, ჟურნალისტმა მოცემულ ტექსტში გამოიყენა რამდენიმე ტიპის დოკუმენტი. ამასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ზოგიერთ მათგანს, რომელიც ასაბუთებს ქანდაკებების მშენებლობაში კორუფციის ზუსტ ფაქტებს.

ავტორის ენდინგში (ტექსტის დასასრულში) ლოგიკურად სწორედ ეს აზრი გამომდინარეობს იმ ანალიზიდან, რომელიც ხდება დოკუმენტების შეპირისპირებით და რომელზეც ძირითადად არის აგებული ჟურნალისტური გამოძიება:

„თბილისი ალბათ ერთადერთი (მიუხედავად გაჭირვებული პერიოდისა) და უნიკალური ქალაქია, სადაც კვარცხლბეკი ძეგლებზე ძვირია. ასეთი ძვირად ღირებული კვარცხლბეკების მქონე ქვეყანას კი ნამდვილად შეუძლია გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრაზე „პრეტენზიაც განაცხადოს“ [13].

აუცილებელია, შევნიშნოთ შემდეგი: დოკუმენტების გამოყენების დროს ჟურნალისტ-გამომძიებელი ხშირად იძულებული ხდება მოახდინოს მათი ციტირება, მიუხედავად ამ ამოცანის გადაწყვეტილების მოჩვენებითი სიმარტივისა, სინამდვილეში იგი ხშირად წარმოქმნის სიძნელეებს. ხშირი

ციტირება მრავალსიტყვაობითა და დოკუმენტებში პროფესიული ტერმინების სიუხვით შეუძლებელს ხდის მის აღქმას. ბევრ სირთულეს იწვევს დოკუმენტების წაკითხვა, რამდენადაც ზოგჯერ ერთსა და იმავე სიტყვას შესაძლოა ჰქონდეს სხვადასხვა აზრი. ამიტომ დოკუმენტის ციტირების სურვილი უნდა ეყრდნობოდეს ცოდნას, ზომიერების შეგრძნებას, ლიტერატურულ ალღოს, საავტორო უფლებათა და სიმართლის მომიჯნავე კანონების უცილობელ დაცვას. სწორედ ამას შეუძლია თავიდან ააცილოს ჟურნალისტს ავტორის ან შემდგენლის მხრიდან პრეტენზიები გამოყენებულ დოკუმენტებზე.

თავი VI. კრიმინალური თემების გაშუქება

6.1. კრიმინალური დანაშაულის გამოძიება

კრიმინოლოგიურ-საგამომძიებლო მეთოდების ყოველი გამოძიება, მათ შორის ჟურნალისტური, ჩატარდება ეფექტურად, თუ გამომძიებელი მას მიუდგება შემოქმედებითად, გამოიყენებს არასტანდარტულ ხერხებსა და მეთოდებს (რჩება კანონით მისთვის მინიჭებული უფლებების ჩარჩოებში). ამიტომ აუცილებელია, მუდმივად შეავსოს თავისი „მეთოდოლოგიური არსენალი“ და მიიღოს კრიმინოლოგიურ მეთოდებზე სათანადო ცოდნა. მისი შესწავლა ჟურნალისტ-გამომძიებელს შეუძლია არა მხოლოდ ღია გაყიდვაში არსებული საგამომძიებლო სახელმძღვანელოების მეშვეობით, არამედ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა პრესაში გამოსვლებიდან.

ზოგიერთმა დიდმა მედიასაშუალებამ შეიმუშავა ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ქალაქში არეულობისას ჟურნალისტი. ის უნდა იყოს: თავშეკავებული, ცივი, ძალიან ფრთხილი ჭორებთან მიმართებაში; უნდა ერიდოს პირდაპირ რეპორტაჟებს, არასოდეს შეუშალოს ხელი პოლიციის ქმედებას. ე.წ. „კრიმინალურ ამბებში“ არ უნდა იყოს მინიშნება ბრალდებულის რასაზე, რელიგიაზე, პროფესიასა და სხვა მახასიათებელზე, თუ ამას პირდაპირი კავშირი არა აქვს საქმესთან.

მაგალითად, განვიხილოთ 1997 წელს ბრუკლინის ღამის კლუბთან უწესო საქციელისთვის დაპატიმრებული ჰაიტელი ემიგრანტის, აბნერ ლუიმას

შემთხვევა. მომხდარი ფაქტი წვრილმან პოლიციურ შემთხვევას ჰგავდა. მაგრამ სამი დღის შემდეგ ნიუ-იორკის დეილი ნიუსის მიმომხილველმა მაიკ მაკლარმა ლუიმა საავადმყოფოში მოძებნა და მისგან ინტერვიუც აიღო. ლუიმამ ჟურნალისტს ინტერვიუს დროს უთხრა, თუ რა სასტიკად გაუსწორდა მას პოლიცია ხელკეტებით. იმ დღეს პოლიციამ თავისი ორი თანამშრომელი დაითხოვა, რომლებიც ლუიმას დაპატიმრებაში მონაწილეობდნენ. ორი დღის შემდეგ მეორე ინტერვიუში ლუიმა ამტკიცებდა, პოლიციელებმა მითხრეს, ახლა ჯულიანის დროა (იგულისხმება მერი რუდოლფ ჯულიანი), დინკინსის დრო წავიდაო (ყოფილ მერს, აფროამერიკელ დევიდ დინკინსს გულისხმობდნენ). პოლიციიდან დათხოვილი თანამშრომლების რიცხვი იზრდებოდა. მალე ბრუკლინის მოქალაქეებმა საპროტესტო აქციებიც დაიწყეს. იმ დღეებში ნიუ-იორკ ტაიმსში გამოქვეყნდა ვრცელი სტატია, რომლის თანახმადაც, ნიუ-იორკში გახშირებული დანაშაული ემთხვეოდა ფართოდ გავრცელებულ ძალადობრივ და სასტიკ მოპყრობას პოლიციის მხრიდან. [70, 10.] ერთი წლის შემდეგ ლუიმამ უარყო თავისი მტკიცება „ჯულიანის დროის“ შესახებ, თუმცა არ უარუყვია, რომ მას სასტიკად მოეპყრნენ. რამდენიმე თვის შემდეგ მანჰეტენის ინსტიტუტის „სიტი ჯორნალმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც იუწყებოდა, რომ პოლიციელის მხრიდან უხეში მოპყრობის აშკარა შემთხვევების მიუხედავად ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტს მოეპოვება შედარებით დამაიმედებელი მონაცემებიც პოლიციელის უხეშობის შესახებ [59, 221**].**

განსაზღვრული სარგებლობა ჟურნალისტ-გამომძიებელს, განსაკუთრებით დამწყებს, შეუძლია მოუტანოს კრიმინალისტიკის საფუძვლების გაცნობამ. სახელმძღვანელოები და ამ დისციპლინის დამხმარე წიგნები იყიდება მრავალ წიგნის მაღაზიაში. არ იქნება ურიგო გავეცნოთ ტექნიკურ შესაძლებლობებს, რომელიც გამოიყენება კრიმინალური გამოძიებისას, რომლის შესახებ ქვეყნდება პრესაში. აი, მაგალითად, ორი ასეთი ცნობა.

ვალერი ილიჩოვი: შერლოკ ჰოლმსის გამადიდებელი შუშიდან სიცრუის დეტექტორამდე.

„უფრო იოლია გამოიცნო კოსმოსის საიდუმლოებები, ვიდრე ადამიანის არსი”. ეს მტკიცებულება ჰპოვებს ასახვას დანაშაულებებთან ბრძოლაში. ბოლო წლებში სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკაში ფართოდაა გავრცელებული

არასტანდარტული მეთოდები კრიმინალთან კავშირში მყოფი პირების ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოყენების შესახებ.

უშვებს კი შეცდომებს პოლიგრაფი?

ეს ტექნიკური მოწყობილობაა, რომელიც ცნობილია და გამოიყენება კრიმინალისტების მიერ, როგორც „სიცრუის დეტექტორი", პოლიგრაფის გამოყენება ერთდროულად მოითხოვს მაძიებლის გამოცდილებასა და აპარატის კარგ ცოდნას. პოლიგრაფზე შემოწმების შედეგები არ შეიძლება გამოდგეს მტკიცებულებად სისხლის სამართლის საქმეში: იგი მხოლოდ იძლევა ორიენტირებულ ინფორმაციას დამნაშავეთა დადგენაში. ეს გვაძლევს საშუალებას, სწორად წარვმართოთ ეჭვმიტანილებისა და მოწმეების დაკითხვა. სავსებით გასაგები მიზნების გამო არ არის მიზანშეწონილი, გამოვიყენოთ პოლიგრაფი ნარკომანებთან და ფსიქიკურად დაავადებულებთან. პოლიგრაფს შეუძლია, შეცდეს სერიული მკვლელებისა და დაქირავებული ქილერების გამოცდისას. ეს ადამიანები არ განიცდიან შეცოდებას თავისი მსხვერპლის მიმართ და მათი ფსიქოფიზიოლოგიური რეაქცია საკმაოდ მშვიდია დანაშაულის გარემოების დადგენისას. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში პოლიგრაფი იძლევა ობიექტურ ინფორმაციას და გვეხმარება შესამოწმებელი პირის დანაშაულის დადგენაში. უფრო მეტიც, პოლიგრაფის გამოყენება გვეხმარება გვამის ადგილსამყოფლის დადგენაში, მოპარული ნივთების მოძიებაში. გამოსაცდელს წარედგინება ადგილების ჩამონათვალი, სადაც შესაძლოა იყოს სავარაუდო სამალავი. უნებლიე ღელვა დაფიქსირებული დეტექტორით, კარნახობს გამომძიებელს, სად უნდა ჩატარდეს ძებნა [78, 172-173].

პოლიგრაფის დახმარებით შესაძლოა ეჭვმიტანილთა რიცხვიდან უდანაშაულო პირების გამორიცხვა; თუ პოლიგრაფი მყარად ადასტურებს ადამიანის სიმართლეს, რომელიც უარყოფს ბრალს, მაშინ ეს არამარტო საშუალებას იძლევა მოვუხსნათ მას ბრალდება, არამედ უბიძგებს გამომძიებელს ახალი ვერსიების დამუშავებისკენ.

მაგალითად, საქმის ყველა გარემოება ადასტურებდა ბინის ქურდობაში დიასახლისის ერთ-ერთი ნაცნობის მონაწილეობას. ამაზე მიანიშნებდა მისი ყოფნა სახლში, სადაც ცხოვრობდა დაზარალებული და ნაქურდალის მსგავსი

ყელსაბნევის გაყიდვა. გამომძიებელსა და მაძებარს არ ჰქონდათ ეჭვი მის დანაშაულში და მაინც, პოლიგრაფზე შემოწმებამ აჩვენა, რომ თავის ჩვენებებში დაბნეული ადამიანი არ არის ქურდობის მონაწილე. მაძიებლები ამ გამოკვლევას სკეპტიკურად მიუდგნენ და პოლიგრაფის ოპერატორი მასხრად აიგდეს. საბოლოოდ, ქურდი აღმოჩნდა დაზარალებულის მეორე ნაცნობი [78, 174-175]. თუ ტესტირების დასკვნები ეწინააღმდეგება ადრე მიღებულ ოპერატიულ მონაცემებსა და წინა ჩვენების დასკვნას, მაშინ მაძებრები ხშირად იგნორირებას უკეთებენ მიღებულ რეზულტატს. ამიტომ სამუშაოს მოსამზადებელ პროცესში აუცილებელია პოლიგრაფიული მოწყობილობების დეტალური გაცნობა. ამ შედარებით ახალი ტექნოლოგიური საშუალების ეფექტურობა დანაშაულთა გახსნასა და პრევენციაში კარგად ავსებს ოსტატი-ჟურნალისტის პროფესიონალიზმს.

მოცულობისდა მიუხედავად, ყველა კრიმინალური ამბავი იურიდიულსა და ეთიკურ პასუხისმგებლობას გულისხმობს. ის მოითხოვს კანონისა და სამართლებრივი პროცედურების მინიმალურ ცოდნას, სწორი ტონალობის პოვნის უნარს. კრიმინალური ამბები ადამიანებზე ემოციურად მოქმედებს. ის აღვიძებს გრძნობებს, ცდის სინდისს და საზოგადოებაში არსებულ წონასწორობას დროდადრო არღვევს. ჟურნალისტი, რომელიც სამართლებრივ საკითხებზე მუშაობს, თავის პუბლიკაციაში გადმოგვცემს ამბავს, მოგვითხრობს გამოძიებისა და თანმდევი შედეგების შესახებ, მუდმივად უნდა ცდილობდეს მართლმსაჯულების, თავისუფლების, ინდივიდისა და მისი უფლებების პატივისცემასა და სხვა იმ ღირებულებებისკენ სწრაფვას, რაც გაზეთ „უესტ-ფრანსისათვის“ ფუნდამენტურია (სპეციალიზებული სექტორი: უესტ-ფრანსის კოდექსი დანაშაულისა და უბედური შემთხვევების გაშუქების შესახებ).

ძირითადი პრინციპები:

1. კრიმინალური ამბები უნდა იყოს გადამოწმებული, ზუსტი, გასაგები და ითვალისწინებდეს პუბლიკაციის შესაძლო შედეგებს (იმ ადამიანთა ბედს, ვინც უშუალოდაა ჩართული კრიმინალურ ამბავში, არის მსხვერპლის ან დამნაშავის ოჯახის წევრი);
2. ფაქტები კონტექსტიდან ამოვარდნილად არ უნდა გადმოიცეს;

3. ჟურნალისტი სისტემატურად უნდა იჩენდეს თანმიმდევრულობას მცირე თუ მასშტაბური ფაქტების გადმოცემისას. მან თავი არ უნდა შეიკავოს, არ უნდა მიუბრუნდეს ისეთ ფაქტებს, რომლებიც კვლავ ბურუსით მოცულად ან გაუხსნელად რჩება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმის დასასრული ეწინააღმდეგება ჟურნალისტის მიერ ადრე გამოქვეყნებულ მასალებს, მან უნდა გააშუქოს იგი.
4. ფაქტები უნდა იყოს გამყარებული მოწმეთა ჩვენებებით, ინტერვიუებით, რომლებიც გვეხმარება გავერკვეთ საქმის არსში. აგრეთვე მნიშვნელოვანია მკითხველის ინფორმირება, რათა ეს უკანასკნელი არ გახდეს მსგავსი დანაშაულებრივი შემთხვევის მსხვერპლი.
5. ჟურნალისტებმა მაქსიმალური სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ მიზეზების მითითებისას, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების წარმოჩენისას თითოეული ადამიანის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას. ის, რაც, ერთი შეხედვით, აშკარაა, შესაძლოა, რეალურად არასწორი აღმოჩნდეს, წყაროები კი პრესით მანიპულირებას ცდილობდნენ [1, 98].

ახალი ამბების რედაქციებში, სადაც სპეციალიზაცია ცალკეული მიმართულებების მიხედვითაა, საჭიროა კრიმინალური ამბების სპეციალისტი. შეუძლებელია კრიმინალური ამბების ყოველდღიურად მომზადება. უკიდურეს შემთხვევაში ასეთი მასალის მოსამზადებლად ერთი კვირა მაინც არის საჭირო, რათა ჟურნალისტს ფაქტების საფუძვლიანად გარკვევის შესაძლებლობა ჰქონდეს. კრიმინალური ამბების მომზადება მოითხოვს ცოდნას, სპეციფიკურ საგამოძიებო მეთოდებს, ინფორმატორთა ქსელებს. გაფრთხილება: ის, რაც თითქოსდა აშკარაა, შესაძლოა მართალი არ აღმოჩნდეს. პოლიციის წყაროები ხშირად ზედმეტად თავდაჯერებულნი არიან [78, 139].

სიფრთხილით მიუდექით გამოძიების დროს გაკეთებულ აღიარებებს. არანეიტრალური სიტყვები – მოდით, განსაკუთრებული სიფრთხილით მოვეკიდოთ ლექსიკას, რომელსაც ვიყენებთ; მოდით, ავკრძალოთ საწყენი სიტყვები, რომელთა შეცვლაც ასე ადვილია; მოდით, ავკრძალოთ ისეთი ფრაზები, რომლებიც საზოგადოებრივ აზრსა და ნაფიც მსაჯულებს უბიძგებენ იმისაკენ, რომ ბრალდებული დამნაშავედ სცნონ (მაგალითად, „პოლიციისათვის კარგად ცნობილი პიროვნება“, „მკვლელი უარს ამბობს აღიარებაზე“). ქვედა ინსტანციის სასამართლოები – ქვედა ინსტანციის სასამართლოების გაშუქება

ზღვა ინფორმაციას იძლევა სამართალდარღვევებისა და საზოგადოების ევოლუციის შესახებ. ამ თემატიკის გაშუქებამ არ უნდა მიიღოს გაკიცხვის სახე! შემთხვევათა უმრავლესობა განხილული უნდა იყოს, როგორც სოციალური მოვლენა, სახელებისა და გვარების იდენტიფიცირების გარეშე.

მნიშვნელოვანია არა კონკრეტული ადამიანის მხილება, არამედ თავად ფაქტი და მისგან გამომდინარე სასჯელი („რა მემუქრება მე, თუ მსგავსი უბედურება გადამხდება თავს“?) [1, 140-143].

საგამოძიებო ჟურნალისტიკა კრიმინალს არ იძიებს, რამდენადაც კრიმინალის გამოძიება სამართალდამცველი სტრუქტურების საქმეა, მათ ხელთაა საგამოძიებო ექსპერტიზა, ჩხრეკისა თუ დაკითხვის მექანიზმები, რომელთა გარეშე დამნაშავის დადგენა, ანუ კრიმინალის გამოძიება შეუძლებელია; სამაგიეროდ, საგამოძიებო ჟურნალისტიკა იძიებს გამოძიებას, რომელიც სამართალდამცავმა სტრუქტურებმა აწარმოეს: ხომ არ დაარღვიეს მათ კანონი, რომ ჟურნალისტმა არასწორი ინფორმაცია წინასწარი, ბოროტი განზრახვით გაავრცელა. თუმცა, თუკი მოდავე მხარე აჩვენებს, რომ ჟურნალისტს მასთან ადრე რაიმე პირადი უთანხმოება ჰქონდა ან, თუკი მან ჟურნალისტს სწორი ინფორმაცია მიაწოდა, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული, შესაძლოა, ჟურნალისტის პასუხისმგებლობა სწორედ ცილისწამების მუხლით დადგეს; ეს კი სისხლის სამართლის დანაშაულია და პატიმრობას ითვალისწინებს. ამიტომ თავის ასარიდებლად, საჭიროა, ჟურნალისტი მოერიდოს ისეთი პირის საქმიანობის გამოძიებას, რომელთანაც რაღაც პირადი ურთიერთობა აქვს (ან მას, ან მის ახლობლებსა და ნათესავებს), აგრეთვე, ყოველთვის მისცეს მეორე მხარეს თავისი პოზიციის გამოხატვის საშუალება და ყოველთვის გამოიყენოს სცენარში/სტატიაში პერსონაჟის მიერ დანაშაულის უარყოფა, თუნდაც, ამას ფორმალური ხასიათი ჰქონდეს [51, 255], [30, 241], [78, 141].

ჟურნალისტების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ მათ საქმეში ემოციურობის ადგილი საერთოდ არ არის. საქმიანობის მთავარ სფეროდ ინფორმაციის მოპოვება და გადმოცემა მიაჩნიათ. ისინი მხოლოდ დამკვირვებლის პოზიციიდან ადევნებენ თვალს მოვლენებს და ობიექტურად აშუქებენ მათ. ფაქტებისადმი ემოციური მიდგომით კი ისინი დაივიწყებენ უმთავრეს მოვალეობას – საზოგადოებას ოპერატიულად, სამართლიანად

მიაწოდონ ნებისმიერი ინფორმაცია. „**ასოშეიტედ პრესის**“ პრეზიდენტი ლუის ბოკარდი იხსენებს, რომ ახალგაზრდობაში, როდესაც ჟურნალისტად მუშაობდა, ხშირად თხოვდნენ ესა თუ ის საკითხი არ გაეშუქებინა. მისი აზრით, თუ ზედმეტი ემოციურობაა, ინფორმაციის მიწოდებას შეუშლის ხელს [59, 296]. აშშ-ის „**Philadelphia Inquirer**“-ის ორესპონდენტი გიჯნჯერ ქეისი სათამაშო მოედანზე მომხდარ ინციდენტზე მუშაობის შესახებ ჰყვება, რომ მიუხედავად იმისა, უნდოდა თუ არა მას ბავშვებისგან ინტერვიუს აღება, ისიც იცოდა, რომ ამას მის ნაცვლად ნებისმიერი სხვა ჟურნალისტი გააკეთებდა, ის კი საინტერესო ინფორმაციას დაკარგავდა. ვეტერანი ჟურნალისტი გიჯნჯერ ქეისი ამასთან დაკავშირებით წერდა: „ჟურნალისტური კონკურენციის პირობებში ყოველთვის ცდილობ, რომ შენ არ დარჩე იმ ინფორმაციის გარეშე, რაც სხვებმა მოიპოვეს. კამერის წინაშე მოსაუბრე, ატირებული ბავშვები კი ეფექტური სანახაობაა. ამას რედაქტორიც შესაბამისად აფასებს, რომ „საქმე გამოვიდა“. აპრობირებულ ქეისებზე დაკვირვება მიუთითებს, რომ ჰუმანურობა და ემოციურობა ზოგ შემთხვევაში ჟურნალისტის კარიერულ წინსვლასაც აფერხებს. ალბათ, სწორედ ამიტომაცაა, რომ ახალგაზრდა ჟურნალისტების უმრავლესობა ამ საკითხს ნაკლებ ყურადღებას უთმობს [59, 297].

6.2. ფსიქფაქტორი დანაშაულის ფაქტების გაშუქების დროს

პოლიგრაფის გამოყენებას მთელი რიგი ხარვეზები აქვს, კერძოდ, აუცილებელია ეჭვმიტანილი პირის თანხმობა ტესტირებაზე, ასეთი თანხმობის მიღება კი ყოველთვის არ არის შესაძლებელი; მაშინ გამომძიებლები და მაძიებლები სტრესის უკონტაქტო გაზომვის მეთოდებს იყენებენ. პრინციპი დაფუძნებულია იმაზე, რომ ადამიანს ახასიათებს რეაგირება გარემო გამღიზიანებლებზე. რამდენადაც მნიშვნელოვანია კონკრეტული ადამიანისთვის ესა თუ ის ინფორმაცია, მით უფრო ძლიერია მისი ფსიქო-ფიზიოლოგიური რეაქცია. ეს აისახება ხმის ტემბრზე, დაძაბულობასა და სხეულის ცალკეული ნაწილების სისხლის მიმოქცევაზე, სითბური და ელექტრომაგნიტური ველების ცვლილებებზე და ა.შ. ორგანიზმის რეაქციის სწორედ ამ თავისებურებებს ეყრდნობა ფსიქოლოგიური სტრესის უკონტაქტო გაზომვების მუშაობა.

გარდა ამისა, ფსიქოლოგიური მდგომარეობის უკონტაქტო გაზომვები საშუალებას იძლევა განვახორციელოთ ეჭვმიტანილის გამოკვლევა ფარულად, შენიღბულად. მაგალითად, ასეთი ხელსაწყოს დამონტაჟებით საათში ან სამაგიდო კალენდარში. ემოციონალურად აუცილებელი ინფორმაციის გამოაშკარავება დაკითხვის დროს გვაძლევს საშუალებას გამოვავლინოთ გულახდილობა პირისა, რომელიც გადის ტესტირებას და მოვინიშნოთ შემდგომი ოპერატიულ-საძიებო და საგამოძიებო ღონისძიებების მეტ-ნაკლებად პერსპექტიული გზები. ჯერჯერობით შეუფერებელია ხელსაწყოების გამოყენების შესაძლებლობები უკონტაქტო სტრესის ფსიქოლოგიური გაზომვისა ტერორიზმთან ბრძოლაში. მათი დაყენება ადგილებში, სადაც თავს იყრის ხალხის დიდი რაოდენობა (სუპერმარკეტებში, ბაზრობებზე, აეროპორტში, სადგურებში და ა.შ.), გვეხმარება დროულად გამოვავლინოთ უმიზეზო ფსიქოლოგიური დაძაბულობა ზოგიერთ მათგანში. ორგანიზაციაში მათზე უწყვეტი დაკვირვება გვაძლევს საშუალებას, უფრო ეფექტურად ავიცილოთ თავიდან ტერორისტული აქტები [78, 135].

შედარებით ეფექტურია არეულობის ნიშან-თვისებების უკონტაქტო გაზომვის მეთოდიკა მეტყველების სიგნალზე. მეტყველების ანალიზატორები გამოავლენენ დანაშაულებრივი გეგმების სინამდვილეს, აუცილობლობის გარდაუვალობას და ა.შ. ეს მნიშვნელოვანია რეკეტიორების საუბრის ანალიზის ან მოლაპარაკების საწარმოებლად ტერორისტებთან, რომლებმაც აიყვანეს მძევლები. ანალიზატორების დახმარებით შესაძლოა პიროვნების იდენტიფიცირება, რადგან ხმა ინდივიდუალურია ისევე, როგორც თითების მოხაზულობა; მეტყველების ფონოგრამას შეუძლია განსაზღვროს ადამიანის ემოციონალური მდგომარეობა, ძალდატანებით ლაპარაკობს ის, თუ თავისუფლად. შინაარსის ანალიზის მეშვეობით, ინტონაციით, აქცენტის საშუალებით სპეციალისტს შეუძლია დაადგინოს ადამიანის ნაციონალობა, წლოვანება, განათლება, პროფესია. ასეთი ცნობების მნიშვნელობა ძვირფასია, როცა მიმდინარეობს ოპერატიული, სამძებრო და გამოძიებითი ღონისძიებები [78, 140-146].

თანამედროვე ტექნიკური საშუალებების ცოდნა, ასევე მეთოდებისა და მათი გარემოებების გამოყენება არ ნიშნავს იმას, რომ ჟურნალისტ-გამომძიებელს შეექმნება სრული წარმოდგენა იმაზე, თუ რას მოიმოქმედებენ იგივე

გამომძიებლები და რა საშუალებებს გამოიყენებენ, ვთქვათ, საქმეში, რომელიც გახდა გამოძიების საგანი.
თავისი გამოძიების დროს ეყრდნობა რა ამგვარ ცოდნას, ჟურნალისტს თვითონ შეუძლია გააკეთოს საფუძვლიანი დასკვნები. ეს უკვე ამართლებს მის დახარჯულ დროს, უახლესი კრიმინალისტური ტექნიკისა და ლიტერატურის გასაცნობად.

არსებობს ინფორმაციის „წყაროზე“ ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალებანი. მაგალითად, ჟურნალისტს შეუძლია:

ეცადოს, დაარწმუნოს „წყარო“ აღებული ინფორმაციის, პუბლიკაციის მნიშვნელობაში, მისი ყველასათვის, მათ შორის, თავად „წყაროსთვის“ სარგებლიანობაში:

1. მიუთითოს კანონებზე, რომლებიც მოუწოდებენ ყველას, არ შეუშალონ ხელი ჟურნალისტს ინფორმაციის მიღებაში;
2. მიმართოს საჩივრით „წყაროს“ უფროსს ან მაღლა მდგომ ინსტანციას;
3. აცნობოთ არსებული სიტუაციის შესახებ სარედაქციო საბჭოს, გაახმოვანოს ინფორმაციის დაფარვის ფაქტი;
4. გააფრთხილოს „წყარო“ იმის შესახებ, რომ გამოცემა, სადაც მუშაობს ჟურნალისტი, არ განაგრძობს მომავალში იმ დაწესებულების საქმიანობის გაშუქებას, რომელმაც უარი უთხრა ინფორმაციის მიწოდებაზე;
5. ჟურნალისტს ასევე აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ მას ვინმე უარს ეუბნება ინფორმაციის გაცემაზე. მაგრამ ეს მოითხოვს ხანგრძლივ გარჩევებს და თუკი სასამართლოს გადაწყვეტილებით ჟურნალისტს მიეცემა აუცილებელი ცნობები, ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ დიდი ხნის მოძველებულნი ან უინტერესონი აუდიტორიისთვის [78, 145-150].

6.3. თანამდებობის პირებზე ზემოქმედების მეთოდები კრიმინალურ ფაქტებზე ინფორმაციის შეზღუდვი შემთხვევაში

ჟურნალისტმა გამოძიების დროს თუ დაადგინა, რომ ის პირები, რომლებიც კანონით ვალდებულნი არიან მიაწოდონ მას აუცილებელი ინფორმაცია, თავს არიდებენ მას, შეუძლია გამოიყენოს მოქმედების „მასტიმულირებელი“ ზოგიერთი ხერხი, ან გამოიყენოს ინფორმაციის მიღების ალტერნატიული გზები.

როგორ უნდა მოიქცეს ჟურნალისტი, *რომ საჭირო უტყუარი ცნობები მის ხელში აღმოჩნდეს*

ჩინოვნიკს, რომელსაც არ სურს გასცეს პასუხი საინტერესო, სოციალურად მნიშვნელოვან საკითხზე, ჟურნალისტს შეუძლია უთხრას, რომ პირადად მას, აღიშნული საკითხი არ აწუხებს, მაგრამ რამდენადაც პასუხი ამის შესახებ სურთ იცოდნენ, ვოქვათ, გაზეთის მკითხველებმა, ამ შემთხვევაში გამომცემლობა იძულებული იქნება არსებული ჩინოვნიკის სამუშაო ტელეფონის ნომერი გამოაქვეყნოს (შესაბამისი კომენტარებით), რათა მკითხველებმა თავადვე დაურეკონ და გაარკვიონ ყველაფერი, რაც აუცილებელია:

- შეთავაზოს ინფორმაციის „მატარებელს“, მისცეს ოფიციალური ვერსია იმ პროცესისა, რომელთანაც მას აქვს კავშირი და მიანიშნოს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ამ თხოვნით მიმართავს მის ხელმძღვანელობას. თუ ეს ვერსია იქნა მიღებული, მაშინ მისგან შეიძლება გამოიტანოს რაღაც სასარგებლო ინფორმაცია;
- ინფორმაციის „მატარებელს“ აუხსენით ის, რომ პუბლიკაცია მისი დაწესებულებისათვის შეიძლება გახდეს კარგი რეკლამა, თუკი აღმოჩნდება ობიექტური და სანდო;
- თხოვნით მიმართოს შესატყვისი ინფორმაციისთვის მოცემული ფირმის ან დაწესებულების კონკურენტებს. ისინი სიამოვნებით მიაწოდებენ მთელ „ნეგატივს“ კონკურენტებზე;
- თუ მზადდება კრიტიკული პუბლიკაცია, მაშინ ჟურნალისტი რაღაც ინფორმაციას, მაგალითად, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მიწოდებულს, არ უნდა ენდოს ბოლომდე. საჭიროა, დახმარებისთვის მიმართოს ადამიანებს, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ამ კომპანიის მუშაობით, კერძოდ, იმას,

ვინც დათხოვილი იქნა სამუშაოდან. ინფორმაცია, რომელსაც ისინი მოგცემენ, შესაძლოა, მართლაც, ფასეული და უტყუარი აღმოჩნდეს (ისიც კი უნდა იქნეს დამატებით გადამოწმებული);

- თუკი რომელიმე უცნაური დაწესებულება თავგამოდებით მალავს ინფორმაციას თავის მოღვაწეობაზე, შესაძლოა გამოქვეყნდეს, მაგალითად, გაზეთში, სადაც მუშაობს ჟურნალისტი, მკითხველის მოკლე რეპლიკა ან წერილი ამ არსებული „უცნაური კომპანიის“ შესახებ. ამან შესაძლოა გამოიწვიოს მკითხველთა წერილების მოზღვავება, რომლებიც მოგვცემენ მნიშვნელოვან ცნობებს მომავალი სტატიებისთვის;
- შესაძლოა დახმარებისთვის მივმართოთ კოლეგებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა ჟურნალისტი მივლინებით ჩადის უცნობ ქალაქში. კორპორაციული სული განსაკუთრებით სიცოცხლისუნარიანია და ადგილობრივ ჟურნალისტებს შეუძლიათ მოამარაგონ იგი მნიშვნელოვანი ცნობებით;
- ხშირად თანამედროვე ჟურნალისტები ყიდულობენ ინფორმაციას პრესცენტრში თავიანთი „ინფორმატორებისგან“ და ა.შ. თუმცა ეს გზა გარკვეულწილად მანკიერია. ამის მიუხედავად, ინფორმაციის სოციალური ღირებულება შეიძლება ისეთი იყოს, რომ აიძულოს მომავალი პუბლიკაციის ავტორი, მიმართოს მას [78, 139-140].

ქართველი ჟურნალისტის მაია მამულაშვილის მომზადებული ჟურნალისტური გამოძიების პროექტი „მესიჯი სამართალდამცავებს“ – ოსტატურად წარმოაჩენს ავტორის ჩინოვნიკებთან ურთიერთობის დახვეწილ ხერხებს და მათ მხილებას საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით.

ეს მასალა 2005 წელს დაიბეჭდა გაზეთ „კახეთის ხმაში“. მის მომზადებაზე რედაქციის მთელი ჯგუფი მუშაობდა. გამოძიება 2 თვეს გრძელდებოდა... სტატიის გამოქვეყნების შემდეგ 5 სოფლის გამგებელი დააკავეს. გურჯაანის პროკურატურამ საქმე აღძრა. გამოძიება რეზონანსული იყო, გააშუქდა სხვა გამოცემებშიც.

2005 წელს ეს გამოძიება ფონდმა – „ღია საზოგადოება საქართველომ“ – დააჯილდოვა, როგორც საუკეთესო საგამოძიებო ნამუშევარი; 2006 წელს

წარდგენილი იყო ლორენცო ნატალის საერთაშორისო პრემიაზე და ათ საუკეთესო საგამოძიებო ნამუშევარს შორის მოხვდა [7].

თავი VII. ჟურნალისტი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმები

საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტებისა და მოვლენების შესახებ საზოგადოების ინფორმირება, ზოგადად, მასმედიის, კონკრეტულად კი, თითოეული ჟურნალისტის მოვალეობაა. ამდენად, ამ მისიის შესრულება საქართველოში ჟურნალისტებისთვის არ არის ადვილი.

ამ რთულ პროცესში ჟურნალისტი გამოდის რა საზოგადოების წინაშე, უნდა ცდილობდეს, მიმართოს მაღალ მორალურ პრინციპებს, წეროს ობიექტურად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა კოდექსში გამახვილებულია ჟურნალისტთა პასუხისმგებლობაზე და მოცემულია ზუსტი ჩამონათვალი, თუ ვის წინაშე არიან პასუხისმგებელნი ამ პროფესიის წარმომადგენლები. უპირველესად, ესენი არიან მკითხველები, მსმენელები, მაყურებლები და კოლეგები. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტები ვალდებულნი არიან, რომ ყველა მნიშვნელოვან სიახლესა და საჭირბოროტო საკითხზე საზოგადოებასთან დიალოგი გამართონ, ხელი შეუწყონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიმართ უკმაყოფილების გამოხატვას, თუკი ამას ობიექტური და სამართლიანი საფუძველი აქვს. როგორც ჩანს, თვითკრიტიკულობა და საზოგადოების მხრიდან შენიშვნების მიღება, პროფესიონალი ჟურნალისტების აზრით, პროფესიონალიზმის ერთ-ერთი მახასიათებელია. აქ გასაკვირი არც არაფერია, რადგან თუკი მასმედია ხელისუფლებას აფხიზლებს და მუდამ დამკვირვებლის მოდარაჯე თვალით უყურებს, მასმედიისთვის ამ ფუნქციას საზოგადოება ასრულებს, რაც დემოკრატიის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს. სწორედ ზემოთ გამოთქმული მოსაზრებებიდან გამომდინარე, კოდექსში მითითებულია, რომ შეცდომების შესახებ ჟურნალისტებმა შენიშვნები უნდა მიიღონ და მათ სწრაფ გამოსწორებაზე თავად იზრუნონ. მათ ასევე უნდა გამოააშკარაონ ჟურნალისტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების არაეთიკური საქციელი და დაიცვან ჟურნალისტური სტანდარტები, როგორც ეს სხვა პროფესიის წარმომადგენლებს მოეთხოვებათ. ამას შესაძლოა ერთი დამატებითი

მოსაზრებაც დაერთოს: საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და მასზე ზეგავლენის მოხდენის ხელთ არსებული რეალური ბერკეტებიდან გამომდინარე, ჟურნალისტებმა ეს სტანდარტები სხვაზე მეტად უნდა დაიცვან და, რა თქმა უნდა, გააცნობიერონ, რომ მათ უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ.

სამწუხაროდ, დღემდე საქართველოში, შეიძლება ითქვას, არ არსებობს მედიადემოკრატია, სფერო, რომელიც აუხსნის, დაანახებს აუდიტორიას ჟურნალისტის, მისი ნაშრომის ავსა და კარგს, ობიექტურობის ხარისხს და ა.შ. ამ მხრივ სხვა პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებში, მაგ., რუსეთში უფრო აქტიურად მუშაობენ ჟურნალისტები (თუმცა ვ. პუტინის მმართველობის პერიოდში მედიის თავისუფლება ძალიან დაბალ ნიშნულს უტოლდება – გამოდის რამდენიმე ჟურნალი და გაზეთი მასმედიის, ჟურნალისტიკის განვითარების შესახებ).

რუსი ჟურნალისტი სერგეი დორენკო, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ობიექტური, მწვავე კრიტიკითა და ბრალდებებით, მუშაობდა რუსეთის ტელეარხზე (PTR). მისი გამოძიებები განხილვის საგანი იყო ქართველ ჟურნალისტთა შორის. განსაცვიფრებელი იყო მისი ჟურნალისტური მიდგომა, მუშაობის სტილი. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ არავის ინდობდა. ჟურნალისტი მაღალჩინოსნებს ამხელდა: ბრალს სდებდა კორუფციასა და განზრახ მკვლელობაში. განსაკუთრებით არჩევნების დროს იყო გამძაფრებული მისი ბრალდებები. ს. დორენკო, რა თქმა უნდა, არასასურველი ჟურნალისტ-გამომძიებელი იყო მაღალჩინოსნებისთვის. თვით ამ ჟურნალისტზე ჩაატარეს გამოძიება, ამხილეს სიცრუეში, რაც სასამართლო განხილვებმა დაადასტურა (თუმცა ამ სასამართლოს ობიექტურობა, დიდი ხანია, ეჭვქვეშაა რუსეთის საზოგადოებაში) და ს. დორენკო გაათავისუფლეს ტელევიზიიდან, აგრეთვე ჟურნალისტთა კავშირის წევრობიდან. ამ შემთხვევამ დაბადა იმის ეჭვი, რომ რუსეთის ტელეარხები ჟურნალისტურ გამოძიებაში არასწორ ინფორმაციებსა და ცრუ ფაქტებს აჩვენებენ. და საერთოდ, ჟურნალისტური გამოძიებაც არ არსებობს, არის მხოლოდ კომპრომატების ომი, ჟურნალისტი კი ამ ომში გამოდის, როგორც შუამავალი, რომლის საშუალებით ცალკეული ძალები აწარმოებენ მიზანმიმართულ საინფორმაციო ბრძოლას [78, 198-199].

საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჟურნალისტების თავისუფალსა და დაუბრკოლებელ მუშაობას, განსაკუთრებით საგამოძიებო ჟურნალისტიკაში. არსებული მდგომარეობის კიდევ უფრო ნათლად წარმოსაჩენად ომბუდსმენის სამსახურიდან გამოვითხოვეთ კონკრეტულად ამ სფეროში, გამომძიებელ-ჟურნალისტთა დევნის ფაქტებზე ინფორმაციები:

ვახტანგ კომახიძის საქმე

2004 წლის 5 მარტს, დილით, „რუსთავი 2“-ის პროგრამა „60 წუთის“ კორესპონდენტი ვახტანგ კომახიძე შუახევიდან ბათუმში ავტომანქანით ბრუნდებოდა, როცა ხელვაჩაურის საგზაო პოსტთან მას სპეცრაზმელები დაესხნენ თავს და პოლიციელთა თანდასწრებით გაუსწორდნენ. ვახტანგ კომახიძემ ტვინის შერყევა და მრავლობითი დაზიანებები მიიღო სახეზე, თავის არესა და მთელ სხეულზე. მას პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს ბათუმის პირველ საავადმყოფოში, საიდანაც არ უნდოდათ მისი გაშვება და მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების ჩარევის შემდეგ გამოუშვეს. ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილე, პოლიციელი რევაზ გვარიშვილი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პოლიციას დავალება ჰქონდა მიცემული. კომახიძის ცემას წინ კიდევ ერთი ინციდენტი უძღოდა: წინა ღამით ბათუმში მყოფ „რუსთავი 2“-ის ოპერატორს მთელი გადასაღები აპარატურა ჩამოართვეს.

რევაზ ოქრუაშვილის საქმე

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციამ 2004 წლის 2 აგვისტოს ნარკოტიკების მოხმარებისა და რეალიზაციის ბრალდებით დააკავა გორის ადგილობრივი გაზეთ „ხალხის გაზეთის“ რედაქტორი რეზო ოქრუაშვილი. ჟურნალისტის პირადი ჩხრეკისას პოლიციამ აღმოაჩინა ნარკოტიკები. იარაღი და ნარკოტიკული ნივთიერებები ამოღებული იქნა ასევე მისი მანქანის, ბინისა და ოფისის ჩხრეკისას. დაკავებისთანავე ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებდნენ, რომ რეზო ოქრუაშვილის დაკავება კანონისა და პროცესუალური ნორმების დარღვევით განხორციელდა. არსებობდა ასევე საფუძვლიანი ეჭვი, რომ მისი პატიმრობის მიზეზი „ხალხის

გაზეთის“ ბოლოდროინდელი პუბლიკაციები და ის ჟურნალისტური გამოძიებაა, რომელსაც ოქრუაშვილი აწარმოებდა.

სერიოზული პროცესუალური დარღვევებით მიმდინარეობდა ოქრუაშვილის სასამართლო პროცესიც, რომელმაც მას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლოს შესასვლელს, დაცვის გარდა, პოლიციის თანამშრომლებიც იცავდნენ. შესასვლელის უკანონო დახურვას შეხლა-შემოხლა მოჰყვა, რომლის დროსაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაზარალდნენ, დაზიანდა ჟურნალისტების კამერები და ფოტოაპარატები [25, 152].

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოში მოქმედი ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების მიერ შეფასდა, როგორც სასამართლოს მორიგი უმწეობის გამოვლინება.

ჟურნალისტ რეზო ოქრუაშვილის გათავისუფლება შესაძლებელი გახდა მხოლოდ მასა და პროკურატურას შორის პროცესუალური გარიგებების შედეგად.

მეორე მნიშვნელოვანი ნიშანი ჟურნალისტის აუდიტორიასთან ურთიერთობისა არის ჟურნალისტური მასალის ენა და სტილი.

ჟურნალისტი პატივს სცემს საზოგადოებას და მისი გადაცემის მონაწილე ნებისმიერ გმირს. ესაუბრება ნორმალური ლიტერატურული ენით ყოველგვარი აქცენტის, სლენგისა და ამა თუ იმ აუდიტორიისთვის დამახასიათებელი ენობრივი სტრეოტიპების გარეშე. არის შემთხვევები, როდესაც განსაკუთრებით ელექტრონულ მედიაში ჟურნალისტების სასაუბრო სტილი და მანერა, აქცენტები მიბაძვის საბაბი გახდა თვით ჟურნალისტებს შორისაც. ხშირად მოიშველიებენ ცნებას „ენობრივი დემოკრატია“, რაც სწორედ პასუხისმგებლობას ითხოვს ჟურნალისტისგან თითოეული სიტყვის გამო.

აუდიტორიისადმი „ვერბალური“ უპატივცემულობა იგივეა, რაც სიცრუე, რომლითაც, სამწუხაროდ, სავსეა თანამედროვე მედია.

თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკაში არიან ჟურნალისტები, რომელთათვისაც მთავარია ზნეობრივი ნორმები; ობიექტური მასალის მომზადება და აუდიტორიისთვის გაცნობა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ეთიკის ნორმების სხვადასხვა კრებული არსებობს, რომლის გათვალისწინებას შეუძლია ჟურნალისტური გამოძიება აქციოს ეთიკურად „თავშეკავებულად“, რომელსაც უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია [1, 65].

სამწუხაროდ, ჟურნალისტთა მოღვაწეობის „მორალური თვითრეგულირება“ ხშირად იგნორირებულია და იგი ეწირება რომელიმე პირისა და თვით მედიასაშუალების დაკვეთასთან კომერციულ ინტერესებს. ამ მხრივ ნიშანდობლივია ცნობილი გერმანელი პუბლიცისტის ჰერმან მაინის მოსაზრებები: „რა თქმა უნდა, ჟურნალისტებმა თვალყური უნდა ადევნონ ცნობილ ადამიანთა ცხოვრებას, რადგან ამის გარეშე ვერ გავიგებთ მრავალი სკანდალისა და თაღლითობის შესახებ, წარმოდგენა არ გვექნებოდა საჯარო პირთა თვისებებზე – როგორია იგი, უყვარს ტყუილი თუ სიმართლე, როგორი ცხოვრების წესი აქვს და ა.შ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჟურნალისტი სულ მუდამ იქექებოდეს მათ ცხოვრებაში. თუმცა არიან ჟურნალისტები, რომელთა სპეციალიზაცია სწორედ ამ მხრივ ხდება და ეს ამდაბლებს პუბლიცისტიკის ტრადიციებს. სამწუხაროდ, ბოლო დროს ინფორმაციის წყაროსთვის კონკრეტულ ბრძოლაში ჟურნალისტები მიუღებელი წესებით სარგებლობენ და ექსკლუზიური ინფორმაციისთვის ბრძოლაში იმარჯვებს ის, ვისაც მეტის გადახდა შეუძლია. ეს ძალიან სახიფათოა – ინფორმაციას მოიპოვებს ის, ვისაც უფრო სქელი ანგარიშსწორების ბარათი აქვს.

ტენდენცია გამოკვეთილია: ბევრი ჟურნალისტისთვის აქტუალურობა ყველაზე მთავარია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ არაფრად მიაჩნიათ ჟურნალისტის კეთილსინდისიერება. გერმანიაში კონკრეტული ბრძოლის ზრდასთან ერთად აქტუალური ინფორმაციისთვის ბრძოლის დროს ხშირად ავიწყდებათ პრინციპი „იყავი პირველი, მაგრამ უპირველესად – სამართლიანი“.

ჟურნალისტები საქართველოში თეორიული ნორმების სწავლით არ გამოირჩევიან, რადგან სწორედ ამ ნორმების იგნორირება ხდება ხშირად

თანამედროვე მასმედიაში – წარმოდგენა არ აქვთ მასმედიის საერთაშორისო დოკუმენტებზე, დეონტოლოგიური დოკუმენტების გაცნობა მხოლოდ პიროვნულად ხდება, რადგან არ არსებობს ეთიკური აზრის ათვისების პროფესიული ტრადიციები. ეს აისახება როგორც შიდაკორპორაციული სუსტი კონტროლით, თუ როგორ უნდა დაიცვან ჟურნალისტებმა პროფესიონალური ეთიკის წესები, ისე ბევრი ჟურნალისტის თავდაჯერებულობით, რომ ამ ნორმების ცოდნა არ უკავშირდება თანამედროვე ჟურნალისტიკის რეალობას. იგი დაკავშირებულია უფრო მეტად მატერიალური პრობლემებისგან გადარჩენასთან. შესაბამისად, იგნორირებას უკეთებს ყველაფერს, ამიტომ თუმცა კი იციან პროფესიონალური ნორმების არსებობის შესახებ, მათი გაცნობისა და შესწავლის დიდი მოთხოვნილება მასმედიის წარმომადგენელთაგან უმრავლესობას არ გააჩნია.

7.1. აუმჯობესებს თუ არა ემოციური დამოკიდებულება ეთიკურ ჟურნალისტიკას?

გამომცემელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ემოციურობა არა თუ ხელს უშლის ჟურნალისტებს საქმიანობაში, არამედ, პირიქით. ხშირად საჭიროა ფაქტებს მიღმა ამბების შესახებ წერა. მათ სოციალური პრობლემების გაჰუმანურება სჭირდებათ, უფრო მეტიც, მკითხველში პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივების ამბიცია უჩნდებათ. ამის მისაღწევად ისინი სწორედაც ემოციური კუთხით უნდა მიუდგნენ რესპონდენტებს, მათი პრობლემებისადმი ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინონ.

„დეს მოინეს რეჯისთერის“ ყოფილი გამომცემელი ჯენევა ოვერჰოსლერი მიიჩნევს, რომ „მანქანასავით მომუშავე ჟურნალისტების სტატიები მოსაბეზრებელი, უშინაარსო და უსიცოცხლოა. მისი აზრით, პუბლიკაციამ მკითხველში უკეთესი მომავლის, წინსვლის იმედი უნდა აღძრას“. მსგავსი ჟურნალისტური მასალები კი მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიქმნება, როდესაც ჟურნალისტი ემოციურად, მთელი გულით მიუდგება საკუთარ საქმეს.
ალეკ კლეინი, „ვაშინგტონ პოსტის“ ბიზნესის კვლევის საკითხების ტოპ-რეპორტიორი წერდა, რომ ის მაიკ ველესის, სი-ბი-სის „60 წუთის“ წამყვანის გავლენით იზრდებოდა. რაც უფრო მეტს აკეთებდა ის ჟურნალისტურ გამოძიებაში, უფრო და უფრო ამკვიდრებდა საკუთარ სტილს, „გალანტურობა

უკეთესიას“ პრინციპს. ის ამბობდა, რომ ჟურნალისტურ გამოძიებებზე მომუშავე თითქმის ყველა ამერიკელ რეპორტიორს იცნობდა და რომ მათი უმრავლესობა სწორედ იმ პრინციპით ხელმძღვანელობდა, რასაც „კარგი ტიპის ჟურნალისტიკას“ უწოდებენ. „დიდი ხანია დავასკვენი, რომ ამ დარგისკარგირეპორტიორები ჰუმანურები არიან იმდენად, რამდენადაც მათ ეს საქმის კარგად შესასრულებლად ესაჭიროებათ. ეს არ ნიშნავს, რომ შენ რბილი ხასიათი გაქვს ან სხვანაირად აზროვნებ, არამედ ადამიანების პატივისცემით მოპყრობას გულისხმობს“ [59, 240], [31, 91].

თავი VIII. ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის სიძნელეები და პარადოქსები ჟურნალისტურ საქმიანობაში

პროფესიული ჟურნალისტური საქმიანობის პროცესში შესაძლებელია, ჟურნალისტს შეექმნას სერიოზული ბარიერები. ამ პრობლემების დასაძლევი გზების ცოდნა ჟურნალისტს დაეხმარება, მისი მუშაობა იყოს ეფექტური და შედეგიანი.

8.1. ეთიკური და სამართლებრივი ბარიერები ჟურნალისტური მუშაობის დროს

ჟურნალისტის მიერ ჩატარებული ყოველგვარი ინფორმაციის მოპოვება თუ გამოძიება, დამოუკიდებლად იმისა, რას წარმოადგენს ის, რა თემას ეხება, რა მეთოდებით წარიმართება, რომელი წყაროებისგან მოიპოვება ინფორმაცია – განეკუთვნება შემეცნებით მოღვაწეობას. მედია ეთიკა ამ დროს ერთი უმწვავესი პრობლემის წინაშე დგას: მოძებნოს მის მიერვე აღიარებული ნორმების განხორციელების საშუალებები, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თვითრეგულირების მექანიზმები. ამიტომაც მას მუდამ თან ახლავს სიძნელეები, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „შემეცნებითი“ დაბრკოლება. ეს პრობლემები ყველაზე ხშირად წარმოიქმნება მაშინ, როცა ჟურნალისტი პირველად ეხება ამ სფეროს.

გამოძიების გამოკვეთილი იდეის არქონა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ სახის შემეცნებითი დაბრკოლება ყველაზე ხშირად წარმოიქმნება დამწყებ ჟურნალისტებში, რომლებმაც შესაძლოა, პირველად გადაწყვიტეს თავისი ძალების მოსინჯვა გამოძიებით საქმიანობაში. მოცემულ შემთხვევაში ჟურნალისტი შესაძლოა აღმოჩნდეს სიტუაციაში, როცა მისთვის საერთო პლანში ცნობილია აუდიტორიის ინტერესი სინამდვილის რომელიმე სფეროსადმი, რომელზეც ზუსტი ინფორმაცია მას არ გააჩნია. ასევე მან შესაძლოა იცოდეს, რომ საზოგადოებას მართლაც და რაღაცას უმალავენ, მაგრამ ეს ცოდნა იმდენად ბუნდოვანია, რომ მას არ ძალუძს მასზე დაყრდნობით ააგოს წარმოდგენა გამოძიების კონკრეტულ საგანზე.

ასეთ შემთხვევაში ლოგიკურია შეეცადოთ, მოიპოვოთ ე.წ. პირველადი ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელს გახდის მომავალი ძიების მიმართულება სწორი იყოს. მისი ძებნა საჭიროა უპირველესად ღია და ხელმისაწვდომი ინფორმაციის ყველა წყაროსთან. თუმცა ასეთი დასაწყისი შესაძლოა დამწყებ გამომძიებელს მოეჩვენოს „გაჭიანურებული“, გაურკვეველი, მას კი სურს, რაც შეიძლება სწრაფად მივიდეს ფაქტის გახსნამდე. აქ მოსალოდნელია პირველი იმედგაცრუება.

არსებული მაგალითებიდან თვალსაჩინოებისთვის მასალად შეიძლება მოვიყვანოთ ***უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტის პრაქტიკული მუშაობა***. მან მიიღო დავალება თემაზე: „არასასურველი კრიმინალური სიტუაცია დედაქალაქში“. ის ფორმულირებული იქნა საერთო პლანში იმ აზრით, რომ სტუდენტს მისცემოდა შესაძლებლობა, შეემოწმებინა საკუთარი ნიჭი, დამოუკიდებლად გასულიყო მისთვისაც საინტერესო კონკრეტულ სიტუაციაში, ქალაქის რეალური კრიმინალური მდგომარეობის ასასახავად.

სტუდენტმა გადაწყვიტა, არ დაეწყო „შორიდან მიდგომა“ და ამაზე უკეთესი ვერაფერი მოისაზრა, დაუკავშირდა ტელეფონით შინაგან საქმეთა სამინისტროს და ჰკითხა ერთ-ერთ პასუხისმგებელ თანამშრომელს „ხომ არ შეგიძლიათ, მოგვითხროთ, როგორია კრიმინალური მდგომარეობა დედაქალაქში?“ პასუხად სამინისტროს თანამშრომელმა სთხოვა სტუდენტს, უფრო კონკრეტულად ჩამოეყალიბებინა შეკითხვა, მან კი ეს ვერ მოახერხა. შედეგად მან დიდი გულდაწყვეტით განაცხადა უახლოეს სასემინარო მეცადინეობაზე, რომ

მოცემული თემა მისთვის დაუძლეველია და შინაგან საქმეთა სამინისტრომაც კი ამის შესახებ ვერაფერი აცნობა [78, 294-296].

რასაკვირველია, ჟურნალისტი რომელსაც აქვს გამოძიების ჩატარების გამოცდილება, მიიღებდა გადაწყვეტილებას „ასულიყო ზემოთ“ (ვთქვათ, მიემართა რომელიღაც სამინისტროსთვის და ა. შ). იმ შემთხვევაში, თუ მას უკვე ექნებოდა მოძიებული გარკვეული მასალა: ფორმულირებული გამოძიებითი ჰიპოთეზა, რომელიც უნდა დაზუსტდეს (დამტკიცდეს ან უარყოფილი იქნეს) განსაზღვრული მონაცემებით, ჟურნალისტი მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს კონკრეტულ დაწესებულებას, რომელსაც აქვს მოპოვებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

გამოძიების საგნის სირთულე

გამოძიების დაწყებისას აუცილებელია, ჟურნალისტმა კრიტიკულად შეაფასოს თავისი შესაძლებლობები იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ადეკვატურია საგნისადმი მისი დამოკიდებულება, რომლის კვლევასაც ის ცდილობს. ჟურნალისტური გამოძიების მასალა ისე უნდა მომზადდეს, რომ საზოგადოებამ შესწავლილ საკითხზე საკუთარი დასკვნების გამოტანა შეძლოს. დასკვნა ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს არა ჟურნალისტის მიერ გამოთქმული მოსაზრებით შექმნილი შთაბეჭდილებიდან, არამედ გადაცემასა თუ სტატიაში წარმოდგენილი ფაქტებიდან.

8.2. ინფორმაციის გადამუშავების აუცილებლობა

არსებობს მრავალი გამოძიების საქმე, რომელიც კავშირშია უკიდურესად დიდი მოცულობის ყოველგვარი ინფორმაციის შესწავლის აუცილებლობასთან. ადრე უკვე ვახსენეთ, მაგალითად, რა რაოდენობის დოკუმენტების „გადაქექვა” დასჭირდათ ცნობილ ამერიკელ ჟურნალისტ-გამომძიებლებს დ. ბარლეტს და ს. ჯეიმსს, როცა ამზადებდნენ გამოსვლას სამშენებლო საქმის კორუფციაზე. მსგავსი სამუშაო განსაკუთრებულად შრომატევადია და მოითხოვს დიდ ფსიქოლოგიურ თუ ინტელექტუალურ დაძაბვას. ყველა ჟურნალისტი როდია ამ მსხვერპლის გამღები (რომელთაც ყველაფერთან ერთად ჟურნალისტურ წრეში,

კოლეგებში შესაძლოა შეექმნას კანცელარიის ვირთხის „იმიჯი“), რათა გამოააშკარაოს სათანადო დონით ამა თუ იმ სიტუაციის უტყუარობა, რომელიც აინტერესებთ მის მკითხველებს ან მსმენელებს.

თემის ერთგული ჟურნალისტი, რომელიც გულისხმობს, რომ ყოველი ახალი გამოძიება მოითხოვს მთელი დოკუმენტაციის ხელახალ გადამუშავებას, რასაკვირველია, ვალდებულია ესმოდეს, რომ მისი გამოსვლები პრესაში იქნება საკმაოდ იშვიათი და ეს ყოველთვის შესაძლოა არ იყოს მისთვის სასიამოვნო. დიდი მოცულობის ინფორმაციის გადამუშავების აუცილებლობა აფერხებს გამოძიების მსვლელობას. ამავე დროს, აუდიტორია ყოველთვის სათანადოდ ვერ აფასებს ჟურნალისტის ძალისხმევას, რომელმაც მოამზადა შრომატევადი გამოძიება, რაც სულაც არ არის ფაქტორი, რომელიც გააძლიერებს მისი დამოკიდებულების ფსიქოლოგიურ კომფორტს მომზადებული პუბლიკაციის მომხმარებელთან.

გამოძიების მეთოდთა სუსტი ფლობა

გამოძიების წარმატება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა ხარისხით ფლობს ჟურნალისტი მის მეთოდებს. ეს ეხება როგორც ინფორმაციის მოძიების, ასევე მისი გააზრების მეთოდებს. ინფორმაციის შეკრებისას ჟურნალისტისთვის მთავარია, შეეძლოს „მეთოდების“ მოხმარებისას „გადართვა“ ერთიდან მეორეზე. ეს მოთხოვნილება გამოწვეულია, უპირველესად, გამოსაძიებელი მოვლენების, სიტუაციის, მოქმედებების თავისებურებათა ცვალებადობით. რასაკვირველია, ჟურნალისტმა უნდა გამოიკვლიოს დოკუმენტები, ესაუბროს, ჩაწეროს ინტერვიუ მოვლენის მონაწილეებთან, მოწმეებთან, თვითმხილველებთან, რაც გამოძიების საფუძველია [76, 308].

შეცნობილი დაბრკოლებები

ჟურნალისტს თუ გამოძიება მიჰყავს რომელიმე ორგანიზაციის კორუფციის, სამართალდარღვევების ან სამსახურებრივი ვალდებულებების ბოროტად გამოყენების გამოვლენისკენ, მაშინ ინტერვიუს აღება მისი ხელმძღვანელის ან თანამშრომლისგან ნაკლებპერსპექტიული საქმეა. უფრო მეტიც, მას უბრალოდ გადაუკეტავენ მისაწვდომობას საჭირო ინფორმაციისადმი. უმეტესად,

ეფექტურობის თვალსაზრისით ინფორმაციის მიღება მსგავს შემთხვევაში გამართლებულია ექპერიმენტის მეთოდით. ამას იყენებდა მრავალი ჟურნალისტი, რომელიც დაკავებული იყო ამგვარი გამოძიებებით. მაგრამ, რომ გამოიყენოთ ექსპერიმენტის მეთოდი, საჭიროა იქონიოთ არამარტო ამის გაკეთების სურვილი, არამედ უნდა ფლობდეთ კიდეც საკმარის სიმტკიცეს, მამაცობას, არტისტულ მონაცემებს.

საწყის მონაცემთა შეკრება, როგორც ცნობილია, არ ამოწურავს ძიებას. ისინი უნდა იყოს გააზრებულნი, ურთიერთდაკავშირებულნი, თანაფარდნი. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჟურნალისტი მიიღებს შესასწავლი მასალის ზუსტსა და ნათელ სურათს. დახმარება ამ საქმეში შეუძლია ანალიზის მეთოდების დამაჯერებლად ფლობას, ცალკეულ ფაქტებს შორის კავშირების დადგენას, რომლებიც გამოვლინდება ინფორმაციის შეკრების დროს. თანაც, მონაცემთა გააზრების პროცესში ის უნდა ეყრდნობოდეს ანალიზის იმ სახეებს, რომლებიც დამახასიათებელია მუშაობის მოცემული სფეროსთვის. ვთქვათ, თუ ჟურნალისტს მოუწია სამართლებრივ სფეროში გამოძიება, ის უნდა ფლობდეს სამართლებრივი ანალიზის მეთოდებს. თუ დაკავებულია პოლიტიკურ დანაშაულებათა გამოძიებით, აუცილებელია ერკვეოდეს პოლიტოლოგიაში და ფლობდეს პოლიტიკური ანალიზის მეთოდებს; ეკონომიკურ სფეროში – სტატისტიკას, ფინანსური ანალიზის მეთოდებს. ასე რომ, მისი გამოძიების სფერო რასაც განეკუთვნება, კარგად უნდა იყოს მომზადებული ამ თემატიკაში [78, 309].

საკვლევ თემაში სპეციალური მომზადების ტექნოლოგია

კვლევის სპეციალური მეთოდების ფლობა, რასაკვირველია, არის ჟურნალისტის სპეციალური მომზადების შედეგი, რომელიც გადაბმულია მისი გამოძიების საგანთან. თუ მას მიჰყავს გამოძიება, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნასა და მეთოდებს, რომელსაც ის არ ფლობს, წინასწარ შეიძლება ვთქვათ, რომ წარმატების მიღწევა შეუძლებელია. ამასთან, სპეციალური მომზადების არქონა შეაფერხებს გამოძიების სვლას პირველივე სტადიაზე, რამდენადაც ჟურნალისტმა, რომელიც არ ფლობს აუცილებელ ტექნოლოგიას, შესაძლოა უბრალოდ ვერ გაიგოს, რაზე მიდის საუბარი, თუ ის იღებს ინტერვიუს საბირჟო ოპერაციის სპეციალისტისაგან. გარდა ამისა, თვითონ სპეციალისტისთვის არ

იქნება საინტერესო საუბარი ადამიანთან, რომელიც არ იცნობს ამ სფეროს საქმიანობას [78, 312].

დაბალი ლოგიკური კულტურა

ხშირად იქმნება სიტუაცია – იმ საქმის გარემოებათა გასარკვევად, რომელიც გახდა გამოძიების საგანი, გადამრჩენი კი ამ შემთხვევაში არის უუნარო, გააკეთოს სწორი ლოგიკური დასკვნები, იაზროვნოს არაწინააღმდეგობრივად, წარმოდგენა იქონიოს აზრის სწორად გაფორმებისა და მტკიცებულების მსჯელობის სტრუქტურის შესახებ. ადამიანში ლოგიკური კულტურის ხარისხი ძალიან იოლად შეიგრძნობა ყოველგვარ საუბარში, ინტერვიუში. რასაკვირველია, თანამოსაუბრის აზრი ჟურნალისტზე, როგორც ადამიანზე, ნათლად და საფუძვლიანად მოაზროვნეზე, მხოლოდ განამტკიცებს ურთიერთგაგებას, ორმხრივ სწრაფვას, გაერკვნენ საქმის არსში, რომელზედაც მიდის საუბარი.

სამწუხაროდ, „რკინის“ ლოგიკას ყველა ადამიანი არ ფლობს, მათ შორის ჟურნალისტ-გამომძიებლები. ეს, რა თქმა უნდა, ხელს უშლის ადეკვატურად აღიქვან არამარტო ინფორმაცია, არამედ გააკეთონ სწორი დასკვნები, რათა წინ წაწიონ გამოძიება. ტექსტის შექმნის სტადიაში დაბალმა ლოგიკურმა კულტურამ სათუოა, ავტორს მისცეს საშუალება, დაასაბუთოს ესა თუ ის მტკიცებულება, შეფასება, არგუმენტირებულად და ნათლად ჩამოაყალიბოს თავისი პოზიცია [78, 312].

8.3. ინფორმაციის „წყაროებთან“ ურთიერთობის სუსტი ჩვევები

საძიებელი საგნის შეცნობაში მნიშვნელოვან სიძნელეს შეიძლება წარმოადგენდეს ჟურნალისტის არასაკმარისი მომზადება ინფორმაციის „წყაროსთან“ ურთიერთობისთვის. სრულიად განსხვავებულ ადამიანებთან ჟურნალისტური გამოძიების ჩატარებისას სწორად ურთიერთობის პროცესში ღებულობს ჟურნალისტი ექსკლუზიური ინფორმაციის ნაწილს. ამისათვის ხშირად აუცილებელი ხდება მოსაუბრე განაწყო დადებითად, აჩვენო თავი ადამიანად, რომელსაც აქვს უნარი, გაიგოს მიღებული ინფორმაციის

მნიშვნელობა, შეაფასოს ამ მოსაუბრის როლი მომხდარის ნამდვილი სურათის დადგენასა და მისი ნდობის გამართლებაში. ამისათვის კი ჟურნალისტმა უნდა გამოავლინოს თავი საკმაოდ ნიჭიერ ფსიქოლოგად, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მას დაამყაროს კონტაქტი ადამიანთან, რომელსაც პირველად ხედავს.

საეჭვოა, რომ ჟურნალისტმა, რომელიც, მაგალითად, სულ ჩუმადაა და საუბრის დროს გვერდზე იყურება, მოიპოვოს ინფორმაციის „წყაროს“ ნდობა. გამოცდილი მკვლევარი ყოველთვის ცდილობს მეორე ადამიანთან ურთიერთობის დროს თავისი თავი მოიაზროს მის ადგილზე, რათა ყოველივე დაინახოს მისი თვალით. ჩვეულებრივ, ასე იქცევიან გამოცდილი მაძიებლებიც, როდესაც იმისათვის, რომ აალაპარაკონ ეჭვმიტანილი ან დამნაშავე, თავისი მიდგომით ქმნიან სიმშვიდეს, ურთიერთგაგების გარემოს (თუნდაც სპეციალურად გათამაშებულს). ჟურნალისტი, რომელსაც არ აქვს ურთიერთობისთვის აუცილებელი ჩვევები და იგნორირებას უკეთებს ფსიქოლოგების რეკომენდაციებს – საკმაოდ ხშირად გამოქვეყენებულს როგორც სპეციალურ ლიტერატურაში (მაგალითად, საგამოძიებო ღონისძიებათა ფსიქოლოგია), ასევე პოპულარულ გამოცემებში, ძნელად თუ შეძლებს განაწყოს თავის მიმართ მოსაუბრე და გაიგოს ის, რაც ძიების გაგრძელებისათვის აუცილებელია [90, 313].

ცხადია, მოტანილი ფაქტორებით, რომლებიც ხელს უშლიან ჟურნალისტურ გამოძიებას, არ ამოიწურება ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოქმნილი შემეცნებითი რიგის სიძნელეთა ჩამონათვალი. წარმოდგენა მათ შესახებ დაეხმარება ჟურნალისტს, თავისი საქმიანობის ანალიზის დროს, შესაძლო წარუმატებლობის გააზრებასა და მათ ასახსნელად, საგამოძიებო „ინსტრუმენტარიის“ სრულყოფისათვის საჭირო მიმართულების ძიებაში.

8.4. სახელისუფლებო შეზღუდვა

ჟურნალისტიკის დამოკიდებულება ხელისუფლებასთან მისი მოღვაწეობის ერთ-ერთ ყველაზე ძნელ ასპექტს წარმოადგენს. ჟურნალისტი, რომელიც ცდილობს, იცოდეს რაც შეიძლება მეტი, მოუხერხებელია ნებისმიერი ხელისუფლებისთვის – ეს საკმარისად შეიძლება ჩაითვალოს. საგამოძიებო ჟურნალისტიკა სწორედ „ცხვირს ყოფს“ „სკანდალურ“ სიტუაციებში. ამ მიზეზით ხელისუფლებას

ყველაზე კონფლიქტური დამოკიდებულება ექმნება ჟურნალისტ-გამომძიებელთან. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ძალოვან ფუნქციებს ნებისმიერ საზოგადოებაში ასრულებენ ადამიანები, რომელთათვისაც, მაგალითად, უცხო არ არის სამსახურებრივი მდგომარეობის პირადი ინტერესებისთვის გამოყენება, უფლებამოსილებათა აღმატება, კორუფცია და სხვა..., ეს ფაქტებიკიდევ უფრო მეტად იწვევს ჟურნალისტთა ინტერესს, ყოველივე ძაბავს ურთიერთობას ხელისუფლებასა და მედიას შორის.

ნათქვამის გამო, ყოველი ჟურნალისტი, როგორც კი გამოჩნდება „ადმინისტრაციულ ჰორიზონტზე“, მაშინვე ხდება ამა თუ იმ ძალოვანი სტრუქტურისათვის განსაკუთრებული დაკვირვების ობიექტი. ამ პლანში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ ე.წ. „დამოუკიდებელი“ მედია და მათი ჟურნალისტები: ჩვეულებრივ, მათ მიეკუთვნებიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც დაფუძნებულნი არიან კერძო პირების ან ჟურნალისტების მიერ. ყველაზე უფრო დაძაბული ურთიერთობა ჟურნალისტებს უყალიბდებათ ადმინისტრაციებთან [78, 317].

ამ ურთიერთობათა ობიექტურ სურათს დღეს ყველაზე კარგად წარმოაჩენს რეგიონალურ მედიაში წარმოებული გამოძიებები, რომლებიც ჩატარებული იქნა სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2004-2009 წწ. რომელმაც იტვირთა „საზოგადოებრივი ექსპერტიზის“ ფუნქცია: გამო

ამის გამო, ადგილობრივი გამოცემები და უპირველესად ისინი, რომლებიც გამოხატავენ აქტივობას ჟურნალისტური გამოძიების მომზადებაში, ჩაყენებული არიან მეტად მძიმე მდგომარეობაში და იშვიათად ახერხებენ მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია, რეალურად გააშუქონ მათ რეგიონში არსებული სიტუაცია. ომბუდსმენის აპარატის გამოძიებისა და აქტივობის მიუხედავად, ადმინისტრაციული ორგანოები წარმატებით აღწევენ პრესის დამორჩილებას, ამასთან, სხვადასხვა მეთოდებით. ძნელია მოიძებნოს ჟურნალისტი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რედაქტორი, რომლებსაც არ ჰქონდეთ წარმოდგენა იმ შედეგებზე, რაც შეიძლება თავს დაატყდეთ, თუ დაწერენ კრიტიკულ სტატიას რომელიმე ჩინოვნიკის ქმედებებზე, გამოიძიებენ უღირს საქმეებს.

ყოფილი ომბუდსმენის, სოზარ სუბარის ანგარიშით, რეგიონის ჟურნალისტები საუბრობენ მათზე ზეწოლის არაერთ ფაქტზე (მუქარა, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, ინტერვიუს მიცემაზე უარის თქმა), თუმცა ხშირ შემთხვევაში ამის დოკუმენტურად დადასტურება ვერ ხერხდება. მიუხედავად ამისა, ჩვენ გადავწყვიტეთ, ყველა ასეთი ფაქტი გამოგვეტანა საზოგადოებრივ სამსჯავროზე. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის, რომ საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგიის გეგმაში გათვალისწინებულია ცალკე პუნქტი მასმედიის განვითარების ხელშეწყობისათვის, სადაც მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირად მითითებულია სახალხო დამცველი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მასმედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნდა მოხდეს: ჟურნალისტთა დაცვის გეგმის შემუშავება ანტიკორუფციული სტრატეგიის პრინციპების გათვალისწინებით, მასმედიის დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის მიღწევა, სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან მასმედიასთან თანამშრომლობის დონის ამაღლება. მედიისა და პრესის წამყვანი წარმომადგენლების მონაწილეობით მოეწყობა კონფერენცია, სადაც შემუშავდება ჟურნალისტთა დაცვის გეგმა და წინადადებები მთავრობისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების გასატარებლად. სახალხო დამცველის ოფისი მზადაა, აქტიურად იმუშაოს ამ მიმართულებით ჟურნალისტებთან ერთად [25,152].

<u>კონკრეტული საქმეები, რომლებიც გამოიძია ომბუდსმენის აპარატმა</u>

სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთის“ საქმე

17 მაისს, გვიან ღამით, სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთის“ ოფისიდან დაუდგენელმა პირებმა მოიპარეს არხის საეთერო გამშვები და სამონტაჟო კომპიუტერები. ძარცვა, სავარაუდოდ, კომპანიის პარალიზების მიზნით მოხდა, რადგან ხელუხლებელია ყველა დანარჩენი ძვირადღირებული ქონება. სამაუწყებლო კომპანია „ჰერეთის“ მაუწყებლობა ამ ფაქტის გამო დროებით შეჩერდა. კომპანიის მაუწყებლობის არეალი მთელ კახეთს მოიცავს.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევას აწარმოებდა საგამოძიებო დეპარტამენტის ლაგოდეხის რაიონული საგამოძიებო ქვეგანყოფილება. დამნაშავე დღემდე არ არის დაკავებული, მაგრამ დაკარგული აპარატურა მოძიებული და დაბრუნებულია.

15 ივლისს, გვიან ღამით, სოფელ ჯანდარაში კახეთის რეგიონული გაზეთ „იმედის“ რედაქტორის – გელა მთივლიშვილის საცხოვრებელი სახლის ეზოში დაუდგენელმა პირმა ხელყუმბარა ისროლა. ჟურნალისტი აცხადებს, რომ ინციდენტი მის პროფესიულ საქმიანობასა და გაზეთში გამოქვეყნებულ კრიტიკულ მასალებს უკავშირდება.

მთივლიშვილის მეზობლებისა და ოჯახის წევრების განცხადებით, ისინი აფეთქების ძლიერმა ხმამ გამოაღვიძა. მათ არ დაუნახავთ, თუ ვინ შეიტანა ხელყუმბარა ეზოში. ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა აფეთქების შედეგად სახლის პირველ სართულზე ჩაიმსხვრა ფანჯრის მინები, დაზიანდა ეზო და გაიხვრიტა იქვე მდგარი გაზის ბალონი.

გელა მთივლიშვილი მომხდარ ფაქტს ჟურნალისტურ საქმიანობას უკავშირებს. მისი თქმით, ბოლო პერიოდში გაზეთში არაერთი სტატია გამოქვეყნდა, სადაც გურჯაანის რაიონის სამართალდამცავების, ასევე განათლების განყოფილების თანამშრომელთა დანაშაულებრივ ქმედებებზე იყო საუბარი. მისი განცხადებით, ადგილობრივი ხელისუფლება და მასთან დაახლოებული პირები რეგულარულად ემუქრებიან მას შემდეგ, რაც მან დაიწყო ისეთი სტატიების გამოქვეყნება, რომლებშიც ადგილობრივი სამართალდამცავების ნარკოტიკებით ვაჭრობაში შესაძლო მონაწილეობაზეა საუბარი. მომხდართან დაკავშირებით გამოძიებას გურჯაანის რაიონული პოლიცია აწარმოებს. აღნიშნული ფაქტის გამო,

საქართველოს სახალხო დამცველი ეწვია გურჯაანს, შეხვდა გელა მთივლიშვილს და ადგილობრივი მედიის სხვა წარმომადგენლებს [25, 152].

გაზეთი „კახეთის ხმა“, მთავარი რედაქტორი მაია მამულაშვილი

გაზეთმა „კახეთის ხმა“ გამოაქვეყნა ჟურნალისტური გამოძიების მასალა, რომელიც ეხებოდა ათასობით ლარის მითვისებისა და წიგნების გაყიდვის ფაქტს გურჯაანის ბიბლიოთეკაში. გამგეობამ დანიშნა კომისია, რომელმაც დაასკვნა, რომ გამოძიების მასალები უსაფუძვლოა. მაშინ გაზეთის რედაქციამ „სამართლიან არჩევნებთან“ ერთად შეისწავლა თავად კომისიის საქმიანობა.

გაზეთ „ბათუმელების“ ცნობით, ქ. ბათუმში, ამა წლის 23 იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ) აჭარის რეგიონული განყოფილების თანამშრომლებმა ნათია როყვა იმ დროს დააკავეს, როცა ჟურნალისტი სოდ-ის მიერ ორგანიზებულ სპეცოპერაციას ფოტოკამერაზე აფიქსირებდა.

როგორც ცნობილია, თანამედროვე საქართველოში ჟურნალისტების იძულება, თავი შეიკავოს ინფორმაციის მოპოვების ან გავრცელებისგან, წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე (სიტყვის თავისუფლების ხელყოფა) და 154-ე მუხლით (ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) გათვალისწინებულ დანაშაულებს [20, 153-154]. გარდა ამისა, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, აღკვეთოს ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლა, წინააღმდეგ შემთხვევაში უმოქმედობა განიხილება, როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი აღიარებს უფლებას, ნებისმიერმა დაინტერესებულმა სუბიექტმა მიიღოს ინფორმაცია ოფიციალური წყაროებიდან. ამის ადგილი კი სწორედ საჯარო დაწესებულების შენობაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტს ჰქონდეს საშუალება, დაუბრკოლებლად იმუშაოს, როგორც საჯარო დაწესებულების შენობაში, ისე მის მიმდებარე ტერიტორიაზე. საჯარო მოხელეებს ეკისრებათ ვალდებულება, ხელი შეუწყონ ჟურნალისტებს საქმიანობის წარმართვაში, რაც შესაბამისობაშია საერთაშორისო სამართლის ზოგადად აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებთან [15, 24]. კონკრეტულად, კონსტიტუციით გარანტირებულია აზრებისა და იდეების

თავისუფალი გამოხატვა და გავრცელება, ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება. კონსტიტუციის გარდა, საქართველოში მოქმედებს ჟურნალისტების მოღვაწეობის მარეგულირებელი კანონები:

1. საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 24 ივნისს მიიღო კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. ამ კანონმა ძირფესვიანად შეცვალა ვითარება და შექმნა მყარი საკანონმდებლო გარანტიები ისეთი ლიბერალური ფასეულობის დასამკვიდრებლად, როგორიცაა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ახალმა კანონმა მოახდინა დეფამაციის (ცილისწამების) დეკრიმინალიზაცია. სისხლის სამართლის კოდექსში აღარ არსებობს შესაბამისი მუხლი (148), რომელიც ცილისწამებისთვის სასჯელს ითვალისწინებდა [21, 148].
2. საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“.

სიტყვის თავისუფლების გარანტიების არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მაუწყებლობის სფეროში. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია საკანონმდებლო ნოვაცია, მაუწყებლობის სფეროს მარეგულირებელი ახალი კანონის მიღების სახით. 2004 წლის დასასრულს (23 დეკემბერს) საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონი მიზნად ისახავს საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფორმირებას, რომელიც სრული დამოუკიდებლობით ისარგებლებს პოლიტიკური თუ კომერციული გავლენისგან და ამ თვალსაზრისით მინიჭებული ექნება მძლავრი ფინანსური გარანტიები.

კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად კრძალავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცენზურას. ასე, მაგალითად: „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცენზურა დაუშვებელია“, ანუ არავის აქვს უფლება, მოსთხოვოს მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა რედაქციებს, ცალკეულ ჟურნალისტებს წინასწარ შეათანხმონ გადაცემები და მასალები [15, 24]. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში“

[16, 37]. ამით ეს კანონი ადგენს, რომ არ შეიძლება შეიზღუდოს ჟურნალისტისთვის ინფორმაციის მისაწვდომობა, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესს, რომ სახელმწიფო ორგანოებმა, ორგანიზაციებმა, საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა თავისი საქმიანობის შესახებ წარუდგინონ ჟურნალისტებს მოთხოვნილი დოკუმენტები.

ყოველივეს მიუხედავად, კანონმდებლობა აღიარებს რა პრესის თავისუფლებას და მისი ცენზურის დაუშვებლობის კანონებს, ბევრი ადმინისტრაცია მაინც ზღუდავს მედიისთვის საჭირო ინფორმაციის გადაცემას.

ინფორმაციის შეზღუდვა

ზოგჯერ სრულიად საკმარისია ინფორმაციასთან დაშვებაზე მკაცრი შეზღუდვების დაწესება, რათა იმავე ეტაპზე ხელი შეეშალოს ჟურნალისტურ გამოძიებას. ასეთ შემთხვევაში ყველაზე ხშირად გამოიყენება ე.წ. გასაძრომი ხვრელი, რომელიც კანონმდებლობაშია. ამისათვის განსაკუთრებით მოხერხებული საბაბია სახელმწიფო საიდუმლოთა დაცვის აუცილებლობა (მაგალითად, კანონი „სახელმწიფო საიდუმლოს“ შესახებ).

ჟურნალისტი ყოველთვის ვერ ახერხებს იმ მითითებების სინამდვილის შემოწმებას, რომ განსაზღვრული სახის ცნობები განეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოს. ამისდა მიუხედავად, რიგ შემთხვევაში მას საკმაოდ ზუსტად შეუძლია განსაზღვროს ასეთი მტკიცებულებების საფუძვლიანობის ხარისხი. არის შემთხვევები, როცა უარს ეუბნებიან რაიმე დოკუმენტის მიცემაზე იმაზე დაყრდნობით, რომ მასში მოტანილი ცნობები სინამდვილეში საიდუმლოა. ამ შემთხვევაში პირადი კონტაქტების საფუძველზე შეიძლება ამ დოკუმენტის მფლობელთან მოლაპარაკების წარმოება, რათა კანონის ფარგლებში იქნეს გაცემული. ასეთი დოკუმენტიდან უნდა გაკეთდეს ამონაწერი დამოწმებით და იქნება მხოლოდ ღია მონაცემების შემცველი.

გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა დონის ადმინისტრაციების პოლიტიკის რეალიზაციაში მედიისთვის ინფორმაციის მოპოვების შეზღუდვაში დიდ როლს თამაშობენ, როგორც ითქვა, პრესცენტრები, რომლებიც შექმნილია ამ ადმინისტრაციებთან.

8.5. სასამართლო წესით მედიის თავისუფლების ბორკილები

ჟურნალისტის საქმიანობის წინააღმდეგობა სახელისუფლებო სტრუქტურების წრიდან არ ამოიწურება მხოლოდ ინფორმაციის მიღების შეზღუდვით. ადმინისტრაციებისა და ჟურნალისტთა კონფლიქტების ანალიზი ერთმნიშვნელოვნად მოწმობს ამ სტრუქტურების მხრიდან არასასურველი ჟურნალისტებისადმი ფორმალურად გამართლებულ „სამართლებრივ ზეწოლას“, მეთოდების გამოყენებას უკვე გამოქვეყნებულ გამოძიებებთან დაკავშირებით. ამ მხრივ ყველაზე უფრო გავრცელებულია მორალური ზიანის კომპენსაციისთვის მოთხოვნილი სარჩელი. როგორც ყოფილი სახალხო დამცველი, სოზარ სუბარი აღნიშნავს: „საქართველოს პარლამენტმა, რაც კანონი მიიღო „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მედიასივრცე გაცილებით ლიბერალური გახდა, ვიდრე ოდესმე“.

<u>კანონში არსებობს ძირითადი პრინციპები, რომლებიც ჟურნალისტს იცავს ხელისუფლების ნებისმიერ ჩინოვნიკთან დაპირისპირებისგან</u>

1. ცილისწამება აღარ არის სისხლის სამართლის დანაშაული და, შესაბამისად, არც ერთი ჟურნალისტი ციხეში არ ჩაჯდება ცილისწამების ბრალდებით (მაგალითად, შევარდნაძის პრეზიდენტობისას გაზეთ „თრიალეთის” ჟურნალისტის – საბა წიწიკაშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრული იყო სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლით).
2. შეიცვალა მტკიცების ტვირთი: თავად მოსარჩელე და არა მოპასუხე ამტკიცებს, რომ მის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არასწორია (კანონის ამ პრინციპის გამო, სავარაუდოა, რომ ბევრი ჩინოვნიკი გადაიფიქრებს მედიასთან სასამართლო დაპირისპირებას).
3. ერთმანეთისგან გამიჯნულია ფაქტი და აზრი. აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით (კანონის ამ პრინციპიდან გამომდინარე, ზოგადი, თუნდაც, ძალიან მწვავე შეფასებებისთვის არც ერთი მოქალაქე, მათ შორის, ჟურნალისტი არ დაისჯება).

თუმცა, მეორე მხრივ, ჟურნალისტური სტანდარტების უქონლობა ადამიანის უფლებების დარღვევის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისა და

უმცირესობათა მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების სერიოზული წყაროა [21, 148].

ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მედიის უფლებათა დარღვევის გამოაშკარავების დაბალი ხარისხი განპირობებულია ამ დარღვევათა მიმართ შემწყნარებლობით, რაც მათი მხრიდან არ იწვევს პროტესტს და არ ხდება საზოგადოებისათვის ცნობილი. დაზარალებულები ხშირად ამჯობინებენ თვითონ მოაგვარონ კონფლიქტური საქმეები, სარგებლობენ შემოვლითი გზებით და არ მიმართავენ დაცვის სამართლებრივ საშუალებებს. ამგვარი საქმეების მცირე ნაწილი და ისიც განსაკუთრებით სერიოზული დარღვევები გვხვდება გაზეთის ფურცლებზე, ტელე და რადიო გადაცემებში და მიდის მონიტორინგამდე.

ღრმა ანალიზი უფლებას გვაძლევს ვისაუბროთ ამგვარი კონფლიქტების დროს მედიის პასიურ-თავდაცვით საქციელზე. რიგ შემთხვევაში დაზარალებულები საერთოდ არ მიმართავენ შესაბამის ორგანოებს დაცვისთვის ან სულ არ იციან, როგორ უნდა იმოქმედონ და იურიდიული ცოდნით დაასაბუთონ დარღვევის ფაქტი. საბოლოოდ, აღმოჩნდებიან რა ჩინოვნიკების ხელში, რომელთაც არ სურთ ხელი მოკიდონ მათ საქმეს გასაშუქებელ მასალაში მოყვანილი გავლენიანი პირების შურისძიების შიშით, ჟურნალისტები იმედს კარგავენ შემდგომი ჩივილის წარმატებაში და ამ დარღვევებს უპასუხოდ ტოვებენ (დროებით წყვეტენ). ხშირად მედიის წარმომადგენელები აღმოჩნდებიან რა დაქვემდებარებულ მდგომარეობაში, კონფლიქტის გართულებისა და უფრო მძიმე შედეგების შიშით, ამჯობინენენ, აიტანონ უსამართლობა.

ხოლო მედიის მოთმინების პარალელურად, რომელთაც არ სურთ კონფლიქტი და არ აქვთ წარმატების იმედი, სახეზეა „უზენაეს ხელისუფალთა“ მიერ კანონსაწინააღმდეგო ზომების გამოყენების გაწაფული მეთოდი ურჩი რედაქციების მიმართ: მათ საქმიანობაში ჩარევის სხვადასხვა ხერხები, მედიის ორგანოთა გადასახადებით ზეწოლის მუქარა, ჟურნალისტებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, ცენზურის დაწესების მცდელობა და სხვ. ყველაზე ეფექტური მეთოდი, რომელსაც იყენებენ ადმინისტრაციები ჟურნალისტთა „ასალაგმავად“, ესაა ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება. ეს მეთოდი, ეკონომიკური კრახის ზღვარზე მიყვანა, განსაკუთრებით ეფექტურია იმ მედიასაშუალებების მიმართ, რომლებიც ატარებენ ჟურნალისტურ გამოძიებებს. ამგვარ მაგალითებს

აკვირდება და მონიტორინგს უწევს სახალხო დამცველის აპარატი. მათ მიერ 2004 წ. ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა ამგვარი ფაქტები.

კონკრეტული საქმე: აკაკი ჩხაიძის, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის, აკაკი გოგიჩაიშვილისა და ალექსანდრე მაღლაფერიძის საქმე

აღნიშნულ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ტელეკომპანიაზე დაკისრებულმა ფინანსურმა სანქციამ, ფაქტობრივად, საინფორმაციო საშუალების ყოფნა-არყოფნის საკითხი დააყენა დღის წესრიგში. გადაწყვეტილება უპრეცედენტო ხასიათისაა და უნდა შეფასდეს სიტყვის თავისუფლების – როგორც დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელი ღირებულების – ხელყოფის მცდელობად.

სასამართლოში დავის საგნად გამხდარი ჟურნალისტური გამოძიება ეხებოდა აშკარად გამოკვეთილი საზოგადოებრივი ინტერესის შემცველ პრობლემას – კორუფციას. ამასთან, საქართველოს რკინიგზა ქვეყნის უმსხვილესი გადამხდელია. ეს ფაქტი კიდევ მეტად უწყობს ხელს საზოგადოებრივი ინტერესის გაღვიძებას მისი ხელმძღვანელის საქმიანობისადმი. ასევე აღსანიშნავია აკაკი ჩხაიძის სტატუსი – იგი საჯარო პირია, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ პროცესში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, კიდევ უფრო თვალსაჩინო სახეს იძენს საზოგადოების უფლება, მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია რკინიგზისა და მისი თავმჯდომარის საქმიანობის შესახებ. შესაბამისად, ჟურნალისტს ჰქონდა სავსებით ლეგიტიმური მიზანი, მოეხდინა საზოგადოების ინფორმირება რკინიგზის დეპარტამენტში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით.

ჟურნალისტის მიერ დაცული იქნა სამართლიანი რეპორტაჟისა და კეთილსინდისიერების პრინციპი. მან ინფორმაციის გადამოწმება მოახდინა სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით: მოიძია ოფიციალური დოკუმენტები, გამოკითხა საქმესთან კავშირში მყოფი პირები, მათ შორის, ინტერვიუსათვის მიმართა აკ. ჩხაიძეს, რომელმაც უარი განაცხადა კომენტარზე. ამის გარდა, ჟურნალისტმა აპელირება მოახდინა საზოგადოებაში გავრცელებულ მოსაზრებებზე, რის უფლებასაც მას საქართველოს კონსტიტუცია აძლევდა. მაგალითად, გამონათქვამი **„პრეზიდენტის ოჯახის პირად ფინანსისტად**

ცნობილი აკაკი ჩხაიძე...“ ამ მოსაზრებას მოპასუხე მხარე აკაკი ჩხაიძის მიერ შევარდნაძისათვის 7 მლნ დოლარად ღირებული ვერტმფრენის ჩუქების ფაქტით ამყარებდა. თუმცა ფაქტობრივი საფუძვლის გარეშეც ჟურნალისტს სრული უფლება ჰქონდა გადმოეცა, რომ საზოგადოებაში არსებული განწყობებით შეუძლებელია შეილახოს პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია.

გავრცელებული ინფორმაციის უარყოფის, აგრეთვე მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება პირს მხოლოდ მაშინ აქვს, თუ შელახულია მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. მოსარჩელე მხარემ ვერ მიუთითა ვერც ერთ გარემოებაზე, რომელიც აკ. ჩხაიძის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვას დაადასტურებდა. უფრო მეტიც, ვინაიდან მოსარჩელე საჯარო პირია, მას თმენის მეტი ვალდებულება ეკისრებოდა.

სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი და 413-ე მუხლი. თავისთავად მხოლოდ არასწორი ინფორმაციის გავრცელება არ იძლევა თანხის დაკისრების შესაძლებლობას. იმ დროისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი მოითხოვდა მოსარჩელისაგან იმის მტკიცებას, რომ ცნობების გავრცელების გამო მას მიადგა მორალური ზიანი, ეს შედეგი მოპასუხის ბრალეული ქმედების შედეგად დადგა და მოთხოვნილი თანხა გონივრულია ზიანთან მიმართებაში.

მოსარჩელეს არ დაუსაბუთებია, თუ რა განცდები გამოიწვია გადაცემის გაშვებამ და რაში გამოიხატა მორალური ზიანი. საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც დაასაბუთებდა მორალური ზიანის არსებობის ფაქტს.

მოსარჩელეს არ მიუთითებია არც ერთ გარემოებაზე, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ არასწორი ინფორმაცია გავრცელდა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ან აკ. გოგიჩაიშვილის ბრალით. საქმეში არ არის ტელეკომპანიის ბრალეულობის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება. უფრო მეტიც, „60 წუთმა“ მიიღო ყველა გონივრული ზომა, რათა არ მომხდარიყო არასწორი ინფორმაციის ეთერში გაშვება: ყველაფერი, რაც გადაცემაში გავიდა, წარმოადგენდა ოფიციალური დოკუმენტების ციტირებას ან ეკუთვნოდა სხვა პირებს. ტელეკომპანიის ბრალის არსებობა არც სასამართლოს

დაუსაბუთებია თავის გადაწყვეტილებაში. ასეთ ვითარებაში კი მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი არ უნდა დამდგარიყო.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებამ უხეშად უგულებელყო ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებითაც. 1.000.000 ლარი საქართველოს (და არამარტო საქართველოს) სინამდვილეში უზარმაზარი თანხაა. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ თავისთავად ჯარიმის ოდენობა მიზნის არაპროპორციულია, რადგანაც მიზნად ისახავს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას, რაც არ შეესაბამება დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებს.

ალბათ, ნიშანდობლივია ისიც, რომ უზენაეს ინსტანციაში საქმის კასაციის სტადიაზე მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, რაც, თავის მხრივ, იმით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ იმ მომენტისთვის აკ. ჩხაიძე იმყოფებოდა წინასწარი დაკავების იზოლატორში, ნაწილობრივ იმ ფაქტების გამო, რომლებმაც „60 წუთში“ გაიჟღერა.

სახალხო დამცველი და მისი აპარატი ხშირად იწვევს დისკუსიებს მედიისთვის აქტუალურ თემებზე და განხილვებში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს ყველა დაინტერესებულ მხარეს [25, 152].

8.6. ჟურნალისტთა დევნა

ჟურნალისტი, რომელმაც გადაწყვიტა გამოძიებითი საქმიანობა, მზად უნდა იყოს იმ ადამიანთა საპასუხოდ, რომელთა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობითაც იგი დაინტერესდება. იგი შესაძლოა იყოს ძლიერი ან სუსტი, აშკარა ან შეფარული, ხანმოკლე ან ხანგრძლივი. ყველაფერი დამოკიდებულია სიტუაციაზე, იმაზე, თუ, სახელდობრ, როგორ ძალებს შეეჯახა ჟურნალისტი, კონკრეტულად ვისი ინტერესები უნდა დაზარალდეს ამ გამოძიებით. მაგრამ ის, რომ წინააღმდეგობას აუცილებლად გაუწევენ, ეს ეჭვგარეშე უნდა იყოს. ამის დადასტურებას ჟურნალისტ-გამომძიებლები ყოველი ფეხის ნაბიჯზე აწყდებიან. წინააღმდეგობა ჟურნალისტური გამოძიებისადმი ხორციელდება უმთავრესად ორ შემთხვევაში:

პირველი – წინააღმდეგობა კონკრეტული გამოძიებისადმი. მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუშალოს ავტორს, რომელიც ემზადება პრესაში გამოსასვლელად, მოაგროვოს კონკრეტული (დანაშაულებრივი ან დაინტერესებული პირების აზრით, განსხვავებულად დაუშვებელი) შემთხვევის გარშემო მამხილებელი ტექსტი. წინააღმდეგობის პირველი ვარიანტი, ყველაზე ხშირად, გამოყენებულია იმ ჟურნალისტების მიმართ, რომლებიც სულ ახლახან გამოჩნდნენ გამოსაძიებელ სარბიელზე და არ გამოუჩენიათ თავი, როგორც პროფესიონალებს. მათგან შეიძლება მოდიოდეს იმ პირთა კეთილდღეობის საშიშროება, რომელთა აფიორებსაც ისინი იკვლევენ.

მეორე შემთხვევაში – წინააღმდეგობა ჟურნალისტური გამოძიების ჩატარებისა საერთოდ, ან საქმიანობის კონკრეტულ სფეროში (ქალაქი, რეგიონი, მიმართულება და ა.შ.). იგი გამოიყენება მეტად თუ ნაკლებად ცნობილ გამომძიებელთა მიმართ, რამდენადაც იმის მაგალითი, თუ როგორ „ასწავლეს ჭკუა“ ჟურნალისტს, ვისი სახელიც ცნობილია, ყოველთვის აღიქმება უფრო სერიოზულად, ვიდრე წარუმატებლობა ან შევიწროება, რომელიც განიცადა ჩატარებული ძიების გამო დამწყებმა, ნაკლებად ცნობილმა ჟურნალისტმა.

წინააღმდეგობის მიზნიდან გამომდინარე, ჟურნალისტების მიერ, რომლებიც მას ახორციელებენ, მიღებულია ესა თუ ის ზომები. როგორც წესი, წინააღმდეგობის პირველი ვარიანტის რეალიზება ხდება ჟურნალისტის მიერ აუცილებელი ცნობების შეკრების სტადიაზე. რა მეთოდები შეიძლება იქნას გამოყენებული ამ შემთხვევაში? როგორც პრაქტიკა უჩვენებს, მათი რიცხვი საკმაოდ დიდია. ეს არის ინფორმაციის დამალვა, ანუ მის მისაღებად შესაძლებლობის მოსპობა და ჟურნალისტის კომპრომეტაცია. ესაა მისთვის ფიზიკური, ქონებრივი ზიანის მიყენება და მკვლელობაც კი. თუ პირები, ჟურნალისტისადმი წინააღმდეგობის ორგანიზატორები, ირჩევენ მოცემულ ვარიანტს მას შემდეგ, რაც გამოძიების ტექსტი გამოქვეყნდება, ავტორს, როგორც წესი, უსიამოვნება აღარ ემუქრება.

მეორე ვარიანტი ხორციელდება, როგორც ჟურნალისტის მიერ ინფორმაციის შეგროვების სტადიაზე, ასევე გამოძიების ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ. ამ შემთხვევაში მომავალი პუბლიკაციის ავტორის მიმართ შესაძლოა გამოყენებული იქნეს უკვე დასახელებული ზომები, რეალიზებული ჟურნალისტისადმი წინააღმდეგობის პირველი ვარიანტის დროს. მაგრამ

წინააღმდეგობა შეიძლება გაგრძელდეს გამოძიების ტექსტის პუბლიკაციის მერეც. ამ შემთხვევაში იგი იღებს შურისძიების ხასიათს არა მხოლოდ კონკრეტული ჟურნალისტის, არამედ მისი ხელობის მქონე ჟურნალისტთა წრის მიმართ, როგორც მისი დაშინების მცდელობას, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი გამოძიებანი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში წინააღმდეგობა ჟურნალისტ-მაძიებლებისადმი გამოხატული იყო ყველაზე აგრესიული ფორმებით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მიხედვით „ჟურნალისტისათვის პროფესულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა დისკრიმინირებულ ქმედებადაა გამოცხადებული“ [20, 154].

„კანონიერი პროფესიული საქმიანობისათვის ბოროტად ხელის შეშლად” სახალხო დამცველის აპარატი ასახელებს ბევრ მაგალითს ჟურნალისტთა დევნისას და ჩვენ მათზე უკვე ვისაუბრეთ, რომელთა განხილვა, როგორც ომბუდსმენმა განგვიცხადა, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყოს. „უნდა მომზადდეს გადაწყვეტილებები, რომლებიც დაცვის მეტ გარანტიას შეუქმნის მოქმედ ჟურნალისტებს“ [78, 294-296].

შესაბამისად, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ უნდა მოხდეს ყველა ასეთ შემთხვევაზე სწრაფი რეაგირება, დაიწყოს აღნიშნული შემთხვევების შესწავლა და მოხდეს სწრაფი და ეფექტური გამოძიება.

თავი IX. ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობის დროს წარმოქმნილი საფრთხეები

9.1. როგორ შეიძლება დაიცვას ჟურნალისტმა საკუთარი უსაფრთხოება

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყევლა სფეროსგან განსხვავებით ჟურნალისტური გამოძიება სავსეა სხვადასხვაგვარი საფრთხეებით არა მხოლოდ ჟურნალისტებისთვის, არამედ იმ პირთათვისაც, ვინც გამოძიებას ეხმარება. მაგრამ დანაშაულის მხილებისა ჟურნალისტებს არ ეშინიათ, მით უფრო უშიშარნი არიან ისინი, ვინც საქმიანობის სფეროდ ჟურნალისტურ გამოძიებას ირჩევენ. თუმცა, ალბათ, მაინც საჭიროა გადავხედოთ ჩვენს შესაძლებლობას.

ვინ შეიძლება დაემუქროს ჟურნალისტის უსაფრთხოებას? ჟურნალისტური გამოძიების დროს მისი უსაფრთხოების დაცვა დიდი ხანია, როგორც უფლებადამცველთა ორგანიზაციების, ისე მასმედიის წარმომადგენელთა ყურადღების საგანია, აგრეთვე სახელმწიფო სტრუქტურებისაც გარკვეულწილად, კანონების დაცვის მითითებით მაინც. ამ პრობლემებზე შექმნილია სპეციალური წიგნები, სადაც გათვალისწინებულია თანამედროვე მეთოდებისა და ტექნიკის ცოდნის აუცილებლობა. მოცემულია რეკომენდაციები, რომელშიც ცხადადაა განმარტებული, როგორ შეიძლება დაიცვას ჟურნალისტმა საკუთარი უსაფრთხოება. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოცემული წესები ცხოვრების ყოველგვარი შემთხვევისთვის არის გამოსადეგი და იგი სრულყოფილია; სოციალური სიტუაციების ცვალებადობა მოითხოვს ახალი ფორმების შემოღებასა და ახალ მიდგომებს ჟურნალისტური გამოძიების პროცესის წარმართვისათვის. ზოგიერთი შეიძლება ჟურნალისტმაც შეიმუშაოს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. მაგრამ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა ისე, როგორც ადამიანთა უმრავლესობას, ჟურნალისტსაც შეუძლია მხოლოდ მოცემულ პირობებთან შეფარდებით. საშიშროების შემცირება გარკვეულ დონეზე სავსებით შესაძლებელია, მხოლოდ გარკვეული პირობების შესრულებაა საჭირო. უპირველესად, გამოძიების დროს საჭიროა იმის დადგენა, თუ საიდან შეიძლება წამოვიდეს აგრესია. კონკრეტულად ვისგან შეიძლება იყოს მუქარა. პასუხი მსგავს შემთხვევაში ერთი შინარსისაა – ვისაც არ აწყობს საქმის გამოძიება. ამიტომ მუქარა შესაძლოა ადამიანთა იმ წრიდან წამოვიდეს, ვის ინტერესებსაც შეეხო გამოძიება. ჟურნალისტის განადგურება მას მოუვა აზრად, ვისი პირადი ინტერესებიც ზიანდება გამოძიების დროს და, მით უმეტეს, მისი გამოქვეყნების შემდეგ.

ჟურნალისტი ყურადღებით უნდა სწავლობდეს „დიდ ფულს“, უძრავ ქონებას, ძვირფას ნივთებს, მაღალ თანამდებობებს და მათ მსგავსთა კავშირებს იმ პირებთან, ვისაც შესაძლოა ეს ყველაფერი დააკარგინოს გამოძიების შემდეგ სამართალდამცავმა ორგანოებმა. მაგრამ ხშირ შემთხვევაში სწორედ ეს კავშირები გულდასმითაა დაფარული დაინტერესებულ პირთა მიერ, ვიდრე ამგვარ კავშირებს არ აღმოაჩენენ. ჟურნალისტის მოქმედებას ადარებენ დანაღმულ ველზე სიარულს ისე, რომ არ იცის, ვისგან შეიძლება მიიღოს დარტყმა. დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გაგებას, თუ, სახელდობრ, ვინ, რა

ზომითა და ხარისხით იღებს სარგებელს არსებული დანაშაულებრივი სიტუაციის შენარჩუნებითა და დაფარვით [78, 359].

ვთქვათ, ჟურნალისტი იძიებს ხის მასალის საზღვარგარეთ უკანონოდ გატანას. ამ შემთხვევაში მან უნდა დასვას შეკითხვები: გარდა ამ დანაშაულებრივი საქმის შემსრულებლისა და საზღვარგარეთ გამტანისა, ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული ამ საქმით? შეიძლება ისინი სწორედ იმ სამსახურში არიან, ვინც უნდა უშლიდეს ხელს მსგავს მოქმედებებს? შესაძლოა, ესენი იყვნენ სამინისტროს ჩინოვნიკები, ვისაც შეუძლია გარკვეულ შემთხვევაში ნება დართოს ან აკრძალოს ხის მასალის საზღვარგარეთ გატანა? ან შესაძლოა ეს იყოს „მესამე ძალა“, როდესაც იქნება პასუხები ამ შეკითხვებზე, მით უფრო დადგენილი იქნება პიროვნება ან პირთა ჯგუფი, რომელნიც მაქსიმალურ მოგებას იღებდნენ ამ უკანონო ვაჭრობის შედეგად. ჟურნალისტ-გამომძიებელს შეუძლია ივარაუდოს, რომ მუქარა შესაძლოა მათგან წამოვიდეს და შესაბამისად, მუშაობა მეტი სიფრთხილით გააგრძელოს [78, 360].

როგორი შეიძლება იყოს მუქარა?
ფიზიკური ანგარიშსწორება

ჟურნალისტის პროფესია სახიფათო პროფესიათა შორისაა. იგი უფრო სახიფათო ხდება ჟურნალისტური გამოძიების სფეროში მომუშავეთათვის. ჟურნალისტმა, რომელიც საგამოძიებო საქმითაა დაკავებული, უნდა იცოდეს რომ გამოძიების გმირებთან მოსალოდნელი ურთიერთობისას საჭიროა გარკვეული წესების დაცვა, რაც მას უსიამოვნებებისგან დაიცავს:

- მოერიდოს დამნაშავის მიმართ პირდაპირი მამხილებელი მტკიცებულებების გამოყენებას;
- გამოცდილი ჟურნალისტი ნაცვლად მის ხელთ არსებული მტკიცებულებების გამოყენებისა, იყენებს ვარაუდის ფორმას და სტატიაში სვამს კითხვის ნიშანს. მაგალითად, „ჟურნალისტ ღონღაძის მკვლელობა პრეზიდენტმა კუჩმამ შეუკვეთა?“ – ეს არის სტატიის სათაური, სტატიაც ამ ფორმითაა აგებული [78, 361].

ყოველ სოლიდურ გაერთიანებას ან სააგენტოს ჰყავს თავისი იურისტი, რომელიც თანამშრომლობს ჟურნალისტებთან ყოველი გამოძიების დროს. გამოძიება, როგორც წესი, მასალის გამოქვეყნებისთანავე არ მთავრდება. სწორედ ამიტომ ჟურნალისტისთვის მნიშვნელოვანია იურისტთან თანამშრომლობა.

ხშირად ჟურნალისტური გამოძიების ავტორად მოხსენიებულია თვით საგამოძიებო განყოფილება ან ავტორთა ჯგუფი და არა კონკრეტული ავტორი, რომლის სახელი რედაქციას არ შეუძლია დაფაროს, თუკი პუბლიკაციის შემდეგ შეიქმნება სამართლებრივი ხასიათის პრობლემები. ზოგადი მინიშნება სტატიის ავტორისა გამოიყენება ჟურნალისტებზე შესაძლო ანგარიშსწორებისა და თავდასხმის აცილების მიზნით.

საბჭოთა სისტემის რღვევიდან, 1988 წლიდან 2000 წლამდე, დამნაშავეთა ფიზიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი გახდა ათიათასობით ჟურნალისტი. მათ შორის ცნობილ ჟურნალისტთა მოსყიდვას ცდილობდნენ, სთავაზობდნენ მათ დიდ ფულს, კარგ სამსახურს, უძრავ-მოძრავ ქონებას და ა.შ. გარდა ამისა, ჟურნალისტურ გამოძიებებს უქმნიდნენ დაბრკოლებებს ინფორმაციის მოპოვების სტადიაზე. ამ მიზნით, თითქმის ერთდროულად, სწორედ ამ პერიოდში სხვადასხვა ფირმებმა, ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა შექმნეს საკუთარი პრესცენტრი, რომლებიც იძლევიან დოზირებულ, ხელმძღვანელობისათვის ხელსაყრელი ინფორმირების გავრცელებას პრესისთვის. სოციოლოგიური გამოკითხვებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიხედვით ჟურნალისტ-გამომძიებლისათვის ყველაზე ძნელი გახდა აღმასრულებელ თუ სამართალდამცავ ორგანოებსა და კომერციულ ორგანიზაციებში ინფორმაციის მიღება.

აღნიშნულ პერიოდში მხოლოდ ჩეჩნეთში 23 ჟურნალისტი მოკლეს, როდესაც ისინი აგროვებდნენ ინფორმაციებს, რაც ნათელს მოჰფენდა იქ მიმდინარე მოვლენებსა და დანაშაულებებს. ასევე იყო საქართველოშიც; რამდენიმე ჟურნალისტი-გამომძიებელი ფიზიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი გახდა [78, 362].

შეუძლია თუ არა ჟურნალისტს, წინააღმდეგობა გაუწიოს იმას, ვინც ცდილობს მისი სიცოცხლის ხელყოფას? ამ შეკითხვის პასუხი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ჟურნალისტი გრძნობს, რომ სახიფათო ზღვარს, ანუ დანაშაულის გახსნას უახლოვდება, იგი განსაკუთრებულად ფრთხილად უნდა მოიქცეს და ყოველი ღონე იხმაროს, რომ პირისპირ არ აღმოჩნდეს ბოროტმოქმედებთან. მას შეუძლია მიმართოს და გააფრთხილოს ამის შესახებ სამართალდამცავი ორგანოები, დახმარება თხოვოს კოლეგებს, მეგობრებს, ახლობლებს და ა.შ.

გატაცების საშიშროება

ამ სახით საფრთხე შეიძლება ელოდეს ე.წ. „ცხელ წერტილში“ მომუშავე ჟურნალისტს, როდესაც იგი საომარი მოქმედებების ზონაში აღმოჩნდება. მაგ„ ჩეჩნეთში ტერმინიც კი გაჩნდა „მძევალი ჟურნალისტი“. რუსეთის სპეცრაზმის მძევალი აღმოჩნდა ჩრდ. ოსეთში 2005 წელს საშუალო სკოლაზე ბესლანში შამილ ამასაევის მიერ განხორციელებული ტერაქტის გასაშუქებლად ჩასული „რუსთავი 2“-ის კორესპონდენტი ნანა ლეჟავა, ნინო გიორგობიანი – ბელორუსიაში, როდესაც იგი დააკავეს და რამდენიმე დღე ჰყავდათ იზოლატორში. უცხოელი ჟურნალისტები ხშირად იყვნენ ჩეჩნეთში მძევლად აყვანილნი ბოევიკებისა თუ „ფსბ“-ს თანამშრომელთა მიერ. ჟურნალისტების გატაცებისა და მკვლელობების შემთხვევები იყო იუგოსლავიის სამხედრო მოქმედებების დროს. სამწუხაროდ, ეს საშიშროება არსებობს ყოველდღე, როდესაც ჟურნალისტები მიდიან იმ ქვეყნებში, სადაც სამხედრო კონფლიქტის კერაა.

მათი გატაცების შემთხვევები მშვიდობიან ქვეყნებშიც ხდება. ასეთი შემთხვევაა „უკრაინსკაია პრავდას“ ჟურნალისტ-გამომძიებლის ვალერი ღონღაძის გატაცება. როგორც ჟურნალისტთა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება, დამნაშავეთა სამყაროს მიერ გატაცება გამოიყენება მაშინ, როდესაც მათ უნდათ ძიების პროცესიდან ჟურნალისტების დროებით გამოთიშვა. ეს ზოგ შემთხვევაში არის დროის მოგება დანაშაულის კვალის წასაშლელად. ამგვარ გარემოში მუშაობისას ჟურნალისტი უნდა მოერიდოს სიტუაციებს, როდესაც იგი მარტო დარჩება იზოლირებულ შენობაში ან ღამე მიყრუებულ ქუჩასა თუ პარკში და ა.შ.

ქონების განადგურების საშიშროება

ეს შეიძლება იყოს მუქარა საცხოვრებელი სახლის დაწვისა, ტრანსპორტის გატაცების ან განადგურებისა, ბინის ან აგარაკის გაძარცვის, დარბევის და სხვა. ამ დროს ჟურნალისტს ართმევენ საცხოვრებელ და სამუშაო პირობებს, ახდენენ მასზე ფსიქოლოგიურ ზეგავლენას. ამასთან ერთად, თუკი მას დაემუქრებიან სიკვდილით, ამას შესაძლოა ყველამ ვერ გაუძლოს. თუკი იგი „გატყდება“, ესე იგი განიარაღებულიც იქნება და არავითარ საშიშროებას აღარ წარმოადგენს უკვე მისი გამოძიება [90, 363]. ცხადია, რომ მუქარა ქონების განადგურების შესახებ, პირველ ყოვლისა, იმისთვის არის დიდი ზიანის მომტანი, ვისაც ძვირფასი ნივთები და უძრავი ქონება აქვს; თუმცა ადამიანისთვის ყოველგვარ დანაკარგს უარყოფითი განწყობა მოაქვს და შესაძლოა, მიიღოს იმგვარი ფსიქოლოგიური სტრესი, რომ ვეღარ გააგრძელოს მუშაობა.

ფსიქოლოგიური ზემოქმედება

ამგვარი მუქარა მიმართულია იქითკენ, რომ აიძულონ ჟურნალისტი შეაჩეროს ძიება. ფსიქოლოგიური ზემოქმედება შეიძლება მოახდინონ სხვადასხვა საშუალებით: ჟურნალისტს ურეკავენ ან მუქარის წერილებით აფრთხილებენ: „ცხვირს ნუ ჰყოფ იქ, სადაც არ არის საჭირო!“ მიანიშნებენ ჟურნალისტს ოჯახის წევრებზე, რომელთაც უთვალთვალებენ და შეისწავლიან მათს ყოველდღიურობას და ა.შ. ხშირად ჟურნალისტებს უხდებათ ოჯახის წევრთა „საიმედო ადგილას“ გამგზავრება და ამ სახით მუქარის აცილება [78, 363].

მოპოვებული მასალის განადგურების საშიშროება

ნებისმიერი პირისთვის, რომელთა დანაშაულსაც იძიებს ჟურნალისტი, მთავარ საფრთხეს წარმოადგენს ჟურნალისტის მიერ მოპოვებული ინფორმაცია. ამიტომ სწორედ ეს ხდება ხშირად ინტერესის საგანი. ინფორმაციის ხელში ჩასაგდებად უამრავ სხვადასხვა ხერხს მიმართავენ. ეს არის ტელეფონების მოსმენა, კომპიუტერიდან ინფორმაციის მოპარვა, ფოსტით გაგზავნილი წერილების ფარულად გახსნა სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოთა მიერ და ა.შ. ამასთან დაკავშირებით, საჭირო ვიცოდეთ, რომ მოპოვებული ინფორმაციის

ერთსა და იმავე ადგილზე შენახვა არ არის ხელსაყრელი. განსაკუთრებით ეს ითქმის კომპიუტერზე. არის შემთხვევები, როდესაც იპარავენ კომპიუტერს და მასთან ერთად ყოველგვარ მონაცემთა ბაზას. ამგვარი დანაკარგის თავიდან ასაცილებლად უმჯობესია ასლების გაკეთება და მათი საიმედო ადგილას შენახვა. ვიდრე ჟურნალისტი არ დაასრულებს გამოძიებას, არავის უნდა ესაუბროს მოპოვებულ ინფორმაციებზე, რადგან არის შემთხვევები, როდესაც ასეთი დაუფიქრებელი მოქმედების შედეგად ინფორმაციის წყარო დაკარგვია ან ჩამოშორებია გამომძიებელ-ჟურნალისტს [78, 364].

მოპოვებული ინფორმაციები, შესაძლოა გაანადგუროს არა დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელმა, ზოგ შემთხვევაში უახლოესმა ადამიანმაც, რომელსაც სურს საფრთხე თავიდან ააცილოს მისთვის ძვირფას ადამიანს – მეუღლეს, შვილს, ძმას. ამრიგად, აუცილებელია გაკეთდეს მასალის ასლები.

სამართლებრივი დევნის საფრთხე

ჟურნალისტური გამოძიების მიზანია, წარმატებით დასრულდეს იგი, მიიპყროს ხელისუფლებისა და სამართალდამცავთა ყურადღება, დაისაჯონ დამნაშავეები და მათ უკან მდგომი პირები, ისინი, ვინც პროვოცირება გაუწია ან საერთოდ ჩადენილი დანაშაულის მიზეზი გახდა. მაგრამ ხშირად ასე არ ხდება, ხშირად თვით ჟურნალისტს ადანაშაულებენ. მსაჯულები მისი გამოძიების პუბლიკაციის „გმირები“ და მისი მფარველები არიან. დევნიან ჟურნალისტს, ეძებენ „ინფორმატორს“, რომლის გამჟღავნება არ არის სავალდებულო. ბევრ ქვეყანაში, სადაც კანონითარის განმტკიცებული ჟურნალისტ-გამომძიებლის მუშაობა, ინფორმატორთა ვინაობის დაფარვა აუცილებელია. ჟურნალისტური გამოძიების დროს ყოველთვის არის საჭირო მიღებული ინფორმაციის გადამოწმება და მისადმი სიფრთხილე. გამოძიების დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში მაინც საჭიროა დოკუმენტების შენახვა (ჩანაწერები, ვიდეო, აუდიომასალა და ა.შ.). პუბლიკაციაში დოკუმენტების გამოყენებისას აუცილებელია მათი მომწოდებლების დასახელება, აგრეთვე ადამიანებისა, რომელნიც მოწმედ გამოდიან, ციტატების ავტორებისა და სხვა საინფორმაციო საშუალებებიდან აღებული მასალის მინიშნებით, თუკი ეს შეთანხმებულია [78, 364-365].

დოკუმენტური მასალა გამოყენებული უნდა იქნეს ისე, რომ მკითხველმა, მსმენელმა დაიჯეროს და თუ სურვილი ან ინტერესი ექნება მასალის შემოწმებისა, ამაში პუბლიკაციამ უნდა შეუწყოს ხელი. ასეთი მიდგომა თუ არ არის, გამოძიება არაფრისმთქმელია და შედეგიც არასასურველი.

როდის არის საფრთხე რეალური?

როგორც პრაქტიკიდან ჩანს, ჟურნალისტური გამოძიების მიმდინარეობისას, ყველაზე სახიფათოა მასალის შეგროვების პერიოდი, ანუ ინფორმაციის ძიება მის პუბლიკაციამდე. ყველაზე ფრთხილად ჟურნალისტი ამ დროს უნდა იყოს. სწორედ ბოლო ინფორმაციას შეჰპირდა რუს ჟურნალისტს, ლარისა დომნიკოვას ტელეფონზე „კეთილის მსურველი“ და ისიც, გახარებული იმით, რომ ამ ინფორმაციით თავის გამოძიებას წერტილს დაუსვამდა, ჩავიდა ეზოში, სადაც „ინფორმატორი“ ელოდებოდა.

ბევრი ჟურნალისტი ფიქრობს, რომ პუბლიკაციის შემდეგ გამოძიების ავტორთა დევნა გასწრებული მატარებლის გადევნებას ჰგავს. დევნას აგრძელებენ, თუკი გამოძიება იმავე საკითხზე გაგრძელდება.

რეალურია საფრთხე, როდესაც გამოძიება მიმდინარეობს კონფლიქტის ზონაში ე.წ. „ცხელ წერტილებში“ (ჩეჩნეთი, ავღანეთი, ერაყი, აფხაზეთი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, მთიანი ყარაბაღი და სხვ.).

„ცხელ წერტილებში“ ათობით ჟურნალისტ-გამომძიებელი დაიღუპა სნაიპერის ტყვიით, დანაღმულ ადგილებში, ყუმბარების აფეთქებისას და ა.შ. სწორედ ამიტომ ამ ადგილებში მუშაობისთვის ჟურნალისტი სპეციალურად უნდა მოემზადოს და დაიცვას წესები, რაც მოცემულია საერთაშორისო ჰუმანიტარულ სასამართლოსა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში [78, 366].

როგორ დავიცვათ საკუთარი უსაფრთხოება

– როგორ შეიძლება ჟურნალისტმა აიცილოს იმ პირთა აგრესია, რომელთა საქმესაც იძიებს?
– ხელისუფლებასთან ნორმალური ურთიერთობით.

თუკი გავითვალისწინებთ საყოველთაოდ დეკლარირებულ პოსტულატს, რომ კარგი ჟურნალისტიკა ყოველთვის ხელისუფლების ოპოზიციაშია, ხელისუფლებასთან დაახლოება, ამ შემთხვევაში, პოზიციების დათმობას ჰგავს. ამ პოსტულატების მომხრეებს მხედველობაში აქვთ ის, რომ პრესა საზოგადოების ინტერესებს ასახავს, ხელისუფლება კი ხშირ შემთხვევაში გულგრილია მათ მიმართ, ამიტომ იგი პრესის მტერია. რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისს არსებობის უფლება აქვს ისევე, როგორც შეხედულებას ხელისუფლებაზე, როგორც საზოგადოების კეთილდღეობისთვის მზრუნველზე.

ჟურნალისტი არ უნდა დაუპირისპირდეს ხელისუფლებას, ეს არ უნდა იყოს თვითმიზანი. უფრო გონივრულია, როდესაც გამოძიებას იწყებს, ჟურნალისტმა გაარკვიოს, მისი მიზნები ემთხვევა თუ არა ხელისუფლების მიზნებს. თუკი ემთხვევა, დაამყაროს მასთან კონტაქტი. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული შემთხვევისას მას ურთიერთგაგებით მოეკიდება, მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოები. მათ მიაჩნიათ, რომ ჟურნალისტური გამოძიება ზედმეტია და ხელისშემშლელი რეალური გამოძიებისთვის [90, 366-367].

სახელმწიფო და სამართალდამცავ სტრუქტურებში არიან ადამიანები, რომელნიც თვითონ არიან ჩართულნი ყოველგვარ სამართალდარღვევასა და დანაშაულში. ცხადია, მათგან დანაშაულზე ზემოქმედება სუბიექტურია და იგი ჟურნალისტურ გამოძიებას ხელს შეუშლის. მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურებშიც არიან პროფესიონალები, კეთილსინდისიერი ადამიანები, რომელნიც საზოგადოების ინტერესს იცავენ და ჟურნალისტების როლსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში (მაგალითად, სოზარ სუბარი). სწორედ ასეთი ადამიანები უნდა მოძებნოს ჟურნალისტმა და მათთან ითანამშრომლოს, რათა ისინი დაეხმარონ და დაიცვან კიდევაც ის გამოძიების პროცესში. ასეთ განსაკუთრებულ ადამიანთა შორის ჟურნალისტმა უნდა იპოვოს პოლიტიკოსები და სხვადასხვა დონის ჩინოვნიკები როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ ორგანოებში. მათი მხარდაჭერა გამოადგება ჟურნალისტს როგორც ინფორმაციების შეგროვებისას, ასევე პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

გამოქვეყნდეს მხოლოდ სარწმუნო ინფორმაცია

ჟურნალისტი, ხშირ შემთხვევაში, თვითონ უქმნის საფრთხეს საკუთარ თავს. ეს ხდება მაშინ, როდესაც იგი საეჭვო ინფორმაციას აქვეყნებს. რეალური ფაქტების კიდევ უფრო დამახინჯება დანაშაულის „ობიექტში" ზრდის ჟურნალისტის მიმართ მტრულ განწყობილებას და უბიძგებს მას ანგარიშსწორებისკენ. უკეთეს შემთხვევაში, იგი ადანაშაულებს ჟურნალისტს ცილისწამებაში და სასამართლოში უჩივის. ეს შეიძლება იმის მიზედადაც იქცეს, რომ საბოლოოდ დანაშაულის უტყუარობაშიც შეიტანონ ეჭვი [78, 367-368].

ჟურნალისტმა მხოლოდ გადამოწმებული ცნობები უნდა გამოაქვეყნოს. ამისთვის მას უნდა ჰყავდეს უტყუარი ინფორმაციის წყარო, ჰქონდეს საშუალება მისი შემოწმებისთვის. თუკი ჟურნალისტი აქვეყნებს ვერსიას, მაშინ ყველა მტკიცებულება, შეფასებები, კომენტარები იმ ადამიანთა დანაშაულებებზე, რომლის შესახებაც იგი წერს, მის ტექსტში უნდა იყოს ოფიციალურ პირთა გამონათქვამების ფორმით. ჟურნალისტმა კი ამ შემთხვევაში მხოლოდ უნდა აღწეროს ურთიერთკავშირი ფაქტებს შორის, რაც დაგვანახებს მისი „გმირების" დანაშაულებრივ ქმედებებს.

სწორი დამოკიდებულება ადამიანთა მიმართ

დიდი მნიშვნელობა აქვს ჟურნალისტისა და იმ ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებას, რომელსაც მიმართავს გამოძიების დროს. შეიძლება გამოვყოთ ადამიანთა ორი კატეგორია, რომელთან ურთიერთობაც საჭიროა ჟურნალისტისთვის გამოძიების დროს; პირველი – ადამიანები, რომელთა მოქმედებასაც იგი იძიებს. ვინც არ უნდა იყოს და რა დანაშაულიც უნდა ჰქონდეს მას ჩადენილი, საჭიროა მასთან კორექტული საუბარი. შესაძლოა ეჭვმიტანილს ესაუბრო იმგვარად, რომ დაარწმუნო გამოძიების მიმართულების სისწორეში, რომ გამოქვეყნებული მასალა სჭირდება არა მარტო რედაქციასა და მკითხველებს, არამედ თვით ეჭვმიტანილსაც, რადგანაც მას აძლევს საშუალებას, დაფიქრდეს თავის დასაცავ არგუმენტებზე, რომელთაც იგი გამოთქვამს პუბლიკაციის საშუალებით, იქნებ შედეგად შემამსუბუქებელი განაჩენიც მიიღოს და ა.შ. ასეთ მიდგომას ჟურნალისტისთვის დადებითი შედეგები მოაქვს ამ სახის თანამოსაუბრესთან.

მეორე ჯგუფი – ადამიანები, რომელთაგან ინფორმაციას იღებენ სხვები, რომელნიც ინფორმაციას აწვდიან ჟურნალისტს, დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ეს ემსახურება არა პირად ინტერესებს, არა რომელიმე პირადი საქმის გადაწყვეტას, ვინმეს „ჩაშვებას“ და ა.შ., არამედ პროფესიონალურ აუცილებლობას, ობიექტურ გამოძიებას. მხოლოდ ამ დროს შეუძლია ჟურნალისტს, მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, არასრულ ინფორმაციაზე დაყრდნობილი გამოძიებაც, იქნება არასრული. გარდა ამისა, „ინფორმაციის წყარო“ დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ჟურნალისტი არ გაამხელს მის ვინაობას, თუკი ამას არ მოითხოვს სასამართლო. წინააღმდეგ შემთხვევაში ჟურნალისტი არა მარტო დაკარგავს ინფორმატორს, არამედ მისცემს საბაბს სხვა პოტენციურ დამხმარეს გამოძიების დროს, არ ენდონ ჟურნალისტს, არ ითანამშრომლონ მასთან, რომელიც მხოლოდ თავისთვის და თავისებურად „ჭრის და კერავს“. ესეც თავისებურ ასახვას პოულობს ჟურნალისტური გამოძიების უსაფრთხოებაში [78, 367-368].

აქ ჩამოთვლილი რეკომენდაციები არ არის ამომწურავი ჟურნალისტური გამოძიების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. არსებობს სხვადასხვა სახის სასწავლო სახელმძღვანელოები ჟურნალისტური გამოძიების უშიშროების წესებზე, პრინციპებზე, რაც დაეხმარება მას, მტკიცე იყოს ისეთ სფეროში მუშაობისას, როგორიც არის ჟურნალისტური გამოძიება და ასევე დაიცვას საზოგადოების ინტერესები.

თავი X. მასობრივი კომუნიკაცია მედიისთვის განკუთვნილი ეთიკური ნორმების რეგულირებისას

10.1. კრიტიკული აზროვნება და ჟურნალისტური გამოძიება

ჟურნალისტური გამოძიების ეფექტიანობას ავტორი უკავშირებს იმას, თუ რამდენად აქვს ჟურნალისტს განვითარებული კრიტიკული აზროვნება. მისი აზრით, კრიტიკულად მოაზროვნე სულაც არ ნიშნავს სკეპტიკურად განწყობილს, რომელიც ლამობს ყველაფერში ხედავდეს მხოლოდ ნეგატიურს, აუცილებლად ეძებდეს და პოულობდეს ნაკლოვანებებსა და შეცდომებს.

კრიტიკული აზროვნება თავის ფსიქოლოგიურ საფუძველში არის კიდევ იჭვნეული აზროვნება, ანუ სარწმუნოდ არ მიიჩნიოს, ერთი შეხედვით, არც პოზიტიური, არც ნეგატიური. ნეგატიური შეიძლება სრული მოცულობით წარმოჩნდეს, მაგრამ როგორც ავტორი ირწმუნება, მისი მიზეზები, მათი წარმოქმნის გარემოებები შესაძლოა, სულ სხვაგვარი აღმოჩნდეს, ვიდრე ის, რისთვისაც ემზადებოდა ჟურნალისტი ან რისთვისაც ამზადებდნენ მას. კრიტიკული აზროვნების უნივერსალური პრინციპია „ენდე, მაგრამ შეამოწმე“ [78, 126-128].

კრიტიკული აზროვნება, როგორც მედიამკვლევრები შენიშნავენ, თავისი შინაარსით უახლოვდება დამოუკიდებელ აზროვნებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტორიტეტებისა და კონიუნქტურის ზემოქმედებისგან თავისუფალ ჟურნალისტს შესწევს უნარი, დამოუკიდებელი შეფასებები მისცეს მოვლენებსა თუ ფაქტებს; შეგროვებულ ფაქტობრივი, დოკუმენტური მასალის, მათ შორის სხვადასხვა და ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების გაანალიზების საფუძველზე ჩამოაყალიბოს თავისი ლოგიკური და კორექტული დასკვნები. კრიტიკული, დამოუკიდებელი აზროვნება ვერ მოერგება წინასწარ მომზადებულ სქემას. იგი ღიაა „უხერხული" ფაქტების, კითხვებისა და აზრებისათვის. კრიტიკული აზროვნებისათვის მიუღებელია ტენდენციურობა, რადგან შეუძლია მრავალჯერ გადაამოწმოს, ხელახლა გაიაზროს და გადააფასოს მოძიებული მასალები [78, 135-138], [76,25-27].

ჭეშმარიტება თუ თვალსაზრისი?
კანონმდებლობა და „შეფასების საკითხი“

აქ უნდა შევეხოთ კონკრეტულად ჟურნალისტური გამოძიების პროცესში ჭეშმარიტების დადგენის პრობლემას ასპექტით – „ჭეშმარიტება თუ თვალსაზრისი“. ამასთან დაკავშირებით ავტორი ახსენებს რელატივისტურ მიდგომას ჭეშმარიტების პრობლემებისა და კრიტერიუმებისადმი.

ამავე რიგს განეკუთვნება ისეთი პრობლემები, როგორიცაა: კანონი და საღი აზრი, კანონმდებლობა და „შეფასების საკითხი“. გაანალიზებულია სამართლებრივი ნიჰილიზმის წყაროები და ფაქტორები, ჭეშმარიტების დადგენისას ჟურნალისტების წინაშე წარმოქმნილი სიძნელეები განსაკუთრებით

ისეთ შემთხვევებში, როდესაც იურისტები თავიანთი პოზიციის დასაცავად არა მარტო კანონს იშველიებენ, არამედ ფაქტებისა და სიტუაციების შეფასების უფლებასაც. ჟურნალისტური გამოძიების სფეროში რუსი ექსპერტის, ა. ტეტრიჩნის განმარტებით, „ფაქტობრივად, *შეფასების საკითხით* სპეკულაციური მანიპულირება, საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში სუბიექტური შეფასების უფლების ფართოდ გამოყენება თანაარსებობის საშუალებას აძლევს ორ სამართლებრივ ბაზას: კანონებსა და მათ განმარტებით პრაქტიკას, არსებითად, განმარტებით ძალადობას“. პროფესიონალურ ჟურნალისტურ გარემოში თანდათანობით იცვლება დამოკიდებულება ინფორმაციის მოპოვებისა და მისი გამოყენების წესებისადმი. განვითარებული ქვეყნების მედია ამ მხრივ მოტივირებულია შექმნას ისეთი დაცვის სისტემები, რომლებიც მოწოდებული იქნებიან, თავიდან აიცილონ კოლეგების, კონკრეტული გამოცემებისა და პროგრამების არასასურველი ქმედებანი. ისინი ძირს უთხრიან პროფესიის რეპუტაციას. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია გამოვკვეთოთ ორი ასპექტი: **მტკიცებულებისა და უარყოფის მეთოდები** [78, 142-145], [77, 93].

მტკიცებულება

გამოძიების მსვლელობისას, მედია მკვლევარ-თეორეტიკოსების აზრით, მტკიცებულება ლოგიკური განსჯაა, რომლის პროცესშიც მტკიცდება ან უარყოფილია რაიმე აზრის ჭეშმარიტება სხვა გარემოებათა დახმარებით, რომლებიც პრაქტიკითაა დამოწმებული. მტკიცებულების გზით ხდება გადასვლა დასაშვები, დასამოწმებელი ცოდნიდან სინამდვილემდე. მისი დანიშნულებაა ემსახუროს თეორიულ მოცემულობათა, დასკვნათა შედარებას სინამდვილესთან. მტკიცებულება ჟურნალისტის გააზრებაში, ისე როგორც ნებისმიერი ადამიანისათვის, წარმოგვიდგება რიგი დასკვნების სახით: ერთნაირი ლოგიკური აღნაგობით, გამოძიების ობიექტის კონკრეტული შინაარსისაგან დამოუკიდებლად. მტკიცებულებათა განსჯაში შესაძლოა ჭარბობდეს ინდუქციური ან დედუქციური მეთოდი. თუკი მტკიცდება საერთო თვალსაზრისი, ე.ი. ავტორი იყენებს ინდუქციურ წესს, მიგვითითებს კერძო ფაქტზე. მაგალითად, ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ „ბიზნესმენთა უმეტესობა შემოსავლებიდან მიღებულ გადასახადებს არ იხდის“, მტკიცებულებად მოაქვს, რომ ორი მათგანი ამხილეს სამართალდამცავმა ორგანოებმა ფინანსური დისციპლინის დარღვევაში.

კერძო მტკიცებულებათა დასაბუთებისას ჟურნალისტი ეყრდნობა საერთო მდგომარეობას, როგორც უდავო საბუთს და ამ შემთხვევაში მსჯელობა იძენს ***დედუქციურ ხასიათს.*** მაგალითად, ჟურნალისტი ამბობს, რომ *ეს ადამიანი ყოფილი ნომენკლატურის თანამშრომელია, ხოლო საბუთად მოაქვს ის, რომ „მას მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა წინა ხელისუფლებაში (კერძო განსჯა), ხოლო ჩინოვნიკები, ვისაც ასეთი თანამდებობები ეკავათ, არიან ნომენკლატურული მუშაკები*“ [90, 143]. ინდუქცია და დედუქცია ხშირად გამოიყენება მტკიცებულებით განსჯაში, რომელიც ორგანულ ურთიერთკავშირშია და ხშირად გადაჯაჭვულია ელემენტებთან დასკვნებით, მისი ანალოგიით ჰიპოთეზის აგებით ლოგიკურ ხერხებთან. ლოგიკა მტკიცებულების ოპერაციას სწავლობ ჩვენი კონკრეტული აზრების შინაარსისაგან განსხვავებით რეალურ განსჯაში, თვით ობიექტის აზრებიდან გამომდინარე გამოიყენება დასაბუთების მრავალფეროვანი საშუალებანი. ამასთან ერთად, მიუხედავად განსხვავებისა, დასაბუთების ნებისმიერმა ოპერაციამ პირობათა შესაბამისობის დაცვით შეიძლება მიაღწიოს ამ სფეროსათვის დამახასიათებელ საშუალებებსა და მასში მიღებული უტყუარი რეზულტატების დასაბუთების სტანდარტებს. მტკიცებულებაში, ჩვეულებრივ, დასკვნისაგან განსხვავებით, ყოველთვის აიგება ისეთი ხასიათის დასკვნა, რომელშიც განთავსებული იქნება მოკვლეულ შინაარსზე დაყრდნობილი არგუმენტები და მათი ლოგიკური კავშირების სინამდვილე.

დასაბუთება არ ცვლის არსს და დასამტკიცებელი მსჯელობის შინაარსს. მცდარი აზრი მტკიცებულებათა დახმარებით არ შეიძლება გადავაქციოთ სინამდვილედ. იგი ადგენს ჭეშმარიტებას, მხოლოდ ხსნის მას, ხდის სარწმუნოს, უტყუარს. უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულება, რომელიც სრულყოფილად განსჯის, თანამიმდევრულია და კონკრეტული იდეის დასაბუთების აუცილებლობითაა აღჭურვილი, გამოძიების პრაქტიკაში ისევე, როგორც ჟურნალისტიკაში, პრაქტიკულად არ გვხვდება [78, 144].

ეს ვარიანტი, როგორც წესი, მისაღებია მეცნიერებისათვის, რადგან ძალიან დიდი მოცულობისაა, შრომატევადი და რთულია აუდიტორიის აღსაქმელად. ჟურნალისტიკისთვის ჩვეულებრივია მოკლე არგუმენტირებული გადმოცემა თავად იდეისა, რადგან ეს საშუალებას აძლევს ოპერატიულად გადაჭრას ამოცანა, ასევე მოიპოვოს აუდიტორიის გაგება მიზანმიმართული ამა თუ იმ

გამოსაძიებელი სიტუაციის ლაკონური გადმოცემისათვის. თუმცა ყველა შემთხვევაში ჟურნალისტიკაში დამაჯერებელი შესაძლოა იყოს მხოლოდ ისეთი გამოსვლა, რომელიც თავის საფუძველში წარმოაჩენს მტკიცებულების ლოგიკას, თუნდაც მისგან განსხვავდებოდეს შემოკლებული მსჯელობით.

მტკიცებულებათა განსჯის სტრუქტურა

<u>მტკიცებულებათა განსჯა ყოველთვის შეიცავს სამ ელემენტს:</u>

1. თეზისი; 2. არგუმენტი; 3. დემონსტრაცია.

ლოგიკური განსჯის უზრუნველსაყოფად მტკიცებულებების თითოეული ელემენტის მიმართ უნდა იყოს დაცული გარკვეული წესები:

თეზისი და მისადმი ლოგიკის მოთხოვნები

ასე უწოდებენ გარემოებას, რომელიც მოითხოვს დასაბუთებას. თეზისი არსებობს, როგორც მტკიცებულება ან რაიმე მოვლენის არსებობის უარყოფა, იგი არასოდეს გამოდის კითხვითი წინადადების ფორმაში. ჟურნალისტის მსჯელობაში შეიძლება წინ წამოვწიოთ რამდენიმე თეზისი, მაგრამ იმისათვის, რომ მტკიცებულებითი მსჯელობა არ გამოვიდეს ეკლექტიკური, ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად უნდა იყოს მთავარი, დანარჩენი კი მეორეხარისხოვანი მსჯელობის ობიექტები.

მტკიცებულების თეზისი წარმოადგენს ყოველი მსჯელობის ცენტრალურ პუნქტს და მასთან მიმართებაში ლოგიკა მოითხოვს სამი წესის დაცვას. პირველი მათგანია – განსაზღვრულობა, თეზისის ლოგიკური გაგება და სიზუსტე, მეორე – მისი შეუცვლელობა მსჯელობის პროცესში, მესამე – თეზისი ყოველთვის უნდა გამომდინარეობდეს არგუმენტებიდან და მათი საშუალებით მტკიცდებოდეს.

თეზისის განსაზღვრულობის მოთხოვნა იმას ნიშნავს, რომ ძირითადი შინაარსი მიტანილი უნდა იყოს მკითხველამდე და მისი მნიშვნელობა, დარწმუნება მის მართებულობაში უნდა იყოს ნათლად ფორმირებული და ხელმისაწვდომი. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ძირითადი თეზისის მკაფიო ფორმულირება

არამარტო საშუალებას გვაძლევს მასალა ლოგიკურად, მწყობრი შინაარსით გადმოვცეთ, არამედ გადავწყვიტოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა – ვიპოვოთ გამოსავლის სწორი სათაური. ბუნებრივია, რომ კარგი სათაური, თუმცა, როგორც წესი, არ იმეორებს მთავარი თეზისის ენობრივ ფორმულირებას, საჭიროა, რომ ირეკლავდეს ავტორის ძირითად აზრს.

თეზისის ტექსტის უცვლელობას კრძალავს ლოგიკური მოთხოვნილება. კონკრეტული მსჯელობის პროცესში თავდაპირველად ჩამოყალიბებული შინაარსის (დასაბუთებული) თეზისის მთავარი ცვლილება, უმეტესად ზომიერი, შესაძლებელია მსჯელობისას, რომელიც ეხება ჟურნალისტის მიერ ჩატარებულ რომელიმე რთულ გამოძიებას. მასში მთავარი თეზისის სასარგებლოდ არგუმენტები არამარტო მოყვანილია, არამედ გამოკვლეულიცაა. ამის შედეგად ავტორმა, თავისდაუნებურად, შესაძლოა, გადაუხვიოს მთავარ თეზისს და არ დაამტკიცოს ის, რაც გამომდინარეობდა საწყისი ჩანაფიქრიდან. მთავარი თეზისიდან ასეთი გადახვევა სერიოზული ლოგიკური შეცდომაა, რომელსაც ეწოდება „თეზისის მტკიცებულებათა შეცვლა“. თეზისი აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს არგუმენტიდან. თუ ეს არ არის, თეზისი არ შეიძლება ჩაითვალოს დასაბუთებულად იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის წარმოადგენს მართალ განსჯას. შინაარსის მიხედვით კი თეზისები შეიძლება დაიყოს მარტივად და რთულად. მარტივი ტიპი წარმოადგენს განსჯას, რომელიც ადგენს რომელიმე ერთ-ერთი თვისების არსებობას ამა თუ იმ მოვლენაში. როგორც წესი, ასეთი თეზისები იძლევიან ერთმნიშვნელოვან სიმართლეს, მაგალითად, „ეს ჩინოვნიკი – კორუმპირებულია“. რთული თეზისი ამტკიცებს (ან უარყოფს) ერთდროულად რამდენიმე მდგომარეობას, მაგალითად: „წვრილ წარმოებათა პრივატიზაცია საშუალებას იძლევა, შეამცირონ წარმოებაში დაკავებულ ადამიანთა რიცხვი, გაადიდონ შემოსავლები“ [78, 146-147].

არგუმენტები

არგუმენტი – მტკიცებულების ლოგიკური ფუნდამენტია. ამდენად, მტკიცებულებითი მსჯელობის დამაჯერებლობა ბევრად თუ არა, ძირითადში დამოკიდებულია მასზე, დასაბუთებითაც მტკიცდება ძირითადი იდეის ჭეშმარიტება. ამიტომ მასალის მომზადებისას ჟურნალისტმა უნდა ჩაატაროს ანალიზი მის ხელთ არსებული ფაქტების, სტატისტიკური ცნობების, სამეცნიერო

მონაცემების, მოწმეთა ჩვენებებისა და ა.შ. სუსტი და საეჭვო არგუმენტები უარყოფილია, ხოლო ძლიერი – დასაბუთებელი.

არგუმენტების გადარჩევისას მნიშვნელოვანია ვიხელმძღვანელოთ ლოგიკური მოთხოვნით, რომლებიც წაეყენება გამოყენებულ დასაბუთებას, მათგან ძირითადია: 1. რგუმენტების ხარისხში უნდა გამოდიოდნენ მხოლოდ ნამდვილი, ეჭვგარეშე მყოფი გარემოებანი; 2. არგუმენტები უნდა იყოს საკმარისი მოცემული თეზისის დამტკიცებისთვის; 3. არგუმენტების სინამდვილე მტკიცდება მოცემული თეზისისგან დამოუკიდებლად; 4. არგუმენტები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს [78, 148].

არგუმენტების ჭეშმარიტების აუცილებლობა განისაზღვრება იმით, რომ ისინი გამოდიან, როგორც საფუძველი ან საბუთი, რომლისგან ლოგიკის წესებით გამომდინარეობს თეზისი (დასკვნა). თუკი ისინი ატარებენ სავარაუდო ხასიათს, იმათგან შესაძლოა გაკეთდეს სიმართლესთან მიახლოებული, მაგრამ არა ჭეშმარიტი დასკვნა. არგუმენტები, როგორც უკვე ითქვა, ასრულებენ საფუძვლის როლს, რომელზედაც აიგება მტკიცებულებათა მთელი შენობა და თუ ჟურნალისტი იყენებს არასაკმარისად გადამოწმებულ ან საეჭვო ფაქტებს, ის საშიშროების ქვეშ აყენებს დასაბუთების მთელ სვლას; ასეთი განსჯის დამაჯერებლობაზე არც კი შეიძლება იყოს ლაპარაკი. ლოგიკური მოთხოვნების დარღვევა და ამისათვის დოკუმენტების ნამდვილობის ვარაუდების გამოყენებას შევყავართ შეცდომაში, რომლის სახელია *„მთავარი შეცდომა“, „წინსწრება“.*

არგუმენტების საკმარისობის წესი გვამცნობს:

1. ერთობლიობაში ისინი უნდა იყოს იმ ხარისხისა და რაოდენობის, რომ იმათგან გამომდინარეობდეს სწორედ ამ თეზისისა და არა სხვა მსჯელობის აუცილებლობა;
2. არგუმენტების რაოდენობას მივყავართ დასაბუთების სანდოობის გაზრდასთან;
3. გადარჩევისას უკეთესია ვიხელმძღვანელოთ პრინციპით – „უკეთესია ცოტა და ხარისხიანი”.

4. მთავარია, რომ არგუმენტები ერთმანეთს ავსებდნენ. არგუმენტებად გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი აზრები, რომლის ჭეშმარიტება უკვე დამტკიცებულია და დადგენილია თეზისისგან დამოუკიდებლად.
5. თეზისის ჭეშმარიტება თუ გამომდინარეობს არგუმენტებიდან, ხოლო ჭეშმარიტება არგუმენტებისა – თეზისის ჭეშმარიტებიდან, მაშინ აღმოცენდება ლოგიკური შეცდომა, რომელიც იწოდება „დასაბუთების წრედ“ და შეჰყავს საბუთებზე დამყარებული მსჯელობა ჩიხში [90, 149].

არგუმენტების გადარჩევისას მნიშვნელოვანია, რომ ისინი ჰარმონიულად იყვნენ დაკავშირებულნი და არა იზოლირებული, მით უმეტეს, ურთიერთგამომრიცხავი. ერთისა და იმავე საგნის მიმართ არსებულ არგუმენტებს შორის წინააღმდეგობა, ავტორის ლოგიკური საგნის მსჯელობათა გაუაზრებლობა, რომელიც ხელს უშლის (მკითხველთა, მსმენელთა, მაყურებელთა) სინამდვილეში დარწმუნებაში.

ჟურნალისტს ხშირად სურს, ზუსტად გახსნას განსჯის ქვეტექსტი იმისათვის, რომ არგუმენტაციაში დასმულ მიზანს მიაღწიოს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ არ დავივიწყებთ, რომ არგუმენტაცია ამა თუ იმ ფორმით გამოდის, როგორც დიალოგი. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ დიალოგი შეიძლება გამოითქვას, როგორც ნათლად, ასევე ფარულად. მაშინაც კი, როცა გამომძიებელს არ ჰყავს კონკრეტული ოპონენტი, ის აზრობრივად წარმოადგენს თავისთვის შესაძლებელ კონტრარგუმენტებს (რა არის მნიშვნელოვანი ხანდახან, ვინ არის მატარებელი), რაც მის არგუმენტაციას ანიჭებს აზრობრივი დიალოგის ფორმას.

10.2. მასალის არგუმენტაციის დასაბუთების მეთოდები

თეზისის დასაბუთება დემონსტრაციის დროს შეიძლება განხორციელდეს ორნაირი ხერხით – პირდაპირი და ირიბი. პირდაპირი მტკიცებულება – ესაა თეზისის დასაბუთება რაიმე დამატებითი წარმოდგენების მოშველიების გარეშე. ამ შემთხვევაში თეზისის მსჯელობათა დასაბუთება იწყება ყოველგვარი არგუმენტების „წარდგენით“ და ლოგიკური აუცილებლობით მივყავართ თეზისის ჭეშმარიტების განსაზღვრამდე.

მაგალითად, პოლიტიკურ თემაზე პუბლიკაციაში ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის არსი დასაბუთებულია, როგორც წესი, ქვეყანაში პოლიტიკურ ძალთა განლაგების, პოლიტიკურ პარტიათა შორის ბრძოლის, ფინანსურ ურთიერთობათა, საგარეო ვაჭრობის, საგარეო-პოლიტიკური კურსისა და ა.შ. ფაქტებზე დაყრდნობით. დასაბუთების პირდაპირი საშუალება გამოიყენება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხდება კონკრეტული ფაქტის შეფასება, ეყრდნობა რა თეორიულ მდგომარეობას ან საერთოდ მიღებულ ნორმებს. ასე, მაგალითად, სასამართლო პროცესში ყოველ ცალკეულ ქმედებათა შეფასების სამართლებრივი მხარე ხორციელდება კანონში გატარებულ საერთო ნორმაში ჩართვით. იმისათვის, რომ აჩვენოს პუბლიკაციაში ამა თუ იმ პირის ქცევის ამორალურობა, ჟურნალისტი იმოწმებს ამ საზოგადოებაში ზოგადად მიღებულ ქცევის ნორმებს.

ირიბი მტკიცებულება – ესაა თეზისის ჭეშმარიტების დასაბუთება მის საწინააღმდეგო გამონათქვამთა სიყალბის წინააღმდეგობათა დადგენის გზით – ანტითეზით. ამ შემთხვევაში არგუმენტაცია ხორციელდება ორ ეტაპად: პირველი ნაბიჯი – ეს არის ოპონენტის ცრუ მტკიცებულებათა დასაბუთება, რომელიც იმყოფება თეზისთან წინააღმდეგობაში. რამდენადაც თეზისითა და ანტითეზით ერთმანეთს გამორიცხავენ და მათ შორის მოქმედებს პრინციპი „ან ერთი, ან მეორე; მესამე არ არსებობს“, მაშინ აკეთებენ მეორე ნაბიჯს – ანტითეზის სიცრუიდან გამოჰყავთ დასკვნა თეზისის ჭეშმარიტებისა. დასაბუთების ეს ტიპი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა საქმე გვაქვს ალტერნატიულ გამონათქვამებთან – თეზისსა და ანტითეზასთან, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს და თავისი შინაარსით მესამეს არ დაუშვებენ [78, 150-151], [77, 90].

ჟურნალისტურ გამოსვლებში გვხვდება ირიბი მტკიცებულების არამარტო ალტერნატიული ტიპი, არამედ უფრო რთული მისი სახესხვაობა, სახელწოდებით გამყოფი დასაბუთება. გართულება იმით არის შეპირობებული, რომ დისკუსიაში მონაწილეობს არა ორი ან რამდენიმე (სამი, ოთხი და მეტი) შეუთავსებელი გარემოება, რომელიც ერთსა და იმავე საკითხს შეეხება: ამ შემთხვევაში გამოიყენება გამორიცხვის მეთოდი – არგუმენტირებულად აჩვენებენ თითოეული ოპონენტის მსჯელობის არადამაჯერებლობას, რაც თავისთავად აძლიერებს მსჯელობათა დამაჯერებლობას.

პირდაპირი და ირიბი მტკიცებულება ერთდროულად შეიძლება გამოვიყენოთ ჟურნალისტიკაში. არგუმენტაცია არ შემოიფარგლება მტკიცებულებით. არგუმენტატორი ანალიზს უკეთებს თავისი თეზისის შესაძლო უარყოფის შემთხვევას, აჩვენებს მათ არშემდგარობას, ასევე იკვლევს და უარყოფს პოტენციალურ ანტითეზებს.

არგუმენტაციის უარყოფა

არგუმენტაციის ხელოვნება მტკიცების ცოდნასთან ერთად ნიშნავს კრიტიკას, რაციონალურად წარმართვის უნარსა და ოპონენტების არასწორ მტკიცებულებათა (მოწინააღმდეგეების) უარყოფას. უარყოფა ეწოდება ოპონენტის მიერ თეზისის სახით წამოყენებული გარემოების დაუსაბუთებლობის ან მისი სიყალბის დადგენის ლოგიკურ ოპერაციას. თვით ოპერაციას აქვს აზრი მხოლოდ მაშინ, როცა მტკიცებულებათა პროცესი შემდგარია და უნდა წარიმართოს დისკუსია, ვთქვათ, გამოქვეყნებული გამოძიების შესახებ.

საპასუხისმგებლოა რესპონდენტებთან არაჩანაწერი საუბრის გაშიფვრა. წყაროს სიტყვების რედაქტირებისას, რომელთანაც ის საუბრობდა ნიღბისა და დიქტოფონის გარეშე, ჟურნალისტი ხშირად სცოდავს ჭეშმარიტების წინააღმდეგ, ავიწყდება დაფიქრდეს იმაზე, თუ რამდენად შეესატყვისება გამონათქვამის მანერა მოსაუბრის ხასიათს და ეჭვის ქვეშ აყენებს თავის კეთილსინდისიერებას. როგორც ყველაზე უფრო უსაფრთხო საშუალება, ასეთ შემთხვევაში რეკომენდებულია არა პირდაპირი, არამედ ირიბი მეტყველების გამოყენება, ყურადღების გამახვილება გამონათქვამის აზრსა და არა ფორმაზე, განსაკუთრებით თუ გადმოიცემა შეხედულება. აუდიტორიის აღქმაში შეხედულების იდენტიფიკაცია ადამიანთან, რომელმაც ის გამოთქვა, არცთუ იოლი ამოცანაა და ეთიკურად მეტად საპასუხისმგებლოა.

ციტირების სიზუსტე და უზუსტობა ეხება არა მარტო ჟურნალისტურ „სამზარეულოს“, ამ საქმეში არაპროფესიონალიზმს ხშირად თან სდევს სასამართლო პასუხისმგებლობა. ერთი საქმეა – ვიღაცის დაუკვირვებელი აზრის გამოთქმა მის პარტიულ კუთვნილებაზე, რელიგიის ორიენტაციაზე, მის ინტიმურ ჩვევებზე და სხვაა – ამ სიტყვების სახალხო გახმაურება.

სიფრთხილე და წინდახედულება

<u>არ არის რეკომენდირებული</u>:

- ✓ მძაფრი და „საპასუხისმგებლო“ ეპითეტების ბოროტად გამოყენება;
- ✓ დატოვებული იქნეს საბოლოო ტექსტში შესწორებისა და განმარტების გარეშე მასალა, რომელიც შეიცავს ბრალის დადებას;
- ✓ როგორი სიფრთხილითაც არ უნდა ამზადებდეს იგი მასალას, მას მერე, რაც გასაშუქებლად დაასრულა სტატია თუ გადაცემა, საჭიროა ეცადოს, კიდევ ერთხელ შეამოწმოს ყველაფერი იმის შიშით, ხომ არ არის მოტანილ დოკუმენტაციებსა და გადაცემის ფორმაში რაიმე ისეთი, რაც პროვოცირებას გაუკეთებს ჟურნალისტის სასამართლო დევნას [78, 151].

არგუმენტები სასამართლოში

ჟურნალისტები როცა თავს იმართლებენ სასამართლოში, ზოგჯერ ცდილობენ გამოიყენონ „პირადი მონაწილეობის არგუმენტი“. ასეთი არგუმენტის გამოყენების დროს ჟურნალისტი გამოიყურება არა როგორც პროფესიონალი, არამედ, როგორც მოვლენის რიგითი მონაწილე პირადი შეფასების უფლებით. ასეთი არგუმენტები არ არის სამართლებრივი.

✓ „დათმობის“, „ავტორიზაციის“ არგუმენტები

ჟურნალისტი იმოწმებს იმას, რომ მისთვის უხერხული არ იყოს სხვისი სიტყვების, აზრების დამუშავება. ამ მერყევი არგუმენტების დამოწმება საჭირო ხდება, თუ რეპორტიორმა პროვოცირება გაუწია მოსაუბრეს გაუფრთხილებელ, მისი სახელის გამტეხ გამოთქმაზე. ასეთი სიტუაცია, საერთოდ, არასასურველია და საძრახისი.

✓ არგუმენტი „თავდაცვა“

ჟურნალისტი თავის სიფიცხეს, პოლემიკაში თავშეუკავებლობას ამართლებს სხვა გამოცემებიდან თავისი ოპონენტების ასეთივე გამოსვლების, თავისი გამოცემის მისამართით უსამართლო კრიტიკით. ადამიანურად ეს გასაგებია, მაგრამ სასამართლო, როგორც წესი, ასეთი არგუმენტის იგნორირებას ახდენს.

✓ არგუმენტი „შედარება“

ჟურნალისტი ამ შემთხვევაში თავის გამართლებას და არაკეთილსინდისიერებაში დადანაშაულების თავიდან აცილებას ცდილობს თავისი პუბლიკაციის სხვა ოფიციალურ დოკუმენტებთან შედარებით.

✓ ნეიტრალური რეპორტიორობის დამოწმება

ჟურნალისტი იცავს თავის უფლებას, წარმოადგინოს თუგინდ ემოციური შეფასებებით ერთდროულად წინააღმდეგობაში მყოფი მხარე.

✓ მოვლენათა რეპორტიორული გააზრების ჭეშმარიტების დამოწმება

ეს არგუმენტი გამოიყენება „განსაკუთრებით მძაფრი გამოთქმების“ გარჩევის დროს. იგი მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასალაში არის შერბილებული დაბოლოება და გასაგებია, რომ დაწერილია არსებული პრობლემის გადასაჭრელად [78, 151-152].

კერძო არგუმენტები

თუ ჟურნალისტისა და გამოცემის რეპუტაციას აყენებს ზიანს, მას აქვს უფლება დაიმოწმოს დანაშაულის შემარბილებელი კერძო არგუმენტები. ხშირად იმოწმებენ იმას, რომ მოცემულიაცილისწამების უარყოფა ანდა პირველის კვალდაკვალ გამოქვეყნებულია მასალა, რომელიც დამატებითი ფაქტების გამოჩენით ცვლის სურათს.

განვითარებული ქვეყნების მასმედიაში წლების განმავლობაში იყო მრავალი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ითვალისწინებდა სასამართლო პასუხისმგებლობას ჟურნალისტის „შეცდომაზე“ ან ჟურნალისტის ბოროტ ზრახვაზე. ბრალის დადება – ფორმულირებული, როგორც „შემოჭრა“, „მითვისება“, „არასწორი საქციელი“, ჩვეულებრივ, მოიაზრება „პროვოკაციული ურთიერთობის“ კონტექსტში.

ბევრ ქვეყანაში ჟურნალისტს უფლება აქვს კანონის ფარგლებში, არ დააზუსტოს დეტალებში ინფორმაციის შეგროვების პროცესი და ბევრი მედიაუწყება ამჯობინებს, თავი დაიზღვიოს და პროფესიონალური ეთიკის კოდექსში ჩაწეროს: „ჟურნალისტებს არ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა მოვლენებში, რომელზეც მიდის საუბარი. ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც კონსპირაცია ან ინსპირირება“.

სასამართლო პროცესზე ჟურნალისტის გამართლებას შეიძლება დაეხმაროს საერთაშორისო სამართლის ზოგიერთი ნორმების შესწავლა. ამ საკითხებზე მუშაობს ბევრი საგამომცემლო და სამაუწყებლო საშუალება, საინფორმაციო სააგენტოები, რომლებიც აზუსტებენ, რა შეიძლება გაკეთდეს განსაცდელში ჩავარდნილი ჟურნალისტის საშველად, როგორია მისი უფლებები, და რაც მთავარია, როგორ უნდა მოიქცეს თვითონ ჟურნალისტი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი უფლებებისა და მოვალეობების ერთიანობა?

მედიასაშუალებების რეგულირების უქონლობის მიუხედავად, უმეტეს დემოკრატიულ ქვეყნებში თვით ჟურნალისტური პროდუქტი წარმოების ინდუსტრიაში იქმნება და ნახევარ საუკუნეზე მეტია ფუნქციონირებს რეპორტიორების მიერ მოპოვებული ცნობების „შემოწმებისა და ბალანსის“ არაოფიციალური სისტემა.

მათ „ზნეობრივ შრომას“ ფხიზლად ადევნებენ თვალს კონკურენტები სხვა გამოცემებიდან. „შინაგანი შემოწმება“ ითვალისწინებს სპეციალისტ-იურისტების საქმიანობას, რომლებსაც ქირაობენ გაზეთები ჩივილების, ცილისწამების უარმყოფი პუბლიკაციების გამოსაძიებლად და შიგა რედაქციული ნორმების დასაცავად.

ბევრ მედიაგამოცემაში არსებობს გამოთქმებისა და სიტყვიერი დახასიათებების სიები, რომლებსაც უნდა ერიდოთ და მოუნახოთ უფრო კორექტული შენაცვლება. მაგალითად, მიუღებელია:

1. სიტყვები „ქურდი“, „ბოროტმოქმედი“, „თაღლითი“, რომლებიც ადამიანს მიაწერს კრიმინალური საქციელის ჩადენას სასამართლომდე და განაჩენის გამოტანამდე;

2. სიტყვები, რომლებიც მიაწერენ სამუშაოს მიმართ უუნარობას, კვალიფიციურ მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობას, სხვადასხვა გარემოებათა გამო იწვევენ პროფესიონალური პრესტიჟის შერყევას;
3. სიტყვები, რომლებიც ადანაშაულებენ ადამიანს გავრცელებული დაავადების შეყრის ფაქტით (რაც არ შეიძლება იყოს ერთი ინდივიდის საზრუნავი);
4. სიტყვები, რომლებიც კიცხავენ ადამიანის საქციელს პროფესიონალური მოვალეობის შესრულების მომენტში და ქმნიან დაეჭვებას მის არაკეთილსინდისიერებაში;
5. სიტყვები ადამიანის პროფესიის შეუთავსებლობაზე მის მორალურ სახესთან [78, 156].

დემოკრატიული სახელმწიფოს პრესა პასუხისმგებელია მეტისმეტად კატეგორიულ გამოთქმებზე კრიმინალური თემის დანიშნულებასთან დაკავშირებით, ცილისწამებასა და დეზინფორმაციის გავრცელებაზე, პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევაზე. მეორე მხრივ, წარმოიქმნება საკუთარი პროფესიონალური უფლებების დაცვის აუცილებლობა; აქ ჟურნალისტები სულ უფრო აქტიურნი არიან და ესმით, რომ პრინციპში, თითქმის ნებისმიერი მასალა შეიძლება გახდეს ცილისწამებაში დადანაშაულების საბაბად. მაგრამ ამავე დროს მათ შეგნებული აქვთ გულმოდგინედ მუშაობის აუცილებლობა და ახსოვთ, რომ ცილისწამების საქმეთა უმეტესობა დაკავშირებულია არა ბოროტ-განზრახულ პუბლიკაციებთან, არამედ სოციალურ შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

ჰყავს რა სამართლის საკითხებში საქმიანი მრჩეველი, ჟურნალისტი, თუ ის მართალია, ყოველთვის შეძლებს იყოს თავისი პუბლიკაციის ქომაგი, თუ საჭიროა – დამცველი. ზოგი რამ მან უნდა იცოდეს თვითონ და ახსოვდეს მტკიცედ:

1. არ შეიძლება გაჭირვებათა, უბედურებათა, დანაშაულებათა დეტალებით დატკბობა;
2. აუცილებელია პატივისცემით მოპყრობა ყველა იმ ადამიანის დამოუკიდებლობის, კეთილდღეობის, პირადი და სხვათა უფლებების მიმართ, ვისთანაც ჟურნალისტს უხდება შეხვედრა სამუშაოს ხაზით;

3. არ შეიძლება არავის პირდაპირი დადანაშაულება. ეს არის სისხლის სამართლის ძიებისა და სასამართლო საქმე, თუ ასეთები შედგება;
4. არ შეიძლება ქმედებების ზნეობრივი შეფასება, თუ არ მისცემ „დამნაშავეს“ შესაძლებლობას, გაიმართლოს თავი იმავე ფურცლებზე;
5. არასასურველია „გამარჯვებული“ რელაციების ტონი, რთული სიტუაციების გასწორება. ეს ზედმეტი თვითდაჯერებულობაა;
6. აუცილებელია არცერთი მოძიებული ფაქტი არ დარჩეს გაუშუქებელი, როგორი თვალსაჩინოც არ უნდა იყოს იგი;
7. „ორი უფლების“ კონფრონტაციის აღმოცენება – უფლება მოქალაქის პირადი ცხოვრების საიდუმლოზე და აუდიტორიისა, იცოდეს მისთვის მნიშვნელოვანი ახალი ამბები – მოითხოვს წინდახედულებასა და სიფრთხილეს;
8. რისკზე წასვლამდე აუცილებლად საჭიროა სიტუაციის აწონ-დაწონა, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე, დაიბეჭდოს თუ არა შეუმოწმებელი „ზესენსაცია“, თუ მიეკუთვნოს იგი პრივატული ცნებების რიცხვს. ამასთან კავშირში არ მოხდეს გატაცება არაოფიციალური (პირადი), განსაკუთრებით კონფიდენციალური წყაროების გამოყენებისა. ეს პრაქტიკა კორექტირებას მოითხოვს [78, 158-159].

მთლიანობაში დასკვნა ასეთია: უზუსტობების პატიება დაუშვებელია. სასურველია სენსაციის გულისთვის არ დადგეს რისკის ქვეშ გამოცემის რეპუტაცია.

ბევრი შემოქმედებითი პრობლემის (ინფორმაციის შეგროვების სხვა მეთოდების შერჩევა, მოვლენათა ფარული ინტერპრეტაციის საკითხები) გადაწყვეტა ხდება არა მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ აუცილებლობის შესატყვისი შიგა სარედაქციო რეკომენდაციების გამომუშავება (ისევე, როგორც „ანაზღაურებულ საგაზეთო ინფორმაციებთან“), ბრძოლის გამკაცრება.

<u>მედიის მოვალეობაა</u> – მთლიანად, და როგორც საჭიროა, ისე გამოასწოროს თავისი შეცდომები და მარცხი. ამაში უნდა დაეხმაროს შიგაკორპორაციული ეთიკური მოთხოვნების ფართო გავრცელება, რომელიც შეიძლება გამოდგეს ფარული რეკლამის ფარად, თავიდანვე არ დაუშვას მოურიდებლობა და „გადახრები“, თავიდან აიცილოს სიტუაციები, რომელთა დროსაც ზარალდება

რეპორტიორისა და რედაქციის ღირსება. რამდენადაც ნდობისა და ურთიერთშორის მოვალეობათა შერყევა არის არა მარტო პირადი, არამედ პროფესიის პრესტიჟიც [78, 160-161]. ცილისწამების ბრალდებათა უმეტესობის საფუძველი ჟურნალისტის შეცდომაა. გასაგებია, თუ რა უნდა ისწავლოს აქედან ჟურნალისტმა: გაითვალისწინეთ ჯოზეფ პულიცერის სამი წესი – „სიზუსტე, სიზუსტე და კიდევ ერთხელ სიზუსტე“ – ანდა უსიამოვნებას ელოდეთ. სიზუსტე იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი თავად უნდა გადაამოწმოთ და არ მიიღოთ ჭეშმარიტ ფაქტად ვინმეს ზეპირად ნათქვამი ან ნაწერი. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ინტერნეტს თავისუფლების იგივე გარანტიები მისცა, რაც ბეჭვდით მედიას, თუმცა კანონმდებლობის წინაშე დადგა პრობლემა, თუ ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ცილისწამების შემთხვევაში. მეტ დრაჯმა, რომელიც ეგრეთ წოდებული დრაჯის ანგარიშის სახით ინტერნეტში აქვეყნებს ხოლმე ჭორებსა და არაოფიციალურ ინფორმაციას, ერთხელ გამოაქვეყნა ცნობა, რომ პრეზიდენტ კლინტონის მასმედიასთან ურთიერთობის მრჩეველმა, სინდი ბლუმენთალმა თავის ცოლს სცემა. წყაროებად დასახელებული იყვნენ „რესპუბლიკური პარტიის მოწინავე მუშაკები“, რომლებმაც უთხრეს დრაჯს, რომ ამ ბრალდების დამადასტურებელი „სასამართლო დოკუმენტაცია არსებობს“. დრაჯმა არ წარმოადგინა ეს დოკუმენტაცია და ბლუმენთალმაც უჩივლა. დრაჯმა გადათქვა თავისი სიტყვები და განაცხადა, რომ იგი „ჭუჭყიანი თეთრეულის გამოსამზეურებლად გამოიყენეს“ [8, 518].

ვინ არის პასუხისმგებელი? არა ინტერნეტით მომსახურების მიმწოდებელი „ამერიკა ონლაინი“. კანონით „ინტერნეტის წესიერების შესახებ“ მომსახურების მიმწოდებლები გათავისუფდნენ ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობისგან. მაგრამ ეს ნორმა დრაჯზე არ ვრცელდებოდა. არის კიდევ ერთი საფრთხილო სფერო – პირადი ცხოვრების უფლება – რომელიც ჟურნალისტებს სულ უფრო მეტ პრობლემას უქმნის, რადგან საზოგადოებას არ მოსწონს, რომ მასმედია, როგორც ხალხი ფიქრობს, მეტისმეტად ხშირად ყოფს ცხვირს სხვის საქმეში[8, 517].

საზოგადოებაში როცა აღმოჩნდება „პრესის დაოკების“ იდეები და შემდგომ გაფორმდება იურიდიულად, როცა სინდისის სასამართლოს ემატება „უბრალოდ სასამართლო“, აშკარად ჩანს რეპორტიორის მუშაობაში არაკეთილსინდისიერი და წინდაუხედავი ქმედება. ნათელი ხდება, რომ ჟურნალისტ-გამომძიებელი,

რომელიც ფლობს სიტყვისა და ინფორმაციის მოძიების თავისუფლებას, არ არის თავისუფალი პასუხისმგებლობისაგან. იგი ვალდებულია, ანგარიში გაუწიოს ადამიანებს, რომლებიც მისი ინფორმაციის წყაროდ ხდებიან, ნებსით თუ უნებლიეთ. თანამედროვე მედიისთვის მნიშვნელოვანი ხდება ჟურნალისტების მხრიდან უნარიანი თვითკორექცია, ყურადღების გამახვილება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: რა შეიძლება გაკეთდეს გამოძიებულ მასალებში სიმართლის გასაზრდელად და ვნების შესამცირებლად, რომელიც შესაძლებელია ამ სიმართლითაა პროვოცირებული.

დასკვნა

ამრიგად, ჩემ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები შეიძლება შემდეგი დასკვნების სახით წარმოვადგინო:

ნაშრომი მოიცავს არა მარტო აღწერა-დაკვირვებას იმაზე, თუ როგორ გადმოიცემა ჟურნალისტური მასალა ეთიკურ-დეონტოლოგიური ნორმების დაცვით, არამედ კონკრეტული კვლევის საფუძველზე თანამედროვე მედიის ეთიკური ასპექტების გამოყოფით ხდება ამ პრობლემის თეორიული გააზრება, მისი არსისა და გამოხატვის ფორმების ანალიზი. დასავლურ და ქართულ მედია სივრცეში ეთიკური რეგულაციების კონტრასტული ანალიზისას გამოვლინდა მისი ძირითადი მახასიათებლები: დემოკრატიის პირობებში პოლიტიკურ კონტროლს ეთიკური და სამართლებრივი რეგულირება ცვლის. თანამედროვე მედიის „ხარისხის კონტროლის“ განხილვისას გასათვალისწინებელია ის ეთიკურ-სამართლებრივი ნორმები, რომელთა საშუალებითაც მასმედიის თავისუფალი ფუნქციონირება ხდება. ეს იქნება საერთაშორისო ეთიკური ქარტიები თუ სხვა ეთიკური სტანდარტების დაცვისთვის შექმნილი კოდექსები. პირველი, თავის მხრივ, იყოფა უნივერსალურ და მადიფერენცირებელ ნიშნებად, რომლებსაც უფრო მეტად აკონკრეტებენ ქვეყნების განვითარების სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური ფაქტორები. კოდექსების უმეტესობა ან ხარისხობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან ან იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავენ ისინი. ნებისმიერი ქვეყნის ეთიკურ კოდექსში დასახელებული ნორმები შეიცავს ჟურნალისტთა და მისი საინფორმაციო წყაროების ურთიერთობებისთვის

მნიშვნელოვან საკვანძო მონაცემებს, რომელთა დაცვა მათი ურთიერთობების დონეს სრულიად მისაღებს ხდის. მსოფლიოში არსებობენ რეგიონები, სადაც ისეთ პრობლემებთან უწევთ შეხება, რომლებიც გაქრა განვითარებულ დემოკრატიებში. ამ ტიპის ქვეყნების მედიის ტრადიციის მიხედვით, მმართველი პოლიტიკური ძალა ინარჩუნებს მასმედიის დაფინანსების მნიშვნელოვან როლს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ვერ აღწევენ მოგებას. ამ ქვეყნებში არსებული ეთიკური კოდექსები სამთავრობო რეგულირებას განეკუთვნება და მოითხოვს, რომ მედია ეროვნულ გრძნობებს განამტკიცებდეს. ეს გარემოება არ უნდა გახდეს იმის მიზეზი, რომ პროფესიონალებმა უარი თქვან საერთაშორისო შეთანხმებაზე მედია ეთიკასთან მიმართებით. ამგვარი თანხმობის არსებობა ხელს შეუწყობდა ჟურნალისტებს, დაეცვათ თავიანთი უფლებები და ებრძოლათ ინფორმაციის ხარისხიანი გაშუქებისათვის.

დემოკრატიულ ქვეყნებში ეთიკურ-დეონტოლოგიური სტანდარტების დაცვისთვის შექმნილი კოდექსები არ გულისხმობს მათ დამრღვევთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, მაგრამ მის გარეშე ჟურნალისტები ვერ მოახერხებენ ეთიკური და სანდო მედიის ჩამოყალიბებას. ნდობა და პატივისცემა საჭიროა, რათა ჟურნალისტი კარგად ემსახუროს საზოგადოებას. იგი უნდა იყოს არა მხოლოდ სანდო, არამედ დამოუკიდებელი.

ქართულ მედიაშიც შეიქმნა მორალური რეგულირების კონცეფცია (მაგალითად, „საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი“, „ჟურნალისტთა ქარტია“ და ა.შ.). იქნება თუ არა ეთიკური კოდექსისა და ქარტიის ეს დოკუმენტები ისეთი ხარისხის, რომელზე დაყრდნობითაც ჟურნალისტები შეძლებენ მუშაობას, ამას მისი ანგარიშვალდებულებების ამოქმედების დროს შევიტყობთ. ვინაიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ეთიკური ქცევის კოდექსების მიღებას, არამედ მათ პრაქტიკულ ჟურნალისტიკაში გამოყენებას და შესაბამის ინტერპრეტაციას. ეთიკური წესების დაცვის პრაქტიკის შექმნა დამოკიდებულია ჟურნალისტთა მომზადებაზე საკუთარი უფლებების დასაცავად. ყველაზე ნაკლებად დღეს მედიას აქვს გაცნობიერეული ჟურნალისტისა და პრესის თვითრეგულირების არსი. მედია კომპანიების მფლობელებმა უნდა გაითვალისწინონ ეთიკური ნორმების დაცულობა და სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, იზრუნონ, რომ მათი წარმოებული

მედიაპროდუქტი იყოს სანდო, ობიექტური და ხარისხიანი. ნაშრომში მოცემულია რამდენიმე პრაქტიკული ხასიათის მაგალითი, რჩევა, განხილვა, რომელთა მიზანია მედიის ეთიკური რეგულაციების სფეროში დასავლური გამოცდილების მედიის წარმომადგენლებისთვის, პოლიტიკოსებისა და საზოგადოებისათვის გაცნობა და გამოყენება.

ანალიზის შედეგად ვასკვნით, რომ მედიის ეთიკური რეგულაციები არის საზოგადოებრივი დისკურსის ნაწილი, ხოლო ეთიკურ სტანდარტებზე დაფუძნებული ჟურნალისტური ტექსტი კი საზოგადოებისთვის დამაჯერებელი. მედია პროდუქციის მომხმარებლების გარკვეულ სოციალურ ჯგუფებს არადამაჯერებლად მიაჩნიათ ის მასალა (ახალი ამბები, თოქ-შოუები, სტატიები, ნარკვევები, ჟურნალისტური ძიებები), რომლებსაც კითხულობენ, უსმენენ ან უყურებენ. აუდიტორიის ნაწილს რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორებს სიმართლის თქმას უშლიან რეკლამის გავლენიანი დამკვეთები, გამომცემლის მეგობრები, ან ტელეარხის მფლობელი. ამგვარი ზეწოლა ხშირად ახდენს გავლენას ქართულ მედია სივრცეზე. ეთიკურ-სამართლებრივი სტანდარტების დაცვას მასმედიის წარმომადგენლების მხრიდან უფრო ხშირად ხელს უშლის დროის სიმცირე, დოკუმენტებისა და ოფიციალური ინფორმაციის მიუწვდომლობა. ნამდვილი ინფორმაცია ხშირად გაშუქებისა და წერის ტექნიკის ნაკლოვანების გამო იკარგება. დასავლეთის მედია ექსპერტები ზუსტი, სრული და დამაჯერებელი ჟურნალისტური ტექსტის წერის შემდეგ კომპონენტებს ასახელებენ:

1. შესაფერისი ფაქტობრივი მასალა საკუთარ დაკვირვებებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით.
2. ავტორიტეტული და მცოდნე წყაროები დამატებითი ინფორმაციისთვის.
3. მნიშვნელოვანი და სრული ფონური ინფორმაცია.

თემატური პრინციპებით გამოვყავით მედიის სხვადასხვა სფეროებში ეთიკური პრინციპების გამოყენების შემდეგი ტიპები: მედიის დეონტოლოგიური პრობლემატიკა, საინფორმაციო წყაროს მისაწვდომობის პრობლემა, ახალი ამბები და მედია ეთიკა, მასმედიის სამართლებრივი უზრუნველყოფა, წყაროებთან ურთიერთობის სამართლებრივი და ეთიკური ნორმები, კრიმინალური თემების გაშუქება, ჟურნალისტი და საზოგადოებასთან

ურთიერთობის მექანიზმები, ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის სიძნელეები და პარადოქსები ჟურნალისტურ საქმიანობაში, საფრთხეები ჟურნალისტური საქმიანობის დროს, მასობრივი კომუნიკაცია და ფსიქოლინგვისტიკა მედიისთვის განკუთვნილი ეთიკური ნორმების რეგულირებისას.

მედიის დეონტოლოგიური პრობლემატიკის შესასწავლად და სამოქალაქო პასუხისმგებლობის თანამედროვე სისტემაზე გადასვლამდე, აუცილებელია იმის გარკვევა, თუ რა გზა განვლო დღემდე მედიამ, ჟურნალისტიკის ისტორიის გარკვეულ ეტაპზე რა ცვლილებებს განიცდიდა მედიის ეთიკური რეგულირების პრინციპები და როგორ ხდებოდა მათი პრაქტიკაში ტრანსფორმაცია.

განვითარებული ქვეყნები, რომლებსაც დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წყობა აქვთ, არ არღვევენ ადამიანის უფლებებს, ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს საკუთარი ხალხის მიმართ, პატივს სცემენ უცხო ქვეყნების კანონებს, ჟურნალისტური ეთიკაც – წერითი კანონები მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისთვის, პერიოდული გამოცემებისთვის, ცალკეული ჟურნალისტებისთვის პრაქტიკულ მოღვაწეობაში უფრო მეტად აქტუალურია.

საინფორმაციო წყაროს მისაწვდომობის პრობლემას უკავშირდება მისი განსაზღვრა და განმარტება. საინფორმაციო და ანალიტიკური მედიის წარმოების დროს განსაკუთრებული ადგილი უკავია საინფორმაციო წყაროებსა და მისი გამოყენების სპეციფიკას. ინფორმაციის არჩევისა და შექმნის პროცესი თემის, ფაქტის, ტექნიკის გამოყენების თავისებურ მიდგომას საჭიროებს. ამ თვალსაზრისით ჟურნალისტი მუდმივად ცდილობს, მოიპოვოს მრავალფეროვანი და სკანდალური ინფორმაცია. ეს ურთულესი პროცესი, ფაქტებზე დაყრდნობილი საინფორმაციო წყაროების შეგროვება, ანალიზის სპეციფიკური ტექნოლოგიაა, რაც ყველაზე სრულად წარმოაჩენს ანალიტიკურ მედიას, როგორც საზოგადოებრივი მონიტორინგის საშუალებას, ხელს უწყობს მისი ფუნქციის რეალიზაციას. ჟურნალისტურ კვლევაში საინფორმაციო წყაროების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, რომ დაამტკიცოს არა თვით კორუფციის ფაქტი, რაც საგამოძიებო ორგანოების პრეროგატივაა, არამედ გამოავლინოს მტკიცებულებათა ისეთი რაოდენობა, რომელიც სწორი დასკვნის საშუალებას მისცემს საზოგადოებას.

კვლევისთვის მნიშვნელოვანია საინფორმაციო წყაროებთან ეთიკური წესების დაცვის აუცილებლობის შესახებ დასაბუთებული გაცნობა. ყოველი ჩვენგანის, როგორც მოქალაქის, ცოდნა, უმეტესწილად, ინფორმაციის სხვა წყაროებს ეყრდნობა. როდესაც ჟურნალისტები თავიანთი რეპორტაჟების დეტალების გასარკვევად მოვლენებს, ფაქტებს აკვირდებიან, ისინი ხშირად არიან დამოკიდებული სხვებზე. ერთ-ერთი ძველი ხერხი, რომელსაც ჟურნალისტები თავიანთ პატიოსნებაში ჩვენს დასარწმუნებლად მიმართავენ, ინფორმაციის წყაროს დასახელების პრაქტიკა იყო. მისტერ ჯონსმა თქვა ესა და ეს. როცა ჟურნალისტი ინფორმაციის მოპოვებისას არის სხვებზე დამოკიდებული, ასეთ დროს სკეპტიკური მიდგომა განსაკუთრებით საჭიროა. ადრე ასეთი მოარული გამოთქმა არსებობდა: „თუ დედა გეუბნება, მიყვარხარო, გადაამოწმე“. თუ ინფორმაციის წყარო სრულად არის დასახელებული, აუდიტორიას თვითონ შეუძლია გადაწყვიტოს, სანდოა თუ არა ეს ინფორმაცია, რადგანაც ბოლო ხანებში საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ანონიმურ წყაროებზე დამოკიდებულება გაიზარდა – როგორც ეს კლინტონ-ლევინსკის შემთხვევაში იყო – ჟურნალისტები მიხვდნენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი კრიტერიუმების შემუშავებას, რომლებიც მათაც და აუდიტორიასაც დაარწმუნებდა, რომ ისინი ახალი ამბების ანონიმური წყაროებისაგან დამოუკიდებელნი რჩებიან. მათ საფუძველზე ჩამოყალიბებული ჟურნალისტების ამგვარი ეთიკური მიდგომები საინფორმაციო წყაროებთან ერთიან კომპლექსურ სურათს ქმნიან და კიდევ ერთხელ ამტკიცებენ ჟურნალისტთა მაღალი პროფესიული სტანდარტის არსებობის აუცილებლობას.

ეს მნიშვნელოვანია არა მარტო თავად ჟურნალისტებისათვის, არამედ აგრეთვე მომხმარებლებისთვის, რომლებიც მეტად მგრძნობიარენი არიან, როდესაც ეს ნორმები ირღვევა, მით უფრო, რომ ხშირად ისინი გადაჯაჭვულნი არიან ადამიანის უფლებების დაცვასთან. ამ შემთხვევაში ძირითადი კრიტიკოსი და განმსჯელი მოსახლეობაა, რომელიც იღებს მოცემულ მასალებს. გამოცდილი და დახელოვნებული ჟურნალისტები იშვიათად თუ ვარდებიან საეჭვო ვითარებაში და თითქმის არასოდეს აძლევენ სენსაციურ წყაროს უპირატესობას. ამ შემთხვევაში ჟურნალისტს უნდა შესწევდეს უნარი, შეარჩიოს ნამდვილად ვარგისი ინფორმაცია და წარმოაჩინოს მისი აქტუალურობა, გაარკვიოს მკითხველი, მსმენელი და მაყურებელი დასმული პრობლემისა თუ ინტრიგის არსში.

აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ საინფორმაციო წყაროებთან ეთიკური და სამართლებრივი წესების დაცვა მედიის დემოკრატიზაციის გარანტია. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ მასმედიის შენიღბულ თავისუფლებას, როდესაც ის ახალ რეალიებში პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტების მიმართ დამოკიდებულების ფორმას იცვლის.

დემოკრატიის პირობებში მედია, განსაკუთრებით კი, ანალიტიკური ჟურნალისტიკის სფეროში მომუშავე ჟურნალისტები, უნდა ცდილობდნენ საზოგადოებაში სამართლიანობის დამკვიდრებას. სწორედ ამიტომ, ეთიკურ ასპექტებზე საუბრისას, გასათვალისწინებელია ის სამართლებრივი ბერკეტები, რომელთა საშუალებითაც მედიის წარმომადგენლების საქმიანობა მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალურ განვითარებაშიც შეიტანონ წვლილი, უსამართლობისგან დაიცვან ადამიანები.

საერთაშორისო კვლევების შედეგების მიხედვით, დღეს, როდესაც ადამიანის უფლებების დარღვევა მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, არ ჩანს მისი გადაჭრის რეალური შესაძლებლობები – ეთიკურ ჟურნალისტიკას სწორედ აქ შეუძლია მიუთითოს მოსახლეობის დაცვის სტანდარტებზე, ადგილობრივ თუ ეროვნულ დონეზე გავლენა მოახდინოს ადამიანებისადმი ძალადობის შემცირებაზე, აიძულოს ხელისუფლება, დროულად მოაგვაროს ქვეყანაში არსებული კრიზისი. უფრო მეტიც, ეთიკურ-სამართლებრივ რეგულაციებზე დაფუძნებულ ჟურნალისტიკას შეუძლია ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება, რომელიც სხვა შემთხვევაში შეიძლება ან დამალული, ან შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

საქართველოში თანამედროვე სახელმწიფო მოხელე ინფორმაციის თავისუფლებას, მასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ნორმებს განიხილავს, როგორც საიდანღაც, ვიღაცის მიერ თავსმოხვეულ სამწუხარო ვალდებულებას და არა მისი, როგორც მოქალაქის, სასიცოცხლო, აუცილებელ გარანტიას იმ სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის, რომელსაც იგი, როგორც მოქალაქე და სახელმწიფო მოხელე წარმოადგენს. სწორედ ინფორმაციის თავისუფლებაზეა დამყარებული დიალოგი ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის. სწორედ ამგვარ კომუნიკაციურ ურთიერთობას ეფუძნება ხელისუფლების ეფექტიანობა.

დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისა და ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კომუნიკაციური ურთიერთობა საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის წარმოუდგენელია ისეთი მედია საშუალებების გარეშე, რომლებიც აწარმობენ გამოძიებას, დაკვირვებას ჩინოსნებზე და ა.შ. ამასთანავე, სახელმწიფო მოხელეებს ევალებათ მედიაში მიმდინარე პროცესებისა და საინფორმაციო ნაკადში ჩართვის მეთოდების ცოდნა.

სწორედ ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში აუცილებლად მივიჩნიეთ მასმედიის სამართლებრივ უზრუნველყოფასა და ეთიკის საკითხებზე კომპლექსურად მსჯელობა. საბოლოო დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას: თუ ჟურნალისტს რაიმე მიზეზის გამო არ შეუძლია გაითვალისწინოს სამართლის მოთხოვნილებანი მასალის დამუშავების პროცესში, შესაძლებელია მათ თავი იჩინონ გამოქვეყნების შემდეგ. სამართლებრივი „ხაფანგების“ წარმოქმნის გაუთვალისწინებელი ხასიათი (დაბრკოლებები), შესაძლოა, მაგალითად, „სახელმწიფო საიდუმლოს“ სამართლებრივი განსაზღვრების შემთხვევაში, რადგან, სამწუხაროდ, დღევანდელი კანონების არეალში, არსებობს მრავალი ტერმინოლოგიური „შეუსაბამობანი“, რომელიც ხელს უშლის ჟურნალისტს, მოძებნოს ზუსტი სამართლებრივი ორიენტირები გამოსაკვლევი ფაქტების მომზადებისას, მასალის გადმოცემისა და მომავალში თავისი უფლებების დაცვისათვის. კანონმა უნდა გაითვალისწინოს ჟურნალისტის ქცევის ყველა ის მექანიზმი, რომელიც ქმნის სამართლებრივი უზრუნველყოფის გარკვეულ ბერკეტებს.

რა ურთიერთმიმართებაშია მასმედიის სამართლებრივი უზრუნველყოფა და ეთიკური რეგულაციები? ანალიზის შედეგად ვასკვნით, რომ პირველი ხელს სულაც არ უშლის ჟურნალისტს, მიმართოს ეთიკური წესების დაცვას. უფრო მეტიც, იმის გადასაწყვეტად, თუ როდის უნდა მიმართონ ამ ტექნიკას, მასმედიის წარმომადგენლებმა უნდა გამოიყენონ ის კონცეფციები, რომლებიც სამოქალაქო დაუმორჩილებლობას ამართლებს. საინფორმაციო წყაროებმაც უნდა მიმართონ ამ კრიტერიუმებს, რომ შეაფასონ, რას ფიქრობენ მის შესახებ. ამ გადაწყვეტილებამდე ორი ნაბიჯია:

1. ინფორმაცია იმდენად მნიშვნელოვანი უნდა იყოს საზოგადოებისთვის, რომ სამართლებრივი კანონის დარღვევა გაამართლოს.
2. ჟურნალისტებმა მხოლოდ მაშინ უნდა დაარღვიონ ეთიკური და სამართლებრივი ნორმები, როცა ცნობების მოპოვების მეტი გზა არ არსებობს.

ამდენად, ჟურნალისტი ვალდებულია, თავისი მუშაობა სამართლიანობის დაცვის პრინციპით წარმართოს. უმნიშვნელოვანესია, რომ უნებლიეთ არ მოვატყუოთ აუდიტორია. ამისათვის აუცილებელია წყაროების მოტივაციის კარგად გააზრება და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორეში დარწმუნება. ზოგჯერ საჭირო ხდება წყაროების მოტყუება, თავის სხვად გასაღება, პირად საკუთრებაში შეჭრაც კი იმისათვის, რომ ჟურნალისტური კვლევა ჩატარდეს და საზოგადოებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფორმაცია გამოაშკარავდეს; ხშირად იმისათვის, რომ ამხილო და გამოამზეურო ტყუილი, ამორალურობა, კრიმინალი – საჭირო ხდება, თავადაც მსგავს ღონისძიებებს მიმართო. მთავარი ამ დროს ის არის, რომ ჟურნალისტი მოქმედებდეს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, მის საკეთილდღეოდ და მიზნად არ ისახავდეს არანაირ პირად ინტერესს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერტრანი კ.-ჟ. 2004. *მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულების სისტემები.* ქართულად თარგმნა მანანა გიგაურმა. თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი.
2. ბერეკაშვილი თ. (რედ.) 2000. *მასმედია თანამედროვე საზოგადოებაში.* სერია: თანამედროვე დემოკრატია: ძირითადი ცნებები და თეორიები №7. თბილისი: ფონდ „ევრაზიისა“ და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო.
3. გოგიჩაიშვილი კ., ხაჟომია ნ. 2003. *საგამოძიებო ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლები.* ქუთაისი: ავტოგრაფი.
4. დარსაველიძე მ. 2009. *სიტყვის თავისუფლების დეონტოლოგიური ასპექტები. თბილისი.* ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
5. კინწურაშვილი თ. (რედ).2003. *ჟურნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები.* თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი.
6. კოვიჩი ბ. როზენსტალი ტ. 2006. *ჟურნალისტიკის ელემენტები.* თბილისი. ინტერნიუსი.
7. მამულაშვილი მ. 2005. მესიჯი სამართალდამცავებს. *კახეთის ხმა.* № 65. 12 თებერვალი.
8. მენჩერი მ. 2013. *ახალი ამბების გაშუქება და წერა.* ქართულად თარგმნა ლაშა გველესიანმა. თბილისი: დიოგენე.
9. მოლოდინი გ. 2000. მოტყუებულ გოგონას აიძულებდნენ, 24 საათის განმავლობაში მომსახურებოდა მამაკაცებს. *24 საათი.* №79. 10 დეკემბერი.
10. მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ. 2008. *მენეჯმენტის საფუძვლები.* თბილისი: უნივერსალი.
11. ნადარეიშვილი მ. 2005. *პრესის საბჭო ნიდერლანდებში. ჟურნალისტური ძიებანი.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
12. პაპასკირი ვ. 2010. საკომუნიკაციო საშუალებები და საზოგადოება. *ინტელექტუალი.* №12.
13. პაიჭაძე ხ. 2005. დავით აღმაშენებელს 30 მილიონი მოჰპარეს! *კვირის პალიტრა.* № 30. 21-27 თებერვალი.

14. პაიჭაძე ხ. 2005. ისე შეგვავიწროვეს, იძულებული გაგვხადეს, სათავო ოფისისთვის აქციები 7 ლარად დაგვეთმო. *კვირის პალიტრა.* № 30. 21-27 თებერვალი.
15. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 1999. *საქართველოს კონსტიტუცია.* (24-ე, 41-ე მუხლი). თბილისი: პარლამენტის უწყებანი.
16. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 1999. *ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.* (28-ე, 37-ე მუხლი). თბილისი: პარლამენტის უწყებანი.
17. საქართველო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 1999. კანონი. (142-ე მუხლი). თბილისი: პარლამენტის უწყებანი.
18. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 1999. საერთაშორისო აქტი. საერთა-შორისო აქტი ეკონომიკის, სოციალურ, კულტურული უფლებების სფეროში. (27-ე, 30-ე მუხლი). თბილისი: პარლამენტის უწყებანი. №44.
19. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2004. კანონი. *კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ.* (24-ე მუხლი). თბილისი: პარლამენტის უწყებანი.
20. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 1999. კანონი. *სისხლის სამართლის კოდექსი.* (153-ე, 154-ე მუხლი) თბილისი: პარლამენტის უწყებანი.
21. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 1999. *კანონი. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ.* (მუხლი – 148). თბილისი: პარლამენტის უწყებანი.
22. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. კანონი. 2004. *კანონი მაუწყებლობის შესახებ.* თბილისი: პარლამენტის უწყებანი.
23. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 1999. *ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.* (37-ე მუხლი). თბილისი: პარლამენტის უწყებანი.
24. სტილი ჰ. 2001. *სატელევიზიო რეპორტაჟი.* თბილისი: ინტერნიუსი.
25. სუბარი ს. 2004. საქართველოს სახალხო დამცველის 2004 წლის ანგარიში. http://www.ombudsman.ge/files/downloads/ge/szounjmrncjpwcvdgasn.pdf (წვდომა განხორციელდა 2013 წლის 15 ივლისს).
26. ფლისონი ს. ლ. *1996. მოიპოვეთ და შეინარჩუნეთ წყარო. ინტერვიუს ტიპები, ორი დამოუკიდებელი წყარო.* თბილისი: ინტერნიუსი.
27. ყვირილაშვილი ხ., გურჩიანი თ. 2006. *ინფორმაციის თავისუფლება – ადამიანის ფუნდამენტური უფლება. სტატიათა კონკურსი.* თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.
28. შოუ დ. 2004. ანონიმური წყაროების თაობაზე. *მედიატორი.* № 2.

29. ჯანაშია ე. თუნთია ნ. 2004. ქალაქი სტიქიას ამჯერად გადაურჩა. *თავისუფალი სიტყვა. №* 35. 2 დეკემბერი.
30. ჰიუსტონი ბ. 2009. *ჟურნალისტ-გამომძიებლის სახელმძღვანელო.* თბილისი: ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი.
31. Barnes B. 2006. Local stations struggle to adapt as Web grabs viewers. *Wall Street Journal.* #45. September 10.
32. Benedict R. 1992. *Virgin or Vamp: How the Press Covers Sex Crimes.* New York: Oxford University Press.
33. Bentham J. 1821. *On the liberty of the press and public discussion.* London: William Hone.
34. Black J., Steele B., Barney R. 1997. *Doing Ethics in Journalism*. Allyn & Bacon.
35. Brooks B., Kennedy G., Moen D., Ranly D. 2008. *News Reporting and Writing.* New York: St. Martins Press.
36. Calame B. 2006. Hazarding personal opinions in public can be hazardous for journalists. *New York Times*. # 90. October 15.
37. Calame B. 2006. Listening to both sides, in the pursuit of fairness.*New YorkTimes.* # 99. January 12.
38. Graber D. 1989. *Mass media and American Politics.* Washington: CQ Press.
39. Harrison B. 2002. Blood money. *New York Post.* #223. August 18.
40. Higgins J. 2006. Big draw: facing the future. *Multichannel News.* # 97. July 12.
41. Hixson R. F. 1987. *Privacy in a publicsociety – Human Rights in Conflict*. New York: Oxford University Press.
42. Hulteng J. L. 1976. *The Messenger`s Motives: Ethical problems of the News Media*. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall.
43. Kershner J. 2009. *The Elements of News Writing.* New York: Pearson.
44. Lazar K.1990. Provincial profits.*News Inc.* # 58. August 13.
45. Lazare L. 2005. Target, New Yorker cross line. *New York Times* . #87. June 14.
46. Leonard D., Robert G. 2002. *The News About the News: American Journalism in Peril*. New York: Knopf.
47. Lippmann W.1956. *Public Opinion.* New York: Macmillan.
48. Lowe C.1994. Heat on the beat. *Newsworthy.* #75. August 15.
49. Macartney James. 1997. USA Today grows up. *Columbia Journalism Review*. # 89. May 13.
50. MacDonald H. 2000. America`s Beat Urban Police Force.*Cny Journal*. # 119. August 12.
51. Mencher's M. 2007. *News Reporting and Writing*. Columbia: Columbia University Press.

52. Milton J. *Areopagitica. A Speech for the Liberty of Unlicensed Printing to the Parliament of England*. https://archive.org/details/miltareopagiticaspee00rich (წვდომა განხორციელდა 2013 წლის 15 ივლისს).
53. Potter E. 2002. Body count. *American Journalism Review*. #70. April 13.
54. Prato L. 1994. Tabloids force all to pay for news. *American Journalism Review*. # 95. May 10.
55. Randolph E. 1989. Journalists face troubling questions about leaks from criminal probes. *Washington Post*. # 90. June 15.
56. Robertson L. 2002. Romancing the source. *American Journalism Review*. # 98. November 9.
57. Sentel O. 1997. ABC must pay Food Lion $5.5 million. *Associated Press.* # 123. January 23.
58. Shapiro B. (ed). 2003. *Shaking The Foundations: 200 Years of Investigative Journalism in America. N*ew York: Thunder's Mouth Press.
59. Smith R. F. 2008. *Ethics in Journalism*. New York: Blackwell Publishing.
60. Tierney J. 1993. Cash on delivery. *New York Times*. # 47. May 6.
61. Vaden T. 2005. Private citizens who get into the news. *The News Observer*. 8 December.
62. Violanti A. 2002. Black media prides itself on community service..*Newsdays.* # 95.22 February.
63. Wayne S. J., Mackenzie G. C., O'Brien D. M., Cole R. 1994. *The Politics of American Government.* New York: St. Martin`s Press.
64. Weinberg, S. 1996. *The Reporter`s Handbook: An investigator`s Guide to Documents and Technique*. New York: St. Martin`s Press.
65. Westin A. F. 2003. Social and Political Dimensions of Privacy.*Journal of Social Issues.* vol. 59, 431-453.
66. Wolseley R. E. 1990. *The Black Press.*Ames: Iowa State University Press.
67. Woods K. 2002. *Best newspaper writing* 2002. Pointer Institute for Media Studies.
68. Аврамов Д. 1999. *Профессионалъная этика журналиста: парадоксы, развития, поиски, перспективы.* Москва: Аспект Пресс.
69. Бахтин М. 1975. *Вопросы литературы и эстетики*. Москва: Прогресс.
70. Верлин М. 1989. *Краткое руководство по проведению журналистского расследования.* Москва: Аспект Пресс.
71. Валраф Г. 1998. *Репортер обвиняет.* Москва: Аспект Пресс.
72. Валраф Г. 1982. *Нежелателъные репортажи.* Москва: Аспект Пресс.
73. Домников И.1999. Москва. Липецкий цикл. *Новая газета.* №16. 19 марта.
74. Лазутина Г. В. 2000. *Профессионалъная этика журналиста*. Москва: Аспект Пресс.
75. Малъцев Г. 2001. Звук высокой чистоты. *Журналист.* #4. 17 января.

76. Пономарев Я. 1987. *Интуиция, логика, творчество.* Москва: Наука.

77. Снел Ф. 1990. *Искусство делового общения*. Москва: Знание.

78. Тетрычный А. А. 2002. *Расследователъская Журналистика.* Москва: Аспект Пресс.

79. Феннето З. 2004. *Интервью и опросник: формы, процедуры, реэультаты.* Перевела с французского М. Малеева.Санкт-Петербург: Питер.

80. Шостак М. И. 2003. *Репортёр – профессионализм и этика.* Москва: РИП-холдинг.